

ი. გრიუაშვილის
გიგლიოთეა-მუზეუმის
ქატალოგი

I

«მეცნიერება» 1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

პოეზ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი

ტ. 1

ქართული წიგნები

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1977

სარედაქციო კოლეგია:

ს. ხალუაძე, ა. ციციშვილი, ს. ხუციშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი)

უმაღლესები:

თ. მაჭავარიანი, თ. ნაკაშიძე, ლ. ხევსურიაძე,
ნ. ბრიგორაშვილი

პირველი ტომის აღწერაში მონაწილეობდნენ: მ. ყურაშვილი,
ქ. გუგუშვილი, მ. სიტატიშვილი

წინასიტყვაობა

იოსებ გრიშაშვილის ცხოვრების გზა თავისებურიც იყო და რთულიც. ორთაქალის ბაღების მუშის გრიგოლ მამულაშვილის შვილი საქვეყნოდ ცნობილი და სახელმძღვანელო პოეტი იყო, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მეტად საპატიო წოდება — სახალხო პოეტობა ჰქონდა მიკუთვნებული.

ი. გრიშაშვილი ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი ხდება ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში. მართალია, პირველად მისი პოეზიის მომხმარებელი მეტად ვიწრო წრე იყო — ხარფუხის უბნის წვრილი მოვაჭრენი და იმ უბნის მოქალაქენი, მაგრამ სულ მალე, განსაკუთრებით მისი ლექსების პირველი კრებულის გამოცემის შემდეგ, იგი ერთ-ერთ პოპულარულ პოეტად იქცა. ი. გრიშაშვილის პოეტური სიტყვის თავისებურება და სიახლე მაშინვე შენიშნა ქართული პოეზიის ორმა უდიდესმა წარმომადგენელმა. აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა ახალგაზრდა ი. გრიშაშვილს გვერდით იყენებდნენ და დიდ მზურნველობასაც იჩენდნენ მის მიმართ: აკაკის თავისთან ერთად გამოჰყავდა მსმენელთა წინაშე იგი, ხოლო ვაჟა-ფშაველამ ერთხელ ქუთაისში წაიყვანა ლექსების სათქმელად იმ საღამოზე, რომელიც ლიხთიქითურმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას მიუძღვნა.

ი. გრიშაშვილს სკოლა არ დაუმთავრებია. მხოლოდ ორი თუ სამი წელიწადი დაჰყო მან ქართულ გიმნაზიაში და ამით დამთავრდა მისი სასკოლო განათლება. სამაგიეროდ მისი დიდი მასწავლებლები იყვნენ ისინი, ვისი მადლიერიც პოეტი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იყო და რომელთა სახელებს ყოველთვის სიყვარულითა და მოწიწებით მოიხსენებდა გამოსვლებშიც, სიტყვებშიც და ლექსებშიც. ი. გრიშაშვილის მასწავლებლები იყვნენ ისინი, ვისი მხატვრული სიტყვა და აზრიც მას ზრდიდა და ავაჟკაცებდა. მათი სჯეროდა ი. გრიშაშვილს, მათი მხატვრული შემოქმედების ნაჩვენები გზით მიდიოდა იგი და მათვე აბარებდა შემოქმედებით ანგარიშს თითოეული ლექსისა თუ პუქარის შექმნით. ი. გრიშაშვილის დიდი მასწავლებელი იყო ქართული მწერლობა და მისი ბრწყინვალე წარმომადგენლები. იგი მათგან სწავლობდა ქვეყნისა და ერის სიყვარულს, მოქალაქეობრივი გრძნობისა და მოვალეობის იდეას და მის წინ წამოწევას. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და მათი მეთაური შოთა რუსთაველი — აი ისინი, რომელთა შემოქმედებასაც პოეტი ეთაყვანებოდა, განიცდიდა და სწავლობდა.

ქართულ მწერლობასთან ერთად ი. გრიშაშვილი თავის საუკეთესო სკოლად ქართულ თეატრს მიიჩნევდა. ქართული სცენის მსახურად იგი თავისი ახალგაზრდობის დასაწყისში გახდა და ამ დიდი ეროვნული დაწესებულების სამსახური და სიყვარული თვით სიკვდილამდე არ განელებია. ქართული თეატრის მოღვაწეებში კი ყველაზე მეტად ვასო აბაშიძეს, ლადო მესხიშვილსა

და ვალერიან გუნიას სცემდა პატივს, როგორც ისეთ ადამიანებს, მოქალაქეებს, ქართული თეატრის მაღალ ოსტატებს, რომელთაც გზის მაჩვენებლად, გზაზე დამყენებლად, ადამიანად და პოეტად დამდგინებლედ თვლიდა. განსაკუთრებით კი ვალერიან გუნიას.

ქართული წიგნის, ქართული მხატვრული სიტყვის სიყვარულს ი. გრიშაშვილი თეატრისა და მის მსახურთა კეთილ გავლენად თვლიდა და აღიარებდა კიდევ, რომ გულითადად ადამიანებმა და მათმა ჰუმანურმა დამოკიდებულებამ შეაყვარეს მას კითხვა და წიგნი.

რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო ეს გავლენა ახალგაზრდა ი. გრიშაშვილზე, რომ კეთილ ადამიანთა სიტყვით იგი იქცა წიგნის ურყევ და საოცარ მოსიყვარულედ, რის შედეგადაც მან შექმნა უნიკუმი წიგნსაცავი.

დიდი და საინტერესო წიგნადი ფონდი, მრავალფეროვანი არქივი და სხვადასხვანაირი კოლექციებიც ი. გრიშაშვილმა ანდერძით, უსასყიდლოდ დაუტოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, როგორც ამ აკადემიის ნამდვილმა წევრმა 1947 წლიდან.

ი. გრიშაშვილი ბიბლიოთეკის შექმნას წიგნის გაცნობასთან ერთად შეუდგა. მალე ნაცნობთა წრეში მან სახელი მოიხვეჭა, როგორც წიგნის მოსიყვარულემ და მცოდნემ. მაგრამ ი. გრიშაშვილისათვის წიგნის სიყვარული სტიქიური კი არ იყო, არამედ გეგმაშეწონილი და კანონზომიერი. მისი ბიბლიოფილური ინტერესი იყო საქართველო და კავკასია, ლიტერატურა საქართველო-კავკასიაზე, ქართული წიგნის დასაბამი. ამ ინტერესმა განსაზღვრა ი. გრიშაშვილის მუშაობა წიგნების შეკრებაზე. ათეული წლის განმავლობაში მან ისეთ წიგნებს მოუყარა თავი, რომელთა მსგავსი არ მოიპოვება საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დიდ ბიბლიოთეკებში. მარტო ოფიციალური ქართული წიგნის რეპერტუარს, რომელიც წიგნის სახელმწიფო პალატამ 1941 წელს გამოსცა („ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტომი პირველი, 1629—1920“), მან მიუმატა რამდენიმე ათეული წიგნის დასახელება. ცნობილია, რომ ქართული წიგნის რეპერტუარის შედგენისათვის გადათვალიერებული და შესწავლილი იყო საქართველოს საჯარო, თბილისის უნივერსიტეტის, სარქივო განყოფილების, საქართველოს მუზეუმის, საქართველოს წიგნის პალატის ბიბლიოთეკები და დიდი წიგნსაცავები რუსეთში — მოსკოვის ლენინის სახელობის სახელმწიფო, ლენინგრადის შჩედრინის სახელობის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის, ლენინგრადის ყოფილი საააზიო მუზეუმის ბიბლიოთეკები.

ი. გრიშაშვილს საუკეთესო მეთოდი ჰქონდა გამომუშავებული წიგნების შეგროვებისა. უპირველეს ყოვლისა, მას არ დაუშურებია წიგნის საფასური, თუკი იგი მისი ბიბლიოფილური ინტერესის დამაკმაყოფილებელი იყო.

ქაშვეთის ეკლესიის ქუჩაზე და მის შემოგარენში მრავლად იყო ბუკინისტური წიგნის სავაჭროები, საიდანაც ი. გრიშაშვილმა ბევრი წიგნი თავის ბიბლიოთეკაში შეიტანა. მას კავშირი ჰქონდა მოსკოვ-ლენინგრადის ბიბლიოფილებთან და მათი მეშვეობით იღებდა საჭირო ლიტერატურას. ბევრი საინტერესო და იშვიათი წიგნი მან შეიძინა თუ მიიღო ქართველი მწერლებისა და ქართული თეატრის მოღვაწეთაგან.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცულია ისეთი წიგნებიც, რომელთაც მზის სინათლე არ უნახავთ. ესენია ცენტურისაგან თავის დროზე აკრძალული გამოცემები, რომლებიც თვით საცენტურო კომიტეტის არქივშიც

არ შეტანილა. ასეთი წიგნები მას ფურცელ-ფურცელ აუკრეფია და შემოუნახავს მის წიგნსაცავში დაცულია ქართული პერიოდული გამოცემების კომპლექტები და ის გაზეთები თუ ჟურნალები, რომელთა გამოსვლისათვის საცენზურო კომიტეტს ნება არ დაურთავს. ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი პრესა 1905 წლიდან მოკიდებული, განსაკუთრებით იმ დროისა, როცა ი. გრიშაშვილმა თავისი ლექსების ბეჭდვა დაიწყო, უკლებლივ დაუნაკლოდ არის დაცული.

ი. გრიშაშვილს ბიბლიოთეკაში თავი მოუყრია რამდენიმე ათეული ათასი ნაბეჭდი ერთეულისათვის. გარდა ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, მას უგროვებია თბილისური რუსული პერიოდიკა, საერთოდ რუსული და სომხური, აზერბაიჯანული და სხვა ენების წიგნები. გარდა წიგნებისა, ბიბლიოთეკა მდიდარია ქართული თეატრის აფიშებით, მწერალ-მსახიობთა სადამოების პროგრამებით და სხვა მრავალი მასალით, რომელნიც უფრო მის არქივს მიეკუთვნება და რომელთა ღირებულება ქართული კულტურის სხვადასხვა დარგისათვის დიდია.

ი. გრიშაშვილის ხელში წიგნი თავის პირდაპირ დანიშნულებასთან ერთად იქნეს სხვა მეტად მიმზიდველ და საინტერესო მხარეებს იმის გამო, რომ იგი მოხვდა იმ ადამიანთან, რომელსაც წიგნის ყოველი მომენტი აინტერესებს და იზიდავს. თითქმის ყოველ წიგნზე ი. გრიშაშვილს დაუტოვებია რაიმე მნიშვნელოვანი აღნიშვნა, მინაწერი, შენიშვნა და ზოგჯერ მთელი ეპიზოდური წიგნის ავტორის, შემდგენლისა და წიგნის ისტორიის შესახებ, რაც ხან წიგნის ფურცლის არეებზეა ჩაწერილი, ხან ცალკე ქაღალდზე და წიგნის სათანადო გვერდებზე ჩაყარებული. ამ ბიბლიოთეკის თითოეული ბეჭდური გამოცემა შენიშვნა-მინაწერებით ქართული წიგნისა თუ პრესის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი მასალებია, წიგნებსა თუ პერიოდიკაზე ი. გრიშაშვილს ამოხსნილი აქვს ანონიმი ავტორები, გაშიფრულია ფსევდონიმები და, ამრიგად, მრავალი უცნობი მწერლის ვინაობაა გამოცნობილი.

ამ ბიბლიოთეკაში დაცულია უძველესი და უნიკალური გამოცემები, დაწყებული ვახტანგ მეექვსითა¹ და რომ-კონსტანტინეპოლის სტამბებით, თბილისური ძველი სტამბით დამთავრებული.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ერთი თავისებურება ისიცაა, რომ აქ თავმოყრილია თბილისური ფოლკლორის გამოცემათა იშვიათი სრული კოლექცია. მხოლოდ ამ მასალის ამომწურავად გამოყენებით შეიძლებოდა შექმნილიყო ისეთი ორიგინალური და ღრმად საინტერესო წიგნი, როგორცაა „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. სრულიად გარკვეულად უნდა ითქვას, რომ ამ სახის წიგნი არც ერთი ქალაქის ფოლკლორის შესახებ არ შექმნილა. ი. გრიშაშვილის ნაშრომის მიმზიდველობა, მასში მოთავსებული მასალის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათი განპირობებულია თბილისური ფოლკლორის ჩანაწერების სისრულით. ამას, ცხადია, ისიც უნდა დაერთოს, რომ „ლიტერატურული ბოჰემის“ ბევრი პერსონაჟი და „ქალაქური“ ლექსის მთქმელი პირადი ნაცნობი იყო ი. გრიშაშვილისა.

დიდი ღირებულების მქონენი არიან ბიბლიოთეკის ის ექსპონატი-წიგ-

¹ ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღწერილობა იხ. აკაკი შანიძე — „ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის მოღწეული ცალუბი“, მისგან „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის აღდგენილ ტექსტს დართული გამოკვლევა, გვ. 400.

ნები, რომელთა მფლობელნი თავის დროზე ყოფილან ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი, ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, შიო არაგვისპირელი და სხვანი. ამ ცალეზზე შემონახულია მათ მეპატრონეთა შენიშვნები, მინაწერები და სხვა სახის აღნიშვნანი. თითოეული ასეთი კვალი ქართველი მწერლისა თუ მოღვაწისა ამხსნელია რაიმე მოსაზრებისა, რაც მათ გასჩენიათ წიგნის წაკითხვისას. მაგალითად, ი. გრიშაშვილს დავით კარიჭაშვილთან უნახავს ვაჟა-ფშაველას ხელით ნასწორები წიგნი და იქიდან იმ გამოცემის თავის ცალში გადაუტანია შესწორებანი. პოემა „მოხუცის ნათქვამში“ ასეთი ადგილია:

„აყვირდნენ ფშაველ-ხევსურნი,
მოხვევ-გულამაყრელნი:
„შენს წინ ვართ, ბრძანებას ველით
შენნი ერთგულნი ქართველნი“...

კარიჭაშვილისეულ ცალში ვაჟა-ფშაველას შეუსწორებია ეს ადგილი და შემდეგი სახე მიუტია:

„აყვირდნენ ფშაველ-ხევსურნი,
გულამაყრელნი, მოხვევ:
„შენს წინ ვართ შენი ერთგულნი,
სად არის ქართველთ მოღვეე“...!

„ეთერში“ დაბეჭდილი ყოფილა — არ ვარ შენი მე მტერიო. ვაჟას გაუსწორებია — არა ვარ შენი მტერიო. ყოფილა: სიმამრის კარსა ჰკიდიან. გასწორებულა: სამარის კარსა ჰკიდიან. ყოფილა: მთაო, რად აგრე ჰგულადობ? გასწორებულა: მთაო, რად აგრე ჰგულდილობ? ყოფილა: ურქან-ქუჩითო. გასწორებულა: ურქან-ქუჩითო.

ავტორისეული გასწორებანი ბევრი მოიპოვება იმ წიგნებში, რომელნიც ი. გრიშაშვილს შეუგროვებია თავის ბიბლიოთეკაში.

ი. გრიშაშვილისათვის სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის წარწერებით მიუძღვნიათ წიგნები მის თანამოკალმე ქართველებს, რუსებს, უკრაინელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებსა და კიდევ მრავალ სხვას. აქვეა წიგნები ქართველი მეცნიერებისა აგრეთვე ი. გრიშაშვილისათვის მიძღვნილი სათანადო და შესაფერი წარწერებით. ისინი როგორც კულტურისა და წიგნის ისტორიისათვის, ისე აღამიანთა შორის ურთიერთობა-კავშირისათვის პირველხარისხოვან ცნობებს შეიცავენ. ქართველ მეცნიერთაგან ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში ინახება ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძისა და სხვათა წარწერებიანი წიგნები.

ი. გრიშაშვილის ხელში მოხვედრილა ისეთი წიგნებიც, რომლებიც ცნობილ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს სხვათათვის მიუძღვნიათ სათანადო წარწერებით, შემდეგ კი, რაღაც მიზეზებით, ის წიგნები გაფანტულან. ამ ბიბლიოთეკაში არის ალექსანდრე ყაზბეგის, შიო არაგვისპირელის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ხიზანაშვილისა და სხვა ქართველ მწერალთაგან სხვისათვის მიძღვნილი წიგნები, ან სხვადასხვა მწერალთა შენიშვნები წიგნებში (ივანე ზაქაძისა, პეტრე უმიკაშვილისა, ვასილ ბარნოვისა, კოტე მაყაშვილისა...).

¹ ვაჟა-ფშაველას თხზულებების უკანასკნელ გამოცემაში ვაჟას ხელით შეტანილი ეს ვარიანტული სხვაობა აღნიშნული არაა. ცხადია, რედაქტორებმა არ იცოდნენ ეს სხვაობა, რადგან გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები მაშინ აღუწერელნი იყვნენ.

ასეთივე ჩანაწერ-მინაწერ-შენიშვნებიანი თუ ფსევდონიმამოხსნილი ეურნალები, ვაზეთები, ალმანახები, სადეკლამაციო კრებულები — „ჩანგები“ და სხვა მრავალი გამოცემა მოიპოვება ბიბლიოთეკაში.

ყველაფერი ეს წიგნის ისტორიისათვის, მწერლობის ისტორიისათვის, ზოგადი კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი საბუთებია, ზოლო ი. გრიშაშვილის ჩანაწერთა მიხედვით შეიძლება შეიქმნას ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების ლექსიკონი.

მისი ბიბლიოთეკის წიგნის ფურცლებზეა შემონახული რედაქტორული მუშაობა ამა თუ იმ მწერლის თხზულებების გამოცემისას. თითოეულ გამოცემას ვრცელი დოკუმენტირებული ისტორია გააჩნია. მაგალითისათვის ავიღოთ მის მიერ 1936 წელს გამოცემული აქსენტი ცაგარლის „კომედიები“. წიგნის გამოცემისათვის სამზადისი მას ბევრად აღრე ჰქონია დაწყებული, ამისათვის მას შეუდგენია სრული ბიბლიოგრაფია, ე. ი. შეუძენია ა. ცაგარლის თხზულებათა ყველა და ყოველნაირი გამოცემა, კრებულები, ცალკეული თხზულებები — კომედიები, დრამები, ლექსები, სხვადასხვა პუბლიცისტურ-კრიტიკულ-მემუარული ჩანაწერები. ყველაფერი ეს მას გამოყენებული აქვს პიესათა ტექსტის ისტორიისათვის, მდიდარი და მრავალფეროვანი წინასიტყვაობისა და კომენტარ-შენიშვნებისათვის. ამ გამოცემაში ი. გრიშაშვილი განმარტებასა და ცნობას იძლევა არა მხოლოდ თხზულებათა გამოცემის, არამედ იმ თხზულებათა სცენაზე დადგმის თაობაზე, მათში მოთამაშე მსახიობთა, დამდგმელისა თუ წარმოდგენის გამმართველის გვარის აღნიშვნით, ამასთანავე, ეხება პიესის ტექსტში პერსონაჟთა მიერ ნახმარის ფრაზების აზრსა და ისტორიას, მათს სადაურობასა და მნიშვნელობას. კერძოდ, ამ წიგნში ვრცელი ცნობებია მოცემული ქართული სათეატრო ხელოვნებისა და ხელოვანთა შესახებ.

ი. გრიშაშვილი წიგნებზე მუშაობას არ წყვეტს მათი გამოსვლით. ეს ფაქტი არის დასაწყისი შემდგომი მუშაობისა, კვლევა-ძიებისა, შესწავლა-დაკვირვების გაგრძელებისა; პარალელებისა, შედარებებისა, რაც ტექსტისა და შინაარსის სრულყოფას ემსახურება. ეს დიდი საკვლევადიებო პროცესი მას ასახული აქვს ან წიგნის კაბადონებზე, ან წიგნში ჩართულ თუ ჩადებულ მითითებებში, რომლებიც ხშირად პაკეტშია მოთავსებული სიმრავლის გამო და მიკრულია წიგნის ყდაზე.

ასეთივე სურათია აღექსანდრე ჰავჭავაძის ტექსტის მომზადებისას, ლიტერატურული ნარკვევებისა თუ გაბრიელ სუნდუკიანცის, საიათნოვას თუ სხვა რომელიმე წიგნის გამოცემისას.

თუ ი. გრიშაშვილის ლიტერატურული ნარკვევები და გამოკვლევები ბრწყინვალე შენაძენია ქართული ლიტერატურისა, თეატრმცოდნეობისა, ლიტერატურისა და თეატრის ისტორიისა, ეს იმიტომ, რომ მას ჰქონდა გამოყენებული თავისი საკუთარი მეთოდი მასალის მოძებნისა, დაგროვებისა და წიგნის შექმნისა. ამ საკუთარ მეთოდამდე იგი მივიდა ინტუიციით, რამაც ყოველთვის გაუმართლა მას. გრიშაშვილისებური შენიშვნები და კომენტარები დიახაც იშვიათი და მისაბაძია, რადგან ისინი აღსაესენი არიან ყოველნაირი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობითა და მითითებებით.

ი. გრიშაშვილის შენიშვნები ხშირად იწყება წიგნის გარეკანიდან და მთელ ტექსტს გასდევს უკანასკნელ გვერდამდე. შენიშვნების ინტენსივობა, რასაკვირველია, წიგნის რაობაზე და შინაარსზეა დამოკიდებული.

ეს ყველაფერი მის ნაქონ წიგნებში და წიგნებზეა ასახული.

ამაში მდგომარეობს დიდი ინტერესი ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგისა. ასეთი ხასიათი აქვს წინამდებარე წიგნს.

ამრიგად, ეს წიგნი არის პირველი ნაწილი ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის სრული კატალოგისა. იგი ჩვეულებრივ კატალოგებისაგან იმით განსხვავდება, რომ წიგნის აღწერილობაში, სავალდებულო ბიბლიოგრაფიულ და ბიბლიოლოგიურ მითითებათა გარდა, მოცემულია ი. გრიშაშვილის წიგნებზე მუშაობის კვალი, ამოწერილია მისი განმარტებები, შენიშვნები, დამატებები, ჩანაწერები, ხაზგასმანი და სხვა, რაც ამ ბიბლიოთეკის წიგნებს თავისებურებასა და მიმზიდველობას ანიჭებს.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგი რამდენიმე წიგნად უნდა გამოვიდეს: ქართული წიგნები, ქართული ეურნალ-გაზეთები, რუსული წიგნები, საბჭოთა კავშირის ხალხთა და სხვა ენის წიგნები და პერიოდული გამოცემანი.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობანი მოცემული იქნება სისტემატურად, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიხედვით. მაგრამ, რადგან ეს კატალოგი მხატვრული სიტყვის ოსტატის, პოეტის ი. გრიშაშვილის წიგნებისაა, და რადგან მის ბიბლიოთეკაში უდიდესი ნაწილი მხატვრული ლიტერატურა, ლიტერატურათმცოდნეობა, ხალხური შემოქმედებაა, ამიტომაც კატალოგის პირველი ნაწილი დაეთმობა მათ.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენაში გულმხურვალე მონაწილეობა მიიღეს თამარ მაჭავარიანმა და თინათინ ნაკაშიძემ. ამ სახელმძღვანელო ბიბლიოგრაფებს თვით ი. გრიშაშვილმა სთხოვა ბიბლიოგრაფიულად დამუშავებინათ მისი წიგნები, რაც ჯერ კიდევ ადრე ანდერძშიც ჰქონდა აღნიშნული.

კატალოგის შედგენას ხელმძღვანელობდა ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგე ი. გრიშაშვილის დისწული ა. ციციშვილი.

სოლომონ ხუციშვილი

1970 წ. IX.

მხატვრული ლიტერატურა

ლიტერატურისმცოდნეობა. ფოლკლორი

1. ჰართული მხატვრული ლიტერატურა

1—2. აბაშელი ა. თხზულებათა კრებული ორ ტომად. თბ., 1958—1960.

ტ. 1. 1958.

ფორზაცხე: „ქარგი ლექსები 310, 311. სა-შა, შენი სადღეგრძელო იყოს! ჩემი უფროსი ძმა: ს. აბაშელი უმწიკვლო პიროვნება იყო. აბაშელისთანა პოეტი არც დაიბადება. იგი ჯერ კიდევ შეუფასებელია, როგორც პიროვნება — უმწიკვლო მოქალაქე. ვაი! რა ადრე წაივდა ჩვენგან. 1959. ახალი წელი“.

ტ. 2. 1960.

ფორზაცხე: „ი. გრ. 1960. 18/XI. მე — გვ. 93“.

3. აბაშელი ა. ერთტომეული. [თბ.], 1955.

ფორზაცხე: „1955 25/VI. ი. გრ. მე — 231“.

4—7. აბაშელი ხ. ანთებული ხეივანი. ლექსები (ლექსების მე-2 წიგნი). ტფ., 1923.

ფორზაცხე წარწერა: „ი. გრ. გრიშაშვილს — პოეტს და მეგობარს. ავტორი. 24 III — 23“.

8—11. აბაშელი ა. გაბზარული სარკე. ლექსები (მე-3 წიგნი). [თბ.], 1929.

სუბერზე: „III წიგნი“.

შმუტიტულზე: „ი. გრ. 1929—29 ოქტ.“.

გვ. გვ. 32—33. ლექსთან „არისის მზე“ მიწერილია: „მთელი ლექსი ეული და ება“.

გვ. 23. ლექსის „უნათესავო“ ბოლოს მიწერილია: „ილია“.

გვ. 40 ლექსის „მოქანცული თვალები“ ბოლოს სტროფთან მიწერილია: „აქ შპონი აკლია“.

გვ. 62. ლექსში „თეთრი კოშკი“ მოხაზულია პირველი სამი სტრიქონი. მიწერილია: „იხ. ამავე წიგნის გვ. 130“.

გვ. 64. უსათაურო ლექსში „მწიფე ყურძენში ქარვა ჩადგება...“ შემოხაზულია პირველი ოთხი სტრიქონის რითმები. მიწერილია: „არ ვარცა ყველა სტრიქონის ასე ვთავებ. მე ჩემს ყურს ვიკავ“.

გვ. 80. ლექსის „უცნაური ამბავი“ ბოლოს: „ქარლო კალაძის მიბაძევა (იხ. მისი პატარა წიგნი)“.

გვ. 81. ლექსთან „წერილი ნოე ჩხიკვაძეს“: „ქარგი ლექსის რამდენიმე ქარგი ადგილი. ი. გრ“.

გვ. 84. მოხაზულია ლექსის სათაური „ტფილისი“ და მიწერილი: „უნდა დაიყოს“.

გვ. 90. ლექსში „ღვინობისთვის“ ხაზგასმულია რითმები: „მინაში-წინაშე“. მიწერილია: „ჩემი“.

გვ. 131. ლექსის „ალ. აბაშელს“ მეორე სტროფში ხაზგასმულია: „პა, შენი წიგნი...“ მიწერილია: „ჩემი“.

12. აბაშელი ა. გვირული ღღეები. ლექსები. თბ., 1942.

ყდაზე: „ი. გრ. 1942. 10 VII“.

თავფურცელთან ბ. ქუცენტის რეცენზია, ამოკრილი გაზეთიდან მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1942 წ. № 38. 10 ოქტ.“.

13—15. აბაშელი ა. ლექსები. თბ., 1944.

16. აბაშელი ა. ლექსები. სრული კრებული. თბ., 1947.

ფორზაცხე: „ი. გრ. 1947. 20 ნოემბ. გრიშაშვილს — გვ. 372“.

ამონაკრები გაზეთებიდან: 1. ა. აბაშელის ლექსი „საბალწლო“, დაბეჭდილი გაზ. „ღვინის დროშაში“. არშიაზე მიწერილია: „1948. № 1“. 2. ა. აბაშელის ლექსი „ქართულ მეომარს“. არშიაზე: „სტალინის დროშა“, 1946, ნოემბ. 3. ა. აბაშელის წერილი „შემოქმედების ახალი წელი“ მინაწერით: „1948“. არ ჩანს რომელი გაზეთიდანაა ამოკრილი.

17. აბაშელი ა. მზე და სამშობლო [ლექსები]. თბ., 1939. (ლექსების მე-4 წიგნი).

ფორზაცხე: „ი. გრ. 1939. 17 XII. წიგნი IV“.

ბოლოში ფორზაცზე: „წავართვი მოსე თალაკაძეს. ი. გრ. 1939, 17/XII“. იქვე: „მართალია. მ. თალაკაძე. 17/XII“.

წიგნში ჩადებულია ან ჩაკრული ა. აბაშელის ლექსები, ამოკრილი ვაზეთებიდან: 1. „ახალი სოფლის ასული“, მინაწერით: „კომ“, 1940, № 110, 15 მისი“. 2. „ჩენი ვაზეთი“, მინაწერით: „კომ“. 1940 წ. № 126, 3 იენისი: (ორ ცალად). 3. „ახალ საქართველოს“, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1941. № 9, 25 თებ.“ 4. „პირველ მისის პირველ მომღერალს“ და „Первому певцу Первого мая.“ თარგმ. გ. კრეტანისა. მინაწერით: „3. В.“, 1941, № 94, 22 აპრ.“ 5. „სიმღერა“ და „ღრუბელს მიჰქონდა“, არზიაზე მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1941, № 16, 18 აპრ.“ 6. „საუბარი ადიდებულ მტკვართან“, მინაწერით: „მნათობი“ 1940, № 10“. 7. „ლაშქრული“, მინაწერით: „კომ“, 1938, 25 თებ.“ 8. „გერმანიაში“, მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1938, № 30, 10 დეკემბ.“

წიგნში დევს აგრეთვე შ. რადიანის წერილი „ალექსანდრე აბაშელი“ ამოკრილი ვაზეთებიდან, მინაწერით: „ლიტ. ვაზეთი“, 1941, № 11“ და ჩაკრულია ბოლოში უავტორო წერილი „პოეტის შემოქმედებითი გზა“ მინაწერით: „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1940, № 6, 8 იანვ.“

18—20 აბაშელი ს. შვის სიცილი. [ლექსები. ივ. გომართლის შესავ. წერილით: „შვის მგოსანი“]. თბ., 1913.

შუეტტიტულზე წარწერა: „20 იენისი 1913. ი. გრიშაშვილს, სიყვარულის მესაიდუმლეს. ატორისაგან“.

მეორე ცალის თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „ს. ქვარიათი“.

21 აბაშელი ა. ოქროს საფებურები. [ლექსები]. თბ., 1950.

ფორზაცზე წარწერა: „ჩემს საყვარელ პეტეს და მეგობარს სოსო გრიშაშვილს ალ. აბაშელი. 26. IX. 50“.

ამონაქრები ვაზეთებიდან: 1. ანონიმური რეცენზია, მინაწერით: „ახ. კომ.“, 1950, № 114“. 2. პ. ბანტურიძის რეცენზია „ახალი საფებურები“, მინაწერით: „კომუნისტი“, 1950 წ., № 294, 31 დეკემბ.“ 3. მ. ამლობელის რეცენზია, მინაწერით: „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1950 წ. № 194, 4 ოქტ.“.

22. აბაშელი ა. რჩეული ლექსები. თბ., 1942.

ფორზაცზე წარწერა: „ბრწყინვალე პოეტს, ძმას და მეგობარს, ი. გრიშაშვილს. ალ. აბაშელი. 18.IX.1949“.

კანზე: „VI. ი. გრ. 1942, 23 აგვისტოს გამოცემა“

სარჩევში ლექსს „საუბარი პიონერებთან“ მიწერილი აქვს: „ეს არ ყოფილა წიგნებში“.

გვ. XI. შესავალ წერილში სიტყვებს „აბაშელი შეყვარებულია“ შენიშვნის ჩამოტანის ნიშანი უზის და სქოლიოში მიწერილია: „მეგრამ გრიშაშვილით „ოქროს ფეხზე“ კი არ არის შეყვარებული — (ორიგინალში ასე ყოფილა და გამოუტოვებია კი აბაშელს)“.

გვ. 49. ლექსში „მზე“ მეხუთე სტრიქონში ხაზგასმულია სიტყვა: „წყლითა“. მიწერილია არმიაზე: „წყლითა“.

გვ. 74. ლექსს „გამოძახილი“ მიწერილი აქვს: „ბალმონტი“.

გვ. 78. ლექსს „სიმი“ ბოლოში მიწერილი აქვს: „[6. ჩხიკავის თარგმანი?]"

გვ. 81. ლექსში „სარკე“ მეორე სტროფში ხაზგასმულია რთობები: „გუბე — დეაგუბე“. არზიაზე მიწერილია: „? ჩემი“.

წიგნის ბოლოს, სუფთა გვერდზე ფანქრით: „ფასი 50 კ.“ იქვე ფორზაცზე: „თეატრი და ცხოვრება“. № 48, 1915 წ., „ცისფერი ყვავილები“.

წიგნში ჩადებულია: 1. ვაზეთ „თანამედროვე არზის“ 1916 წლის 7 იენისის № 125 მინაწერით: „1. აბაშელი. 2. „ალატი“. ვაზეთში აღნიშნულია ს. აბაშელის ლექსი „სისხლის ლაქა“ და ვინის წერილი: „ალატის გმირთა გასამართლება...“ 2. ეურნალ „ციხარტყელიდან“ ამოკრილი სარგანაქციო წერილი მინაწერით: „ს. აბაშელი. (ციხარტყელი“, 1919, № 1)“. 3. ეურნალ „ოქროს ვერძის“ № 1-დან ამოკრილი ს. აბაშელის ლექსი „ტბაზე“. 4. ს. აბაშელის ლექსის რუსული თარგმანი — „Смех моря“. ამოკრილი „Тифлисский журнал“-ის 1912წ. 10 იენისის №9-დან.

წიგნში ჩადებულია ან ყდაზე დაკრულია ა. აბაშელის ლექსები ამოკრილი ვაზეთებიდან. თითოეულ მათგანზე მიწერილია ვაზეთის დასახელება და თარიღი: 1. „მზე ბელადის მონუმენტთან“ და „ფორთოხლის ბაღში“. „კრებულში“ 20 წლის თავი“. 1941 წ. 25 თებ.“ 2. „სიმღერა სტალინგრადზე“. „ლიტ. საქართ.“, 1943. № 3, 30 იანვ.“ 3. „უქანასენელ საათს“. „კომ“, 1943, № 35, 12 თებერგ.“ 4. „გამარჯვების წელი“. „ლიტ. საქართველო“, 1943 წ №1“. 5. „Сталинские Соколы“. „Заря Востока“, 1943г №172“. 6. „ქართველი მეომრის წერილი უკრაინელი ჯარისკაცისადმი“. „კომუნისტი“, 1943, № 300, 31 დეკ.“ 7. „სამშობლოს ვარსკვლავი“. „ლიტ. საქ.“, 1943, №10, აპრილი“. 8. „В последний час“. „Заря“, 1943. №8, 10 იანვ.“ 9. „ზაფხულშიც, როგორც ზამთარში“. „ლიტ. საქართ.“, 1943 წ. № 19, 10 აგვისტო“. 10. „სტალი-

ნური შევარდნები“. „კომ.“, 1943, № 172, 15 აგვ.“ 11. „გაზეთი ძეღმიწურში“. „ლიტ. საქართ.“ 4 მაისი, 1943 წ. № 11“. 12. „მთები დალიტანისა“. „ლიტ. საქართ.“, 1942, № 44, 15 დეკემბ.“ 13. „კავკასიონის მწვერვალებიდან“. „ლიტ. საქართველო“, 1942 წ. № 36, 20 სექტ.“ 14. „ოქტომბრის ვარსკვლავი“. „ლიტ. საქ.“, 1942, № 40, 3 ნოემბ.“ 15. „არ მოუშვა, დაჰკარა“. „ლიტ. საქართ.“, 1942, № 35, 12 სექტ.“

წიგნში ღვეს კიდევ რამდენიმე ამონაჭერი გაზეთებიდან: 1. კ. გამსახურდიას წერილი „ალექსანდრე აბაშელი. ესეიზური პორტრეტი-მინაწერი:“ „ლიტ. საქართველო“, 1942, № 15.“ 2. ანონიმური რეცენზია წინამდებარე წიგნზე მინაწერით: „ლიტ. საქ.“, № 35, 1942 წ., 12 სექტ.“ 3. ბ. უღენტის რეცენზია „ალექსანდრე აბაშელის „რჩეული ლექსები“ მინაწერით:“ „კომ.“, 1942 წ., № 299. 19 დეკემბ.“

23—24. აბაშელი ა. სამოცი წელი. ლექსები. თბ., 1944.

25. აბაშელი ა. სამშობლოსადმი. ლექსები. თბ., 1943.

26—29. აბაშიძე გრ. თხზულებანი. ნაწ. 1. ქუთაისი, 1901.

ჩასმულია საგანგებო ყდაში. ყუაზე ოქროს ასლებით: „ლექსები გრ. აბაშიძისა. 1. გრიშაშვილი“.

ყდის მე-2 გვერდზე მინაწერები: „1. „გუშინ გაველეთ ვალიის კარი“, 59. (თარგმანი), ტუმანსკის ლექსია (დაისტ.). 2. ნადირობა, გვ. 241. ვიდმოკეთებულა A. Ф. Федотов-ის ლექსიდან (იხ. არტისტა კრებული „Живая струя“ გვ. 86. მე მაქვს). 3. ლერმონტოვიდან, გვ. 20, 33 (არ ეწერა ლერმონტო). 4. ანროლდის „მნათობი აზიისა“, 129 და 291. 5. პუშკინის „ანგელოსი“, გვ. 174. 6. ჩემთვის ერთია, ჩემთვის ერთია—218. (ამ ლექსის დედანი მაქვს.) 7. შეეცდომა გვ. 62“.

ფორზაცზე: „ეს წიგნი გეარჩია ზანგმა (გრ. რცხილაძემ) (იხ. „ცნ. ფურცელი“, 1901 წ., № 1670). ი. გრ.— ზანგის ფსევდონიმით რცხილაძეზე აღრე სწერდა გოლა ჩიტაქ (იხ. მის მიერ ნათარგმნი პიუგოს „კლოდ-გე“) — მწერტი, 300.— [გრ. აბაშიძე] დაიბადა 1866. გარდაიცვალა 1903 წ. მარტში.— გრ. აბაშიძის ფსევდონიმები: 1. გ. თირელი. 2. მენავე [ნავი]? (იხ. „ივ.“. 1896 წ., № 66). 3. შრონაზა (იხ. ლასხიშვი. მოგონება, 89). 4. ვინმე (იხ. „ივერია“, 1903, № 65. დ. მეგრ.) 5. ჯრა. 1896 „ივ.“, 6. ი. გრ.“

თაფურცელზე ავტორის გვარის ქვეშ: „(1866—1903)“. საგამომცემლო მონაცემების გასწვრივ: „პართულად არ შეიძლება“.

გვ. 3. ავტორის წინასიტყვაობაში წინადადებას: „თხზულების მეორე ნაწილში მოთავსებული იქნება უმთავრესად თარგმანები“ მიწერილი აქვს: „თარგმანები აქაც ბევრია“.

გვ. 11. ლექსთან „იხ. მარგალიტაქ! (ფრანგულად)“ მიწერილია: „ეს ლექსი ეკუთვნის პროვანსულ სახალხო პოეტს ფრედერიკ მისტრალს. ლექსის სათაურია: მაგალი (!) იხ. «B. ин. лит.»

გვ. 20. ლექსთან „თერგის ძღვენი (ლერმონტოვიდან)“: „ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“ 1893 წ., № 269. ზედ არ ეწერა, რომ ლერმონტოვიდან იყო თარგმნილი“, შეიძლება კორექტორის დოღეც გამო. ი. გრ.“

გვ. 33. ლექსთან „წყნარი ღამეა. (ლერმონტოვიდან)“: „გვ. 118, რუსული“. მეორე სტრიქონში მოხაზულია: „გზა ქვა-ფენილი“. არსიანზე: „კაჟის შარა“. (ასეა დაბეჭდილი ივერიაში 1893, № 255 „Сквозь туман кремнистый“). ლექსის ბოლოს: „ივერია“, 1893, № 255“.

გვ. 47. ლექსს „ერთ ქალს. (ვ. პიუგოვად)“ აქვს მინაწერი: „ეს ლექსი სთარგმნა კიდევ: 1. ალ. ჭიქე. 2. ს. ქვარიაშვილი. 3. გ. შარვაშიძემ. 4. გ. ერისთავმა“.

გვ. 59. ლექსის „გუშინ გაველეთ ვალიის კარი“ ბოლოს მიწერილია: „რუსი პოეტის ტუმანსკის ლექსი. იხ. ერთი ძველი ორი სახელმძღვანელო. (მე მაქვს). I. გვ. 14. II. გვ. 4.“ არსებზე: „ეს ლექსი სთარგმნა მის. ფაველენოვამ (იხ. „იცისკარი“, 1865 წ., ავგისტო, გვ. 68). სთარგმნა: გრ. აბაშიძემ, მის. ფაველენოვამ, შ. მღვიმელმა, რ. ერისთავმა (?)“.

გვ. 73. ლექსის „სიმღერა“ ბოლო სტროფში ხაზგასმულია: „და დამაფარონ მიწის პირი მე“. მიწერილია: „ჩემი რედაქციამ. მე ასე დაეწერა — და ამომეგოსს მიწით პირი მე, ერთი მიტირე შენი ჭირიმე“.

გვ. 102. ლექსთან „თეთრი ჩადრი“: „პარტმანისა. 1. ეს სთარგმნა შემოკლებით კირილი ლორთქი. იხ. მისი „სანთური“ გვ. 10. 2. მგონი კიდევ სთარგმნა ა. შანშიაშვილმა“.

გვ. 115. ლექსთან „ბუღდის მერცხალი“: „ბეგლარასაც აქვს თარგმანი“.

გვ. 129. პოემას „მნათობი აზიისა“ ეხება მინაწერი: „პირველად დაიბეჭდა — იხ. „ივერია“, 1893 წ., № 258. გრ. აბაშიძემ ეს პოემა გალექსა პროზად ვადაკეთებულისგან, რომელიც იმავე ივერიაში დაიბეჭდა ექვსი დღით ადრე. (იხ. „ივ.“, 1893, № 252). ეტყობა მოეწონა მთარგმნელი. აქ მხოლოდ ერთი თავია თარგმნილი ამ პოემიდან. ი. გრ. თავი მეორე აქვია. იხ. გვ. 291“.

გვ. 144. ლექსის „ამაო მსხვერპლი“ ბოლოს: „ივერია“, 1893. № 281“.

გვ. 174. ლექსთან „სამოთხის კართან თავ ჩაივდელი“ მიწერილია: „ანგელოსი (პუშკინო)“.

გვ. 176. უსათაურო ლექსის „გახსოვს, მაცდურო...“ ბოლოს: „1908 წ. 16 ნოემბერს. ი. გრიშაშვილი. ოლოლ“.

გვ. 218 ლექსთან „ჩემთვის ერთია ტანჯვა და ლენა“ არსებებზე: „სპ. ქელიძის „ჩანგურში“ აწერია („რუსულიდან“ და მართლაც ამ ლექსის დედანი არსებობს — ძველი რუსული როპანსი (იხ. დ. ერისთ. ნაქონი რვეული. გვ. 99/26. მე მაქვს შ. კაშმაძე წერს, რომ თითქოს ეს ლექსი აკაის კალამს ეკუთვნოდეს. რაც „იმღერება“ განა ყველა აკაისია? (იხ. „რატი და ხელ.“ 1945 წ., № 5, გვ. 3). ი. გრ.“

გვ. 219. არშიაზე: „ქართული თარგმანები უფრო უკეთესი გამოდიოდა“.

გვ. 241. ლექსთან „ნადირობა (სასცენო მონოლოგი. გადმოღებულია)“ მიწერილია „საიღანე? ამ ლექსის ავტორი А. Ф. Федотов (იხ. „Живая струя“, გვ. 86) ეს ლექსი დაიბეჭდა „ივერიაში“ 1896 წ., № 41“.

გვ. 300. ლერმონტოვის „მწირის“ მე-2 თავთან არშიაზე: „გამოტოვებულია ერთი ხანა, სადაც რუსების მფარველობაზეა ლაპარაკი. ი. გრ.“

სარჩევში, გვ. გვ. I—VII მრავალი შენიშვნაა. დაზუსტებულია თარგმნილი ლექსების ავტორები, მითითებულია ამა თუ იმ ლექსის პირველი პუბლიკაცია, დაზუსტებულია დაწერის თარიღები: გვ. II. არსებებზე: „ამ წლის „ივერიაში“ (1896) ბეჭეტი ლექსია, რომელიც შეიძლება აქ არ იყოს შემოტანილი. ი. გრ.“ „ეს ლექსი („საახალწლო ექსპრომტი“) დაბეჭდილია 1896 წელში გამოცემულ წიგნში: „პატარა კრებული საუკეთესო ლექსებისა“ 1896 წ., ქუთ... მ. ლალიძის გამოცემა, გვ. 19“.

გვ. VII. მინაწერი სარჩევზე: „აკლია (?). 1. „დავსლიე გული“ (დიდი ლექსია). დაიბეჭდა „ივერიაში“, 1893 წ., № 280. 2. ექსპრომტი („აწმყოს ძალღონე, ნუგეში“). („ივერია“, 1893, № 279)“.

წიგნში ჩადებულ კონვერტში თავმოყრილია ი. გრ. ჩანაწერები: „1. „მთავარ ქათამიებს“, გ. თირელისა. (იხ. თ. შავერაიანის ხელნაწერი). 2. ექიმი ჰლოდოვილი. შეცდომა გრ. აბაშიძეზე. (იხ. უნივერსიტეტის გამოცემა „აკაის კრებული“). 3. გრ. აბაშიძის უცნობი ლექსი — პოემა „არაკი“ (აკაისადმი). („თემი“, 1911. № 16). 4. „საკვირველია გრ. აბაშიძის ბედი, მშვენიერ ლექსებს და ეტიუდებს აწერდა გრ-ა და სათავ. აზნაურო ბანკის ანჯარიშებს, რომელსაც ყველა ხრონიციორი

დაწერდა. ქვეშ მოწერილი აქვს გრ. აბაშიძე, იხ. „ივერია“, 1896. № 89 და სხვ. 5. გრ. აბაშიძის მიერ თარგმნილი ველოჩკოს ლექსი „იმერეთში“ (იხ. „მოამბე“, 1896, № VII). 6. გრ. აბაშიძის ფსევდ. შრომანა იხ. ლასხიძე. მემუარები გვ. 89. ნაგი შისი ფსევდონიმა „ივერიაში“, სწერს დ. მეგრელი გრ. აბაშიძეზე. (იხ. „ივერია“, 1903, № 65). 8. გრ. აბაშიძე სკენაზდაც გამოდიოდა. 1900 წელს ითამაშა მესტიერის როლი „სამზადისში“, იხ. წიგნაკი „ქუთაისის თეატრის 50 წელი“ გვ. 88. პროგრამაში. ძველი გამოცემა. 9. გრ. აბაშიძემ რომ სთარგმნა „ნადირობა“, ეკუთვნის გრენე-ლანკურას კალამს. აქედან რუსულად სთარგმნა ა. ნ. პლუშჩევმა და ფედოტოვმა“.

კონვერტში დევს აგრეთვე რომელიღაც რუსული ეურნალიდან ამოტყრილი ცნობა ელვინ არნოლდის პოემის «Свет Азии» გამოცემის შესახებ. არშიაზე მინაწერი: „გრ. აბაშიძე, გვ. 291“.

აქვე დევს მანქანაზე გადმობეჭდილი რუსული ტექსტი პოეტ მისტრალის სიმღერის — „მაჯალის“ შესახებ მინაწერით: „ოპ, მარგარიტა!“ ეკუთვნის პროვანსელ პოეტს მისტრალს“.

გვ. 241. ლექსთან „ნადირობა“ მიწერილია: ფედოტოვისა. ი. გრ.“

შესამე ცალის თავფურცელზე აღრინდელი მფლობელის ბეჭედი: „Иван Тимофеевич Полумордвинов“.

30-32. აბაშიძე გრ. [ლექსები. გ. აბაშიძის შესავ. წერილით. თბ.], 1936.

თავფურცელზე ავტორის გვარის ქვეშ: („დაბ. 1866 წ.“, გარდაც. 1903 წ.) გარდაც. 37 წლისა“.

შემუცტიტულზე: „გრ. აბაშიძის ფსევდონიმები: გრ. თირელი. 2. მენავე. 3. შრომანა. (იხ. ლასხიძე. მემუარები, გვ. 89). ი. გრ.“ იქვე: „იხ. იხ. ვართავაის წერილი გ. აბაშიძეზე. „გრდემლი“. 1912, ტ. 1, გვ. 61 (II). ი. გრ.“

წიგნში ჩადებულია ქალაღები მინაწერებით: 1. გრ. აბაშიძის ლექსები. [ხელწერა: გრ.]. „საახალწლო“. [გამოცანებივთ?] 1. „მარაქალა თქვენსა შრომას“, აკაის. 2. „შენმა მხვედრმა აღგამალა“. გრ. წერეთ. 3. „ახალ-ახალ დასთა გროვამ“. ან კვებულია ან ილია ხონელი. 4. „ფინჩა-ფუნჩის გულიათვის“. 5. „აკაისი. ტყავში გახვეულხარ“. („ივერია“, 1896 წ., № 1). 2. გრ. აბაშიძის საფლავი ლენინგრად. („სახალხო გაზეთი“, 1910, წ., № 157). 3. გრ. აბაშიძე (შრომანი) „იე“. 1895, № 161. 4. იმელი [ქართ. დედა...]. (გრ. თირელისა) „ივერია“, 1895, № 216,

„ოპტიმისტის სიმღ.“ № 214, № 211. 5. გრ. აბაშიძე. „ნადღური“. „ივ.“, 1895, № 139. 6. გრ. აბაშიძის დიდი ლექსი-არაკი („პასუხი აკისი“). „თემი“, 1911 წ., № 16. 7. გრ. აბაშიძე და ცენზურა იხ. „თეატრი“, 1886 წ., 1-ე 32, გვ. 374. 8. 1886 წ. „თეატრში“ გ. თორელის ბევრი ლექსი. 9. „ნადირობა“. გრ. აბაშიძის მიერ გადმოღებული ლექსი პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“, 1896, № 41. 10. გრ. აბაშიძე. „გამოცანა“ (შილერისა). თარგ. გრ. აბაშიძე. იხ. „ჩეჩილი“, 1896, № IV. 11. გრ. აბაშიძის პროზა ეტიუდი „სამი ცრემლი“ ანუ „ფედის ანდერძი“ („ივ.“, 1896 წ., № 79, 80). ამ პროზაში ლექსია ჩართული „მე მინახავს მისის მიე“. 12. გრ. აბაშიძის ეტიუდი „იაკობის მტრები“ (იხ. „ივერია“, 1896 წ., № 5). 13. გრ. აბაშიძის ფევედ. გრ. ვრა-ა („ივერია“, 1896 წ.) „ანდერძი განმანათლებლის“ (ვეძღ-ღენი კნ. ნ. ჩ...[?]) „ივ.“, 1866. № 10. 14. გრ. აბაშიძის ფევედ. მენავე (იხ. „ივ.“, 1896, № 66)

წიგნში ჩადებულია ა. დგვეფაძის წერილი „გრიგოლ აბაშიძე (გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების გამო)“, ამოჭრილი ვაზეთიდან „მინაწერი“, „საბჭოთა აფხაზეთი“, 1938, № 183, 11 აგვისტო. იქვე ვაზეთის ამონაჭრები: 1. ქ. რ.-ს რეცენზია წინამდებარე წიგნზე მინაწერით: „კომუნისტი“, 1936, № 217, 18 სექტ. 2. ი-ს რეცენზია მინაწერით: „კომუნისტი. განათლება“, 1936 წ. № 40“. 3. გ. ნ-ძის რეცენზია მინაწერით: „ლიტ. საქართველო“, 1935 წ., № 12“.

33. აბაშიძე გრ. ასფურცელა. [ლექსები]. 1934—1940. თბ., 1940.

ფორზაცზე წარწერა: „პატივისცემით და უკეთესის მიძღვნის სურვილით ჩვენი დროის შესანიშნავ პოეტს ი. გრიშაშვილს გრ. აბაშიძე. 5.12.42“.

წიგნში ჩადებულია ვაზეთიდან ამოჭრილი გ. კაჭხიძის რეცენზია: „გრიგოლ აბაშიძის შემოქმედება (მისი ლექსების კრებულის გამო)“ მინაწერით: „ახალგ. კომუნისტი“, 1941 წ., № 126, 31/IV“.

34. აბაშიძე გრ. ვაზაფხული სტალინის სა-ნაპიროზე. თბ., 1955.

35. აბაშიძე გრ. გიორგი მეექვსე. პოემა. თბ., 1942.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელს და სახ-სოვარს, მარად პატივსაცემს და უმცროსებისათვისაც ახლობელს იოსებ გრიშაშვილს, რომელმაც თავისი წიგნებით კიდევ უფრო შემაყვარა ჩვენი თბილისის და საერთოდ ჩვენი გვეყენის წარსული; გრ. აბაშიძისაგან 5.12.42. დედაქალაქი“.

ამონაჭრები ვაზეთებიდან: 1. გ. ნ.-ს რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერით: „კომ.“, 1942, № 282, 28 ნოემბ. 2. შ. რადიანის წერილი „პოემა ქართველი ხალხის გმირულ წარსულზე“, მინაწერით: „ლიტ. საქართვე.“, 1942, № 35“. 3. ვ. ქიქინაძის წერილი „ლიტატები“, მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნება“, 1944, № 1, იანვარი“.

36. აბაშიძე გრ. დროშები. [ლექსები]. თბ., 1945.

იკვლურტელზე წარწერა: „საყვარელ პოეტს. მარად სახსოვარ სოსო გრიშაშვილს მისი ერთგული და პატივისცემელი გრ. აბაშიძე. 28.3.45“.

წიგნში დეეს გრ. აბაშიძის ლექსები, ამოჭრილი ვაზეთებიდან: 1. „სტალინის დროშა“, ამოჭრილი „კომუნისტიდან“ მინაწერით: „1945, 23 თებ.“ 2. „ძღვეამოსილი“ მინაწერით: „კომ.“, 1945 წ., № 128. 3. „მისი და გამარჯვება“ მინაწერით: „კომ.“, 1945, 1 მაისი.

აქვე დეეს ინფორმაცია ვაზეთიდან: „გრ. აბაშიძის შემოქმედების საღამო“ მინაწერით: „გ. ნატროშ. 1945“.

37—38. აბაშიძე გრ. ლაშარეა. მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკა. თბ., 1957.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტს — ი. გრიშაშვილს მისი პატივისცემელი უმცროსი მეგობრისაგან. გრ. აბაშიძე“.

იქვე მინაწერი: „[1958 წ. 7 იანვ.] ი. გრ.“ მეორე ცალის ფორზაცზე: „ავტორის ნამდევნი წიგნი ცალკე მაქვს. ი. გრ.“

გვ. 46. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „გუნდის სიმღერაში“. არშიაზე მიწერილია: „მომღერალთა გალობა“.

33. 47. მე-9 აბზაცის გასწვრივ: „თითონ?“ გვ. 52. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია: „კოზიმიტი“. არშიაზე: „სალაფარა“.

გვ. 59. 1-ლ სტრიქონში ხაზგასმულია: „ალზეების“. არშიაზე: „ბევრჯელა ნახმარი“.

გვ. 71. ხაზგასმულია: „ძუა კოჭებამდის სცემდა“. მიწერილია: „კეციკი“? ხაზგასმულია: „შუბი მოიპარჯვა“. არშიაზე: „ბიჭი და შუზი“?

გვ. 73. ხაზგასმულია: „ქურანი“. არშიაზე: „ხან კეცია, ხან ქურანი, ხან რაში“.

გვ. 75. მე-7 აბზაცის გასწვრივ: „ალექსი თავის ისტორიას და ქვან თითონ ამბობს“.

გვ. 78. ბოლოდან მე-3—4 აბზაცების გასწვრივ: „ბარნოვის სტილი“.

გვ. 79. ხაზგასმულია: „ჩამოდიოდა“ [კრემლი]. არშიაზე: „ჩამოდიოდა მთიდან“.

გვ. 83. მე-6 აბზაცის გასწვრივ: „ჩივი და ქარავანი“.

გვ. 93. ხაზგასმულია: „მიკიტანი“. არშიაზე: „მეიხანე“.

გვ. 98. ხაზგასმულია: „საწერ-კალამს“. მიწერილია: „ბატის ფრთა“. იქვე ლექსის გასწვრივ: „რუბაია. ლექსის ავტორი?“.

გვ. 99. ხაზგასმულია: „უგუნებოდ“. არშიაზე: „ორსულ ქალზე იტყვიან“.

გვ. 125. ხაზგასმულია: „თურმან“. არშიაზე: „თურმანიშვილები. თორიდან“.

გვ. 133. მოხაზულია მე-5—7 აბზაცები. არშიაზე: „ბარნოვი“.

გვ. 138. ლექსის გასწვრივ: „ავტორი?“.

გვ. 142. 1-ლი აბზაცის გასწვრივ: „ახანაზარიოვი“.

გვ. 144. ბოლო აბზაცების გასწვრივ: „ეს არ არის იმდროინდელი სტილის. — ზმნა?“

გვ. 146. მე-4 აბზაცთან: „დ. კლდ. გამოთქმა“.

გვ. 147. მე-8 აბზაცში ხაზგასმულია: „გონების გარეშე“. არშიაზე: „რუსული თქმა“.

გვ. 162. ხაზგასმულია: „სალ-სალამათად“. არშიაზე: „უცხო სიტყვა“.

გვ. 168. ხაზგასმულია: „ზედ აკოცა“ [სასმისს]. არშიაზე: „ახალი ჩვევა“.

გვ. 180. ხაზგასმულია: „ნეტარებას“, მიწერილია: „ბევრჯელ აქვს“.

გვ. 205. მე-3 აბზაცში ხაზგასმულია: „მეკობრეების“. არშიაზე: „მეკობარი ზღვის ავაზაკია“.

გვ. 216. ხაზგასმულია მე-5 აბზაცში: „თათქო საქვეცნოდ გაეხადოს“. არშიაზე: „იმეორაჲს. იხ. ზევით“.

გვ. 232. ხაზგასმულია: „პაუკებიანი“. არშიაზე: „პაუკი — ხან ხმარობს პაუკი“.

გვ. 274. ბოლო აბზაცში ხაზგასმულია: „კუნძამ“. არშიაზე: „მე-13 საუკუნეში?“

გვ. 277. არშიაზე მინაწერები: „საფლავიდან მართო როგორ გამოუშვეს?“ „შუილი თუ ... გვ. 279“.

გვ. 300. ხაზგასმულია: „ნუკერისაგან“. არშიაზე: „ოსმალურად: ჯარისკაცი“.

გვ. 322. ხაზგასმულია: „მეკობრეებმა გამოქვეყნდა“. არშიაზე: „მართო მეკობრეებმა ეხლა გაიგეს? თვითონაც ბრძოლაში არ იყენენ?“

გვ. 324. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია: „მიმღერე“. არშიაზე: „რა დროს შეე“

გვ. 328. არშიაზე ქვემოთ: „ეაშა! 1958 წ. 20/VII. ბორჯომი. ი. გრ.“

ყდის მესამე გვერდზე: „კამბეჩოვანს, გვ. 104“.

ქვეა გაზეთიდან ამოჭრილი ინფორმაცია „შეხვედრა „ლაშარელას“ ავტორთან“ მინაწერთი: „სტალინელი (გორი)“ და ი. სიხარულიძის წერილი „ზოგიერთი შენიშვნა გრიგოლ

აბაშიძის „ლაშარელას“ გამო“ ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერთი: „საბჭოთა აპარა“, 1958 წ. № 109“.

29. აბაშიძე გრ. ლეგენდა პირველ თბილისელებზე. (დედა). დრამატ. პოემა 4 მოქმ. და 9 სურ. — ამონაჭერი: ეურნ. „ცისკარი“, 1958, № 12.

აკინძულია ი. გრ. მიერ. ხელნაკეთ ქაღალდის კანზე წერია: „გრიგოლ აბაშიძე. დედა. ლეგენდა პირველ თბილისელებზე. „ცისკარი“, 1958 წ., № 12. ი. გრ.“

გვ. 71. მე-12 სტრიქონში ხაზგასმულია მოქმედი პირის სახელი „გელა“ მიწერილია: „პატარა კახი“.

გვ. 76. ხაზგასმულია ბოლო სტრიქონი. მიწერილია: „პატარა კახი“.

გვ. 97. ხაზგასმულია სახელები: „გოლა, გელა“. არშიაზე: „სხვა სახელი სჯობს“.

გვ. 100. მოხაზულია რამდენიმე სტრიქონი. მიწერილია: „ს. აბაშელი“.

40. აბაშიძე გრ. ლეგენდა პირველ თბილისელებზე. (დედა). [პიესა]. თბ., 1959.

41. აბაშიძე გრ. ლექსები. ტფ., 1937.

42. აბაშიძე გრ. ლექსები. პოემები. თბ., 1950.

შუეტტიტულზე წარწერა: „ჩვენი პოეზიის საამაყეს, ჩემს საყვარელ პოეტს — იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით გრიგოლ აბაშიძე. 9 I 51“.

გვ. 129. ლექსის პირველ სტროფში ხაზგასმულია: „გოგონების თმებში განახე“. მიწერილია: „ჩემი“. ბოლო სტროფის გასწვრივ: „აკაცი“.

გაზეთის ამონაჭრები: 1. ი. გრიშაშვილის წერილი გრ. აბაშიძის პოეზიის შესახებ: „Песня о мире и счастье“, მინაწერთი: „Правда“, 1951, 11 февр., № 42, 2, ჯ. ფირცხალავას წერილი „შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე“ [გრ. აბაშიძის შესახებ], მინაწერთი: „კომუნისტი“, 1951, 22 მარტი, № 68“. 3. თ. კოლატიძის წერილი გრ. აბაშიძეზე „Пoesия жизненной правды“, მინაწერთი: „Мол. сталинец“, 1951, 26 მაისი, № 62“.

4. გრ. აბაშიძის ლექსი „Rot front“, მინაწერთი: „სიტყვა და საქმე“, 1934, № 4“. 5. გრ. აბაშიძის ლექსი „სტალინი, შენ იცავ ხალხთა მშვილობას“, მინაწერთი: „ავანგარდი“, 1951, 1 მაისი, № 52“.

43. აბაშიძე გრ. ლექსები, პოემები. თბ., 1953.

44. აბაშიძე გრ. სამი პოემა. თბ., 1946. ყდის მე-2 გვერდზე: „გვ. 40, 58 ან ერთი, ან მეორე“.

ღორხატთან ა. კაცაძის რეცენზია „გრიგოლ აბაშიძის „სამი პოემა“, მინაწერთი: „ახალ. კომ.“, 1947, № 55, 8 მაისი“.

45. აბაშიძე გრ. სამხრეთ საზღვარზე. ლექსები; თბ., 1949.

წიგნში დევს ა. ნემსაძის რეცენზია წინამდებარე წიგნზე ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერით: „Заря В;“ 1950, №141.

46. აბაშიძე გრ. შავი ქალაქის გაზაფხული. ტფ., 1938.

ფორზაცზე წიგნის ბოლოს: „ი. გრ. 1943. 2/XII“

47. აბაშიძე გრ. ძღვეის ქელი. პოემა. თბ., 1944.

გაზეთის ამონაჭრები: 1. ევგ. ლუნდბერგის რეცენზია „Победоносный Кавказ. Новая поэма Гр. Абашидзе“, მინაწერით: „Заря Востока“, 1944, №82“ 2. გ. გაჩეჩილაძის „ლიტერატურული შენიშვნები“ ძღვეის ქელის შესახებ მინაწერით: „ლიტ. და ხელოვნ.“ 1944, №13“.

48-49. აბაშიძე გრ. ჭაჭკვაუხდელი. ლექსები. ზარზმის ზმანება. [პოემა]. თბ., 1948.

აბაშიძე ვ. „ებლანდელი სიყვარული“. კომედია 4 მოქმ. ვადმოკეთ. ვ. აბაშიძისაგან. ფოთი, 1893.

უკანოა. თავფურცელსა და 1-ლ გვერდზე ეჭვი „Суфлиор Иосиф Г. Мамулов“.

იქვე: „ამ პიესის ავტორია ა. ნ. დიჩინკო; დაუწერია 1865 წელს — ი. გრ.“

51-52. აბაშიძე ვ. ტასიკო. დრამატული ეტიუდი. 1 მოქმ. ფოთი, 1893.

თავფურცელზე ბეჭედი: „Библиотека Тифлисского Собрания“.

53. აბაშიძე ვ. „ცოლი თუ გინდათ, ეს არი“. ვოდვეილი 1 მოქმ. ქუთაისი, 1877.

54—55. აბაშიძე ვ. ცოლი თუ გინდათ ეს არი!!! ვოდვეილი ერთ- მოქმ. ტფ., 1879.

თავფურცელზე, ფორზაცზე და 32-ე გვერდზე ბეჭედი: „ქართული დრამატული საზოგადოება“.

ფორზაცზე: „ესაომ მომცა. ი. გრ.“

56. აბაშიძე ი. ერთტომეული. [ლექსები, პოემა. თარგმანები. თბ., 1859].

57. აბაშიძე ი. რჩეული. [ლექსები]. თბ., 1951.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 10/XII“.

გაზეთიდან ამონაჭრები: 1. შ. ამისულაშვილის რეცენზია „ი. აბაშიძის რჩეული ლექსები“, მინაწერით: „ახალგაზრდა კომ.“, 1952, № 32, 13 მარტი“. 2. ლ. კალანდაძის წერილი „ირაკლი აბაშიძის პოეზია“, მინაწერით: „კომუნისტი“, 1952, № 22, 25 ივნისი“.

58. აბაშიძე ი. რჩეული. თბ., 1954.

59. აბაშიძე ი. ერთი სიმღერა [ლექსები]. თბ., 1951.

გაზეთიდან ამონაჭრები: 1. გ. ფირცხალავას წერილი „სტალინური ეპოქის სადილბლად“, მინაწერით: „კომუნისტი“, 1951 წ.,

№ 177, 29 იელისი“. 2. ცნობა ამ წიგნის გამოსვლის შესახებ, მინაწერით: „სახალხო განათლება“, 1951 წ., № 43, 24 ოქტ.“ 3. პ. კობრიძის რეცენზია „სოციალისტური სინამდვილის შთაგონებით“, მინაწერით: „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 138, 15 ნოემბ.“ 4. ს. წვერავას წერილი „სიმღერა აყვავებულ გურიასზე“, მინაწერით: „საბჭოთა აფხაზეთი, 1951, № 105. 30 მაისი“. 5. ს. მდლაკელიძის წერილი „დიდების, ძლიერებისა და სილამაზის საგალობელი“, მინაწერით: „ინდუსტრიული ქუთაისი“.

60. აბაშიძე ი. ლექსები. ტფ., 1937.
გაზეთიდან ამოჭრილი დ. გამეზარდაშვილის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „კომუნ.“.

61-62. აბაშიძე ი. ლექსები. თბ., 1941.
ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას სოსოს სეკურულით, პატივისცემით ვუძღვნა ამ პატარა წიგნს. ირაკლი აბაშიძე, 1941 წ., 1 მაისი, ტფილისი“.

63-64. აბაშიძე ი. ლექსები. თბ., 1945.
კანზე: „ი. გრ. კაკავი (?). 34“.
მეორე ცალში დევს გაზეთიდან ამოჭრილი გ. ნატროშვილის წერილი „ლექსები სამამული ომზე“, მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1945 წ., № 37, 6 ნოემბ.“

65. აბაშიძე ი. ლექსები. თბ., 1956.

66. აბაშიძე ი. ლირია. თბ., 1963.

67. აბაშიძე ი. რამდენიმე ლექსი. ტფ., 1931.

69—70. აბაშიძე ი. რამდენიმე ლექსი. ტფ., 1932.

71. აბაშიძე ი. რუსთაველის ნაკვალევზე. თბ., 1959.

72. აბაშიძე ი. რუსთაველის ნაკვალევზე. თბ., 1965.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილის წიგნების საგანძურს მეგობრული სიყვარულით. გრ. ლალიაშვილისაგან. პირველი 23 IV. 65“.

73. აბაშიძე ნ. მოთხრობები, თბ., 1953.

74. აბესაძე ი. ლექსი ქიათურისა და ზღვდლებისა. ყვირილა, 1912.

კანზე: „არ არის აწერილი ქართულ წიგნში. ი. გრ.“

75. აბესაძე მ. ქალ-ვაჟიდან მიწერ-მოწერა. მკითხაობა მარცვლითა ანუ ზელთა და ქალ-ვაჟის საუბარი ლექსად გამოთქმული. ტფ., 1896.

თავფურცელზე და კანზე ბეჭედი: „Тифлиской публичной библиотеки“.

76. აბესაძე მ. ცხოვრება და ხასიათი ძუნწი მღიღერებისა, სკაპეებისა და ურიებისა. ქუთაისი, 1880.

77-78. აბზიანიძე ა. სიმართლე. ლექსები. ტფ., 1906.

79. აბრამია პ. დენილები. [მოთხრობა]. ტფ., 1925.

კანზე: „ი. გრ. 1926, 16 VI“.

80. აბულაშვილი ა., ალაფიძე ბ., ირემაშვილი ლ. და მებურთაშვილი ტ. [ლექსები]. თბ., 1922.

81. აბულაძე მირ. აპრილის ხმები. ლექსები. თბ., 1959.

82. აბულაძე მიხ. სამშობლო ანუ ლექსთა კრება. თბ., 1881.

კანზე ავტორის გვარის შემდეგ: „(მ. გორაძე)“.

გვ. 26. „გლახურ ლექსს“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი მოთავსებულია მიხ. გორაძის ლექსებში. ვინ ვისგან აიღო? ი. გრ.“. იქვე: „აბულაძე იყო მიხ. გორაძე“.

83-84. აბულაძე ს. კოლექტივი. ლექსები. ზესტაურონი. 1930.

85-86. აბულაძე ს. მზიანი ჩრდილები. [ლექსები]. ჭიათურა, 1924.

თავფურცელზე წარწერა: „პოეტს იოსებ გრიშაშვილს პატივისცემით — ავტორი. 1924 წ., მაისი“.

კანზე: „ი. გრ. 1924 წ., 30 V“.

წიგნში დევს ოთხგვერდიანი წიგნაკი „სოსია გლეხი. დამფუძნებელი კრების ლექსი. 1918 წარწერით: „(მგონი სავლენ აბულაძე-სია)“. იქვე მიწერილია ს. აბულაძის ხელით: „ნამდვილად ჩემია! ს. აბულაძე. 15/XI—1936 წ.“

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა „კომუნისტის“ რედაქციას პატივისცემით ავტორი. აპრ. 27, 1924 წ.“.

87-88 აბშილავა ა. სიმღერა მშობლიურ ქალაქზე. თბ., 1952.

89. აბშილავა ა. ფიქრები პირველ სიყვარულზე. [ლექსები]. თბ., 1959.

90. აგარელი გ. და გრანელი ტ. პანაშვილები. [ლექსები]. თბ., 1920.

კანზე: „ი. გრ. 1920 წ. 22 იენისი“.

91. აგიაშვილი ნ. სერვანტისის ცხოვრება. „მახვილონიერი იდაღო დონ-კიხოტ ლამანჩელის“ სახელოვანი ავტორის საარაკო თავგადასავალი [რომანი]. თბ., 1941.

ყდაზე: „ი. გრ. 1941. 12 VIII“.

გვ. 3. წინასიტყვაობაში ხაზგასმულია: „ევეკოდსკაია — ალყირის ტყვე“ და მიწერილი: „ეს წიგნი მაქვს. ეს ნარკვევი კი არა, მოთხრობაა. ი. გრ.“.

წიგნის პოლს ფორზატზე: „იხ. „მნათობნი“ რეცენზია ამ წიგნზე („მნათობნი“, 1941,

№ 6-7). ავტორი ბიოგრაფიულ რომანს უწოდებს ამ წიგნს. ი. გრ.“ გაზეთიდან ამონაჭრები: 1. ა. ს.-იას რეცენზია, მინაწერით: „ლიტსაქრთ“, 1941 წ., № 24“. 2. მ. ვარძიელის რეცენზია, მინაწერით: „ახალგაზრდა კომუნისტი“. 1941, № 128, 3 იენისი“.

92. აგიაშვილი ნ. სერვანტისის ცხოვრება. [რომანი]. თბ., 1951.

93-94. ადამია ა. ლექსები. პოემები. ბათუმი, 1936.

95. ადამია ა. ლექსები. თბ., 1940.

96. ადამია ა. ლექსები. სოხუმი. 1951.

97. ადამია ა. ლექსები. ბალადები. თბ., 1955.

ფორზატზე: „აქედნენ 13“.

გვ. 113. ხაზგასმულია: „კოტორი“, მიწერილია: „ქუშმა“.

98. ადამია ა. მსახიობის სიკვდილი. დრამა. ამონაჭერი ქ. „სისკრიდან“, 1957, № 7.

სათაურთან: „პიესა გაორგი იშხნელზე. ი. გრ.“

99. ადამია ა. მსახიობის სიკვდილი. დრამა 4 მოქმ., 5. სურ. თბ., 1958.

100. ადამია ა. პოემა ზუთწლედის გპირებზე. ტფ., 1931.

კანზე: „ი. გრ. 1931. 22. VI“.

101. ადამია ა. რამდენიმე ლექსი. ტფ., 1932.

კანზე: „აქ მეც მიხსენებს მგონი აუგალ. ი. გრ.“.

102. ადამია ა. უბის წიგნიდან. [ლექსები]. თბ., 1953.

ფორზატზე: „ი. გრ. 1953. 23 X. — ასე შეიძლება? გვ. 38“.

103. ადამია ა. შეხვედრა მერხელში. [ლექსები]. თბ., 1946.

104. ადამია. ა. ხექალა. ბალადები. თბ., 1959.

105-106. აღრიხდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა: I. იოანე საბანისძე. II. ბასილი ზარზმელი. კ. კეკელიძის რედ. და გამოკვლევით. ტფ., 1935.

კანზე: „ი. გრ. 1. ერთბაშად, გვ. 95; 2. ლარლი, 96“.

გვ. 95 ლექსიკონში სიტყვას „ერთბაშად“ მიწერილი აქვს: „ერთად ან საერთოდ, ერთბაშად“ არ არის“. სიტყვის — მტილი-ბალი“ გაწერით: „წალკოტი“. სიტყვასთან „საპირობილზე“ — „საპატიმრო, დილეგი, ციხე“.

გვ. 96. ხაზგასმულია სიტყვა „აღარდლა“; მიწერილი; „ღარდლი პირიქით არწარმოთქმული სიტყვა, გულში დარჩენილი. იხ. ვ. ბარნოვი“.

გვ. 183. ხაზგასმულია „ზატიკობა-დღესასწაული“, მიწერილია: „როგორი“

გვ. 184, ხაზგასმული „სერობა — ვახშიმი“ მიწერილია: „სერობა(?)“; იქვე ხაზგასმულია „ჯღალი — ძნელი სავალი“ მიწერილია: „(სომხ.)“.

კანის მე-2 გვ. ვაზეთიდან ამოკრილი ტ. რუხაძის რეცენზია ამ წიგნზე. მინაწერთ: „კომ.“

107-108. ავალიანი ლ. ახალი პორიზონტი. [რომანი]. თბ., 1952—1954.

წგ. 1. 1952; წგ. 2. 1954.

109—110. ავალიანი ლ. ახალი პორიზონტი. [რომანი]. თბ., 1956—1959.

წგ. 1, ნაწ. 1—2. 1956; წგ. 2. ნაწ. 3—4. 1959.

111. ავალიანი ლ. ლაპილ პირველი. ნოველების წიგნი. თბ., 1940.

112. ავალიანი ლ. სულოაგას ქუდი. ნოველი. თბ., 1959.

113-114. ავალიანი ლ. ყარიბი მგოსანი. ნოველი. თბ., 1948.

თავფურცელზე წარწერა: „ბ-ნ სოსოს ღრმა პატივისცემით. ლადო. 18.10.48“.

წიგნში დევს ბარათი: „ბ-ნ სოსო! ეს წიგნი დიდხანს ეატარე თან იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც შეგხვდებოდით და პირადად, საკუთარი ხელით მოგართმევდით. ახლა, იმულე-ბული ვარ მეკარეს დავუტოვო თქვენთვის გადმოსაცემად, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი. ღრმა პატივისცემით ლადო ავალიანი. 2. 2. 49“.

115-117. ავალიანი მ. ვედრება. ლექსები. ტფ., 1892.

კანზე: „ი. გრ. ალავერდი (სოლოგუბი), გვ. 24; ლერმონტ. 19; დობროლიუბოვი 22; ამ წიგნზე იხ. ნარკანის მოგონება — „ღროშა“, 1929 წ., № 23; ამ წიგნს არჩევს „ივერია“ და იხსენიებს აუგად („ივერია“, 1892, № 74)“.

თავფურცელზე: „ი. გრ. მ. გურიელის ალავერდი. გვ. 25“.

გვ. 19. ლექსის სათაურს „მკვლელი“ მიწერილი აქვს: „(Калаш)“ იქვე არშიებზე: „1. ნაწყვეტია თარგმნილი. პირველი თაი. 2. ჩეჩნურად „კალი“ მკვლელს ნიშნავს. ი. გრ.“

გვ. 25. ხაზგასმულია: „გრადი სოლოგუბი“, მიწერილია: „ეს მამიას თარგმანია, აქ საიდან გაჩნდა? ი. გრ.“

მეორე ცალის თავფურცელი აღდგენილია ი. გრ. მიერ.

გვ. 26. ტექსტის ბოლოს: „ამოღებულია მ. ავალიანის წიგნიდან“.

118-119. ავალიანი გ. ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი. თბ., 1884.

გვ. II. სიტყვასთან „დიღვი“ მიწერილია: „ღრკუ“.

გვ. III. სიტყვასთან „კაწახი“ მიწერილია: „სომხ. ძმარა“.

გვ. VI. სიტყვასთან „ფერცხალი“ მიწერილია: „ნეკნი“.

120. ავალიანი გ. ბოლოსტიკის ომი. 1202 წელში, 700 წლის წინად. [პოემა]. ტფ., 1913.

121. აზიანი. გატრეებული იმედები. — ამონაპერი ეურნ. „მოამბე“-დან. 1901 წ., № 12.

ხელნაკეთ კანზე: „აზიანი. გატრეებული იმედები. ი. გრ.“

ტექსტის პირველ გვერდზე: „მოამბე, 1901 წ., № XII“; იქვე ბეჭედი: „Суфлюор Иосиф Г. Мамулов“.

122. აზიანი ნ. ვაი „კალმისაგან“. კომედია ! მოქმ. — ამონაპერი გაზ. „ივერიანი“, 1905 წ., № 115.

ხელნაკეთ კანზე ბეჭდური ასოებით: „ნ. აზიანი. ვაი „კალმისაგან“. კომედია I მოქმედებად. 1905 წ.“ იქვე ბეჭედი: „ავლაბრ. ქართ. ს.ა. წარმ. მმართვე. წრის გამგეობა; იგივე რუსულად.“

კანის მე-2 გვ.: „იხ. გაზ. „ივერია“, № 115, 1905 წ.“; იქვე ბეჭედი: „სამინაო ბიბლიოტეკა ძმ. დიმიტრი და დავით იოსების ძე მე-ლაშვილებისა“.

123. აზიანი ნ. (დონდაროვი). ვაი კალმისაგან. I მოქმ. კომედია. გორი, 1909.

კანზე: „პირველად დაიბეჭდა „ივერიაში“ 1905 წ., № 115“.

124. აზიანი ნ. ინჯილერი ან დობტური. კომედია 4 მოქმ. — ამონაპერები ეურნ. „მოამბე“-დან, 1898 წ., №№ 3, 4.

აქინძელია წიგნთან: პ. ერვიე. „ბრჭყალე-ბი“ და სხვ.

გვ. 1. „1898, № III, IV. ი. გრ.“

გვ. 33. მე-2 მოქმ. ბოლოს: „ფარდა“.

125-126. აზიანი ნ. პიესები. თბ., 1936.

ფორზატზე: „აკლია პიესა „ცოდვა“, იხ. „მოამბე“, 1902, № 1. აკლია „სამშობლოს ბურჯნი“, სპ. 2 მოქმ.“.

გვ. VIII. ტექსტში ფსევდონიმს „მე გახლავარ“ მიწერილი აქვს არშიაზე: „(მ. ნასიძე)“.

გვ. X. პირველ აბჯაეში ხაზგასმულია: „ალექსანდრე იმედამვილის...“ და მიწერილი: „იოსებ (იხ. ამ წიგნის გვ. 53) და „საბჭოთა ხელოვნება“, 1936 წ. (ი. იმედამვი. წერია). ი. გრ.“.

გვ. 1. ქვესათაურში „4 მოქმ.“ ხაზგასმულია და არშიაზე: „1904 წ. 2 თებ. რომ წარმოადგინეს იქ 3 მოქმ. იყო გამოცხად.“

გვ. 252. მიწერილია: „რატომ არ არის სარჩევი: 1. „ინჯილერი და დობტური“, გვ. 1 („მოამბე“, 1898, № III, IV). 2. „ფული და

ხარისხი — 53 („ცხოვრების სარკე“). 3. „გაცურებული იმედები“. 103. („მოამბე“, 1901, № XII). 4. „ხან ასე და ხან ისე“. — „ივერია“, 1905 წ. № 203; „ჩვენი გზა“ (1907 წ., № 1). 5. „ვთა კალმისაგან“ („ივერია“, 1905 წ., № 115). 6. „პოლიტიკური ღურაჩა-კა“. 7. „ღებურტია“ — 181“.

წიგნში დევს ქალაქის ნაპრები წარწერებით: I. აკლია: 1. „ცოდვა“ (სცენები), იხ. „მოამბე“. 2. „გაცურებული იმედები“ („მოამბე“). 3. „ფული და ხარისხი“ („ცხოვრ. სარკე“). 4. „ინჩოლერი და ღობურტი“ („მოამბე“).

II. „ნ. აზიანი 1. „ოჯახის თვლი“ (მოთხრობა). იხ. გაზეთი „ჩვენი სიტყვა“, 1907, № 26 2. „პოლიტიკური ღურაჩაკა“ (იხ. „ჩვენი ცხოვრება“, 1906 წ., № 3. 3. „გილიოტინა“ იხ. „ტალა“. 1906 წ., № 33“.

III. „აზიანის პიესა „სამშობლოს ბურჯნი“ პირველად დაიბეჭდა ვაზ. „ჩვენი ცხოვრება“, 1906 წ., № 15 და „გრიგალი“, 1906 წ., № 2“.

IV. „გაცურებული იმედების“ პირველი წარმოდგენა 1901, 7 ოქტ. იხ. რეცენზია „კული“, 1901, № 42, გვ. 896“.

V. „ნ. აზიანის „პატარა ფელეტონი“, დაბეჭდილი „მათრახი და სალაშქარი“, 1909, № 13“.

ამონაპრები გაზეთებიდან: 1. ნ. აზიანი ფელეტონი „ბობოლას მონოლოგი“, მინაწერით: „საქ.“, 1920, № 137“. 2. ნ. აზიანის ფელეტონი „ჩემს მუხას“, მინაწერით: „საქ.“; ფელეტონში ადგილობრივ ხაზგასმულია და არშიაზე მიწერილი: „ლდეს არა ხვალ მომეშვება, (ისევ ისე დარჩეს) ვითომ კაი რითმა გავაქეთ. მომეშვება, მომეშვება. შავრამ აზრი არ არის“. 3. „იეატრი“, მინაწერით: „ცნ. ფ.“ 1904 წ., 4 თებ. 4. ნეკროლოგი: „ნატალია აზიანი, 1878 — 1943“, მინაწერით: „ლიტ. საქარტ.“ 1943 წ., № 4. 10 თებ. ი. გრ.“; 5. ნეკროლოგი: „ნატალია აზიანი“, მინაწერით: „კომ.“ 1943, № 28, 4 თებ.“ 6. გ. მებუჯეს წერილი „ნ. აზიანი პისესები. გამოც. „ფედერაციის“, მინაწერით: „მუშა“, 1936, № 296, 25 დეკ.“ 7. ფ-ის რეცენზია: „ნ. აზიანი. პიესები. გამოც. ფედერაცია. თბ., 1936 წ.“

127-128. აზიანი ნ. (დონდაროვი). სამშობლოს ბურჯნი. გორი, 1909.

მეორე ცალის თავფურცელზე: „იბეჭდებოდა: „ჩვენი ცხოვრება“, 1906 წ., № 15. „გრიგალი“, 1906 წ., № 2. ი. გრ.“.

129—132. აზიანი ნ. (დონდაროვი). ფული და ხარისხი. კომედია 3 მოქმ. — ამონაპრები. „ცხოვრების სარკე“, ნგ. 2. 1908.

133. აზიანი. ცოდვა. (სცენები). — ამონაპრები „მოამბე“-დან, 1902 წ., № 1.

სათაურთან: „მოამბე“, 1902, № 1, გვ. 38. კორექტურა? ი. გრ.“.

გვ. 31. ხაზგასმულია: „მაი მახინჯი“. მიწერილია: „მაიმახი?“

გვ. 38. ელისაბედის სიტყვაში ხაზგასმულია: „მომეწყინება“, მიწერილია: „მომეწონება“.

გვ. 40. მეხუთე გამოსვლის მიწერილი აქვს: „ა. ც. ხანუშა“.

გვ. 45. აღდგენილია — გადაწერილი მელნით ი. გრ. მეორ. ბოლოში ფანქრით: „(მოამბე, 1902, № 1) მე გადავწერე? ი. გრ.“.

134-135. აზიანი ნ. (დონდაროვი). ხან ასე და ხან ისე. სცენები 2 სურ. გორი, 1909.

ქანზე: „მეორედ დაიბეჭდა ვაზ. „ჩვენი გზა“, 1907 წ., № 1. „ხან ასე და ხან ისე“ პირველად დაიბეჭდა „ივერია“. 1905 წ., № 213“. იქვე: „და ორი მონოლოგი. ი. გრ.“

136. აზიანთარაშვილი ლ. ტყის ნაფიქრი. [ლექსად]. ტფ., 1934.

ქანზე: „ლექსები. ი. გრ.“ თავფურცელზე: „ი. გრ. 1934, 20 XII“.

გზითის ამონაპრები: 1. ვ. წურწუმის წერილი „ტყის დაცვა სახალხო მნიშვნელობის საქმე“, მინაწერით: „მგზნებარე კოლხიდელი“ (ფოთი), 1939, № 152, 26 აგვ.“ 2. ზ. ჩხუბია-ნაშვილის წერილი „დავიცვათ ტყეები ხანძრისაგან“, მინაწერით: „კომ“. № 161, 16 ივლისი, 1939“. 3. ივ. წერეთლის წერილი „ტყის ხანძარი“, მინაწერით: „სტალინური გზით“, 1939, 9 სექტ., № 43“.

137. აკობია პ. თავე-უმპათ რეველუცია — ბეწელის ევოლუცია. თბ., 1908.

138. აკობია პ. იმედი. ლექსები. თბ., 1904.

139. აკობია პ. სესია. [ლექსები] თბ., წ. ა.

140. აკობია პ. ჩელა და სხვა რეველუციონური ლექსები მეგრულად. თბ., 1931.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1931. 33 XI“.

წაგნის ბოლო გვერდზე: „რეცენზია იხ. „სალიტ. გაზეთი“, 1938, № 7“.

141-142. აკობია შ. ლექსები: პოემა. თბ., 1953.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, დიდ პოეტს და ძვირფას ადამიანს უღრმე [?] სიყვარულით ავტორისაგან. 1954 წ., 22 II. ქ. სუხუმი“.

143. აკობია შ. სამშობლოს დილა. [ლექსები]. სოხუმი, 1951.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, უკვდავ პოეტს, მისთვის უცნობი ავტორისაგან. ქ. სოხუმი, 16. II. 52 წ.“

144. აკობია შ. შენ გამახსენდი. [ლექსები]. სოხუმი, 1957.

145-146. აკობა შ. წყაროს დაბადება. ლექსები. სოხუმი. 1956.

147-148. ალექსი ბერი. ბენანი. თბ., 1908.

149-151. ალლუზიანი. პოემა. გამოც. ნ. გამარეკელისაგან. თბ., 1885.

კანის მე-4 გვ.: „აეარღება. ამუშკრება“.

წიგნში დევს გაზეთიდან ამოჭრილი ტ. რუხაძის წერილი: „იოანე იალღუზიძემ“. მინაწერით: „ლიტ. საქ.“, 1938, № 32“.

152. ამირანი. ფატმა. [მოთხრობა]. ბათომი, 1928.

კანზე ავტორის ფსევდონიმთან: „(ბარაბადე)“.

153-154. ამირანი. მითოლოგიური პოემა. განახლებული და რესტავირებული შ. ნუცუბიძის მიერ. თბ., 1945.

155-158. ამირეჯიბი შ. მინაწერები. [ლექსები]. თბ., 1920.

კანსა და თავფურცელზე: „ი. გრ. წალღერი. 22 VIII-20 წ.“

კანის მეორე გვერდზე: „ბავშვის ტირილი“, (ბალადა). დაბეჭდილია 1908 წ. გუნიას „საქართველოში“, № 11“.

გვ. 4. ლექსში „მოგზაურს“ ხაზგასმულია: „ადგენი მწირნი“, უდაბური და ვერანანი...“, მიწერილია: „ბარათაშვილი“.

გვ. 6. ლექსში „ბანოვანს“ ხაზგასმულია: „რათ უწოდებდი ბანოვანო ჰაბუქსა გულსა...“, „თეთ უკვდავება მასში შობდა მარტოდენ სულსა...“ მიწერილია: „ბარათაშვილი“.

გვ. 10. ლექსში „შემოსევა ალა-მამჰად ხანისა“ ხაზგასმულია სტრიქონები და მიწერილია: „ილიას ლექსიდან“.

გვ. 11. ლექსის სათაურთან „ლტოლვა ირაკლისა“ — „შანშიაშვილსაჟ აქვს ამ სათაურით ლექსი“.

გვ. 13. მოხაზულია „კოჯრის სიონი“, მიწერილია: „ე. ი. ნიავები? „კოჯრის ნიავი“ (გრ. ორბელიანი)“.

გვ. 14. ლექსს „ჩილდო მეფისა“ მიწერილი აქვს: „ეს ლეგენდა ვეფხისტყაოსი, რომელიც მწვენივრად აქვს ნათარგმნი აკაკის. იხ. გორგაძის ქრესტომათია და კირიონის სიტ. ისტორია. ჰეავს შილერის „კუმბოკ“.

გვ. 22. ლექსებს „მთელი სიცოცხლე მათ იარეს ცალ-ცალკე, კენტად“ „იცი შენ მზარე, სად ცა მუდამ არის ლეჟვარდი“, მიწერილი აქვს: „თემში“ რომ დაიბეჭდა ეწერა: „მიბაძევა“. იხ. ლერმონტოვის თხზ. გვ. 116“.

გვ. 25. ლექსში „კოჯორს“ ხაზგასმულია: „ქერ-ოღლის“ და მიწერილი: „ქორ-ბზბა-ოღლი-შვილი, ე. ი. ბრმის შვილი“.

გვ. 27. მოხაზულია ლექსი „არ დავიჭერებ...“ და მიწერილი: „ჭენისებურია“.

გვ. 28. ლექსში „უზენამი“ ხაზგასმულია: „სალავას“. „ზაზავატს“ და მიწერილია: „ერთი და იგივე სიტყვაა, ძირი ერთი აქვს და აზრითაც „არჯულს“ ნიშნავს“.

გვ. 29. ლექსში „ამირეჯიბის ასულს“ ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები და მიწერილია: „როცა ორივე რითმა უცხო ასოთია განაკეთი, არ ვარგა, ერთი რითმა უცხოური — ერთი ჩველებური. ი. გრ.“

გვ. 33. ლექსში „ძველი წიგნი“ ხაზგასმულია: „ქალი იყო მოწიფული“ და მიწერილი: „მ. გურიელი: „ქალი ვიყავ მოწიფული, გამიტაცეს სურვილებმა...“

გვ. 37. ლექსში „ამთქარებულ თბილისი“ სტრიქონს „ვერცხლის სამარხი ქამარი“ მიწერილი აქვს: „ესე ქართული იქნება?“

გვ. 39. ლექსს „გემის ხმა დაირისა“ მიწერილი აქვს: „გემის ხმა დაირისა... ერთი ჰენის ლექსი ასე იწყება. იხ. ჰოლან ნათ. გვ. 43; იქვე ლექსში „მერის“ ხაზგასმულია: „არ მომწონს რითმა ჩემის ლექსისი“ და მიწერილი: „არც მე. ი. გრ.“

გვ. 41. ლექსის სათაური „ე. ა.“ გახსნილია: „ვერიკო ანჯაფარიძე“.

გვ. 46. ლექსში „შუათანა“ ბოლო ორი სტრიქონი მოხაზულია და მიწერილი: „ეს ორი სტრიქონი ისევე უცნებურად თავდება, როგორც ილიას „ზაზალეთის ტბის“ უკანასკნელი ორი სტრიქონი: „და მის პირსა გაბაღრულსა, მუდამ გახაზული არი“.

წიგნის ბოლო გვერდზე: „...აკაკის და ილიას შემდეგ რითმა გაახალგაზრდავდა, გრიშაშვილმა დაიწყო ძიება ახალი რითმის, ახალი სიტყვის, ახალი გამოთქმის, ავტორი კი ვერ გაცილებია აკაკის შაბლონურ რითმებს (გვ. 6) გულსა-სულს, (გვ. 2) სულს — გულს (გვ. 5) გულსა-სულს, (გვ. 25) გულთან-სულთან. კრიტიკის გაერეე მდგარი რითმები: ვერანანი-ნატამალნი (გვ. 4); განირენებ — განისვენებ (იქვე), ბავშვები — კარები (გვ. 10), ქვები — ზარები (იქვე), დაქროლთა ხმა-გადადგმა (გვ. 13). კიბენი — სილაშენი (გვ. 23), მეტად — მოსაგონებლად (გვ. 25). 1. არ არის ერთი რითმა, რომელსაც ახალი ეწოდოს. ენა არ ვარგა. ლექსისთვის თაღლითობს გამოთქმები. პოეტური ხელი კი სჩანს ლექსში, მაგრამ ძალიან მკრთალად ამირეჯიბი უფრო შინაური პოეტია — სააღბომო მწერალი. 2. რამდენიმე ლექსში სჩანს ბარათაშვილის გავლენა — იხ. გვ. 4. 6. 3. ამირეჯიბის ლექსებს ცალ-ცალკე არა უშავდა რა, როცა გაზეთებში კვითხულობდით. ერთად შეკრებილი შთაბეჭდილებას ანელებს, თუმცა მის ზოგიერთ ლექსებზე შეიძლება ითქვას: „არა უშავსო“. 4. შაბლონური შედარებები: თმა ვიწერიეთ

პქონდა (გვ. 20). 5. ჰეინეს სთარგმნის. ხან გავლენაც სჩანს მის წვრილ ლექსებში, მაგრამ არ ამბობს. ავტორი მეტად ელასტიურია. რასაც კითხულობს, ნაყოფი ვადააქვს თავისად. 6. შალვა მაინც მიყვარს. კულტურული ადამიანია, ბუნებით პოეტი, მაგრამ ყანწელებმა გააფუქეს“.

წიგნში დევს ჟურნალ „ერიდან“ ამოჭრილი 5. ამირჯინის ლექსი „შუანეთა“. მინაწერით: „1910 წ.“

159. ამირჯინი ჰ. გზა [მოთხრობები]. თბ., 1962.

160. ამისულაშვილი შ. ბალადა სიყვარულისა. [ბალადები და ლექსები]. თბ., 1953.

161. ამისულაშვილი შ. ღარიბაილიან ყაყაყამად. ლექსები. თბ., 1952.

ფორზაცზე წარწერა: „პოეტური სიტყვის შესანიშნავ ოსტატს იოსებ გრიშაშვილს შ. ამისულაშვილისაგან. 1 VII 52. ქ. თბილისი“. იქვე: „მარიფათი, 38“.

162. ამისულაშვილი შ. თალარი. 1940-1947. თბ., 1947.

კანზე: „შიგ რეცენზია ჩაკერებული. ი. გრ. 1947 წ., 10 X.“ იქვე, გაზეთიდან ამოჭრილი დ. შამათიას რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერით: „ახ. კომ.“ 15 ნოემბ. № 137. 1947“.

163. ამისულაშვილი შ. ლექსები. თბ., 1940.

164—165. ამისულაშვილი შ. ლექსები და ბალადები. თბ. 1955.

166. ამისულაშვილი შ. ყამირის ყვავილები. ლექსები. თბ., 1950.

თავფურცელთან გაზ. „ინდ. ქუთაისის“ 1950 წ. 16. VII, № 159-დან ამოჭრილი ვ. გვეტაძის წერილი „ლექსების ახალი წიგნი“.

167. ამისულაშვილი შ. ცის გახსნა. ლექსები. თბ., 1962

ფორზაცზე წარწერა: „პოეტური სიტყვის საუკეთესო ოსტატს — იოსებ გრიშაშვილს სიყვარულით ვუძღვნი ამ პატარა წიგნს. შ. ამისულაშვილი. 16 IX 62. თბილისი“.

168-169. *ანაზარდი. ძღვევის ნაღარი. რჩეული ლექსები. ქუთაისი. 1926.

170. ანანიაშვილი ლ. გუშინ და დღეს. ლექსები. ტფ., 1933.

ფორზაცზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს უღრმეს პატივისცემის აღსანიშნავად. 9 V 33 წ., ქ. ტფილისი. ავტორი“.

გვ. 10. ლექსში „მე ისევ აქ ვარ“ ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები „ფერდობი“, „ვერ-თობი“, არშიაზე: „ჩემი“.

გვ. 21. ლექსში „ელოზბარ პოლუმორფი-ნოს“ ხაზგასმულია სარიტმე სიტყვები „მი-წა“. „დავეიწვა“, არშიაზე: „ჩემი“.

171. ანანიაშვილი ლ. ლურჯი ფიჭვები. [ლექსები]. ტფ., 1928.

თავფურცელზე წარწერა: „დიდად პატივ-ცემულ მგოსანს იოსებ გრიშაშვილს — ავტორი. 29. IV. 28 წ.“

172. ანანიაშვილი ნ. და როსტომაშვილი დ. პარფესია პიესა 4 მოქმ. თბ., 1957.

173. ანდრონიკოვი ი. ლექსები უბის წიგნაკი-დან. თბ., 1907.

კანზე: „იხ. II გვ. ი. გრ.“

174-175. ანდრონიკაშვილი ქ. ვარდულებუ-ლიანისა და ქალაქიანის განმარტება ანუ ქარ-თული კასასკური სიყვარული, ქაიხოსრო ან-დრონიკაშვილისაგან მიჯნურობადე წოდებუ-ლი. წარსულთა დროთა სახსოვრად. თხუთ-მეტი წლის ნაშთი. თბ., 1885.

გვ. 13. ბოლო სტრიქონში ხაზგასმულია „რამინი“ და მიწერილი: „კაცის სახელია“.

გვ. 14. ხაზგასმულია „მუქივად ღმერთმან“ და არშიაზე: „საპასუხოდ, სამაგიეროდ“.

გვ. 15. მეორე სტრიქონთან მინაწერი: „გა-რეთ მთავარე კი იმზიარებოდა დარცხვენით“.

მეორე ცალის კანზე ყოფილი პატრონის ზღაღღა: „ანტონ ნატროშვილი“.

176. [ანდრონიკაშვილი კ.] კონსტან ანდ-რონი. სიზმარი კოშკში. დრამატ. ესკიზი I მოქმ. ამონაჭერი კრ. „ჩანგი“, ტ. 2, 1916.

177-178. [ანდრონიკაშვილი კ.] კონსტან ანდრონი. ყვავილი სიყვარულისა. დრამატ. ნაყ-ვეთი 1 მოქმ. თბ., 1912.

გვ. 1 წარწერა: „ი. გრიშაშვილს ავტორი-საგან“.

წიგნში დევს 1912 წ. „სახალხო გაზეთიდან“ ამოჭრილი კონსტან ანდრონის ესკიზი „ეს იმ დროს მოხდა“.

179. ანდრულაძე ი. კალანდობა. კომედია-ვოდევილი. ქუთაისი, 1881.

კანზე ბეჭედი: „Кавказский цензурный комитет. Д. V.“

თავფურცელზე და წიგნის ბოლოს ყოფი-ლი პატრონის ბეჭედი: „პ. გუგუშვილი“.

180. ანდრულაძე ი. ნაწერი. ქუთაისი, 1887.

181-184. ანტონოვი ზ. თხულებანი. თბ., 1876.

ყდის მეორე გვერდზე: „ეს წიგნი ეკუთვნ-ნის იოსებ გრიგორის-ძე მამულაშვილს. 18 მა-ისი. 1906 წ.“ იქვე: „შეუიათი წიგნია. სახლ-ში არ გაიცემა“.

თავფურცელზე და ტექსტის სხვადასხვა ადგილას ბეჭედი: „Суфлиор Иосиф Г. Мамулов.“

თავფურცელზე ავტორის გვართან: „(1820 — 1854). გორელი კათოლიკე იყო“. ზესათა-ურთან: „პ. უმიკაშვილის და გ. თუ-ის გამომ-ცემლობა“; იქვე მიწერილია: „პირველი წიგნ-თავანი, რომელიც წაეკითხე. ი. გრ.“

სარჩევში „წინასიტყვაობას“ მიწერილი აქვს: „იხ. ბოლოსიტყვაობა“.

შეუტეხულზე დაკრულია ქალაქის ნა-
ჭერი წარწერებით: „ანტონოვის თხზულება-
ნის გამოცემას აპირებდნენ: 1. ნ. ავალიშვილი.
2. სერგი მესხი. 3. ნიკ. ყიფიანი. იხ. განცხადე-
ბა „დროება“, 1871, № 6“.

გვ. 133. პიესის „განა ბიძამ ცოლი შე-
ერთო!“ სათაურთან: „პირველ გამოცემას აწე-
რია, რომ ეს პიესა გადმოკეთებულია რუსუ-
ლადგან (იხ. 1852 წ. გამოც.). ი. გრ.“ იქვე
დაკრულია ქალაქის ნაჭერი წარწერით: „რუ-
სულიდან გაუკეთებია — განა ბიძამ ცოლი
შერთო“, კომედია ერთ მოქ. გადაკეთებული
რუსულიდან ზ. ანტონოვისაგან. პირველი გა-
მოცემის თავფურცელი“.

გვ. 237. პიესის „შვის დაბნელება საქათ-
ველოში“ სათაურთან დაკრულია გაზეთიდან
ამოკრილი განცხადება, რომ კ. მარჯანიშვილი
1933 წ. 13 და 14 იანვარს, პიესის პირველ
დადგმოდან 80 წლისთავის, აღსანიშნავად დამს
პრეზიერას — ზ. ანტონოვის „შვის დაბნელება
საქათველოში“ — მინაწერით: „კომ.“, 1933,
წ., № 11“.

გვ. 313. პიესა „ქორღლი“. სათაურთან:
„სითუეტი ევლახოვის მოთხრობიდან. იხ. ამ
პიესის ბოლოში“.

გვ. 386. პიესის „ტრევით მოგზაურობა ლი-
ტერატორთა“ მოქმედ პირთა შორის ხაზგას-
მულია: „პარმენ იასამანიძე“ და მიწერილი:
? „პ. იოსელიანი?“

გვ. 442. დაკრულ ქალაქზე მელნით: „ტრე-
ვით მოგზაურობის“ ბოლოს მინაწერი: „იქნე-
ბა რომელთავე წამკითხველთაგანს სათნოდ არ
ამოუჩნდეს ეს პიესა. მაგრამ დაფასება ამ პი-
ესის ღირსებისა შეუძლიანთ იმ პირთა, რომ-
ელთ სურვილისათვისცა არის დაწერილი, და
აგრეთვე იმათაცა, რომელთაც ნამდვილ იციან
სითუეტი ამ პიესისა. (იხ. 1854 წ., გამოც.,
გვ. 55)“.

გვ. 446. მინაწერი: „ეს თავების დაყოფა პ.
უმიკაშვილმა მისცა ანტონოვს“. იქვე: „გარ-
დაიც. 34 წლისა. აღ. თუთავეი წერს, რომ
დაიბადა 20 თებერვალსო“ („თ. და ც.“ 1910.
№ 12)“.

წიგნის ბოლოს ანტონოვის ბიოგრაფიულ
ცნობებში. კითხვის ნიშნით: „კათოლიკე იყო?
ი. გრ.“

წიგნის ბოლო ფორზაციის პირველ გვერდ-
ზე: „აღალო თუთავეი წერს, რომ მირონ ამი-
როვმა მოაკვლევინა ანტონოვიო. 1. იხ. კიდევ
ანტონოვზე აღალო თუთავეის წერილი („თუ-
ატრი და ცხოვრება“, № 12, 1910 წ.). აღა-
ლოს კიდევ აქვს წერილი „ივერიაში“, 1904 წ.
2. იხ. წერილი ანტონოვზე (ავტორი. ა. ქ-ძე)
„დროებაში“, 1876 წ. № 32, 33, 34. 3. გ. თუ-
მანოვის წიგნში. „Восп. и характ.“ ტ. 1,

გვ. 162 და ტ. II, გვ. 71. 4. ი. კერესელიძის
მოგონებანი, „ივერია“... „კვალი“...“

ფორზაციის მეორე გვერდზე: „1. განა ბიძი-
ამ ცოლი შეერთო და 2. ქორწილი ხევსურთა,
ხელნაწერებად ინახება საქ. ცენტრ. არქივში.
პირველის №-რია № 13. მეორე — დათვი ერი-
სთავის ქალაქში 1931. 10. X. ი. გრ.“; იქ-
ვე: „ზ. ანტონოვზე პ. უმიკაშვილის წერილი.
„კვალი“, 1893 წ. № 9; „ივერია“, 1893 წ.
№ 17“.

185. ანტონოვი ზ. მე მინდა კენიანა გავხედე.
კომედია, გინა ტეატრის პიესა. ტვ., 1851.
თაფურცელზე: „ი. გრიშაშვილის ბიბლიო-
თეკიდან. ი. გრ.“

186. ანტონოვი ზ. შვის დაბნელება საქათ-
ველოში. კომედია. თბ., 1852.

187-189 ანტონოვი ზ. შვის დაბნელება სა-
ქათველოში. (ნამდვილი კომედია სამ მოქმე-
დებად). თბ., 1955.

თაფურცელზე: „ი. გრ. 1956. 23 IV“.
190—191. არაბული ი. დგას გაზაფხული.
[ლექსები]. თბ., 1960.

192-193. არაგვისპირელი შ. თხზულებათა
სრული კრებული. ტ. 1—2. თბ., 1947.

ტ. 1. ფორზაცზე: „ი. გრ. 1947. 10 X“.

ტ. 2. ფორზაცზე: „უცნობი პიესა, 493. ი.
გრ. 1947. 20 XI, გვ. 210“.

194-198. არაგვისპირელი შ. თხზულებანი.
წიგ. 1—5. ტვ., 1900—1914.

ხუთივე წიგნი აკონძულია ერთად. ყუაზე
ამოტვირთულია: „შ. არაგვისპირელი. 1, 2, 3,
4, 5 წიგნი. ი. გ.“.

ფორზაცზე: „ი. გრიშაშვილი. აკაკიმ ლექსი
უძღვნა შ. არაგვისპირელს (იხ. „კვალი“, 1896
წ., № 18. გვ. 304)“.

ფორზაციის მეორე გვერდზე ჩამოწერილია
პირველი ტომის სარჩევი.

წიგნის ბოლოს: „ბაღლი ყოფილხარ“ და-
ბეჭდილია III წიგნშიც. სულ 53 მოთხრო-
ბაა“.

წიგნში დევს ქალაქის ნაჭერი წარწერით:
„შ. არაგვისპირელი. „მადღური“ იხ. „ცხ. და
ხელე“. 1910, № 1. გვ. 14. „განი“. № 4.
გვ. 3“.

199-203. არაგვისპირელი შ. [თხზულება-
ნი]. მე-2 გამოც. წიგ. 1—4. ტვ., 1919.

წგ. 1. და 2. ორ ორ ცალადა, წგ. 3- და
4 ერთადა აკონძული.

204. არაგვისპირელი შ. რჩეული ნაწერე-
ბი. თბ., 1927.

შეუტეხულზე: „ამ წიგნში არ არის მო-
თავსებული შემდეგი მოთხრობები: 1. „... ბა-
ლაშვილი“, იხ. აღმანახი „მძვრი სიტყვა“. 1915 წ.
გვ. 1. 2. „ჩადო“ (იხ. „ნაყადლო“,

1905 წ. № V, იანვ.). 3. „ბედნიერი დედა“ („ჯეჯილი“, 1899 წ., დეკემბერი). 4. „...შვილო!“ (იხ. ურნალი „ლომისი“, 1922 წ., № 6-7). 5. „მოგონება“ („ჯეჯილი“, 1890, № V). 6. (იხ. „სავაჭრო გაზეთი“).

იქვე: „ამ წიგნზე რეცენზია ვ. ბახტაძისა იხ. „მნათობი“. 1927 წ. № 10, გვ. 317. შიომ რომ გაიგოს, რომ მის წიგნს ტ. ტაბიძის წინასიტყვაობა აქვს, საფლავში გადაბრუნდება; ისე უნარებოდა ეს პიროვნება. ი. გრ.“

გვ. 462. ფანქრით: „შო არაგვისპირელის პატარა მოთხრობა „ბედნიერი დედა“ — „ჯეჯილი“. 1899 წ. დეკემბ. და „სავაჭრო გაზეთი“.

ხაზგასმულია ადგილები წინასიტყვაობაში და გვ. 316—317 სქოლიოში.

წიგნი ქალაღის ნაჭრები მინაწერებით:

1. „1. შ. არაგვისპირელის წაუციხხავს მოთხრობა „ნინიკას მთაზე“ („ფასკ.“ — გაზეთის ფორმატისა, 1908 წ., № 3, გვ. 4); 2. „სამარცხვინო ბოძთან“ („მზე“. 1908. № 1)“.

2. „შ. არაგვისპირელი. „სამარცხვინო ბოძთან“ (ეტუდი). (იხ. გაზ. „მზე“, 1908 წ., № 1); „გრძნეული ციხე“. („ფასკუნჯი“, 1909, № 7. 8)“.

3. „1. შ. არაგვისპირელი. „გულციგობამ“ (ეტუდი). („კვალი“, 1898, № 42). არის 2. „ესტოვრობობთ“ („კვალი“, 1898 წ., № 45 და 46). 3. „ხა, ხა, ხა, ხა! სულელი ვარ!“ („კვალი“. 1898 წ., № 47) — არის.“

4. „შ. არაგვისპირელის მოთხრობა „ღა, ღა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“ („გლეხი“, 1906 წ., № 1). არის რჩეულ ნაწერებში“.

205. არაგვისპირელი შ. გაბზარული გული. — ამონაწერები ურნ. „ცისარტყელა“-დან. 1919 წ., № 1, 1920 წ., №№ 2, 5, 6 11—13. 1921 წ., № 14.

შეკრულია ერთ წიგნად. კანზე: „შ. არაგვისპირელის ახალი მოთხრობა — გაბზარული გული. ი. გრ.“;

თავფურცელზე: „შ. არაგვისპირელი.-გაბზარული გული“. ურნ. „ცისარტყელადან“, 1919 წ., № 1; 1920 წ., № 2, 5, 6, 11, 12—13; 1921 წ., № 14. ი. გრ. 26 V 22 წ. გამოვიდა ცალკე წიგნად. სახელგამი. 1927“.

206. არაგვისპირელი შ. გაბზარული გული. თბ., 1927.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1927. 22 I.“
კანის მესამე გვერდზე: „ჩაბარტხი, 138“.

207-208. არაგვისპირელი შ. გაბზარული გული. ქართული არაქი, თბ., 1947.

209. არაგვისპირელი შ. გაბზარული გული. [რომანი]. თბ., 1959.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1959, 25 II“.

210. არაგვისპირელი შ. და-ძმა. მოთხრობა. — ამონაწერი ურნ. „მომამე“-დან. 1894 წ., № 2.

ხელნაკეთ კანზე: „შ. არაგვისპირელი. და-ძმა. ი. გრ.“

211-212. არაგვისპირელი შ. მოთხრობები. ტფ., 1929.

213. არაგვისპირელი შ. მოთხრობები. თბ., 1948.

214-215. არაგვისპირელი შ. ორი მოთხრობა. „ტფ., 1935.

216. არაგვისპირელი შ. საშინელება! ნამდვილი ამბავი. თბ., 1921.

217-221. არაგვისპირელი შ. შიო თავადი. ისტ. ლეგენდა სამ მოქმ. ტფ., 1905.

ფორზაცზე: „მინაწერი. ყული — მონა 58. ი. გრ.“

გვ. 8. უცნობი პირის მიერ მიწერილია შეტყობვებულთა გვარები, არშიაზე მიწერილია: „როლები გაუწაწილებიათ. დიადგა ერთხელ. ი. გრ.“.

მესამე ცალის თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „შ. კავთელი“.

222. არაგვისპირელი შ. ჩემი პირველი სიყვარული. (ეტუდი). — ამონაწერი ურნ. „მომამე“-დან. 1903 წ., № 1.

223. არაგვისპირელი შ. ავტონომია. პოემა. თბ., 1920.

224-225. არდაზანი ლ. მოთხრობები: სოლომონ ისაკიჩ მექრანუაშვილი. მორჩილი. ტფ., 1936.

ფორზაცზე: „1 ახალი თუ ახლა, გვ. 76; 2. მოხდება თუ მოხვდება, 102; 3. წარბი თუ წაბლა, 104; 4. ნახირი თუ ნახშირი. 132; 5. შეცდომაა, 149; 6. შეცდომაა, აბზაცია საჭირო, 153; 7. ნოხური თუ ნუხური, 157; შეცდომა, გვ. 163 ქვევიდან მეხუთე პქვ.; 9. უგლიმი თუ უელიმი (?). 186“.

შმუტტიტულზე: „ი. გრ. ჩემს ბიბლიოთეკა წაღვერი. შეცდომა, 59; დროშკა, 162“.

გვ. 3. ხაზგასმულია: „სტოტა-მატანი“, არშიაზე: „მატანი“.

გვ. 99. მოხაზულია: „სანე“. მიწერილია: „სურათი“.

გვ. 104. ხაზგასმულია: „წარბის“, არშიაზე: „წაბლის“; ხაზგასმულია: „ყუი“, მიწერილი: „ყუივი“; ხაზგასმულია: „ბუღღმური“ და „ფეფები“, არშიაზე: „ნ. ბარათაშვილი“.

გვ. 107. ხაზგასმულია: „იული ცეზარს“ და მიწერილი: „იულოის კისარს“.

გვ. 122. მოხაზულია მე-7 აბზაცი, არშიაზე: „კოტე და ქეთო 2 მოქმ.“

გვ. 124. ხაზგასმულია „ლექსით“, მიწერილია: „ლექსი აქ სიტყვას ნიშნავს“.

გვ. 141. მე-5 აბზაცის არშიაზე: „ილია“.

გვ. 146. მეოთხე თავის არშიაზე: „აწერა ქართული კაბისა“.

გვ. 156. ხაზგასმულია: „უფინა აგური“, მიწერილია „ფილაქანი“.

გვ. 157. პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „ნოხური ფარდაგი“, მიწერილია: „თუ ნუხური“; პირველ აბზაცის არშიაზე: „სკამი ჩით გადაყრული“. მოხაზული მე-5—6 აბზაცი და არშიაზე: „გოგონს აწერია ილიასას ჰგავს, კაციადამ“.

გვ. 162. ხაზგასმულია: „საწყალ გოჩუნას“, არშიაზე: „ავტორი იბრალებს“.

გვ. 163. ხაზგასმულია: „მოახლე ვარსკვლავისა“. მიწერილია: „სახელი ვარსკვლავისა“.

გვ. 166. ხაზგასმულია: „რომელსაც მკლავა ჩამოართვა“, არშიაზე, „ბადრუჩი“.

გვ. 172. ხაზგასმულია: „იელივით“, არშიაზე: „შხამიანი ბაღახა“.

გვ. 174. ხაზგასმულია: „კალონიის“, არშიაზე: „ნემეცების კალონია“; იქვე. მოხაზულია მე-6 აბზაცი, არშიაზე: „შედარება“.

გვ. 189. ხაზგასმულია: „ბლოტისას“, მიწერილია: „გეარია“.

გვ. 191. არშიაზე: „ბაზანის ორი ბიჭი“; იქვე, მე-6—9 აბზაცების არშიაზე: „პორნოვრ“.

გვ. 212. ხაზგასმულია: „ბარონის“, მიწერილია: „ბორნის“.

გვ. 222. ხაზგასმულია: „ჩვენებური“, მიწერილია: „ქართველი“.

გვ. 236. ბიბლიოგრაფიაში ხაზგასმულია: „ელბაქიქ“, მიწერილია: „იხ. ს. მაგალობიშვილის(?) მოგონება. მგონი ი. ბაქრაძის ფსევდ.“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „ლექსიკონი: ათვის (იხ. ჩემი ქალაქი. ლექსიკა). ბაშხაღონში. გვ. 102; ნიშნობა — პატარა ქორწინება, 102; იაქათალი, 103; საური, 107; ჭროლა, 117; ჩაქსული, 99, 111, 159; შილა (წითელი), 118; ადგილი. აქ ნაჭრის ფონს ნიშნავს. გვ. 120. ლილიფარობა, 123, 144, 164; გაატატანი, 123; ყავადანი, 124; შეირუშხა: მორუშხელი სახე — მორღ. რისხვის გამოხმატ, მერისხული (წარბები), 132; ინადი, 133; თავის: ნათქვამი, თვითსული, 134; ლილიპიტო, 110, 141; ბანოში, 103, 130; დამწვარი ყანის ფერი, 130; დარიჩოს ფერი, 146; წარბებში ჭაღარა ყვრ არ შეჰპაროდა; ქართული კაბის აწერა — 146; ყოში, 146; რატარტი, 147; ბუღალი; ჩაიყვოწებელი; ნიშანდობლივი, წაოწობა; სასუნსლავი, 152; შიოს მარანი, 153; რომელიც არ ილეოდა, რამდენიც უნდა დაგელოთ; ფოჩებანი გვირგვინი, 156; ნაშური, 157; დიმიკიტონი, 157; დაჩირქიანებული, გვ. 157; ჭუჭუნი, ექილეგობა (ქილევა?) 162; ყანგაროს ფერი, 163; ფანცი. მიმრო, 165; მოვი (ჭრელი), 166, 171;

მკლავი ჩამოართვა („ბადრუჩი“) გაუქეთა, 169; ტრაცუობს, ტრაცუობს? 169; ფოსტის ცხენი, 174; სუზანი, 190; ეთანარება, 196; ნატისუსალი, 201; გარეგანი, 204, 208, 222; თითლობაზე, გვ. 210 ბრანგული, ბრანგი, 217; ქილივი, გვ. 230; ყაჩაღანა. ქალზე ითქ. სარჩევი: 1. სოლომონი, 3. 2. მორჩილი, 97“.

ყდის მესამე გვერდზე: „მუბნებოდეს მიყვარხარ“ (ლექსი), 72; შტაბის საათი, 203; 2. ბარონის ქ. გვ. 212“.

წიგნის ბოლოს ვახვითად ამოკრილი: 1. გ. მეტუქის რეცეზია ამ წიგნზე, მინაწერილი: „კომ განათლება“, 1936, № 41, 30 X“. 2. ქ. რ.-ს ბიბლიოგრაფია: „ლ. არდაზიანი. სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილი. მორჩილი“. მინაწერილი: „კომ“. სექტ., 12“.

226-227. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილი. რომანი. თბ., 1878.

228-229. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილი. რომანი. მე-3 გამოც. ახალსენაქი, 1895.

თავფურცელი აღდგენილია ი. ვაიშაშვილის მიერ.

მეორე ცალის ყდაზე ფანქრით: „III გამოც. ი. გრ.“

230-233. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიჩ მექლანუაშვილი. რომანი თფილისის ცხოვრებიდან. მე-4 გამოც. თფ., 1911.

ჩასმულია სავანგებო ყდაში. ყუაზე ამოტვიფრულია: „არდაზიანი. ი. გრ.“

ყდის მეორე გვერდზე დაკრულ ქაღალდის ნაქერზე: „ლოკრენტი არდაზიანი — გარდაიცვალა 1870 1 იანვარი. გარდაიცვალა 52 წლისა. (დაბადებული 1818 წ.)? 1. „ციცკარში“ წერდა ბიძია თონიკეს ფსევდონიმიტო. ვერის სასფლაოზე დაკრძალეს. რყო ოქტის სასამართლოს მიდევანი. („დროება“, 1870 წ., იანვარი), („მნათობი“. 1869, დეკა)“.

ფორზაცზე: „ლ. არდაზიანის ფსევდონიმი იყო(?) გ. ბარათაშვილი (იხ. აკაკის მოგონება). არდაზიანს აქვს კიდევ რომანი: „მორჩილი“ (იხ. „ციცკარი“, 1263 წ., № 4, 5, 6). ნაოარგმნი: „ჰამლეტ“ (იხ. „ციცკარი“, 1858, შიისი, იენისი, ივლისი, ავვისტო“). იქვე: „წამდაწამ და წამდაუწუმ, გვ. 2. ჰალარაქი, გვ. 66. ლიდღერძელო, გვ. 29“.

ფორზაცის მეორე გვერდზე: „ეს წიგნი არ არის თბილისში. ი. გრ.“

ყდის მე-3 გვერდზე: „გამოსარკვევია? 1. ბათა? (გვ. 20). 2. ... 32. 3. ... 36. 4. ... 54. 5. ... 59. 6. ... 84, 89, 90, 98, 101, 109, 113, 115, 119. 168“. აღნიშნულ გვერდებზე ხაზგასმულია სიტყვები და ადგილები, მიწერილია კითხვის ნიშნები და შენიშვნები.

გვ. VII. ხაზგასმულია: „პირველ იენის 2-ს სათზე გარდაიკვალა“. არშიებზე: „იანვარს (შეცდომითაა დაბეჭდილი), იანვარს 1870 წ. (იხ. დროება, 1870 წ., № 1, 8 იანვარი)“.

გვ. IX: ს. ჰრელაშვილის კრიტიკული წერილს „ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი“ მიწერილი აქვს: „პირველად დაიბეჭდა „იმედი“. 1881 წ., II, III—IV“.

გვ. LXVII. ხაზგასმულია: „ბიძია თონიკე-საგან“. არშიაზე: „ფსევდონიმი იყო ლ. არდა-ზიანისა (ი. გრ.)“.

წიგნში დევს საგაზეთო ცნობა მარჯანიშვილის სახ. თეატრში „სოლომონ ისაკიან მექლანუაშვილის“ პრემიერის შესახებ, მინაწერით: „კომპ.“, 1940, 6 ნოემბ.“.

აქვეა პროგრამა მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრის (1940—41 წ. სეზონი) დადგმისა: „სოლომონ ისაკიან მექლანუაშვილი“ მინაწერით: „პირველად 8 ოქტ. 1940“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „დღე. თბილისის ბიბ-ში არ არის. არ მინდა. ი. გრ.“.

ხაზგასმულია ადგილები, გასწორებულია კორექტურული შეცდომები, როგორც წინასიტყვაობებში, ისე ტექსტში.

მეოთხე ცალის თავფურცელზე ფანქრით: „ბოლოში აკლია 2 ფურცელი, თბილისში არ არის. დუბლ. ი. გრ.“.

234. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიან მექლანუაშვილი. მე-5 გამოც. ტფ., 1919.

235-236. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიან მექლანუაშვილი. მე-6 გამოც. ტფ., 1927.

კანზე: „აქ ბევრი შეცდომებია. გარდაიც. 1870 წ. 1 იანვარს“.

თავფურცელზე ხაზგასმულია: „მეექვსე გამოცემა“ და გასწვრივ დასმულია კითხვის ნიშანი.

გვ. VI. ხაზგასმულია: ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წ. (№1-2) მან [ლავერენტი არდაზიანი] მოათავსა შექსპირის „ჰამლეტის“ თარგმანი“. არშიაზე კითხვის ნიშანი და მიწერილია: „შეცდომაა. „ცისკარი“, 1858, № 5, 6 7. P. ჰამლეტი აქ დაიბეჭდა“.

გვ. VII. მე-4 აბზაცში ხაზგასმულია: „არდაზიანი გარდაიკვალა ფილტვების ანთებით 1870 წელს“. მიწერილია: „1 იანვარს“. სქოლიოში ხაზგასმულია: „ჩვენ ბევრი ვეძებეთ, მაგრამ გ. ბარათაშვილის მიერ დასტამბული „ცისკარში“ ვერაფერი ვნახეთ“, ქვეშ მიწერილია: „(იხ. ამ ნომერშია 1861 წ. № იენისისა)“. არშიაზე: „ბიძია თონიკე“ (ფსევდ. არდაზიანისა)“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ი. გრ. (P. აფხაიდის ბოლოსიტყვაობით)“.

237-240. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიან მექლანუაშვილი. ტფ., 1935.

241. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიან მექლანუაშვილი. ტფ., 1937.

ყდასა და ფორზაცზე: „ი. გრ. 1938; 21. III“.

ფორზაცის პირველ გვერდზე: „არა სწორი ახსნა: 1. ბოხია, გვ. 5 (რატომ მარტო ფართალი? 2. ლეჩაქი, 6. 3. კარტინკა, 10. 4. ბაფა — ნიშნავს ნდობას, 15. 5. მოუყოლადი (ყოფის), 16. 6. აბრე, 24. 7. ახალხი, 33. 8. დიკალი ანუ შაქარი, გვ. 35. 9. სირაჯობა, სიღნაღი, 37. 10. ბრანგული?, 38. 9. ნუნუა და ა. ჰ-მე, 75. 10. ვანქის უბანი, 81“;

გვ. 10. სქოლიოში სიტყვა: „კარტინკა“ ახსნილია: „სურათი“ და მიწერილია: „(აქ იგულისხმება სიღამაზე)“.

გვ. 15. სქოლიოში მოხაზულია ახსნა სიტყვისა: „ბაფა“, მიწერილია: „ბაფა — აქ კორექტურული შეცდომა ხომ არ არის?“

გვ. 33. სქოლიოში მოხაზულია სიტყვა „ახალხის“ განმარტება: „გრძელი“. იქვე მიწერილია, „მოკლე“.

გვ. 37. სქოლიოში სიტყვა „სირაჯობა“ განმარტებულია: „ღვინით ყიდვა-გაყიდვა“, მიწერილია „ბითუმად“.

გვ. 75. სქოლიოში მიწერილია: „ალ. ჰ-ის ლექსია“.

242. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიან მექლანუაშვილი. თბ., 1956.

243. არდაზიანი ლ. სოლომონ ისაკიან მექლანუაშვილი. ამონაჭერი სახელმძღვანელოდან, გვ. 81—200.

244. არეშოძე მ. ოჯახის იმედი. [პიესა]. 3 მოქმ. და 6 სურათ. თბ., 1953.

245. ართმელაძე ტ. ალათი. მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან. (მოთხრობების მე-2 წიგნი). ტფ., 1920, კანზე სათაური: „შუამაგალი ალათი“.

246. ართმელაძე ტ. მარკოზა. მოთხრობა. (მოთხრობების 1-ლი წიგნი). ტფ., 1920.

247-248. აროსია ი. ნაპერწყმები. [ლექსები]. თბ., 1957.

კანის მეორე გვერდზე წარწერა: „ბავშვობიდან დღემდე ჯერ დასანახად საოცნებო, შეცვდრისა და გაცნობის დღიდან საამაყოს და სანუკვარ პოეტს, მისაბაძს და სამაგალითოს აკადემიკოსს ძვირფას იოსებ (სოსო) გრიშაშვილს დიდი სიყვარულით და პატივისცემით ავტორი. ილ. აროსია. 1957. 20 დეკემბერი“.

249-250. არღუნელი ს. უკვდავი სახელი. [ლექსები]. თბ., 1959.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს“

ბრწყინვალე პოეტს, კეთილ ადამიანს, ახალ-გაზრდა მწერლების მზრუნველ მოამაგეს. ღრმა პატივისცემით ს. არღუნელი. 23. XII. 53, თბილისი“.

251-252. არჩილი. თხზულებათა სრული კრებული 2 ტომად. აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედ-ით. თბ., 1936—1937. ტ. 1. 1936.

შემუცტიტულზე წარწერა: „ძვირფას სოსო გრიშაშვილს აღ. ბარამიძე. 23-V-36“.

ამონაჭრები გავთვბიდან: 1. რეცენზია: „არჩილის თხზულებები“, მინაწერთ: „მუ-შა“, 1936, № 17, 21 იანვ.“ 2. ტ. რ-ს რე-ცენზია მინაწერთ: „კომ.“, 1936. № 165“.

253-254. ტ. 2. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა. 1937.

ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას სოსოს, აღ. ბარამიძე. 8. IV. 38“.

კანის მე-4 გვერდზე: „ნახლი, 197. მევირე, XXI. ბრატო, XVI“.

255-261. არჩილი. არჩილიანი ანუ მეფე თეიმურაზის პირველის ცხოვრება. ისტ. პოე-მა და სხვა ლექსები. ქუთაისი, 1888.

შემენილია ბუქინისტურ მალაზიაში. ყდაზე დაკრულია ქალაღის ნაჭერი წარწერთ: „არჩილიანი“, 1888 (გასაყიდათ გამოვიდა !?)²⁰). ი. გრ.

„ჯდის მე-2 გვერდზე ფანქერთ: „კვერნა-კი, გვ. 124; ბულბულის ყეფა, გვ. 5; ზურ-ნა, გვ. 131; გ. ჭ-მე 124. (ჭეჭეჭეჭეჭების წინა-პარი)“.

შემუცტიტულზე: „არჩილიანი“. გამოცე-მელი ლაერენტი მაჩიტაძე. I. (იყიდება „არჩი-ლიანი“ — გამოცემა მაჩიტაძე — დიშელისა“). (იხ. „მევირა“). 1891 წ., № 38, გვ. 4. ვანცხ.). II. „არჩილიანი“ (აცხადებს — გამოცემული ლაერენტი დიშელის). ეს წიგნი დაიბეჭდა ორი წლით ადრე და ეხლა გამოვიდა გასაყიდათ. (იხ. „მევირა.“, 1890, № 212).

ქვემოთ წერია: „1888 წ. (პლატონ იოსე-ლიანმა გამოსცა 1853 წ.) ი. გრ.“

გვ. 6. ხაზგასმულია: „ფარსადანის“. მიწე-რილია: „ციციშვი.“ იქვე ხაზგასმულია: „სამი-სა“, მიწერილია: „სამიანი“. ხაზგასმულია: „ცხვირ მოჭრით თვალტრემლიანი“, მიწერილია: „პაჭუა“.

გვ 7 და 8. აღდგენილია ი. გრ. მიერ, მი-სი ხელითაა გადაწერილი და ჩაკრული.

მეორე ცალი უკანაო. თავფურცელი აღ-დგენილია ი. გრ. მიერ.

თავფურცლის მე-2 გვერდზე მინაწერთ: „Дозволено цензурою, Тифлис, 29 января. 1888 г.“

გვ. გვ. 75, 105, 107. ზეველი: „Тифлисская публичная библиотека имени Пушкина.“

მეოთხე ცალი. აკინდულია ი. გრ. მიერ.

კანზე: „ლუბლ. ი. გრ.“.

გვ. 9. ტექსტის წინ „ამ წიგნს აკლია ვა-მომცემლის წინათქმა. ი. გრ. 1942. 3/XI“.

262-264. არჩილი. ცხოვრება მეფისა თეი-მურაზ პირუშლისა. აღწერილი ლექსად არჩი-ლისაგან მეფისა. [პლატონ იოსელიანის კო-მენტარებით და შენიშვნებით]. თფ., 1853.

ხელნაკეთ კანზე: „არჩილიანი — ი. გრ.“

კანის მე-2 გვერდზე: „ძღოეს აღდადგინე — ი. გრ. გვ. 1—8, 71—76“. ი. გრ. მიერ აღდგე-ნილია თავფურცელი, შემუცტიტული და და-სახელებული გვერდები.

წიგნის ბოლოს მინაწერები: „ნუზლი, 30; ბულბულ ყეფა, გვ. 24,30, შუამთა, გვ. 34; ელიონორა აღუზეს მშვენიერ ხელებს. გარსე-ჯან ჭ-მე, 139“.

265. ასათიანი გ. მზე სიოცხლეა. [მოთხ-რობა], ტ., 1930.

266-267. ასათიანი გ. მზე სიოცხლეა. [მოთხრობა]. თბ., 1937.

268. ასათიანი გ. სოფლის ხავსი. პიესა ორ მოქმ. ერთი ინტერმედით თფ., 1927.

269-271. ასათიანი ლ. ადრე წასული კა-ცის ფიქრები. [ლექსები]. თბ., 1958.

თავფურცელზე წარწერა: „პოეზიის დი-დოსტატს — სოსო გრიშაშვილს ანიკო კანა-ძისაგან. 10. XII. 58 წ.“.

კანზე: „პოეტის მეუღლისაგან. ი. გრ.“ მე-ორე ცალს გვ. 69. ლექსი „უცნობი პოეტის რეველიდან“ ხაზგასმულია სტრიქონი: „აღ-რე წასული კაცის ფიქრები“.

272. ასათიანი ლ. ლექსები. თბ., 1940.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1942 წ./I“.

273-276. ასათიანი ლ. ლექსები. თბ., 1944.

კანის ბოლო გვერდზე: „ი. გრ. 1945. 25. III“.

277-278. ასათიანი ლ. რჩეული ლექსები თბ., 1947.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1947. 10/VII“.

279. ასათიანი ლ. რჩეული ლექსები და პო-ემები. თბ., 1956.

280. ასათიანი ლ. წინაპრები. [ლექსები]. თბ., 1942.

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ ქართ-ველ პოეტს — ირაკლი აბაშიძეს პატივისცე-მით, მეგობრობით, ლაღო ასათიანი. 1943 წ. იანვარი. ტფილისი“.

გვ. 4 ლექსში „ქრწანისის ყაყაჩოები“ ხაზ-გასმულია სტრიქონი: „პეი, თქვენ, არაკველე-ბო. გაუმაღლარო ომთა!... არშინაზე: „ეს სტრიქონი ხალხურია (იხ. ა. ყაზბეგის პატარა წიგნი). ი გრ.“

281. ასათიანი ლ. მიწა. მგზავრის წერილე-ბი. თბ., 1935. წიგნში ჩადებულია ვაზე-

თიდან ამოტრილი ა. ს.-ს რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერთ: „კომ.“ 1936, 4 V“.

282. ასათიანი ლ. შავი ქვის ამბავი. თბ., 1934.

283. ასათიანი ლ. ცეცხლი, ფოლადი, ადამიანი. ნარკვევი. თბ., 1934.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილის მეგობრობით. ავტორი. 3.VI.34“.

284. ასათიანი მამია. ხუთი ნოველა. ქუთაისი, 1936.

თავფურცლის მეორე გვერდზე წარწერა: „ამხ. გიგლა მუხუტყის. ავტორი“.

285. ასათიანი მიხ. მტკვრის ბაასი რიონთან. (პოემა). თფ., 1881.

286-287. ასლამაზაშვილი ნ. მოთხრობები. წ. 1. თბ., 1928.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1928, 20/III“.

288. აფხაზი ი. განთიადი. ეპიზოდი საქართველოს წარსულიდან. 4 მოქმ. და 5 სურ. ამონაწერი ჟურნალიდან „მოამბე“, 1904. № 5.

289. აფხაიძე ა. ნაღვილ გზაზე. პიესა 3 მოქმ. თბ., 1957.

290. აფხაიძე ა. ნიშანი ყოფაქცევაში. პიესა 4 მოქმ. 8 სურ. თბ., 1953.

291-292. აფხაიძე შ. გაზაფხულის მელოდები. 1956—1957. [ლექსები]. თბ., 1957.

ფორზაცზე წარწერა: „სიკაბუციის, სიყვარულის, სიცოცხლის პოეტს—ძვირფას სოსოს შ. აფხაიძე. 12. II. 58“.

293. აფხაიძე შ. ლექსები. თბ., 1941.

ფორზაცზე წარწერა: „პირველ და დაუვიწყარ სიყვარულს პოეზიაში—სოსოს შ. აფხაიძე. 25/III 41 წ“.

წიგნში ჩაღებულა გაზეთიდან ამოტრილი ერ. ასტევატუროვის რეცენზია „შალვა აფხაიძის ლექსები“, მინაწერთ: „ლიტ. საქ.“ 1941, № 22“.

294. აფხაიძე შ. ლექსები. თბ., 1945.

კანზე: „ავტორისგან. ი. გრ. 1945. 12/VIII“.

თავფურცელზე წარწერა: „ადამიანის დიდი სიყვარულის დაუძინებელ მომღერალს, ძვირფას სოსოს. შალვა აფხაიძე. 6. VIII. 45 წ“.

თავფურცელზე: „ჩემი ტრიოლეტის მიბაძვა. გვ. 30“.

გვ. 15. ლექსში: „მე აქ ვდარაჯობ შენ წმინდა ნამუსს“ ხაზგასმულია რითმები: „მიყვარს...“ „ამიყვანს“. მიწერილია: „ჩემიდან, „როგორც მაკბეტი“.

გვ. 30. ლექს „ტრიოლეტები“ მიწერილი აქვს: „ი. გრიშაშვილს“. არშიაზე: „ჩემი ტრიოლეტის მიბაძვა-ჩემსას დაუმატე 1 სტრიქონი“.

გვ. 51. ლექსის „მეფრინა. შემომეფრინა“ მიძღვნაში ინიციალები „ნ. თ-ს“ გახსნილია: „ნინო თოიძეს. ცოლია ავტორისა“.

კანის მე-4 გვერდზე: „ამ ლექსებს თარიღები უნდა“.

295. აფხაიძე შ. ლექსები. თბ., 1949.

ფორზაცთან გაზეთიდან ამოტრილი ლევან ასათიანის რეცენზია „Сборник стихов Шалвы Апкашадзе.“ მინაწერთ „Заря“, 1950. 29 იანვ.“

296. აფხაიძე შ. ლექსები. თბ., 1954.

ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას სოსოს, რომლის პოეზიაშიც ჯერ კიდევ სიკაბუცეში მომხიბლა, შემაყვარა ქუთაისის ცა, ოცნება. სამშობლო და სიცოცხლის სილამაზე. ნიშნად ღრმა მადლობისა და პატივისცემის. შალვა აფხაიძე. 14.I. 55 წ“.

ქვევით მინაწერი: „გამოვიდა 1954, 20/XII. ი. გრ.“

297-298. აქუბარდია ე. განთიადისას. მოთხრობები. სოხუმი, 1961.

თავფურცელზე წარწერა: „ქართული ლექსის ჯაგირა— იოსებ გრიშაშვილს დიდი პატივისცემითა და სიყვარულით. ავტორი 10.I. 62 წ., ქ. სოხუმი“.

299. აყვავებული უკრაინის და მზიური საქართველოს ბავშვთა წერილი ამხანაგ სტალინს. [ლექსად შეადგინეს: ლ. ასათიანმა, გ. კალანდამ და რ. მარგინამ], თბ., 1940. 300-301. აწყურელი დ. დასჯილი. დრამა 2 მოქმ. თბ., 1902.

302. აწყურელი დ. დასჯილი. დრამა 2 მოქმ. ოზურგეთი, 1914.

303-304. აწყურელი დ. ორი მშვიტი. ვოდველი 1 მოქმ. გადმოკეთებული. ტფ., 1903. კანი 1912 წლის გამოცემისა.

წიგნის ყუა საყვარავი მანქანით არის გაკერილი.

თავფურცელზე, გვ. 4 და გვ. 16 ბეჭედი: „Судпюр Юсип Г. Мамулов“.

კანზე: „ი. გრ. პირველად დაიბეჭდა 1903 წელს“.

გვ. 2. მომქმედ პირებს უცნობი პირის ხელით მიწერილი აქვს:

დანტენს—„Гришаш.“
ფრანსუსს—„Гайоз . . .“
კაქულისს—„Гулая.“

მეორე ცალის თავფურცელზე: „ეს წიგნი თბილისში მხოლოდ საჯაროშია. ი გრ.“.

305. აწყურელი დ. ორი მშვიტი. ვოდველი 1 მოქმ. გადმოკეთებული. ტფ., 1912.

306-308. აწყურელი დ. ორი მშვიტი. ვოდველი 1 მოქმ. ტფ., 1927.

309. აწყურელი დ. ორი მშვიტი. ვოდველი 1 მოქმ. გადმოკეთებული. ბათომი, 1928.

310. აწყურელი დ. საცოლე ერთის საათით. ვოდევლი 1 მოქმ. რუს. გადმოკეთებულ. თბ., 1902.

311. ახალი ცხოვრება. პიესა ექვს სურათად. ტფ., 1924.

312-313. ახალციხელი ვ. ამანათი. ხალხური თქმულება. ტფ., 1933.

კანის ბოლო გვერდზე: „ვიყიდე უნივერსიტეტის ბუკინისტიკს... 1938. 26 V“.

314-316. ახვლედიანი დ. სეველის პანეგები. [ლექსები]. თბ., 1912.

თავფურცელზე წარწერა: „ნიშნად პატივისცემისა საყვარელ მგოსანს გრიშაშვილს ავტორისაგან“. იქვე: „წინათქმისაში წყობურბი ჩემზე, III, გარდაიცვ. 1941 წ. ი. გრ.“.

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „პატივისცემით ი. გრიშაშვილს, გ. მსხლიაძე. 16. VI. 55 წელი“.

ფორზაცზე და გვ. 17. ბეჭედი: „ქუთაისის მეორე ცხრაწლიანი შკოლის ბიბლიოთეკა“.

317-319. [ახვლედიანი] ს. თავისუფლების მსხვერპლი. დრ. 5 მოქმ. თანამედროვე ცხოვრებიდან. ტფ., 1920.

კანზე: „საშა ახვლედიანია“. პორტრეტის ქვემოთ: „ამ ქამად რუსთ. თეატრის მკერავია ი. გრ.“.

320. ახვლედიანი ს. ლექსები. თბ., 1956.

კანზე: „რეცენზიით ბოლოში“. წიგნის ბოლოს განთიდან ამოკრილი ე. ჭიჭიანიის წერილი „ახალგაზრდა პოეტის პირველი წიგნი“, მინაწერით: „ქიათურის შილაროელი“, 1956 წ., № 104, 31/VIII“.

321-324. ახნაზაროვი ა. ლექსები და სცენები. კიტა აბაშიძის წინასიტყვაობით. კრებული. პირველი. ტფ., 1912.

თავფურცელზე: „ი. გრ. ეს წიგნი დედიჩემი წიგნებიდანაა“. იქვე: „(გარდაიცვ. 1943 წ., 12 სექტ.)“.

წიგნის ბოლო ფურცელზე: „დედას ი. გრ.“.

გვ. 15. ლექსს „უნგრეთის მამულიშვილი“ მიწერილი აქვს: „ლუდვიგ კოშუტი“.

გვ. 47. ხაზგასმულია: „გათახსირა“ და მიწერილია: „გაჩანაგა“.

მეორე ცალის ყდის მეორე გვერდზე განუთის ამონაჭერი: ჩიორა. „ცოლი და ძროხა“. „ნიანგი“. 1933, № 22. ფსევდონიმს „ჩიორა“ მიწერილი აქვს: „ა. ახნაზაროვი“.

წიგნი საგანგებოდ ჩასმულია ყდაში. ყუაზე ამოტიფრულია: „ახნაზაროვი. ლექსები და სცენები. გრიშაშვილი“.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს სახსოვრად. ავტორისაგან. 11/IV, 912 წ.“.

ფორზაცზე: „ა. ახნაზაროვი დაიბადა 1866 წ. ოქტ. გარდაიცვალა 1942 წ. 28

მარტს. ამ წიგნზე რეცენზია ი. გომართელისა მოთავსებულია „თემში“, 1912, №66“. იქვე: „უშეველია“, იხ. 79.

ფორზაცის მეორე გვერდზე: „იხ. ახნაზაროვის ლექსი ქართულ „ხათაბლაში“ — „თურმე დაღოს“. იხ. აგრეთვე „ლიმონა“ „პიონერში“ თუ „ოქტ-ში“, 1936 წ.“.

შენიშვნაში „გამომცემლისაგან“, ხაზგასმულია: „მისი პირველი მოთხრობა „დარისან კიკაბაძე“ დაიბეჭდა 1884 წ. ყურნ. „ნობათში“... მიწერილია: „ნობათი“, 1885 წ. № 3, ი. გრ.“.

გვ. II ხაზგასმულია. „ამ ქამად 45 წლისაა“. მიწერილია: „53 წლისა“.

გვ. 5. ლექსს „არა არ მინდა“ მიწერილი აქვს: „ეს ლექსი მთლიანად აუღია ვინმე კ. ზურაბიშვილს და დაუბეჭდია „ქვალში“ (1896 წ., № 38, გვ. 674), ამის გამო იხ. ა. ახნაზაროვის წერილი („ქვალ“, 1896, გვ. 704). ი. გრ.“.

გვ. 11. ლექსს „ბუნების გლოვა“ მიწერილი აქვს: „ეს აქო მ. ხელთუფლიშვილმა“.

გვ. 59. ლექსის ბოლოს მიწერილია: „დსევდ. ორანი“. იხ. („ივერია“, 1891 წ., № 166). ი. გრ.“.

გვ. 79. ლექსთან „უშეველია“ მიწერილია: I. S. სარჩევში, სადაც აღნიშნულია (*) „აზრი აღებულია“. ამ ლექსზე არაფერია თქმული. მაშინ, როდესაც ეს ლექსი, გარდა სამი უკვლევისა, თარგმანია. ლექსი სასიმღეროა. ერეკა რუსულად: „Надо полагать“ და ეკუთვნის პოეტს კლასიკს (Пет. лиц). მუსიკა ნ. არტემიევისა. მაქვს ხოტი. დაბეჭდილი აგრეთვე ამ ლექსის რუსული ტექსტი იხ. „Дивертисмент“ (კრებული), 1'05 წ., შედგენილი ნ. ვ. კორუცისაგან. გვ. 178“. ლექსის პირველ სტროფებს მიწერილი აქვს: „თარგმ.“, ხოლო უკანასკნელი სამი სტროფი მოხაზულია და მიწერილი: „ეს ახნაზაროვისაა საკუთრად. ი. გრ.“.

გვ. 82. ლექსს „უმანკო ქალი“ მიწერილი აქვს: „იხ. „ტარტაროზი“, № 179, 1928 წ.“.

გვ. 85. ხაზგასმულია ავტორი ლექსისა „ღამის სტუმარი“ გუსტავ ნადო და მიწერილია: „გუსტავ ნადოს მგონი დავ. ერისთავი სთარგმნიდა. იხ. „დროება“, 1875“.

გვ. 87. ლექსის ბოლოს მიწერილია: „ივერია“, 1899, № 56. ი. გრ.“.

გვ. 91. ლექსს „იდილია“ მიწერილი აქვს: „თარგმანია იხ. „ტარტაროზი“. № 179, 1928 წ.“ აქვე, ლექსის ბოლოს მიწერილია: „ამ ლექსს რუსულად ჰქვიათ „Комплимент“ და კუთუნის Ежк-ს. (იხ. „Живая струна“ 18 8 წლის გამოცემა, გვ. 291). მე მაქვს ეს წიგნი.“

გვ. 93. ლექსის ბოლოს: („თეატრი“, 1886 წ., № 39), ქვეშ აწერია „ონ-ანი“. იქვე დაწერის თარიღს დასმული აქვს კითხვის ნიშანი და მიწერილია: „დაწერის თარიღი 1886, 21 სექტ.“

გვ. 94. ლექსის „კინტოს წერილი“ ბოლოს: „იხ. ვაგრძელება „თეატრი“, 1887 წ.“

გვ. 99. ტექსტის ბოლოს დაკრულია ქალღმრთლის ნაჭერი მინაწერით: „ზაზაზხანის პოლიტიკოსები“ ორანისა. („ივერია“, 1888 წ., № 34)“. აქვე მიწერილია: „ფამარელას ელდა“ ორანისა, „ივერია“, 1892 წ., № 253“.

გვ. 111. სცენის „კინტოს ახალ-წელიწადი“ ბოლოს: „ამავე სათაურით „ივერიაში“ კვლავ აქვს ასეთი სცენა. იხ. 1894 წლის „ივერია“, № 1“.

გვ. გვ. 114—115 შორის ჩართულ ფურცელზე დაკრულია ა. ახნაზაროვის ლექსი „საბრალო ქურდი“ მინაწერით: „საქ.“, № 275, 1917 წ.“

გვ. 118. მონოლოგის „რად მიყვარხარ?“ ბოლოს: „ივერია“, 1891 წ., № 1. ეძღვნება ე. ტისას“.

გვ. 119. სათაურს „ოპანეზას ნადირობა“ მიწერილი აქვს: „პირველად დაიბეჭდა „ივერია“-ში, 1892 წ., № 1. ი. გრ.“.

გვ. გვ. 124—125 შუა ჩართულ ფურცელზე დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ა. ახნაზაროვის „ვეზიბ-ფაშას სიმღერა“.

გვ. 144. მოხაზულია ტექსტის „რა მკვლევანებს?“ პირველი აბზაცი, არშიაზე: „ეისრაშია-ნი“, გვ. 224“.

გვ. 158. სათაურს „განმქიქებლის თავგადასავალი“ მიწერილი აქვს: „პირველად დაიბეჭდა „ივ.“, 1896 წ., № 4“.

გვ. 164. ტექსტში მოხაზულია: „აქა ჰბეჭდინენ?“ არშიაზე მიწერილია: „ივერიაში“ ეს ადგილი ასეა ჩასწორებული მეღნიით: „აქ აკეთებენ?“ (1896, № 4). ი. გრ.“

გვ. 169. „განმქიქებლის თავგადასავალი“-ს ბოლოს მიწერილია დაწერის თარიღი „1896 წ.“

გვ. 294. სათაურს „დარისპან კაკაბაძე“-ს მიწერილი აქვს: „ეს დაიბეჭდა „ნობათში“ ა. ა.-ს ფსევდ. გვარჩიეს „ივერიაში“, 1886 წ., № 29“.

სარჩევში ხაზგასმულია ზოგიერთი სათაური და მიწერილია შენიშვნები.

წიგნის ბოლოს, ფორზაცზე: „ფასი 60 კაპ. ი. გრ.“

წიგნში დევს კონვერტი გაზეთის ამონაჭრებით: ა. ახნაზაროვის ლექსები, ნეკროლოგები და სამგლოვიარო განცხადება. აქვე მოთავსებულია ქალღმრთლის 8 ნაჭერი შენიშვნებით ახნაზაროვის ნაწარმოებებზე:

1. „ა. ახნაზაროვის (ჩიორას) ლექსი (თ. დატ.“: 1924, № 15, გვ. 8)“.

2. „განმქიქებლის თავგადასავალი“ („ივერია“, 1896, № 4). ხელწერა ახ... კორექტ. გასწ. აქ აკეთებთ აქა ბეჭდავთ“.

3. „ა. ახნაზაროვე ივ. კავთელის (ი. ჯაჩანაშვილის) აზრი: „ჯერ ცოდნა შეიძინოს და მერე სწეროს“. (იხ. „თეატრა“. 1836 წ., № 4. გვ. 33“.

4-5. „სიტყვები კლასიკისა (Пет. лис.) მუსიკა Н. არტიემივის“.

«Ах, какой прелестный

Миленький ребенок!

И какой толковый

Чуть ли не с пеленок

Начинает мамку

Ножками брыкаться.

Будет баловник он,

Надо полагать.

(«Надо полагать»)

Хвастает мамаша

Умною головкой,

А ребенок милый

С нежною головкой,

На карман папаши

Начал посягать.

Будет править банком

Надо полагать».

6. „გუსტავ ნაღოს „ღამის სტუმარი“, თარგ. ა. ახნაზ. „ივერია“, 1899, № 56“.

7. „შენ ჩემთან ივლი ვიდრე ღმერთად არ გადიქმნები, ვიდრე დაქარგულ უკვდავებას არ ჰპოვებ რული, ვიდრე ძლეული სიცოცხლე კვლავ არ აწყვავდება, ძიების გზაზე დამარხული დამიწებულ“.

ა. შანშიაშვილი — მომცა გიპოუნე „საქ. „დამბატოში“. მგონი ეს ჩემი ლექსიაო. 1934 25/VI“.

8. „ა. ახნაზაროვის ლექსი. „იხ. „საავტორო ფურცელი“ („კომ.“ გამოცემა) № 10, 1941“.

325. ახობაძე ლ. ლექსები. [ი. გრიშაშვილის წინათქმით. თბ., 1918].

კანზე: „ი. გრიშაშვილის წინათქმით“.

326. ახობაძე ლ. სოფლადა. პიესა 2 მოქმ. ამონაჭერი: „ცისარტყელა“, 1920, № 10.

327-328. ახობაძე ლ. ცხოვრების ტალღები. ლექსები. თბ., იოს. მამულაშვილის გამოცემა, 1913.

კანზე: „ეს სხვა ეგზემპლარია. 1917 წელს ეს დაჭერილი წიგნი მეორედ გამოვიდა. ი. გრ.“.

გვ. 1. პორტრეტის ქვემოთ: „ეს წიგნი ცენზორმა ივ. პოლუმორდინოვმა დაიჭირა. ავტორი ციხეში ჩასვეს ი. გრ. P. S. ხაზები პოლუმორდინოვისაა“

წიგნში მრავლად არის ცენზორის მიერ მოხაზული ადგილები.

329-333. ახობაძე ლ. ცხოვრების ტალღები. ლექსები. ი. მამულაშვილის წინასიტყვე. ტფ., 1916.

წიგნში ჩაკრულია ი. მამულაშვილის [ვრი-შაველის] მიმართვა საზოგადოებისადმი ლადო ახობაძისა და მისი ლექსების შესახებ. ტვილისი, 1918 წ.

334. ბააზოვი გ. გელათის ქუჩის დასასრული. [მოთხრობა]. ტფ., 1931.

თავფურცელზე: „ალი არსენიშვილის შენიშვნებით“.

გვ. 29. ტექსტში ხაზგასმულია ადგილი, არწიაზე: „გაცვეთილი მეშჩ. სენტ.“.

გვ. 31. არწიაზე მიწერილია ტექსტიდან გამოტოვებული სტრიქონი: „მაგარე ეს სიტყვები... არ გაუგონია, მისი“... შემდეგ გრძელდება ტექსტის პირველი სტრიქონით.

გვ. 74. არწიაზე: „სიყალბე, სიცრუე, უპიკობა“.

გვ. 110. არწიაზე: „მელოდრ.“.

325. ბააზოვი გ. გელათის ქუჩის დასასრული. მე-2 გამოც. თბ., 1961.

336. ბააზოვი გ. დოლღამარ. მისტერია 4 მოქმ [თბ.], 1929.

337-338. ბააზოვი გ. მუნჯები ალაპარაკდნენ. დრამა 4 მოქმ. 14 სურ. ტფ., 1933

სუპერზე: „ნიმუში ებრაელთა გამოთქმებით“.

339. ბააზოვი გ. ფეთხანი [რომანი]. — შემარის უკანასკნელი სიტყვა. [მოთხრობა]. თბ., 1959.

340 ბააზოვი გ. შემარის უკანასკნელი სიტყვა. [მოთხრობა]. ტფ., 1931.

თავფურცელზე წერია: „ალი არსენიშვილის შენიშვნებით“.

გვ. 27. ხაზგასმულია: „ათას ცხრაას ოცდაათ წელსა...“ იქვე არწიაზე: „ს. იაშვილის ქველმოქმედებით — განწმანთ. მეთოდები“.

341-342. ბაბალაშვილი ი. ლეთის სამართალი. მოთხრობა. ტფ., 1921.

კანზე: „ფალაზა. 4“.

გვ. 9. ტექსტში ხაზგასმულია: „ჩერ შეველ ნოტარიუს მამიკონოთან, მერე აქტიორად ქართლის სცენისა“, არწიაზე: „აქტიორიც ყოფილა“.

კანის მე-4 გვერდზე ჩამოწერილია: „აკ. ბაბაევა. ვ. კოტეტიშვილი, კ. გამსახურდია, კ. აბაშიძე, ს. ფაშალოზ. მარიჯან, ცქვიტი, ილია ადლიძე, მ. უხანაძე, ვ. კუქულაშვილი,

ი. ვიდაჭკორია, ს. ფირცხალავა, ჯრ. რაჭველიშ. მ. საყვარელიძე, ს. დლიანი, შ. დლიანი, დავ. კასრაძე, ნინო ნაკაშიძე. ლევ. მეტრეველი“.

მეორე ცალის კანზე: „ფალაზა“, გვ. 4“.

343. [ბაგრატიონი დ.] წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა. ლექსად თქმული. სანკტ-პეტერბურლი, ჩუით [1819]. ავტორი ტექსტიდან. — დანართი: „მის მაღალ ბრწყინვალე-ბას... თავადს დიმიტრი გიორგის ძეს ბაგრატიონსა“ — გრიგოლ მუხრან-ბატონი.

წიგნს აქვს ხელნაწივი კანი.

თავფურცელზე ხელწერა: „Из книг И. И. Бабие [გაურკვეველია].“

344-345. [ბაგრატიონი დ.] წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა, ტფ., 1876. დანართი მიძღვნა: „თავადის დიმიტრი გიორგის-ძის ბაგრატიონისადმი“. გრიგოლ [მუხრან-ბატონის].

346. ბაგრატიონი დ. წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა. მე-3 გამოც. ზ. ჭიქინაძისა. ტფ., 1895.

347-348. ბაზალღელი ა. სიხარბის ზნე. (ხალხური ზღაპარი). თბ., 1904.

ყუა გაკერილია მანქანაზე ი. გრ. მიერ. მეორე ცალის კანზე: „იშვიათია! ი. გრ.“

349. ბაკურაძე ვ. ახალი ომში გაყვანილ სალდათის გოდება და სხვა ლექსები. ქუთათისი, 1914.

კანზე: „არ არის თბილისში“.

350. ბაკურაძე მ. წრფელი სიყვარული. პიესა 4 მოქმ. 8 სურ. თბ., 1953.

351. ბალაფაძე კ. ლექსები. ბათუმი, 1912.

352-353. ბალანჩივაძე, ვ. ერთი წამი უბედურებადმის. ვოდ. 1 მოქმ. ყვირილი, 1901.

კანზე უწინდელი მფლობელის ხელწერა: „ლ. პოგოსოვი, 1903“. ამ ხელწერას მიწერილი აქვს: „მიფეშეშა ა. ი. გრ.“.

354. ბალანჩივაძე ვ. კულიანი ვარსკვლავი. კომ. 1 მოქმ. თბ., 1921.

355. ბალანჩივაძე ვ. უბედური დღე. ვოდევილი 1 მოქმ. ამონაქერი კრებულისად. გვ. 475—496.

კანი გაკეთებულია ი. გრ. მიერ.

თავფურცელზე: „ავტორი ვ. ბალანჩივაძე. ვასო ბალანჩივაძისა. P.S. მინდოდა მსახური გლუხურად გამკეთებინა ჩემთვის. ი. გრ.“

გვ. 474. მოქმედ პირთა სიაში: „გოგაი-იმერელი ბიქი“-ს გასწვრივ მიწერილია: „გრიშ.“.

ტექსტი ნასწორებია ი. გრ. ხელით ენობრივი თვალსაზრისით.

356-357. ბალიაური ლ. სტუმარი. [მოთხრობა]. თბ., 1939.

თავფურცელზე ბეჭედი: „ლიომილე ცქვი-ტინიძე“.

358-360. ბანოვანი. [გელოვანი დესპინე].

შორეული ლანდები. რომანი. თბ.. 1959.

ფორზაცხე: „ი. გრ. 1959 წ., 15 სექტ.“.

ყდაზე დაკრულია ს. ყურაშვილის რეცენ-ზია ამ წიგნზე, ამოკრილი გაზეთიდან მინაწე-რით: „საბჭოთა ოსეთი“, 1959 წ.. № 237.2 დეკემბ.“.

361. ბარათაშვილი მ. ლექსები. თბ., 1948.

362. ბარათაშვილი მ. საოვენლა. ლექსები. თბ.. 1958. „ყდაზე: „ი. გრ. გვ. 84“.

გვ. 84. ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი ჩანიშნულია.

363-364. ბარათაშვილი ნ. თხზულებანი.

[პ. ინგოროყვას ნარკვევით: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. რედ. კ. კეკელიძე. სარედ. კომისია: ი. გრიშაშვილი და სხვ.] თბ.. 1945.

ფორზაცხე: „ი. გრ. 21/X—1945. ოპერა“.

იქვე მიყრულია „შესწორებანი“-ს პირველი ვარიანტი, რომლის არშიაზე მიწერილია: „ეს შესწორებანი არც ერთ წიგნში არ არის შესუ-ლი. ი. გრ.“ იქვე დევს წიგნში დაშვებული კორექტურული შეცდომების სია, რომლის არშიაზე წერია: „შეცდომის გასწორების მე-2-ე და საბოლოო ვარიანტი. ი. გრ.“ მიყრულია ქალაღლის პატარა ნაჭერი წარწერებით: „გვ. 36 „Баратаев Михаил Петрович.“ 1784—1856, 30 წ. ლის (იხ. ვენერლის Словарь-и) 1839—1844 წლად იუ კავკასიაში управляющим та-можным округом. პეტერბ. 1844 წელს გამოს-ცა ნ. შიშხატაიკის წიგნი. Б. энци. изд. Прав. ტ. II.“

ფორზაციის მეორე გვერდზე: „1945. 21 ოქტ. ბარათაშვილის საღამო. ოპერის თეატ-რი. P. S. ასეთი ვგვებმლარი სულ 100 ცა-ლი გამოვიდა—საიუბილეო საღამოზე იყი-დებოდა. ამ სახით ეს გამოცემა აღარ გამოსუ-ლა გასასყიდთ. ასე, რომ ეს ცალი იშვიათო-ბა!“. ი. გრ.“.

შეუცტიტულზე: „ჩემი შენიშვნები—იხ. „შემოღამება მთაწმინდაზე“. იხ. ლექსიკონი. იხ. კომენტარიები“.

გვ. 4. მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „მიმ-ქრალებული, ჰნათობს“. არშიაზე წერია: „მი-მქრალი (იხ. ლექსიკონი), თუ მიმქრალია რო-გორ ჰნათობს? ი. გრ.“.

გვ. 6. მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „იღუ-მილობა“. გვერდზე წერია: „სიჩუმე. დუმილი-დუმილობა“.

გვ. 36. „ენიას მ... კ...ქის ბარატაევს“, ხა-ზასმულია: „კ...ქის. გვერდზე წერია: პ (?“).

გვ. 68. პირველ სტრიქონში ხაზგასმულია: „მწუხროვანსა“. გასწვრივ წერია: „მწუხრო-ვანსა“.

გვ. 69. ბოლო სტროფი მოხაზულია, არში-აზე წერია: „აკლია სტრიქონი“.

გვ. 71. მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „შენ-თის“, მიწერილია: „შერთის“. იქვე მე-6 სტროფში ხაზგასმულია: „თელა მელვარი“. გასწვრივ: „თვალთ მელვარი“.

გვ. 104. მე-3 აბზაცში ხაზგასმულია ადგი-ლები. არშიაზე მიწერილია: „იხ. 1922 წ. გა-მოც. გვ. 155. მოლაყბის“.

გვ. 105. მოხაზულია გვარი „სენკოვსკი“. არშიაზე კითხვის ნიშანი და მინაწერი: „ის სხვა სენკოვსკი ზომ არ არის?“.

გვ. 161. მოხაზულია სიტყვა: „აღტველა“. არშიაზე: „ზეოთა ხელთა შემოკრება (სა-ბა). ჩვენებურად ტაშს ნიშნავს, ვაღატანით მრით. ზმარობა, ტყრციალი და სხვ. (იხ. ა. ჭ.)“ წიგნში ჩადებულია ქალაღლის 10 პატარა ნაჭერი შენიშვნებით:

1. „ნ. ბარათ. სუნუნელება-სუნი. ეს სიტყვა მგონი პირველად ბარათაშვილმა შემოიტანა. მერე აქედან მეოცე საუკუნეში გაკეთდა სურნე-ლება“.

2. „ნ. ბარათ. მისტეხა, მიამტვრია, გატეხა — ასეთი ახსნა არ არის სწორი. საბას აქვს „კისნატეხა-ქვა შავი. ჭიქის მსგავსი“, გვ. 418“.

3. „ნ. ბარათ. ფურცენილი-დამჭკნარი, უფ-ოთლო, დაფურცელი. ეს სიტყვა მასიურ გამოცემაში არ არის ახსნილი. დ. კ-მეილი კი ასე განმარტავს „ფურცენილი—ე. ი. გაფურ-ჩენილი“—რაჲ შეცდომაა“.

4. „სანათური. ნ. ბარათაშვილის საიუბილეო გამოცემაში მოთავსებულია ლექსიკონი. იქ რამდენიმე შესწორება მინდა შევიტანო ზოგი-ერთი სიტყვის გამოხსნით. სანათურის შესა-ხებ ასეა დაბეჭდილი „სანათური-ქნარი“, მეტი არაფერი. სანათური არის ყუთისებური ბრტყე-ლი სიმებიანი საკრავი. ეს ყუთისებური საკრავი დამკვერღმა წინ უნდა დაიდგას. აქვს ბევე-რი სიმი, ამ სიმებზე ჩაქუჩისებური ხის ჩასარ-ტეხელთ უკრავენ. (ტრაპეციის მსგავსია)“.

5. „ბარათ. შეფერიფინილი, „განთიადით. ლამდმდე შეფერიფინილი კოკრობას“, ესე იგი—ხსნიან ბარათაშვილის მელექსიკონები—შეეხაროდი ვარდის კოკრის გაუშლულობასო. მე კი ვამბობ: შეესტროფოდი მის დაბადებას. რომ კოკორი (ბუტკო) გამოვლო. მთელი ლექ-სი თავის ფინალით ამას ლაღადებს“.

6. „ნ. ბარათ. ხელთაოპრობილი. ასე ხსნიან, ხელი გამმართველი, შემწე, მფარველი“.

7. „ნ. ბარათ. არ არის შეტანილი საცღმო-თა თუ საცლითა“.

8. „ნ. ბარათ. უსანგო—беспредметность. მიუსაფარი—бесприютность“.

9. „ნ. ბარათ. ხეაშიადი—გულისნადუპაო. ხეაშიადი—საიდუმლოა. „სატრფოვ, მახსოვს“.

10. „ნ. ბარათ. სანთური ცუდათაა ახსნილი“.

365-369. ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. გ. ლეონიძის შესავ. წერილით. თბ.. 1945.

ფორზაცზე: „პირველი გამოშვება. ი. გრ.“.

გვ. 98. კომენტარებში: „ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის“ მოხაზულია პირველი აბზაცი და არშიაზე: „101 (აჟად)“ იქვე ხაზგასმულია: „მართა სოლოლაშვილი“ და ზემოდან აწერია: „ზ. კ.-ძის ცნობით“.

გვ. 104. ხაზგასმულია შენიშვნა: „არის ცნობები, რომ რახაელ ციციშვილი წერდა ლექსებს. მიწერილია: „(იხ. ჩემი ა. კ.-მე)“.

გვ. 106. ხაზგასმულია: „პოეტის დის ბარბარე კეზირიშვილის სიტყვით...“ არშიაზე მიწერილი: „იხ. 1922 წ. გამოცემა“.

ფორზაცთან გაზეთიდან ამოკრილი „მკითხველის“ სტატია „რიჩინსკი“ თუ სოფელი რიკა? არშიაზე მინაწერი: „ახალ. კომ.“, 1945 წ. № 124. 17 ნომებზე“.

მესამე ცალის ყდაზე: „აქ შეცდომის გასწორება (მეორე გამოშვება)“.

370. ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. [თბ.], 1954.

ფორზაცზე: ი. გრ. 1954. 5/XII“.

გვ. 151. ლექსიკონში სიტყვას: „ხეაშიადი-გულისნადები“ — მიწერილი აქვს: „საიდუმლო“.

გვ. 152. ხაზგასმულია რედაქტორის სახელი, გვარი და მითითებულია: „(იხ. სარჩევი)“.

371. ბარათაშვილი ნ. ბედი ქართლისა. ისტ. პემა. ბათუმი. 1911.

„კანზე: „იშვითათა! მხოლოდ ლენინგრადშია“.

372-378. ბარათაშვილი ნ. ბედი ქართლისა. თქმული წელსა 1839 ტფილისს. ტფილისი, 1916 ავტორგრაფული გამოცემა.

ფორზაცზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტორგრაფი. ი. გრ.“. მეორე ცალის ბოლო გვერდზე: „გამოვიდა 1916 წელს ჩემი ტექნიკური თანამშრომლობით. ი. გრ.“.

379-380. ბარათაშვილი ნ. ბედი ქართლისა. [თბ.], 1945.

თავფურცელზე: „ი. გრ. გამოვიდა 1946 წ. 1/II“.

381. ბარათაშვილი ნ. ბედი ქართლისა. თბ., 1958.

382. ბარათაშვილი ნ. ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან. თბ.. 1876.

თავფურცელზე: „პირველი გამოცემა ი. გრ.“.

წიგნში დეკს: 1. გაზეთიდან ამოკრილი კ. კეცელიძის წერილი „ნ. ბარათაშვილის თხზულებათა ახალი გამოცემისათვის“ მინაწერით: „კომ.“, 1945, № 46, 6 მარტი“. 2. კა-

ლენდრის ფურცელი წარწერით: „ნ. ბარათაშვილის ყველა გამოცემანი. ი. გრ.“.

383-386. ბარათაშვილი ნ. ლექსნი. მე-2 გამოც. თბ., 1879.

კანზე მიწერილია: „გვ. 40 იხ. აღდგენილი სტრუქონი. ი. გრ.“

გვ. 40. ტექსტში: „რასა ეიპოვით ჩვენს სიოცხლში“ — ამ სიტყვების მომდევნო სტრაქონი აღდგენილია უცნობი პირის მიერ. აღდგენილი სტრაქონის შესახებ იხ. ი. გრიშაშვილის შენიშვნა წიგნში: „ბარათაშვილი ნ. ლექსები. ტფ.. 1922 წ., გვ 84“.

387-389. ბარათაშვილი ნ. ლექსნი და მისი ნაწერები. მე-3 შეეს. გამოც. თბ.. 1885.

ყდაზე დატრულია ქალაქის ნაპერი წარწერით: „III გამოცემა ი. გრ.“.

ყდის მეორე გვერდზე: „1. ამ გამოცემაში „ფიქრნი მტკერის პირას“ სხვა რედაქციითა დაბეჭდილი. 2. როდის გამოვიდა ეს წიგნი? იხ. გარეკანი. ი. გრ.“.

ფორზაცზე: „ა. კ.-სთვის, გვ. 94. 95, 83“.

თავფურცელის მეორე გვერდზე: „იხ. ჩონგური. გვ. 78. ი. გრ.“.

სარჩევში ხაზგასმულია: „ეპოვე ტაძარი“. მიწერილია: „ამას კირილე ლორთქიფანიძის „ჩონგურში“ „ფანტაზია“ ჰქვიან. იხ. გვ. 78 ი. გრ.“.

გვ. 79. ხაზგასმულია: „ჩვენს დიდს პ-ს ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაქენბარდზედ“.... მიწერილია: „პ. იოსელიანს“.

გვ. 80. დანიშნულია ლექსის სათაური: „ფანტაზია“, მიწერილია: „იხ. „ეპოვე ტაძარი“. აქვე შესწორებულია თარიღი, წერია: „1881“, უნდა იყოს: „1841“.

მეორე ცალის ფორზაცზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ელ. ქართველიშვილი“. იქვე: „ეყიდილე მაღაზიაში. ი. გრ.“.

390. ბარათაშვილი ნ. ლექსები. მე-4 შეეს. გამოც. ტფ., 1890.

თავფურცელზე: „ეს წიგნი არა აქვს აღნიშნული დ. კარიჭაშვილის თავის კატალოგში. ი. გრ.“.

გვ. 66. ტექსტის ბოლოს მიწერილია: „სრულია“.

391-397. ბარათაშვილი ნ. ლექსები და წერილები. გამოც. მე-5. ტფ., 1895.

კანზე სათაურის ქვეშ წერია: „ე. თაყაიშვილის და დ. კარიჭაშვილის რედაქციით. (სწორია!), იხ. ცნობა „Описание“, ტ. II და „ქვალი“. 1895. № 47. 48 .ი. გრ.“.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს ძმა სოსოს, ნიკოსაგან. 1929 წ.“ იქვე აღინიშნულია პატრონის ხელწერა: „გოტიორიძის წიგნებთან“.

მეორე ცალში ჩადებულია გაზეთიდან ამო-
ჭრილი ალ. გვასალიას წერილი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, მინაწერთი: „კომ.“, 21 ნოემბ., 1938 წ. № 266, ი. გრ.“.

მესამე ცალში ყუაზე ამოტვიფრულია: „ს. ხ.“ ფორმატზე: „მგონი ს. ხუნდაძის წიგნი უნდა იყოს“. ი. გრ. 1955. 21/1. ღუბლ.“.

თავფურცელზე ინიციალებთან „ს. ხ.“ წერია: „სილ. ხუნდაძის ნაქონი წიგნი“. P. S. „ს. ხ.“ სილ. ხუნდაძის ხელია. ი. გრ.“.

გვ. 98. ხაზგასმულია სტრიქონი. არშიაზე წერია: „არ გვისმის ოხვრა. ოხვრის მიზეზო! (ალ. ჭ-ძე) ი. გრ.“.

გვ. 108. მე-3 აბზაცში ხაზგასმულია ადგი-
ლენი, მიწერილია: „იხ. გვ. 111. ი. გრ.“.

გვ. 109. ხაზგასმულია სიტყვა: „ჩურჩუმები“, მიწერილია: „ჩურჩუმები? (ჩორუმცები?) ი. გრ.“.

გვ. 110. ხაზგასმულია: „ქიზგას“. მიწერი-
ლია: „ქიზგა? ი. გრ.“.

გვ. 112. ტექსტში გადახაზულია „სათარას“, გასწვრივ სხვა ხელით წერია: „სათარას (გვ. 117)“. იქვე მიწერილია: „ს. ხუნდაძის ხელია. ი. გრ.“.

გვ. 72. ტექსტის ბოლოს: „ოთხივე მოთხრო-ბა ერთი-ერთმანეთზე უყუთესია. გულ-წრფელ შინაარსს ამშვენებს სადა ქართული ენა, ლა-ღად გამოთქმა აზრების და ადვილად შესათვი-სებელია თვით უსწავლელ, წერა-კითხვის ღა-რიბად მცოდნეთათვისაც... თურმე ზოგიერთ მწერლისთვის ციხეში ჯდომა კარგი ყოფილა. ცოცხლოს ავტორმა. ჯანი ი. გრიშაშვილი. კის-ლოვოდსკი 17 ივნისი. 1915 წ.“

730-732. გელევანიშვილი ი. მოთხრობები: [თბ.], 1927.

შეუცტიტულზე: „ი. გრ. 1933, 10. V“.

733. გელევანიშვილი ი. მოჩვენება. (მოთხ-რობა სოფლის ცხოვრებიდან]. ტფ., 1928.

734-737. გელევანიშვილი ი. მსხვერპლი. ღრამა ვ მოქმ. სოფლის ცხოვრებიდან. ამონა-კერი წგ-დან: „ღრამები და კომედიები“, ნედგ. ვ. აბაშიძის მიერ. ტფ., 1911.

ხელნაკეთ კანზე: „მსხვერპლი. ეს წიგნი ეკუთვნის ი. გრიშაშვილს. გადასწერეთ და ისევ მას დაუბრუნეთ. ი. გრ. 1938, 29/4“.

წიგნში დევს: I. ი. გრიშაშვილის მიერ წვდენილი აფიშა, ზომით 35X22, ერთ გვერდ-ზე წერია:

„ოპერის თეატრი. ორშაბათს, 11 თებერ-ვალს, 1929 წ. სრულიად საქ. საბჭოთა მწერ-ლებს ფედერაცია თავისი ფონდის გასაძლიერ-ებლად ჰპირთავს ღირ საღამოს. I. ქართვე-ლი პოეტები ითამაშებენ „მსხვერპლს“. პირვე-ლი მოქ. ი. გელევანიშვილისა.“

მოქმედნი პირნი:
სანდრო შანშიაშვილი — გიგო.

ი. მოსაშვილი — ვანო...

არ. ჭუმბაძე — პრისტავი.

ილ. ელფთერძე — სტრაჟნიკი.

კონ. ლორთქიფანიძე — „მისარი“.

გ. ქუჩიშვილი — სეიფონი.

ი. მჭედლიშვილი — მისო.

ი. გრიშაშვილი — საქო

ელ. პოლუმორდვინიოვი — დუქნის ბი-ჭი.

მარ. გარიყული — ენოს დედა.

მარიჩანი — ტეტიაშვილის მეუღლე.

სანდრო ეული — მამასახლისი.

ნიხ. ჭავჭავიძე — ვაბო.

ს. ერთაწმინდელი — ლუკა.

შ. გაჩეჩილაძე — ბასილა.

რეჟისორი: ალ. წუწუნავაძე.

სუფლორი: მარი ციციშვილი?.

მეორე გვერდზე ფანქრით:

„პ. იო.“

ენარ ფანტაშვილი — ა. ქუმბაძე.

ტუპილი-კორიანცა — მ. ჭავჭავიძე ი. ი.

აკოფა — გრიშაშვილი.

კოტე — მოსაშვილი.

სონა — მარიჩანი.

ქაბ:ტო —

ხანუმა —

პეპია —

2. ქალაღი ზომით 26X21. ერთ გვერდზე მელნითა და ფანქრით:

„ქართ. მწერ. ფედერაცია თავისი ფონდის გასაძლიერებლად ჰპირთავს ღირ საღამოს.“

მსხვერპლი

გიგო — სანდრო შანშიაშვილი (ლევ. მეტრეველი),

ენარ — ი. მოსაშვილი.

პრისტავი — არ. ჭუმბაძე.

სტრაჟნიკი — ი. ელფთერძე.

მამასახლისი — სანდრო ეული (ლევ. მეტრეველი) [გადახაზულია].

საქო — გრიშაშვილი.

შაქო — ელიზ. პოლუმორდვინიოვი.

მარიამი — შ. გარიყული.

ნატო — მარიჩანი.

მისარი — კ. ლორთქიფანიძე.

სეიფონი — გ. ქუჩიშვილი.

ვაბო — მ. ჭავჭავიძე რლი.

მისა — რ. მჭედლიშვილი (ს. შანში)

ზუსტად... შ. გაჩეჩილაძე.

ლუკა —

ხალხი.

დაღმა: ალ. წუწუნავაძე ი.

3. ქალაღის ფურცელი 35X21. ერთ გვერ-დზე მელნით: „უნდა ჩააბაროთ მოწვე. ბარათი:

1. სანდრო შანშიაშვილის — [ს. შან-შიაშვილის ხელმოწერა ფანქრით]

2. ი. მოსაშვილის — [მიწერილია ფანქრით: ნივლი ჩასაბარებლად გ. რევაზიშვილი]

3. გ. ქუჩიშვილის — [უცნობის ხელით, ფანქრით: მივიღე ჩასაბარებლად. გ. რევა-ზიშვილი].

4. ა. ქუმბაძეს [ა. ქუმბაძის ხელმოწერა წითელი მელნით].

5. მ. ჭავჭავიძის [მ. ჭავჭავიძე-ის ხელმოწერა წითელი ფანქრით].

6. ი. ელფთერძე (ილია ზურაბი-შვილი).

7. სანდრო ეული [ხელმოწერა].
8. შ. გაჩეჩილაძე [ხელმოწერა].
9. ელიზ. პოლუმორდვიანოვი.
[ფანქროთ: შ. ქურდიანი].
10. მ. გარიყული — [ხელმოწერა მელნით].
11. მარიჭანი — [მარიჭანის ხელმოწერა ფანქროთ].
12. კ. ლორთქიფანიძე — [კ. ლორთქიფანიძის ხელმოწერა მელნით].
13. ი. მ. მჭედლიშვილი [ი. მ. მჭედლიშვილის ხელმოწერა მელნით].
14. ი. გრიშაშვილი — ი. გრ. [ფანქროთ].
15. ალ. წუწუნავა — [ალ. წუწუნავას ხელმოწერა ფანქროთ].
წარმოდგენა დანიშნულია 11 თებ. ოპერის თეატრში.

რეპეტიცია დანიშნულია 28 იანვარს. ი. გრ.“
მე-2 გვ. ფანქროთ:
„1. პლ. იოსელიანი.

ხანუმა

1. ვანო თავ. — კუმბაძე
 2. ტუთილ-კოტიანიძე — მ. ჯავახ.
 3. კოტე — მოსაშვილი.
 4. აყოფა — გრიშ.
 5. ქაბატო —
 6. ხანუმა. “
 4. მანქანაზე დაბეჭდილი:
 1. „მსხვერპლიდან“ ლუკას როლი.
 2. იქიდანვე პირველი ბიჭის როლი.
 3. იქიდანვე მეორე ბიჭის როლი.
- 728—743. გედევანიშვილი ი. სინათლე. ზღაპარი — ფერია 3 მოქმ. და 7 სურ. ნაწ. 1—2. ავტორის მოკლე ბიოგრ. და სურათ. თბ., 1914.
ნაწ. 1 კანზე: „ავტორის ფაქსიმილეთი. ი. გრ 1943. 22. XI. P. S. ვიყიდე ბუქინისტურ მაღაზიაში“.

თავფურცელზე წარწერა: „19²⁷/_V 14 წ. ამხანაგს და მეგობარს ტრიფონ რამიშვილს ავტორისაგან ნიშნად თანაგრძნობისა და პატივისცემისა, ი. გედევანიშვილი“.

წიგნში ჩადებულ ქაღალდის ნაჭერზე: „ეს ბევრი არ არის თბილისში — არა აქვს პალატას“.

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერა: „მშვენიერების მშვენიერს მქადაგებელს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. ი. გედევანიშვილი“.

ი. გრ. ხელით: „ტფილისი, 4 ივნისი. 1914 წ.“

744 გედევანიშვილი ლ. გულ-კეთილი ბავშვი. თბ., 1912.

კანზე. „ე. წიგნი თბილისში არ არის. ი. გრ.“

745 გედევანიშვილი ლ. მგზავრის ლექსები. ტფ., 1924.

თავფურცელზე წარწერა: „სულით და გულით გიძღვნით ამ უმნიშვნელო ნაშრომს. ჩვენო ძვირფასო და სასიქადულო მგოსანო იოსებ. ღრმა პატივისცემით ავტორი“. ხაზგასმულია სიტყვა: „ავტორი“. მიწერილია: „11. IX. 1924 წ.“

გვ. 6. წინასიტყვაობის ბოლოს: („ობოლი მუშა“).

746. გედევანიშვილი ლ. სიზმართა სამფლობელოში. თფ., 1913.

747-748. გელაშვილი გ. როდესაც თენდება. ნოეულები. თბ., 1961.

749-750. გელაშვილი ვ. ბავშვებისადმი. [ლექსები]. სტალინირი, 1953.

ფორზაცზე: „ჩემი ლექსის ბიძგიო! გვ. 77. ი. გრ. 1953. 10 V“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ღეფექ. 77“.

ეს ფურცელი ამოხეულია.

751-752. გელაშვილი ვ. ერთი მეცხვარის ამბავი. [ნარკვევი]. თბ., 1952.

თავფურცელზე წარწერა: „პატივისცემით, იოსებ გრიშაშვილს — ავტორისაგან. 1. XII. 52 წ. ქ. სტალინირი“.

753. გელაშვილი ვ. ლექსები. სტალინირი, 1948.

ფორზაცზე წარწერა: „პატივისცემით იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. 1. XII. 52 წ. ქ. სტალინირი“.

754. გელაშვილი ვ. მთები და ადამიანები. [ლექსები]. სტალინირი, 1958.

თავფურცელზე წარწერა: „პატივისცემით იოსებ გრიშაშვილს. ავტორი. 9. 6. 58 წ. ქ. სტალინირი“.

755. გელაშვილი ვ. მშვიდობა. ლექსები და ზღაპრები. სტალინირი, 1952.

ფორზაცზე წარწერა: „პატივისცემით იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან. 1. XII. 52 წ. ქ. სტალინირი“.

აქვე დევს ვ. გელაშვილის მებრ. 1. XII. 52 წ. გამოგზავნილი ბარათი ი. გრიშაშვილისადმი. ბარათის შინაარსი ასეთია: ავტორი საჩუქრად უგზავნის ი. გრიშაშვილს თავის წიგნებს და თხოვს მათ კრიტიკულ შეფასებას პრესის ფურცლებზე.

756-757. გელაშვილი ვ. მწვანე ფურცლები. [ლექსები. ი. გრიშაშვილის რედ.]. სტალინირი, 1961.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემი პატარა კრებულის დიდ რედაქტორს, საქართველოს სასიქადულო, საბალნო პოეტს იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან დიდი პატივისცემით. 15. 6. 61 წელი. ქ. სტალინირი“.

758. გელაშვილი ვ. სიმღერები გამარჯვებულზე. სტალინირი, 1951.

ფორზაცე წარწერა: „პატივისცემით იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან. 1. XII. 52 წ., ქ. სტალინირი“.

759. გელაშვილი ვ. ფიქრის გზები. [ლექსები და პოემები]. სტალინირი, 1959.

ფორზაცე წარწერა: „პატივისცემით საქართველოს სახალხო პოეტს იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან 6 სექტემბერი, 1960 წელი. ქ. სტალინირი“.

ფორზაცე და თავფურცელს შორის ჩადებული ვლ. გელაშვილის წერილი. მიწერილი 1960 წლის 6 სექტემბერს ი. გრიშაშვილისადმი

760. გელაშვილი ვ. ღია ბარათი. სტალინირი. 1957.

თავფურცლის მეორე გვერდზე წარწერა: „ხუტა ბერკულაის პოეტს და ამხანაგს ავტორი. 3.8.57 წ. ქ. სტალინირი“.

761. გელაშვილი ლ. მწვენი აკვანი. [ლექსები]. ბ. თუში, 1958.

769. გელაშვილი ჭ. და ორბელი ვ. სოლომონ შობებლაძე. კომედი 2 მოქმ. და 4 სურ. დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით. თბ., 1941.

763. გელოვანი მ. ლექსები. თბ., 1954.

764. გელოვანი მ. შეენაბადა. ლექსები. თბ., 1956.

765. გელოვანი მ. ცხრაკარა. ლირიკა. თბ., 1960.

766. გელოვანი ქ. ლექსები. [ტფ., 1896]. წიგნი შეკერილია.

767-768. გერასიმძე ა. ცხოვრების დარჯაჟა. (სურათები). ქუთაისი, 1918.

თავფურცელზე ავტორის გვართან მიწერილი: „გარდაიცვალა-გაგიჟდა. (ასომამწყობი იყო)“.

769. გერგეხელი კ. გზა-ჯვარედინზე. დრამა ოთხ მოქმ. — ამონაბეჭდი: „ცისარტყელა“, 1920. № 4, 5.

წიგნი შეკერილია.

სათურთან წერია: „ნიკ. გერგეხელი. ი. გრ. „ცისარტყელა“, 1920 წ. № 4, 5“.

770. გერგეხელი კ. ელეონორა. დრამა 3 მოქმ. ა. ყაზბეგის მოთხრ. გადმოკეთ. ამონაბეჭდები ქურნ. „თეატრი და ცხოვრების“ 1924 წ. № 18, 20 და 21-დან.

ხელნაკეთ კანზე: „ქ. ნ. გერგეხელი. ელეონორა. დრ. 3 მოქმ.“

771. გერგეხელი ნ. ნილაბ ქვეშ. დრამა 3 მოქმ. თბ., 1922.

კანს და თავფურცელზე: „ი. გრ. 11/IV 22 წ.“

772-773. გეწაძე ა. ხმა მოისმის. ლექსები. თფ., 1933.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს ძვირფას მე-

გობარს პოეტ ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან. 2/X-1935 წ.“

774. გეწაძე ა. ლაზარეს წყარო. მოთხრობა. თბ., 1957.

775. გეწაძე ა. ჩემი ასეული. ლექსები. თბ., 1953.

776. გეწაძე ა. ცისარტყელა. [ლექსები], თბ., 1960.

777. გვაზავა გ. „პატონიშვილი ლეიანი“. [პოემა]. თბ., 1895, ფოტოპირი.

შეხვეულია ქალაღმში, რომელზედაც წერია: „მასალაბისთვის: ზოგმა პოეტმა ლექსი ისე გაიგო, როგორც რითმის მიგნება. ეს წიგნი მხოლოდ ლენინგრაღში! 1946. 25/VII. ი. გრ.“

778. გვაზავა გ. ლანდი. [ლექსები]. თბ., 1904.

აკინძულია წიგნთან: „გვაზავა გიორგი — „ჯაბა ჯაიანი“, 1897.

779. გვაზავა გ. ლილო. [პოემა]. თბ., 1895. ფოტოპირი.

780. გვაზავა გ. როსტომელა. ქართული ზღაპარი. პარიზი, 1937.

კანზე: „1946 წ. 20/I — ი. გრ.“

კანის მე-4 გვერდზე: „Кахабер-ის ფსევდონიმი ექ. თაყაიშვილისაა. (იხ. „Кавказ. Вестник“-ში). რუსული ფსევდონიმი თაყაიშვილს ეკუთვნის, ქართული ბოცკაქეს. ი. გრ.“

781-783. გვაზავა გ. შალვა ოდიშელია. [პოემა] თფ., 1905.

მეორე ცალი აკინძულია წიგნთან: გვაზავა გიორგი — „ჯაბა ჯაიანი“, 1897.

784. გვაზავა გ. ჩემი ლექსები. პარიზი, 1939.

გვ. 5. ლექსის სათაურთან მიწერილია: „შე-უცვლია ავტორს. (იხ. ჩემი ქურნ. „ლილია“)“.

გვ. 7 არშიაზე: „შეუცვლია ავტორს“.

გვ. 10. ლექსის სათაურთან „ნინოს“ მიწერილია: „(თავის ცოლია)“. დასაწყისში ჩამატებულია ერთი სტროფი: „ტურფამ მითხრა: ლექსის წერა, იცი. მგარამ იმაშიო, სულ არ ისმის გულის ძგერა, მის ცოცხალი თამაშიო“.

785. გვაზავა გ. ჯაბა ჯაიანი. მოთხრობა ლექსად. თბ., 1897.

აკინძულია 5 წიგნი.

წიგნი ჩასმულია საგანგებო ყდაში. ყუბზე ამოტვიფრულია: „გ. გვაზავას ნაწერები — ი. გრ.“

ყდის მე-2 გვერდზე: „ტაში“, (ჯაბა) გვ. 7. ასონანსები, გვ. 21, 56. (შალვა ოდიშელია)“.

ფორზაცეზე: „1) ჯაბა ჯაიანი (პოემა), 1896.

2) ბერანძე ქართულად, 1898. 3) ლანდი (ლექსები), 1904. 4) შალვა ოდიშელია (პოემა), 1905. 5) ანტიგონე (თარგმანი), 1912. იხ. II ვკ.“

ფანქროთ: „1. „შანშეს“ აუგად იხსენიებს ილია ჩიქოვანი — პონტელი. (ი. ი., 1894 წ., № 27, 28 5 თებ.) 2. პ. უმიკაშვილი აქებს გ. გვაზავას. (იხ. „პუშ. სპე-ინსტ. შრომები“, 1941 წ., № 1 გვ. 60) მ. ზანდუკ. პუბლიკაციები. „1. აკაკი არჩევას თავის „კრებულში“, (1898, №) გვაზავას ბერანეეს. იგივე აკაკი უძღენის ლექსს — გვაზავური (იხ. „ივერია“, 1904 წ., № 144). II. ა. ახანა. (ივერია“, 1895, № 43). III. გრ. ყიფშ. „მოამბე“, 1895. № IV). IV. „მოამბე“ არჩევს ბერანეეს („მოამბეს“, 1899, № 1)“.

„საღვთა წიგნაკებდა გამოვიდა გვაზავას შემდეგი პოემები: „1. ბატონიშვილი ლევან და ლილო. ეს ორი წიგნი თბილისში არსად არ არის. ხოლო ერთი პოემა: „პ. „შანშე“ დაბეჭდილი აქვს უფრო ადრე „ქვალში“, 1893 წელს № 39. მეორე რ. ხომელის ეურნალ „განთიადში“ დაბეჭდა: „ლიაქე ნიკო“ — 1915 წ., № 15, 16, 17, 18, 19“.

ფორზაციის მე-4 გვერდზე: „წერილი ლექსები: 1. *** (გამიგონე) დაბეჭდილია ეურნალ „ქვალში“, № 40, 1893 წელს. 2. *** (მზად ვარ წავიდე), გუნიას „ქალღმადარში“, (გვ. 59). 1896 წელს. 3. *** (სანამ მე ცოდნა, იქვე.. (გვ. 86). 4. *** (დამშვიდლი), „ივერია“, ც. თუზანიშვილისა) № 7.

5. „დავა“ (ებრაული გადმოცემა) ივერია № 12.

6. „წითელი შალი“ № 14 } 1901.

7. „პოი, სოხებო“. № 19 }

8. „დედა-მოვა“ (ლეგენდა) . . . „თემი“, № 75, 1912 წ. 9. შემოდგომა (ალმანახი „ერთობა“ გუნიასი. 10. იალბუზი („საქართვე“, 1908, № 5, გვ. 3)“. ფანქროთ: „ბევრი აქვს ე. გუნიას ეურნალებში“.

ყდის მე-3 გვერდზე: „ამის ორი წიგნი „ბატონიშვილი ლევან“ და „ლილო“ არის მხოლოდ რუსეთში. (იხ. „ქართული წიგნი“, 1940 წ.)“.

786. გვანცელაძე ი. (ქნარი). უკანასკნელი ყვავილები. (ლექსები). თბ., 1920.

787. გვანცელაძე ე. მკურნალები. პიესა 1 მოქმ. [თბ., 1932].

კანზე: „ნიკო გვანცელაძე. ძმა პოეტის „ქნარის“ ამ ავტორს ლექსიც აქვს „ჩეჩილიში“, (ჯლახაკი თუ...)“ [შემდეგი სიტყვა არ იკითხებინა]. „ნიკოს“ ფსევდონიმით. ი. გრ. 1932. 20/X“.

788. გვარამაძე ი. ყვავილების კონა გინა რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყაზვილ კაცთა. კონსტანტინეპოლი, 1878.

ყდაზე დაკრულ ქალაღზე აღდგენილია წიგნის კანი ი. გრ. მიერ.

ყდის მეორე გვერდზე წარწერა: „თამარა მაისურაძისა, სახსოვრად მამისაგან“. იქვე მიწერილია: „(ავტორის ქალიშვილის ხელია). ი. გრ.“ წარწერა: „საიშვიათო წიგნების დიდ მწარფალს და ღირსეულ დამცველს, პოეტ იოსებ გრიშაშვილს სახსოვრად ილია მაისურაძისაგან. 20. VII. 1955 წ.“

თავფურცელზე: „იშვიათია. ამ წიგნს ეხება კრიტიკულად ჩემს „ბოქმეში“ 1927 წ. გვ. 119—120. სახლში არ გაიქემა. ი. გრ.“ 789-791. გვარამაძე კ. თაჭრო ჰარამ-ხანაში. მოთხრობა. ახალციხე, 1905.

792. გვარიშვილი ნ. ზღვა და სიყვარული. [ლექსები]. ბათუმი, 1955.

793. გვარიშვილი ნ. მზიური მხარე. ლექსები. ბათუმი, 1950.

794-795 გვარიშვილი ნ. ნაკადულები. [ლექსები]. ბათუმი, 1958.

ფორზაცზე განთიდან ამოკრილი ქ. შავგულიძის რეცენზია — „ნანა გვარიშვილის ახალი ლექსები“, მინაწერი: „საბჭოთა აკარა“, 1957 წ., № 75. ი. გრ.“

წიგნი დევს ზუგდიდის რაიონის განთით „მებროლის“, 1959 წ. 20 მარტის № 34, მე-4 გვ. ხაზგასმულია წერილი „ბაირონის ქალიშვილი“.

796-797. გვარიშვილი ნ. ჩემო აკარავ. ლექსები. ბათუმი, 1948.

თავფურცელზე წარწერა: „ძვ. სოსოს უნაზესი მოკრძალებითა და ღრმა პატივისცემით. ავტორი. ნ. გვარიშვილი. 21 X 48 წ. ბათუმი.“ კანზე: „ავტორისაგან. ჩემზე გვ. 29“.

მეორე ცალის კანზე: „ჩემი ლექსი. გვ. 29. ი. გრ. 1948 წ. 26 XI“.

798. გვარიშვილი ნ. ჩენი ქვეყნის ქალიშვილები. [ლექსები]. ბათუმი, 1953

799. გვახლია მ. ენგურის ქალებში. მოთხრობები. სოხუმი, 1960.

800. გვენეტაძე კ. ლექსების კრებული. ქუთაისი, 1916.

თავფურცლის მეორე გვერდზე წარწერა: „ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკას მიეცეს და მიემატოს ეს „იშვიათი“ წიგნი, რომელიც მასაც კი არ ჰქონია. დონი“. იქვე: „ი. გრ. 1932 წ., 13 XII“.

გვ. 4. არსიაზე: „სოლომონ ზურგიელიძისებურად“.

801. გვეტაძე ვ. ვანთიადის შემდეგ. ლექსები. თბ., 1956.

802. გვეტაძე ვ. მთაწმინდის საღამოები. [ლექსები]. თბ., 1960.

803. გვეტაძე ვ. პირველი სიმღერა. [ლექსები და პოემები]. თბ., 1956.

804. გვეტაძე რ. თხზულებანი ორ ტომად. ტ. 1. თბ., 1955.

გვ. 805. გვერტაძე რ. ვაღამწყვეტი წგლი. (ნარკვევების კრებულო). ტფ., 1931.

გვ. 6. გვერტაძე რ. დაბინდული ქარები. [ლექსები]. ბუთაისი, 1920.

კანზე: „ი. გრ. 30 ივლისი 20 წ.“

გვ. 23. ლექსთან „უკანასკნელი თხიანა“ ფანქრით: „აზრი ჩემი ლექსიდან: „სონეტი მარტინის“.

გვ. 25. ლექსს „ხავერდის ქალი“ მიწერილი აქვს: „ჩემი რთომები“.

გვ. 29. ლექსში „ბრუიანი ვირი“ ხაზგასმულია ადგილები, მიწერილია: „უძლი წყობა! ცეზურა?“

გვ. 60. ლექსში „ჯარისკაცი და მოსამსახურე“ მოხაზულია ადგილები, მიწერილია: „იხ. შინაგულის „ფერხული“.

807-810. გვერტაძე რ. ვირების მესია. (ლექსების 1-ლი წიგნი). ტფ., 1924.

თავფურცელზე წარწერა: „პატივისცემით პოეტს ი. გრიშაშვილს რ. გვერტაძე. 1924 წ., 19 მაისი“.

კანზე: „ი. გრ. 19. V. 24“.

გვ. 6. ლექსში „ტუტუები“ მოხაზულია სტრიქონები: „კვლავ გავლით რუქას მედიდურად რგორად სარდლები, ვეძებ ქვეყანას არ ნახულს და ჯერ არ გავიხილს“. არშიაზე: „გ. ტაბიძე“.

გვ. 24. ლექსთან „ონინ“ მიწერილია: „1922 წელს დაბეჭდა“.

გვ. 27. ლექსში „კვიმატი ორშაბათი“ სიტყვა „დილას“ გადასწორებულია: „დილით“.

გვ. 28. ლექსის „წულები“ სათაური ხაზგასმულია და მიწერილია: „მესტები (იხ. 25)“.

გვ. 29. ლექსში „უსიყვარულო ღამე“ ხაზგასმულია სტრიქონი „მავრამ ფანქრები შეიფოთლა მტედარი შაშვებით“ და მიწერილია: „მარიჩანის ლექსის მიბაძვა (იხ. „ილიონი“, № 1)“.

გვ. 68. ლექსთან „უკუღმართი“ ფანქრით: „სონეტი“. გვ. გვ. 25, 31, 54, 55, 65 ხაზგასმულია ადგილები.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ა. სულავას შენიშვნებით რ. გვერტაძის თხზულებანი. ი. გრ.“

გვ. 35. ლექსს „ჩემი ბავშვობა სოფელში“ მიწერილი აქვს: „გარგია“, იგივე აქვს მიწერილი ლექსებს „ჩოჩოჩი“ (გვ. 83), „ბრუიანი ვირი“ (გვ. 86) და „ვირები ჰარხილი“ (გვ. 87).

გვ. 94. უცნობის ხელით ფანქრით ოთხსტრიქონიანი ლექსია დაწერილი, გადახაზული ი. გრიშაშვილის მიერ და მიწერილი: „ეს ოვანესის ლექსია ი. გრიშაშვი.“

მესამე ცალის თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „შალვა ონტოფელის წიგნი-ბიდან. 1925 წ. 25 სექტ. ტფილისი“.

გვ. 811. გვერტაძე რ. თეთრი წიგნი (სწეული-ლექსები). [ზესტაფონი, 1917].

თავფურცელზე წარწერა: „მეგობარს ი. გრიშაშვილს! სახსოვრათ ავტორისაგან. 1917“.

გვ. 812. გვერტაძე რ. კრებული. თბ., 1937.

გვ. 813. გვერტაძე რ. ლაშქარული საღამოები. [ბელორუსული ნოველები. თბ.], 1936.

წინეტიტულზე წარწერა: „მეგობარს — სოლო გრიშაშვილს ძმური სიყვარულით. ავტორი. რ. 8 X“.

ფორხაცზე ვაზეთიდან ამოჭრილი კ. აქბარდაის რეცენზია, მინაწერთ: „ახალგ. კომ.“, 1936 წ., 6 ნოემბ.“

გვ. 814. გვერტაძე რ. ლექსები. პოემები. თბ., 1940.

წიგნში დევს ვაზეთიდან ამოჭრილი დ. ბენაშვილის წერილი „განგლილი გზა“, მინაწერთ: „რ. გვერტაძეზე. „ლიტ. საქართ.“, 1937, № 19. ი. გრ.“

გვ. 815. გვერტაძე რ. ლექსები. თბ. 1942.

გვ. 816. გვერტაძე რ. [ლექსები და პოემები]. თბ., 1947.

გვ. 817. გვერტაძე რ. მართალი ნოველები. თბ., 1944.

თავფურცელზე წარწერა: „მეგობარ პოეტს ი. გრიშაშვილს. რადენ გვერტაძე. 8. IX“.

კანის მე-3 გვ. ვაზეთიდან ამოჭრილი ქრონიკალური ცნობა: „რ. გვერტაძის ახალი წიგნის განხილვა“.

კანის მე-4 გვ.: „15 თებ. 1944 ამ წიგნზე იყო მოხსენება მწ. სასახლეში. ი. გრ.“.

გვ. 818. გვერტაძე რ. მარულა. [ლექსები და პოემები]. თბ., 1931.

ყლის მე-2 გვ.: „ი. გრ. 1931. 2.VII“.

გვ. 9—11. ლექსში „მდაბიო ანუ სატირა საკუთარ თავზე“ გვ. 10 ხაზგასმულია ... მიწერილი ახალ ამბებს... და მიწერილი: „ს. აბაშელმა დასწერა მერე“; გვ. 11. ხაზგასმულია: „და მეზარება ყველა ვისაც მუცელი აქვს ტიკის“, მიწერილია: „ტ. ტაძე“.

გვ. 14—16. ლექსში „წვიმიან დღეს“ გვ. 14 ხაზგასმულია: „ყალიონი“, მიწერილია: „რა შუაშია“; გვ. 15 მოხაზულია: „გეწეო ბაქეთ“. მიწერილია: გვ. 23“; გვ. 16 ხაზგასმულია საითომ სიტყვები: „გამინადგურა“, „გურამს“, მიწერილია: „გვ. 40“ და არშიაზე: „მოგწერეთ“.

გვ. 17-18. ლექსში „ქვის მკრელო“ გვ. 18 მოხაზულია სტროფები და მიწერილი: „დისონანსები“.

გვ. 19—21. ლექსში „პირველი მისი“ ხაზგასმულია: „ფთილა“ (გვ. 19) და მიწერილი: „Фитиля“, გვ. 21. ლექსის ბოლოს: „სანდოლები, პირველი მისი?“

გვ. 26—28. ლექსში „ფარული სტამბა არქი-
ელის გორაზე“, გვ. 27 ხაზგასმულია რთმები:
„ღღანა — ბღანა“ და მიწერილი: „ჩემი, იხ.
„მამა“.

გვ. 37—39. ლექსში „თორმეტი ვეფხი“,
გვ. 37 ხაზგასმულია „ვეფხნი კალოზე“, მიწე-
რილი: „ვეფხი კალოზე?“, გვ. 38 ხაზგასმუ-
ლია „ცემს“, მიწერილია: „თუ წაღვეს (?)
„სცემს“.

გვ. 40—42. ლექსში „რამაზის მეორე წე-
რილი ბაბუსადმი“, გვ. 41. ხაზგასმულია:
„ბლა გურამი“ მიწერილია: „დღეს ჩვენი გუ-
რამ“. გვ. 41. ხაზგასმულია: „მხრებში ვიდე-
ქით როგორც ბოძები“, მიწერილია: „რამაზი
ამბობს“.

პოემაში „მუშათა ახალი სახლი ჭონქაძის
ქუჩაზე“ ხაზგასმულია რთმები: „გუშინ —
პირქუში“, მიწერილია: „ჩემი. იხ. „შალვა და-
ღიანს“.

უდის მე-3 გვ. გაზეთიდან ამოჭრილი ა. ლო-
მიძის რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერთ: „ახ.
კომს.“ 30 VIII, 1931, № 171“.

819. გვეტაძე რ. მოთხრობები. ტფ., 1930.
წიგნის ბოლოს ჩაკრულია გაზეთიდან ამო-
ჭრილი გრ. მ-ლის წერილი „რაჟდენ გვეტაძე.
თეო“, მინაწერთ: „კომს.“, 1930 წ., № 253“.

820. გვეტაძე რ. მოთხრობები. თბ., 1951.

821. გვეტაძე რ. პატარა თაიგული სხვადა-
სხვა ლექს-მოთხრობათა. ყვირალი, [1915].

822. გვეტაძე რ. ლამეები. [ლექსები]. ტფ.,
1921.

კანზე: „ი. გრ. 1921 წ., 8 დეკემბ.“

გვ. 9. ლექსში „მარტობა შემოდგომის
წიმიან ღამეში“ ხაზგასმულია: „ქუჩებში ქა-
რი დაღის კვილით, როგორც ყაჩაღი“, მიწე-
რილია: „ს. ფაშალიშვილის სახეა. იხ. მისი
„როიალთან“ — „გარეთ კი ქარი როგორც ყა-
ჩაღი“; ამავე ლექსის ბოლო სტროფში ხაზ-
გასმულია: „ფანჯრის მინებზე“, მიწერილია:
„ჩემი შემოლიო ოთახი“.

გვ. 14. ლექსის „მავრა“ დასაწყისში მიწე-
რილია: „ს. წიველს აქვს ამაზე ადრე ლექსი ამ
სათაურით“.

გვ. 17. ლექსში „საქართველო“ ხაზგასმუ-
ლია ადგილები, მიწერილია: „ჩემი რითმა, იხ.
„ცალთვალ ახვეულს“.

გვ. 25. ლექსში „გაბორბებული ღამე“
ხაზგასმულია „ყასაბი“, მიწერილია: „ყასაბი
მეცა მკვლევ ლექსში: „გოფი ხარო“.

გვ. 27. ლექსში „ტყუპები“ ხაზგასმულია:
„რონაყვიო“, „გადმონაწვეთი“, მიწერილია:
„ჩემი რითმა. „უმიზეზო სიმთვრალე“.

გვ. 22. ლექსში „შალვა კარმელს“ ბოლო
სტროფში ხაზგასმულია: „ბუღამ“, „მუღამ“,
მიწერილია: „ეს ვ. ვაფრინდაშვილს აქვს“.

823. გვეტაძე რ. ქიკოკონა. რომანი. თბ.,
1932.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1932, 10. III“.

824. ვიგაური გ. მთების სიმღერა. ლექ-
სები. თბ., 1957.

825—827. ვიგაური ნ. ნაწერები. ნატ. გი-
გაური გაბაევი-გაბაონელისა. თბ., 1917.

828—829. ვიგაური ნ. ლექსები. ქუთაისი,
1908.

830-831. ვიგაური ნ. მართალი ამბავი.
[მოთხრობა]. საშური, 1912.

832. ვიგაური ნ. შვილი უღანაშულოდ
დასჯილისა. ღრამა 4 მოქმ. და 6 სურ. ქუთაი-
სი, 1907.

833. ვიგაური ნ. ჩემი ბევშვილის ამხანაგს
აწ განსწებული თავად სოსო მიქელაძის
ხსოვნის. (მოთხრობა). ქუთაისი, 1911.

834. ვიგიბერია დ. ახალი ლექსები. სოხუ-
მი, 1959.

835. ვიგიბერია დ. პირველი სიტყვა. (ლექ-
სები, პოემა). სოხუმი, 1951.

წიანის ბოლოს გაზეთიდან ამოჭრილი
ა. შენგელას წერილი შ. აკობიას ლექსების
შესახებ სათაურით „ახალგაზრდა პოეტის პირ-
ველი წიგნი“, მინაწერთ: „საბჭ. აფხაზეთი“,
1952 წ., № 63, 29 მარტი“.

836. ვიგიბერია დ. სიმღერის ძალა. [ლექ-
სები]. სოხუმი, 1954.

ფორზაცზე: „ლექსი ჩემდამი, გვ. 97. ი. გრ.“
მითითებული ლექსი ჩანონშულია ქალაღის
ნაჭერთ, წარწერთ: „ამოხელოც მაქვს“.

837. ვიგიბერია დ. ჩემი სოფელი. [ლექ-
სები]. სოხუმი, 1957.

838. ვიგიბერია პ. სისხრული. ლექსები.
ტფ., 1937.

839. ვიორგი მერჩულე. ცხოვრება გრი-
ვოლ ხანძელისა. — ამონაბეჭდი ს. ყუბანეი-
შვილის ძველი ქართული ლიტერატურის ქრეს-
ტომთიის I ნაწილიდან. თბ., 1947.

840-841. ვიორგი მერჩულე. ცხოვრება
გრივოლ ხანძელისა და მოყუასთა და მოწა-
ფეთა მისთა. დედანი აღადგინა და გამოკვლევა
დაურთო პ. ინგოროყვამ. ნაწ. 1, თბ., 1949.

842—844. ვლახაშვილი ს. თხზულებანი. ტ.
1—2. ტფ., 1919—1921.

ტ. 1, 1919.
თავფურცელზე წარწერთ: „ჩვენს გრიშაშ-
ვილს ს. ვლახაშვილი“; იქვე: „ი. გრ. 4 X—
—19 წ.“

სარჩევში მოხაზულია 5 ნაწარმოები და მი-
წერილია: „ბიესები“. იქვე ჩამატებულია: „გან-
თიალი — 295“.

მეორე ცალის თავფურცელზე წარწერთ:
„ჩვენს უკვდავ მაკოს, ჩვენი სცენის სიამაყე
ვარამს საფაროვი-აბაშიძეს — ავტორისგან“.

ტ. 2. 1921.

თავფურცელზე წარწერა: „ჩვენს სოსო გრიშაშვილს. ს. გ.“ კანზე: „ი; გრ. 24 IV მასწ.“

845. გლახაშვილი ს. თხზულებანი. იგავ-არაკი. თხები და ცხერები. ბუდე და ვირი. ტფ., 1922.

846. გლახაშვილი ს. დადი. დრამა 3 მოქმ. ტფ., 1912.

თავფურცელზე ბეჭედი: „სახალხო ფურცელი. ყოველდღიური გაზეთი რედაქცია. იგივე რუსულად.“

847. გლახაშვილი ს. მტარვალის ბედი. ხონ-თქრის მბრძანებლობის უკანასკნელი დღე. თანამედროვე დრამა 1 მოქმ. ა. ნერადოვის რეჟისაჲნიდან. თბ., 1910.

848. გლახაშვილი ს. [ორი პაიჯი]. ამონა-ქერი ნაწარმოებთა მე-2 ტომიდან. ტფ., 1921. ხელნაქეთ კანზე: „ს. გლახაშვილი (სოფრომ ტაქსაშვილი). ორი პიესა: 1. კოცნა; 2. ფეხ-თა შეყვ. ი. გრ.“

849. გლახაშვილი ს. ცხოვრება. პიესა 3 მოქმ. თბ., 1914.

850-852. გლახაშვილი ს. წყურგილი. დრამა 3 მოქმ., 4 სურ. თბ., 1910.

თავფურცელზე წარწერა: „ლამაზთა მგონანს ი. გრიშაშვილს სიყვარულით. გამომცემელი. 1910. IV 14.“

853-854. გლობია ა. შ. პანგები. ლექსები. (1899—1901). ტფ., 1902.

კანზე: „ი. გრ. ლოხვიციას ლექსი 17; ში-ლერი 30, 67; გიოტი, 53; ბაირონი 38.“

გვ. 17. ლექსი: „რუსულიდან“ მიწერილი აქვს: „ლოხვიციიდან. ი. გრ.“

გვ. 37. არშიაზე: „(გ. გვაზავას აქვს) დე-და მოლა.“

მეორე ცალის თავფურცელზე ყოფილი პა-ტრონის ხელწერა: „მიხეილ კინწურაშვილი 1903 წ., მაისი.“

855-856. გოგიავა კ. არმაზის დილა. მოთხ-როვნე [და პიესა]. თბ., 1948.

857-859. გოგიავა კ. ელექტრო-ლანდები. ლექსები. წიგნი 1. ტფ., 1928.

კანზე ფანქრით: „მიქლენა 13.“

860. გოგიავა კ. მთასვლელები. მოთხრობა. თბ., 1945.

თავფურცელზე წარწერა: „სოსოს სიყვარულით, პატივისცემით. ავტორი. 12 XII-45“. წიგნში დევს გავ. „ახალგ. კომუნისტი“, 1945 წ., 18 დეკ., № 137 მიწაწერით: „რეცენ-ზია გოგიავას წიგნზე“.

861. გოგიავა კ. ნამუსის ქული. [მოთხრო-ბები]. თბ., 1960.

862. გოგიავა კ. ნარკვევები. თბ., 1956.

5. კატალოგი, ტ. I

863-864. გოგიავა კ. ტერორისტი ქალი. (ლექსების მე-2 წიგნი), ტფ., 1929.

865. გოგიავა კ. ფოთოლთყვანა. რომანი. სოხუმი, 1945.

866. გოგიავა კ. ჩემი ქალაქის ადამიანები. მოთხრობები. თბ., 1945.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „რეცენზია ექვთო ასტეცატუროვისა (მნათ., 1946 წ., № 10)“.

867. გოგიაშვილი კ. ახალი სახლი. სკეტჩე-ბი და სატირა. თბ., 1961.

868. გოგიაშვილი კ. მზიარული დეპეშები. თბ., 1958.

კანზე: „მიბაძვა, გვ. 48 ი. გრ“. მიითებულ ენერჯზე დაბეჭდილია ლექსი „მიყიდე (ი. გრი-შაშვილის მიბაძვა)“.

869. გოგიაშვილი კ. მხოლოდ ზოგიერთებს. იუმორი და სატირა. თბ., 1957.

870. გოგიაშვილი კ. სტუმარ-მასპინძლობა. იუმორი და სატირა. თბ., 1955.

კანზე: „მე, გვ. 94. ი. გრ.“

871-872. გოგიაშვილი კ. ქმრების ბრალი. თბ., 1961.

კანის მე-2 გვ. წარწერა: „ჩვენს სისქაღუ-ლო მგონანს ბატონ იოსებს, სიყვარულით და პატივისცემით, ავტორისაგან, 7-10-61“

873. გოგიაშვილი მ. ანექტომანია. თბ., 1960.

კანის მე-2 გვ. წარწერა: „ჩემს უსაყვარ-ლეს ადამიანს, შესინთნავ მოუტს ძვირფას სო-სო გრიშაშვილს. ავტორი. 2 II-61 წ.“

874. გოგიაშვილი მ. გულს უღდა. კომედია 4 მოქმ. თბ., 1950.

875-876. გოგიაშვილი მ. გუმინ და დღეს. [პიესები]. თბ., 1958.

877. გოგიაშვილი მ. დიადი მიზნისაკენ. პიესა 4 მოქმ. თბ., 1950.

878-880. გოგიაშვილი მ. ზაპესტანი. [ლექ-სები]. ქუთაისი. 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 20 IV“.

გვ. 16. ზაზავაშვილი: „ზაპესტადა“, მიწე-რილი. „ზაპესტანი“, ზაპესტანი“.

წიგნის ბოლოს გავ. „ახალგაზრდა კომუნის-ტის“, 1937 წ., № 35, 5-V-დან ამოკრილი ვ. ქა-ჩაის წერილი „ბიბლიოგრაფია. მიშა გოგია-შვილი. „ზაპესტანი“, ლექსები, ქუთაისი, 1927“.

წიგნში დევს „სახალხო ფურცლის“ სურა-თეზიანი დამატების გვ. 5-8 ეკა-ფშაველას დაუბეჭდავი ლექსით: „კაცი მართალი“.

881. გოგიაშვილი მ. მკურნალი და სატირი-ოსი. [სატირა და იუმორი]. თბ., 1957.

882. გოგიაშვილი მ. პოეტები!!! ცუცხლის გზაზე. პოემა. ქუთაისი, 1925.

თავფურცელზე წარწერა: „ახალგაზრდობის მფარველს და მეგობარს მ. ორახელაშვილს. ავტორისაგან. 22. VIII. 25“.

კანზე: „ნინო ნაკაშიძემ მომცა. ი. გრ. 1925 წ.“

883. გოგიაშვილი მ. უკანასკნელი წმინდანი. ვოდევილი 2 მოქმ. თბ., 1940.

884. გოგიაშვილი მ. უკანასკნელი წმინდანი. ვოდევილი 2 მოქმ. თბ., 1960.

კანზე ბეჭედი: „ხალხური შემოქმედების სახლი“.

885. გოგიჩაიშვილი გ. გენაცვალე. [იუმორი]. თბ., 1956.

886-887. გოგიჩაიშვილი გ. ესეც გააქცია. ერთმოქმ. პიესების კრებული. თბ., 1960.

888. გოგიჩაიშვილი გ. თოვლის ფიქტი. ნოველები. თბ., 1956.

კანზე: „საიათნოვა, გვ. 53“.

889. გოგიჩაიშვილი გ. პირველი დღეები. რომანი. თბ., 1959.

890. გოგიჩაიშვილი გ. ფაცი. პიესა 3 მოქმ. და 4 სურ. თბ., 1949.

891. გოგოლაძე თ. აღმართი. თბ., 1959.

892. [გოგოლაძე ი.] ირაკლი გ. ბატონი და ყმა (ბაბუას ნაამბობი). — გველი და გლეხი. (გავონილა ამბავი). ბათუმი, 1911.

გაეცვალა წიგნის პალატას. თავფურცელზე წიგნის პალატის ბეჭედი.

კანზე ავტორის გვარი გახსნილია: „გოგოლაძე“. იქვე: „იხ. შიგნით“. თავფურცელზე: „(ირაკლი გოგოლაძე) ძმა პოეტ კაპიტონ გოგოლაძისა. ი. გრ.“ იქვე: „ირაკლი გოგოლაძის ფსევდონიმი იყო ნაკველა. იხ. „ემშაქის მთარახი“ და „ნიაგი““.

893. გოგოძე ი. ლექსი კავკასიელ ახალსალდათებზედ. თბ., 1888.

894. გოგოძე ი. ლექსი კავკასიელ ახალსალდათებზედ. თბ., 1889.

კანზე: „ეს წიგნი არსად არ არის. ი. გრ.“

895-896. გოგოხია რ. ზამთრის ჩუქურთმი. [ლექსები]. ქ. ა. 1920.

კანის რე-2 გვ. წარწერა: „სოსო გრიშაშვილს მიუძღვნა. 20 VII 20 წ.“.

897—898. გოგუაძე გ. განვლილი დღეები. (როჩას ნაამბობი). ტფ., 1935.

899-901. გოთუა ლ. გმირთა ვარამი. რომანი ოთხ წიგნად. ტფ., 1958—1962.

წგ. 1—2. 1958.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს მხეცვან მგოსანსა და მკვლევარს, წიგნის დიდ მურაზს, ქართულ წარსულის მოტრფიალეს. ღრმა პატივისცემით ავტორისაგან. 10. VI. 58 წ.“

წგ. 3. 1959.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს წიგნისა და კალმის მურაზს, ოქროსიტყვების ყულაბას, ძველ ტფილისის უკანასკნელ ყარამფილს — დიდ პატივისცემით ავტორისაგან. 24. XII. 59 წ.“

წგ. 4. 1962.
თავფურცელზე წარწერა: „დიდად პატივცემულ სოსოს!“

გრიშაშვილის კილობანში ეს „ყარამი“ ბარემ, ბარემ... როგორც ჩემი წიგნის ბაჟი მითვალე, მიიბარე!
8 XII 62. არმაზი“.

P. S. გილოცავთ ბედნიერ ახალ წელს 1/1-63 წ. ლ. გოთუა“.

902. გოთუა ლ. გმირთა ვარამი. რომანი ოთხ წიგნად. თბ., 1960.

წგ. 1—2.

903-904. გოთუა ლ. კრწანისის სევდა. [მოთხრობები და ნარკვევები]. თბ., 1957.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს ქართულ ლექსის ოქრომჭედელს, ძველ ტფილისის ტრფიალს, კეთილ ქართველს, პატივისცემით. ავტორისაგან. 22 III-57“.

905-906. გოთუა ლ. მეფე ერეკლე. ღრამა 4 მოქმ., 7 სურ. თბ., 1956.

კანზე: „საიათნოვა, გვ. 35-დან. ი. გრ.“

გვ. 35. ხაზგასმულია სათაური: „გატეხილი ხანი“ და მიწერილი: „ეს მოქმედება სულ ჩემიდანაა. ი. გრ.“

წიგნში დევს ქალაღის ნაკერი წარწერით: „ჩემი ბოქვამში იეთიშვე კანცოკად. ეთიშის ლექსი ნაბაღზე“.

მეორე ეტლის კანზე: „აქ მეორე მოქმედების მე-3 სურათი ჩემი წიგნებიდან არის ამოღებული. ი. გრ.“

907. გოთუა პ. აბანოში. ბეჭედი და სხვა მოთხრობები. ტფ., 1927.

908. გოთუა პ. უცნაური მონადირე. ამონაპერი ჟურნ. „ჭეჭილიდან“, 1895, № 2.

ბოლო ფურცელზე: „ჭეჭილი, 1895, № II, ი. გრ.“

909. გომართელი ი. განკითხვის დღე. პიესა 4 მოქმ. ამონაპერი კრ. „ნიაგიდან“, 1907—1908 წ.

ხელნაკეთ კანზე: „ივ. გომართელი. „განკითხვის დღე“ (პიესა). P. S. ეს პიესა დაიბეჭდა ჟურნალ „ნიაგი“ (1907—8 წ.) ცენზორმა ივ. პოლუმორდინიოვმა მთელი კრებულნი აკრძალა ივ. გომართელის ამ პიესის გამო. აკრძალული კრებული „ნიაგი“ ჩემს ბიბლიოთეკაშია დაცული. (ერთადერთი ეგზემპლარი). ი. გრ.“ იქვე: „1. ყოლიფერი—82. (აკაქისაც უყვარს ეს სიტყვა)“.

კანის მე-4 გვ.: „საძრობა 83; „შენს სიბერეს არ დაადგა საშველი“ — ნინო სანებლიძემ მიიხრა, 1952. 9 X ი. გრ.“

910. გომართელი ი. ღრამატეულ გამგეობის წევრი. ვოლფე. 2 მოქმ. თბ., 1910.

კანზე: „იხ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 11, 12, 13. 14. გაემართე 1933 წ., 21 I. ი. გრ“

გვ. 16. სქოლიოში: „მეტი არ დიბეჭდა. რ. გრ“

გვ. 17—20 ჩაკრულია 2 ფურცელი, ვოლფელის გაგრძელება, ამოჭრილი ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“.

911-912. გომართელი ი. ნიგვზართის ლეოსშობელი. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. 1924, 2 III“.

გვ. 27. სურათთან ფანქრით: „ეს სურათი უნდა იყოს გვ. 31“.

გვ. 31. ხაზგასმულია ადგილი და მიწერილი: „სურათი აქ უნდა იყოს — იქ რა შუაშია?“

გვ. 33. ტექსტის ბოლოს: „ნუთუ მამა-ეპიფანეს დიაკვანი მაინც არ ჰყავდა?“

913. გომართელი ი. სამი ღრობა. რომანი-ქრონიკა. ტფ., 1931.

914. გომართელი ი. ქოხში. პიესა 4 მოქმ. ტფ., 1905.

915. გომართელი შ. სამი პიესა. 1 ქართული სტუდენტები, ვოდ. 1 მოქმ. სტუდენტთა ცხოვრებიდან. 2. უკანასკნელი ქეიფი. კომ. 1 მოქმ. მილიციის ცხოვრებიდან. 3. კომისარი, სცენა 1 მოქმ. თბ., 1920.

916. გომართელი შ. წარსულის ხეულებში. [მოთხრობა]. ტფ., 1926.

თავფურცელზე წარწერა: „ძველ მეგობარს და ქართული სიტყვის ჯამბაზს გრიშაშვილს. ავტორი. 3 III“.

917. გომიაშვილი ა. ერთტომეული. ლექსები. ბალადები. თბ., 1955.

ფორზაცზე: „1. თულუხი, გვ. 96; 2. პეპო — 97“.

გვ. 9. ლექსში „ბაზალეთის ტბა“ სიტყვას „მგოსანის“ მიწერილი აქვს: „პოეტის“.

გვ. 14. სქოლიოში ხაზგასმულია: „ეძიხან“ და მიწერილი: „უწოდებენ“.

გვ. 27. ლექსში „მწიბრზე იჯდა ნაპერწკალი“ ხაზგასმულია: „ბნელში მზედა“, მიწერილია; „ქილვე იყო“.

გვ. 90. ლექსს „რად მიეყარს ალაზანი“ მიწერილი აქვს: „ი. ევლოშვილი“.

გვ. 133. ლექსში „ნანგრევთა შორის“ სტრიქონთან „არწივს წყარომევეთ სამშობლოს ციხე-სიმაგრეს...“ მიწერილია: „ჯეჟა“.

გვ. 181. ლექსში „ლევანდის დაბადება“ ხაზგასმულია: „წყლების“, მიწერილია: „წყალთა“.

918. გომიაშვილი ა. ამხანაგმა მიამ აიღო სიტყვა. ლექსები. ტფ., 1930.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1931. 15 II“.

919. გომიაშვილი ა. ბალადები. თბ., 1946.

920. გომიაშვილი ა. დარიალი. [ლექსები]. თბ., 1940.

შუბუტიტულზე წარწერა: „პოეტ იოსებ გრიშაშვილის პატივისცემის ნიშნად. ალ. გომიაშვილი. 17 X-40 წ.“

წიგნში დევს: „1. გ. ნ.-ს რეცენზია ამ წიგნზე, მინაწერთ: „მნათობი“, 1940, № 12; გაზეთიდან ამოჭრილი ნაწყვეტი ალ. გომიაშვილის პოემიდან „ინათა აღმოსავლეთმა“, მინაწერთ: „კომუნისტი“, 1940 წ., № 302, 29 დეკემბ.“

921. გომიაშვილი ა. ლექსები. თბ., 1933.

922. გომიაშვილი ა. ლექსები. თბ., 1937.

923-924. გომიაშვილი ა. რამდენიმე ლექსი.

[კანზე: „ანდრეიტის სიმღერები]. თბ., 1932.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1932. 15. III“.

ბოლო გვერდზე: „ამ წიგნის რეცენზია იხ. „ლიტ. გაზეთი“, 1932, № 6“.

კამის მე-3 გვ. გაზეთიდან ამოჭრილი შ. შავგულიძის რეცენზია, მინაწერთ: „ლიტ. გაზ., 1936, № 6“.

925. გორგაძე ვ. გზა მთებში. [ლექსები]. თბ., 1956.

926. გორგაძე ვ. შავგულა. (მოთხრობა ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებიდან). თბ., 1920. კანზე: „ვ. საათაშვილისა ყოფილა“.

წიგნში დევს ეურნ. „მხედარის“ № 26-დან ამოჭრილი ა. გორგაძის წერილი: „განმარტობის განმარტება“, მინაწერთ: „შავგულა. 1920 წ.“

927. გორგაძე ვ. რჩეული ლექსები. თბ., 1948.

928. გორგაძე ვ. ექსპრესიო. ლექსები. ტფ., 1930.

ფორზაცზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს. ნიქიერ ლირიკოსს — მეგობარს — ავტორისაგან. 27 X-30წ.“

წიგნის ბოლო გვერდზე: „ამ წიგნზე რეცენზია (?). „1. „განათლების მუშაკი“, 1930 წ., № 45—46; 2. „კომუნისტი“. 1931 წ., № 66“.

ფორზაცზე გაზეთიდან ამოჭრილი ე. მ.-ლის რეცენზია, მინაწერთ: „კომ.“, 1931, № 66, 22 მარტი“. იქვე გახსნილია რეცენზენტის კრიტიციზმი: გ. მუშაშვილი“.

ყდის მე-3 გვ.: „ეგრემა ამაღლდნენ — ასეთი გამოთქმა ჰქონდა ვაშაყმაძეს თავის

მოსხენებაში ხელ. სასახლეში. ი. გრ. 1930, 27 X“.

929. გორგაძე ვ. მიწა და ფოლადი. ლექსები. 1931—1934. ტფ., 1934.

შშუტტიტულზე წარწერა: „ი. გრიშაშვილის — ქართული პოეზიის საამაყო ლირიკოსს, ძვირფას მეგობარს. ავტორი. 14 XII-34“.

930. გორგაძე ვ. ორბის სიჭაბუკე. თბ., 1959. ფორზაცზე წარწერა: „ძველთაგან ჩემს მეგობარს, საქართველოს სახალხო პოეტს და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს ი. გრიშაშვილს. პატრივისცემით და სიყვარულით. ავტორისაგან. 20 V-60“.

931. გორგაძე ვ. ჩვენი დროშა. [ლექსები]. თბ., 1942.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილის, ჩემს მეგობარს, უბადლო პოეტს და ადამიანს სიყვარულით და პატივისცემით. ავტორისაგან. 2 III-42.“

კანის მე-3 გვ. დაკრულია ვახ. „ლიტ. საქართველოს“, 1942 წ., № 14-დან ამოჭრილი ქრონიკალური ცნობა ამ წიგნის გამოცემის შესახებ.

932. გორგილაძე შ. ჰადრების საიდუმლო. რომანი. ბათუმი, 1957.

933. გორგაძე მ. ლექსნი. ტფ., 1893.

კანზე: „წიგნი იოსებ მამულაშვილისა. 1905 წ.“ იქვე: „წიგნები ჩემი პირველი ბიბლ-დან“. ავტორის გვართან: „ჯერ მსახურობდა ტოლუხ სპინის ქარხანაში, შემდეგ ლიმონადის ქარ. (გენალ)“.

934. გორგელი ხ. „დოქტანის კვლევაში“. პიესა 1 მოქმ. თანამედროვე რუმინეთის ცხოვრებიდან — „შეიდი ათასი“ ინსცენიროვკა. — ტფ., 1924. — ამონაჭერი კრ.: „რემედასი კლუბში“. [ს. გორგელი აღმქსი გასიტაშვილის ფსევდონიმია — რედ.]

935-942. გოშაძე ხ. ლექსები. [ი. გრიშაშვილის შესახებ. წერილით: „სოლო გოშაძე (1880—1908)“, გვ. V—XII]. ტფ., 1927. („და-ვიწყებულნი და გამორჩენილნი“ ი. გრიშაშვილის რედ. მ).

წიგნში დღეს ქიდალდის ნაჭერი წარწერით: „სოლო გოშაძის ლექსი (ფოლკლორულ ყაიდაზე) „მოხუცი ვიზი“. „ეკალი“, 1897, გვ. 839-“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „გრიშაშვილის ბიბლიოთეკას — რედაქტორისაგან. 1927, 10 V“.

მესამე ცალის კანზე: „ჩემს ბიბლიოთეკას, ი. გრ.“

მეოთხე ცალის ფორზაცზე წარწერა: „არტემ გობუნის — პოეზიის მეგობარს. ი. გრ.“

1927, 4/VII“. იქვე: „P. S. ვიყიდე ბუკინისტთან 1942. 22/V. ი. გრ.“

943. გოჩა-ჩიხაიშვილი. და-ძმა. (პოემა) ბათომი, 1895.

კანზე: „გვარად ივანე ნუცუბიძეა. ი. გრ.“ ავტორთან მიწერილია: „უძღვდის შ. დანანს“.

944-946. გოჩა-ჩიხაიშვილი. პოეტის ანდერძი პოემა. ქუთაისი, 1897.

კანზე ტენუტრის ვიზა: „23 июля № 208, 97“.

კანსა და გვ. 14 ყოფილი პატრონის ხელწერა: „პ. გუგუშვილი“.

კანზე: „ი. გრ. თბილისში არ არის“.

947. გოჩა-ჩიხაიშვილი. ქეთო. მოთხრობა. ქუთაისი, 1898.

948. გოჩა-ჩიხაიშვილი. წმინდა სიყვარული. პოემა. ქუთაისი, 1897.

კანზე: „გამოვიდა 1900 წ.“

949. გოციოძე მ. სამი კულაკი არტელში. დრამა 2 მოქმ. [ონი], 1933.

კანზე: „მომცა ვ. ბუთლიაშვილმა. ი. გრ. 1936. 11/II“.

გვ. 1. ხაზგასმულია: „მაყურებელთა შორის სიჩუმის ჩამოვარდნის შემდეგ“, მიწერილია: „შემკვლად უნდა ხმაურობდეს? ი. გრ.“

950-951. გოციოძე მ. შურისძიება. დრამა 3 მოქმ. ონი, 1927.

თავფურცელზე მელნით: „რეპერტოკმს. ბ. ჟღენტი. 22/VIII-28 წ.“

952. გრანელი ტ. რჩეული. თბ., 1961.

953. გრანელი ტ. ლექსები. წ. 3. ტფ., 1926. თავფურცელზე: „ი. გრ. 1926. 15/VI“.

954-957. გრანელი ტ. Memento mori. [ლექსები]. თბ., 1924. კანზე: „ი. გრ. 1924. 4/IX“.

958. გრანელი ტ. სამგლოვიარო ხაზები. [ლექსები. ტფ., 1921].

კანზე: „ი. გრ. 14 იანვ. 1931 წ.“

გვ. 1. ხაზგასმულია: „სათებში“, მიწერილია: „სათით თუ სათით (გეგერი?)“.

გვ. 3. ხაზგასმულია: „მწვერვლი-ფერვალი“, მიწერილია: „ეს რითმა ვილაყას აქვს“.

გვ. 4. სტრიქონთან „ძველ ბაღებს დაეცენ ქარები ყაჩაღივით“ მიწერილია: „ს. ფაშალი-წგაღლის სახე იხმარა რ. გვერტამეცა“.

959-960. გრანელი ტ. სულიდან საფლავები. ტფ., 1922.

გვ. 2. ლექსთან „ტირილი სინანულის ხაზითან“ წერია: „გ. ტაბიქეს ჰვავს“.

გვ. 3. ლექსში „უიმედო დაბრუნება“ ხაზგასმულია: „ლაშე ნალევი“ და „ცრემლის მთო-

ველი“, მიწერილია: გ. ტაბიძე. „ღამე ნათევი და ნამთვარაღვეი“.

გვ. 7. ლექსში „ისიფერი სიმორე“ ხაზგასმულია „ტრაური“ და „ხმაური“, მიწერილია: „ჩემი“.

გვ. 8. მოხაზულია ბოლო სტროფი, წერია: „განმეორებული არ უნდა“.

გვ. 11. ლექსში „ღამე თვალბნეში“ ხაზგასმულია: „კრულვა ჩემს თთახს, კრულვა ჩემს თვალბნე“, მიწერილია: „ჩემი ლექსიდან: „კრულვა შენს სახელს, კრულვა შენ სახელს“, იხ. II ტ. „მუნჯი სიმღერები“.

გვ. 13. ლექსში „ნისლიანი ბალი“ ხაზგასმულია: „ვიმოსები“; „მიმოზები“. წერია: „ი. გრ. კ. გამასახურდაისი“.

გვ. 16. ლექსის „ვედრება უფალთან“ ბოლო სტროფი მოხაზულია, მიწერილია: „კარგი რითმებიცაა“.

გვ. 17. ხაზგასმულია: „რომ გამოჩნდება“, „რომ გათენდება“, მიწერილია: „რითმია?“.

წიგნში დევს დაბეჭდილი ლექსების ორი ფურცელი. იქვე გაზეთიდან ამონაჭერი ტრისტან მანაბლის რეცენზია მინაწერით: „ტრიბუნა“, 1922 წ., № 178, მარტის 28“. ფსევდონიმთან: „ტრისტან მანაბელი წერია: „ვალერიან ვაფრინდაშვილი“.

961—965. გრიშაშვილი ი. თხზულებათა კრებული ხუთ ტომად. თბ., 1961—1965.

ტ. 1. ლექსები. 1961.

ტ. 2. ლექსები. 1922—1961. თარგმანები. 1962.

ტ. 3. საიათნოვა. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. 1963.

ტ. 4. ლიტერატურული ნარკვევები. 1964.

ტ. 5. მინიატურები. ლიტერატურული ნარკვევები. 1965.

966-969. გრიშაშვილი ი. რჩეული ლექსები. თბ., 1944.

კანზე, ფანქრით: „იხ. ბოლო.“

კანის მე-3 გვერდზე: „პირველი ეგზეგზლაჰარი სტამბიდან. დამთავრდა ბეჭდვა 1944. 15 აპრილს“.

970. გრიშაშვილი ი. რჩეული. თბ., 1959 სუბერზე ვარაყიანი ასოებით დაბეჭდილია: „მარად ახალგაზრდას, წიგნით დამწვარს — საყვარელ იოსებს დაბადებიდან 70 წლისთავზე „საქვიგინ“-ს მუშაეთავან“.

თავფურცელთან დევს ქალაღი მინაწერთი: „ი. გრიშაშვილის საბლიტგამისავან“.

971-973. გრიშაშვილი ი. ერთტომეული. თბ., 1949.

კანზე მინაწერი: „მეორედ აქედან აიწყოს, კალკულაციისათვის. დაიწყო აწყობა 1949 წ.“

აპრილში, დათავდა 1949 აგვისტოში. იხ. კორექტ. შეცდ. ვასწორება (ბოლოში). ი. გრ.“

ფორზაცზე წერია: „45. ფერო ქარხ. 62. მხოლოდ სათაურით. 65. მხოლოდ ეპიგრაფი, 67. მთლიანად, 76. მთლიანად, 76 გვ. სარჩ. აქ ბეგერი ლექსი ვადამაკეთებინა რედაქტორმა, ისევე აღვადგინო. ი. გრ. 1951, 2/XII. მეორე გამოცემისათვის, ზოგიერთი ძველი ლექსი, ისევე იხე უნდა დაეკოვო, როგორც ეს I და II ტომებში. დარჩეს „საბავგისი“ (არა უნდა გაგებუტო), „მოგვიცინო“ (ღამე ტყეში). მთლიანად აღდგეს „ახალი ღმერთი“ (იხ. II ტ. აქ „ზეშთავონება“ ჰქვია)“.

შმუტეტულზე: „უნდა ჩემატოს მეორე გამოცემისათვის „მუშა“. იხ. „ნიშ.“, 1908, № 40 და აქ გვ. 225 (ჩაკერებული). 1. საუბარი ქაღრებთან. 2. იქ სადაც ეხლა ტრიბუნა არი (1949 წ.) რაკლიდან „ბელადი პუშკინის ბაღში“. „ქადარი“. 3. ი. ს. 70 წლისა 1949 წ. (ზელთანწ). 4. გორი და აკაი (ბელადის 70 წლის შესრულებისათვის), 1949 (ხელთ.). 5. გვ. 165. წაიფდეს „ძილისგულა“. 6. სადღეგრძელო გორიდან (მუსიკა ალ. მაჭავარი). 7. სცენიდან. 8. სისოს ასაკი გაუნახვერდა. 9. სიმღერაა „არ შეგადარებ მე ბულბულს რადგან“. 10. კთხვეები. 11. პირველ კანდიდატს (სტალინს). 12. მ. ჰიაურელს უნდა დაუწერო ლექსი II გამოცემისათვის“.

წიგნის ბოლო ფორზაცზე წერია: „27 აგვისტოს, 1949 პატარა ქეიფი იყო ჩემთან. სტამბის მუშები დაგაბათეე ამ წიგნის გამოსვლის გამო. ი. გრ.“

გვ. 44. მინაწერი: „ჩემატება: სამგორში, იხ. „კომ.“, 1951, წ., № 291, 13 დეკემბ. სტალინი რუსთავში. „კომ.“, 1952, 15 ივლისი“.

გვ. 45. ჩაკრულია ამონაჭერი გაზეთ „კომუნისტი“-დან, 1951 წ., № 291, 13 დეკემბ. ი. გრიშაშვილი „სამგორში“. ლექსის ბოლო სტრიქონი ხაზგასმულია, მიწერილია: „და მომავალზე გვედღუდუნება“.

გვ. 49. ჩაკრულია ამონაჭერი გაზეთიდან „საბჭოთა აპარა“. 1951 წ., № 243, 9 დეკემბ. კ. კალაძის ლექსი „მოდის ქართული ავტოზობილი“, მიწერილია: „ვერ უყურებთ კარლო? იხ. „ბროშა“. 1951, № 2“.

გვ. 74. ჩაკრულია ქალაღი მინაწერთი ლექსით, ლექსის დასასრულს წერია: „იხ. „კომ“, 1935, № 82, 6 აპრ.“

გვ. 82. ჩაკერებულია ქალაღი, რომელზეც წერია ლექსი: „მთიელი თბილისში“.

გვ. 169. ჩაკრულია ქალაღი მინაწერთი: „რა წამს ეს წიგნი მოგივიდეს, მაშინვე მომწერე... (გრ. ორბელიანის წერილებიდან)“.

გვ. 207. ჩამატებულია ერთი სტროფი.

გვ. 222. ჩაკერებულია ქალაღი მინაწე-
რით: „ლექსი „მუშის სიმღერა“, 1907 წ.
„ნიშადური“, 1908 წ., № 20“.

გვ. 281. ლექსის გასწვრივ წერია, P. S.
ამ „დილას“ მიზბაძე ვ. გორგაძემ (იხ. ვახ.
„ხალხი“, 1911 წ., № 10)“.

გვ. 393. ლექსში „ტყეში“ გადახზულია
სტრიქონები:

„იქ მე ასე დავეყრდნობი შენს სათუთ მკლავს
გადატეხით,
იქ მე კოცნით წავეშლი მიწას აქოჩრილსა
შენის ფეხით;

იქ მსურს ასე ავამღერო შენი ტუჩი მოხასხასე,
აი ასე ავამღერო, აი, ასე, აი, ასე... მიწვრი-
ლია:

„იქ მე ასე გადაგიწვენ სათუთ მკლავზე
გადატეხით,

იქ მე კოცნით წავეშლი მიწას აქოჩრილსა
შენის ფეხით;

იქ მე ასე მსურს მოვეკონო შენი ტუჩი
მოხასხასე,

აი, ასე მსურს მოვეკონო, აი, ასე, აი, ასე.
ასე იყო პირველ გამოცემაში, რედაქტორმა
გადამიკეთა“.

გვ. 555. ი. კრილოვის ლექსის „ხარაზი და
იჩარადარი“-ს ბოლოს წერია: „დაიწერა
1811 წ., ითარგმნა 1944 წ.“

გვ. 608. წერია: „Итого 10877“. იქვე:
„ეახტანგ მაისურაძის ნაანგარიშევი. ი. გრ.“

წიგნში დებს: ამონაქერი, ზღაპარი „სიზმა-
რა“, მიწერილია: „ერთტომეული“ აქედან
აიწყოს. 1953, 20/X. ი. გრ.“ ვახუთი „გამარ-
ჯევა“, 1952 წ. № 56, რომელშიც დაბეჭდი-
ლია ი. გრიშაშვილის ლექსი: „სტალინი რუს-
თაეში“.

მეორე ცალის სუბერზე: „პირველი ეგზემპ-
ლარი, ასოთამწყობებისაგან. ჩემს არხვის.
ი. გრ“

ფორზაცზე წარწერა: „პირველი ეგზემპ-
ლარი სახსოვრით ავტორის სტამბის მუშებისა-
გან. შალვა დემეტრაძე, კ. ტორობაძე, Ка-
вшапов, გ. ბოლქვაძე, ს. თხელიძე, გ. ნათლი-
შვილი, Кавшарова, ა. ვართანოვი, ა. გუტი-
კაშვილი, Гурешкий. 27-8-49 წ. ტფილისი“.

მესამე ცალის ფორზაცზე: „ჩემს ბიბლიო-
თეკას. ი. გრ. 1949 წ. 5 სექტ.“

974-976. გრიშაშვილი ი. ერთტომეული.
თბ., 1955.

977-980. გრიშაშვილი ი. ახალი ლექსები.
თბ., 1939.

ფორზაცზე: „ჩემთვის. რა ვერ ვიშოვე შუ-
შაბანდიდან ამოვადებინე, — ყდა იმითმა ნა-
ხერად გახუნებული. ი. გრ. 1939. 10/IX“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „სიმი გაიბა უ-
ვე ჩვენს შორის, ერთმანეთსა ვგრძნობთ,
ძვირფასო ბორის! ი. გრ. 1941. 19/III“. იქვე:
„პოეტს და ჩემს ლექსების მთარგმნელს, კარგ
და ჩემ მუშაეს ბორის სერებრიაკოვს. ი. გრ.“
გვ. გვ. 14—15. დებს ქალაღი, რუსულად
ნათარგმნი ი. გრ.-ს ლექსით „გრიგოლ ორბე-
ლიანი ახალ ნარიყალაზე“.

მესამე ცალის ფორზაცზე: წარწერა: „ჩემს
მიშას, ჩემს ვერიკოს, ჩემს რამაზს. ი. გრ.
1939. 11/VII.“ შექმნილია ბუკინისტურ მალა-
ზიანი.

981. გრიშაშვილი ი. დღიურიდან „ცრემ-
ლების კრილოსანი“. (მინიატურები). თბ.,
1914. ამონაქერი „ჩანგა“-დან“.

გვ. 266. სათაურთან წერია: „არ უნდა.“

გვ. 271. „მუქი ბარათი“. გვერდზე წერია:
„არ უნდა.“

982. გრიშაშვილი ი. გულის საგანძურიდან.
თბ., 1965.

983-990. გრიშაშვილი ი. ესეც შენი ქარ-
თული! ხუშრობა 1 მოქმ. ტფ., 1933.

991-997. გრიშაშვილი ი. ექვსი ლექსი.
თბ., 1930.

გვ. 1. ლექსის სათაურთან „მუნასიბი“ მი-
წერილია: „აბრილი თბილისში.“

მეორე ცალის კანზე: „წარწერილი ისევე უკან
დამიბრუნდა. ი. გრ. 1953. 6/III. ვიყიდე ბუ-
კინისტთან.“

ფორზაცზე წარწერა: „სვ. ქვარიანს —
ჩვენს უანგარო მოღვაწეს. ი. გრ. 1930. 4/I.“

მესამე ცალის ფორზაცზე: „ჩემს მეგობარს
შალვა დლიანს — აქაც... იქაც... ი. გრ. 1930.
7/I.“

998-1004. გრიშაშვილი ი. ლექსები. თბ.,
1914.

ყდაშია ჩასმული. ტყავის ყდასა და ყუაზე
ამოტვიფრულია ფაქსიმილი: „ი. გრიშაშვილი“.

კანის მეორე გვერდზე: „ეს წიგნი ვიყიდე
სოსო დაროშვილისაგან, როცა იგი ლიტონ-
ლის წიგნის მაღაზიის გამგედ იყო, 40 მანე-
თის მაგივრად შემიწყნარა და 25 მანეთი გა-
მომართვა. წიგნი ყოფილა გარდაცვლილ ექიმ
გაბრიჩიძისა. მიეცეს და მიემატოს ჩემს ბიბ-
ლიოთეკას — 1948, 1/IV. ი. გრ.“

თავფურცელზე უწინდელი მფლობელის
ხელწერა: „გაბრიჩიძე 1914 წ.“

მეორე ცალის თავფურცელზე: „ეს დაშლი-
ლი ვიყიდე. — რომელი ლექსიც აკლდა, ის მე
გადავწერე და შევიკინე კიდეცა. ი. გრ.“

თავფურცლის მეორე გვერდზე: „სართულია
1942. 24/XI. ასე გადმომატა კ. ნინუამ, მინა-
წერებით. ი. გრ.“

გვ. 32. ლექსში „რომანსი“ გადახაზულია სიტყვა „პყეფს“, მიწერილია: „სტვენს“. გადახაზულია „ფრქვეეს“, მიწერილია: „აფენს“. სიტყვაში „მზეო“, ჩამატებულია „ე“, [მზე-ვო].“

გვ. 33. ლექსში „როს დაღამდება“ სტრიქონს „როს ნიაღვარი სამშობლო უბანს... მიწერილი აქვს: „ჩემს ძვირფას მამულს.“

აღდგენილია და მიწერილია ლექსები: გვ. 99—100, 161—162.

გვ. 178. ლექსს „წყეული იყავ შენი“ მიწერილი აქვს: „ეს არ წავა. ი. გრ.“

მესამე ცალზე პორტრეტი მოხეულია.

წიგნს აქვს ხელნაყეთი კანი.

ფორზაცებ: „აიწყო და დაიბეჭდოს ამ წიგნიდან: შესწორებული მკვს და ნებადართულია. ი. გრ. I ტ.“

წიგნის ბოლოს ფორზაცზე მიწერილია: „ამ წიგნიდან ამოღებულია:

1. „სამშობლოს ნანგრევებში“, (მთლად) გვ. IV. (ფაქსიმილეთი) და გვ. 180 („სალომეას სურათზე“, ნაბეჭდი).“

2. „გრიგალო-ქარო!“ (ერთი სტრიქონი).

გვ. 14.

3. „ზამთარი“ (ბოლო ხანა.) გვ. 30.

4. „ახალი წელი“, გვ. 70. (მთლად). ბავშვო კეთილო.

5. და 6. „იშვა ქრისტე“. გვ. 19. (ორი გვერდი).“

„ნაცვლად I ტომს ემატება:

1. „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა“ (1907 წ.)

2. „ფირუზას ალერსი ანუშკასადში“ (1907).

3. „ოქროსფეხა ვარსკვლავები“ (პეინეს-ბური). გვ. 25.

4. „რომანსი“ („ჩემი ღალატით“). ამას მღერია და იმიტომ ვთავსებ.

5. „ბავშვო კეთილო!“

6. „სალომეას სურათზე!“

7. „მშვიდობით.“

8. „მე წინ ვისწრაფი.“

9. „ღადო მესხიშვილის საიუბილეოთ.“

10. „ურვა.“

კანის მე-3 გვერდზე: „სია ი. გრიშაშვილის ნაწერებია:

I ტ. ლექსები (1907—1914). დაიბეჭდა 1914 სიტ. კაზ. მწ. სახ.

II ტ. ლექსები (1914—1920). დაიბ. 1922 სახელგამი.

III ტ. ლექსები. 1921 წლის შემდეგ გაბნეული ქურნალ-გაზეთებში. აქ ერთი განყ. საბავშვო ლექსებია.

IV საათნოვა. 1918 წ. მზადდება მეორე გამოც.

V ძველი ტფილისის ლიტ. ბოჰემა. 1927-8 წ.

VI სომხური მწერლობა (თარგმანები: ოგ. თუმანიანი; შირვანზადე, აზატ ვმტუნი, გურგენ მაარი და სხვ.).

VII პიესები (თარგმანი: ვირის ჩრდილი — ფულდასი, წარღვნა — ბერგერის, ენა დარკი — შოუსი; შვეიცია — პაშეკისა).

VIII. აღქსანდრე ქაქვაძე, პოეტის სრული ლექსთა კრებული. მონოგრ.

IX. ქართული იუმორის ისტორია. (მზადდება).

X. ქართული თეატრის ისტორია. (მზადდება).

„XI ლიტერატურ. შენიშვნების ზანდუკი (ამ კრებულში მოთავსდება წერილი ნიეთები და შენიშვნები ლიტერატურასა და ისტორიაზე).“

„XII ქალაქის ლექსიკა.

„XIII პოეტები შუშაბანდში. პორტრეტები: ძველი და ახალი მწერლებისა: ს. გომაძე, ს. გუგუნიანი, რჩეულოვი, პაქრობა. (ზოგი ხელოვ.).“

„XIV ნარევი, ვოდევილები და სავაზეთო წერილი წერილები.

კანის მე-4 გვერდზე წარწერა: „სულ 15 ფორმაა გვ. 240- სარჩევით.“

გვ. 9. სტრიქონების ვასწვრივ არშიაზე: „ფანჯარავ, ციხის ფანჯარავ, ვერანო, ობერტილო, სული მეხუთის, გამიშვი, მსურს გარედ ვიხეტიალო. წარწერა მეტების ჭურღმულის კედელზე, № 3, 1907 წ.“

გვ. 24. დანაშრლია (5) და არშიაზე მიწერილია ლექსის „პეინესბური“-ს გაგრძელება სამი სტროფი: იწყება „თვალუთუქა ვარსკვლავები... მთავრდება „დავიხმარე ლექსიკონად“.

გვ. 51. არშიაზე წერია: „ეს ლექსი მოთავსდეს გვ. 56—57. „ნუ“ და „ასწით კუბო“ 58, 59“.

გვ. 52. ლექსის ბოლოს მიწერილია: „მსურს სამუდამოდ გამტყორცნო სადმე, ერთი მითხარი: სად შენ და სად მე!“

გვ. 53. არშიაზე დაკრულია ამონაჭერი გაზეთიდან სამ სტროფიანი ლექსით: „იწყება „ასწით კუბო!... მთავრდება: რისთვის ვკვდებით.“

გვ. 69—70. ფურცელი მოხეულია, მის ნაცვლად ჩაყრულია ქალაღლის ნაჭერი. ერთ გვერდზე წერია ოთხ სტროფიანი ლექსი „კორანი“. მეორე გვერდზე დაკრულია გაზეთიდან ამოჭრილი ლექსი: „ბავშვო კეთილო“, არშიაზე წერია: „აქ იყო ჩემი ლექსი: „ახალი წელი“, (ცენზორმა არ გაუშვა).“

გვ. 71. გადახაზულია სტრიქონები, მიწერილია: „ეს ლექსი ეძღვნება ლალო მესხიშვილს. გადატანილია, გვ. 207 (ამ ლექსის მაგივრად მოთავსდეს ის ლექსი! — გვსმით? ი. გრ. იხ. ანის ეგზეგზლარი).“

გვ. 179—180. ამოხვეულია ფურცელი, მის ნაცვლად ჩაკრულია თეთრი ქაღალდი. პირველ გვერდზე წერია ლექსი: „სუნთქვა გაზაფხულისა“. მეორე გვერდზე: „სალომეას სურათზე“. არზიაზე მინაწერი: „აქ იყო „სამშობლოს ნანგრევებში“ (ცენზორმა ამოიღო).“

გვ. 1. აღნიშნულია და წერია ლექსის სათაურები: „1907. 1. ტუხაღის სიმღერა. 2. თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა. 3. ფიჭუნას ალერსი თავის სატროფოსადმი. 4. ნისლი. 5. რომანსი (ჩემის ღალატით). 6. მეწინ ვაწარაფვი. 7. მშვიდობით: მიწერილია არზიაზე: „აღნიშნული ლექსები ტომში პირველად იბეჭდება“. ლექსთან: „ფიჭუნას ალერსი თავის სატროფოსადმი“ წერია: „იხ: ამაზე „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჭუმე“, გვ. 119 (შენიშვნა).“

მეთხე ცალის შმუტტიტულზე: „უხუტე-სო აკაცი“

სიტყვებს, სიტყვებს ვერ ვპოულობ შენსა სესაფერსა,

დავღუმდები და ღუმშილით ვტყვი ყველაფერსა

ი. გრიშაშვილი. ტფილისი. 1914 წ., 10 აპრილი.“

შესაძლებელია ავტოგრაფიანი შმუტტიტული ამ წიგნის არ იყოს და შემდეგ იყოს ჩაკრული. წიგნი დაკანულია ხელახლა, მასში მრავალი მინაწერია უცნობის მიერ.

მეხუთე ცალის ფორზაცზე: „ჩემს ბიბლიოთეკას — ვიყიდე ბაზარზე. ი. გრ. 1939. 10/V“.

გვ. 213. ლექსში: „შავგრუმანი ღამე“ ბოლო სტროფის მიწერილი აქვს: „ჩემს ლექსს ჰგავს. მე კი არ მქონდა ეს წაკითხული“. ამ მინაწერის შესახებ სქოლიოში წერია: „P. S. ეისი ეს მინაწერი? ეს წიგნი ბაზარზე ვიყიდე. ი. გრ.“

მეექვსე ცალის შმუტტიტულზე აღინიშნული ქმლობელის ხელწერა: „ვ. სინაურტიე.“

მეშვიდე ცალის შმუტტიტულზე: ყოფილი პატრონის ხელით: „იასამანი. 19-11/IV-15. წილკერი.“

1005-1008. გრიშაშვილი ი. ლექსები. ტ. 2. თბ., 1922.

ხელნაკეთ სუბერზე: „აქედან აიწყოს II ტ. ჩემს არხივს. გასასწორებელია, გვ. 82. დამიბორუნდი. ი. გრ.“

შმუტტიტულზე: „კორექტორის ფურცლები. 1921 წ. ნოემბ. 15-ს გათავდა 10/I 1922 წ. აქედან აიწყოს. მეორე გამოცემისათვის. ი. გრ.“

თავფურცელზე: „1922. სახელმწიფო გამოცემლობა.“

გვ. 10. ლექსი „გელოდებოდი“ აღნიშნულია ნიშნით: „V“ და ტექსტის ბოლოს მიწერილია: „1914 წ.“

ლექსები: გვ. 13. „დაიგვიანე!“, გვ. 14. „შურის ძიება“, გვ. 16. „იცი, ოლოლი“, გვ. 17. „ხანძარი“, გვ. 18. „შენ და ბუნება“, გვ. 20. „აპრილი და მისი“, გვ. 22. „შეიძლება ქარს ახსოვდეს“, გვ. 23. „შემოდგომა ტფილისში“, გვ. 25. „კოტე მესხს“, გვ. 28. „არც „პოს“ ამბობს, არც „არას“; — იმავე ნიშნით „V“ არის აღნიშნული და ტექსტის ბოლოს მიწერილია „1914“.

გვ. 20. ლექსში „აპრილი და მისი“ შესწორებულია ფაქტით: პირველ სტრიქონში „ხო“ გადაკეთებულია „პო“-დ. მესამე და მეოთხე სტრიქონები გადაკეთებულია ასე:

„აკობტა გავოფი სულ პირველად მეც აპრილიმ გაგეცანი და, მისში უკვე გიძღვენ ალერსი კაეშანი“.

გვ. 22. ლექსს „შეიძლება ქარს ახსოვდეს“ მიწერილი აქვს: „ოცნება და სინამდვილე“.

ლექსის ბოლოს: „იხ. („განათლება“, 1914; № IX) იქ ერქვა „ოცნება და სინამდვილე“, ეძღვნებოდა ჩას.“

გვ. 23. ლექსის „შემოდგომა ტფილისში“ მესამე სტროფის მეორე სტრიქონში გადახაზულია: „იქნებ გახდი“ და მის მაგიერ წერია: „და შეიქენ“.

გვ. 25. ლექსის „კოტე მესხს“ სათაური გადასწორებულია: „კოტე. მესხის ხსოვნას“.

ლექსები: გვ. 30. „ჩემო მშვენება“, გვ. 33. „ვიცე უნდა სტეფასს“, გვ. 35. „სედა“, გვ. 36. „სამი მუნასიბი“, გვ. 36. „ხახეს“, გვ. 37. „ღამის ფიქრები“, გვ. 41. „მეტყველი ცეკვა“, გვ. 42. „თქმულებიდან: ნანთოს ტირილი“, გვ. 43. „შავი თოვლი“, გვ. 44. „არა უნდა გაგებურო“, გვ. 48. „ო. შოთა, შოთა!“, გვ. 49. „ვარდის კენესა“, გვ. 51 „ოს“, გვ. 52-53. „ჩემი სიღამო“, გვ. 54. „აკაცი და ვარსკვლავები“, გვ. 56. „გაგაცილე და...“, გვ. 60. „თვალნი ელაშინ“, გვ. 61. „ქალი მსახიობი“, გვ. 62. „ეფთა-ფშველას“, გვ. 63. „ახალი ღმერთი“, გვ. 65. „თამარა — აღნიშნულნი არიან ნიშნით: „V“ და ბოლოში მიწერილია: „1915 წ.“

გვ. 30. ლექსს „ჩემო მშვენება“ მიწერილი აქვს: „დაიწყოს 8 სტრიქონად“ და სტრიქონები გაყოფილია ტეხილი ფრჩხილებით.

გვ. 35. „სამი მუნასიბის“ მესამე ლექსში — „ქისლოვოდესკში“ უკანასკნელ სტრიქონში სიტყვა „უქვდე“ გადახაზულია და მის მნიშვნელობა: „წმინდა“.

გვ. 37. ლექსში „ღამის ფიქრები“ მესამე სტროფის მეოთხე სტრიქონში მრავალწერტილები შეცვლილია მძიმეებით.

გვ. 42. ლექსის სათაურთან „თქმულებიდან: სანთლის ტირილი“ პირველი სიტყვა გადახაზულია.

გვ. 44. ლექსში „არა, უნდა გაგებუთო!“ მეოთხე სტროფში სიტყვა „ფრთა“ შეცვლილია სიტყვით „ზღვა“. ამავე ლექსში გასწორებულია ორი კორექტურული შეცდომა.

გვ. 50. ლექსს „სალამური. უკანასკნელი ლექსი ოლოლს“; მიწერილი აქვს: „ოლოლი გათხოვდა: გათხოვდა 31 მარტს 1915“. აქვე ჩაწებებულია 1917: [?] წ. კედლის კალენდრის 29 ივნისის ფურცელი, რომლის მეორე გვერდზე დაბეჭდილია ეს ლექსი; ხელმოწერით „ი. გრიშაშვილი. 1915 წ., 31 მარტი“.

გვ. 52. ლექსის „ჩემი სალამო“ მიძღვნა „სსს“- გადახაზულია.

გვ. 54. ლექსში „აჟაკი და ვარსკვლავები“ ბოლო სტრიქონში სიტყვაში „აჟაკიც“ „ც“ — ამოგდებულია.

გვ. 59. მოყვანილ ეპიგრამში — ატტარაჟი ამოშლილია.

გვ. 61. ლექსში „ქალი მსახიობი“ შეტანილია: მისწორებები: მესამე სტრიქონში სიტყვა: „სხვაცა“ შეცვლილია სიტყვით: „ყველა“. მეცხრე სტრიქონში რკალშემოვლებულია სიტყვები: „ჩემი რიტმი, ჩემი ფრაზა“ და არშიაზე მიწერილი: „უმტვერი და ხმა-ხახახასა“. მე-11 სტრიქონში ხაზგასმულია სიტყვა „ყველაფერი“ და მიწერილი: „ყოველივე“.

გვ. 63. ლექსის სათაურს: „ახალი ღმერთი“ წინ მიწერილი აქვს: „პოეზიის“.

ლექსები: გვ. 72. „თიბათვე წალვერში“;

გვ. 73. „მზის ხალები“, გვ. 80. „უკანასკნელი ნატრასა“; გვ. 87. „სურნელები ძველი ხელნაწერებისა“. — აღნიშნული არიან ნიშნით „V“ და ტექსტის ბოლოს მიწერილია „1916 წ.“

გვ. 72. ლექსის „თიბათვე წალვერში“ მესამე სტროფში სიტყვა „ყარაუშო“ წაშლილია და მის მაგივრად წერია: „ყარაჩი“. იმავე ლექსის უკანასკნელ სტრიქონში სიტყვა „აზრიანი“ შეცვლილია სიტყვით „უშფოთველი“.

გვ. 73. ლექსში „მზის ხალები“ მიძღვნა ამოშლილია. ბოლო ტაქში გადახაზულია:

გვ. XIV. შესავალი წერილის მე-4 თავის ეპიგრაფს დამატებული აქვს: „ჩემი საკუთარი ცოლი სხვაია...“; გვ. V არშიაზე: „ხიფათიანი ამბები?“

გვ. 62. ხაზგასმულია... „წყვრდი... რეცენზიებს ახალგაოსულ წიგნების შესახებ...“, მიწერილია: „*) ჰოლამ ერთხელ მეც დამიწერა რეცენზია „ოცნების კონცის“ შესახებ ხახანის ფსევდ. ი. გრ.“

გვ. 63. მოხაზულია აბზაცი, სადაც საუბარია „ახალგაზრდა პოეტზე“, რომელიც სიყვარულის თემაზე წერს ლექსებს და მიწერილია: „ეს ჩემზეა. ეს მოთხრ. დაიბეჭდა 1911 წ. და ჩემი წიგნაკი ამ დროს გამოვიდა“.

გვ. გვ. 97-100. მოთხრობაში „დუმილი“ ხაზგასმულია ადგილები, გვ. 97. სათურთან

მიწერილია: „ამას ერქვა პატარა ამბავი (სილუეტები). I დუმილი (იხ. „ფონი“, 1910 წ., № 20 და სხვ.).

წიგნის ბლოს მიწერილია: „აკლია შემდეგი მოთხრობები: 1. არჩევა სულისა (მეორე მოთხრ.)“.

2353. **ლომთათიძე ჭ.** პირველი მისი. (მოთხრობა). ტფ., 1927.

2354. **ლომთათიძე ა.** ლექსები. თფ., 1911.

2355. **ლომთა კ.** სიყვარულის ნაკადი. [ლექსები]. სოხუმი, 1952.

2356. **ლომინაძე ვ.** გოგის საცოლუ. ვოდენილი 3 მოქმ. ბათუმი, 1902.

თავფურცელზე კანზე და გვ. 1. ბეჭედი: „Суфлюор Иосип Г. Мамуиос“.

2357. **ლომიძე ა.** ახალი გრძნობა. [მოთხრობები]. თბ., 1944.

2358. **ლომიძე ა.** ზღეაური. [მოთხრობები]. თბ., 1962.

2359. **ლომიძე ა.** უძლიერევი ძალა. [მოთხრობები]. თბ., 1942.

კანზე: „არც გამოტოვებულია“, 87. იხ. აკაეის „ომი“.

თავფურცელზე წარწერა: „ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს, ლექსის დიდ ოსტატს, სიყვარულის უზადლო მგოსანს იოსებ გრიშაშვილს სიყვარულით აეტორი. 8/IX. 42 წელი“.

2360. **ლომიძე გ.** ომის გზებზე. სამხედრო ნარკვევების კრებული. თბ., 1946.

წიგნში ვაზთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1947 წლის 23 თებ. № 8 გ. ნატროშვილის რეცენზიით „ომის მართალი სურათები, გ. ლომიძის სამხედრო ნარკვევების კრებულის გამო“.

2361. **ლომოური ნ.** ბედი უბედურთა. მოთხრობა. მე-2 გამოც. თბ., 1889.

2362. **ლომოური ნ.** ბედი უბედურთა. [მოთხრობა]. ტფ., 1935.

2363. **ლომოური ნ.** ბერუა ქრისტესიაშვილი. [მოთხრობა]. ტფ., 1913.

2364. **ლომოური ნ.** გიგო ღრუბელაშვილი. [მოთხრობა]. ტფ., 1935.

კანზე: „1938. სოკვა. 14 მისი. ი. გრ.“. იქვე: „შ. მღვ., 13, რუსული სიტყვები 3“.

2365-2367. **ლომოური ნ.** მოთხრობები. ტფ., 1926.

შუტცტიტულზე: „ი. გრ. 1927. 15. VI“.

გვ. IV. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „ღინვა და პატარა მოწუფე“ და არშიაზე: „ეს ლექსი თარგმნილია. — ი. გრ.“. იქვე: „გლახის ნატარა(?)“, „მასწავლებელ“ და სხვ.“ ხაზგასმულია: „ვადმოთარგმნა უკარინულიდან შვეიცრეკოს პოემა „მუშა ქალი“ არშიაზე წერია: „იმედი“

სარჩევში მოთხრობასთან „გიგო ღრუბელა-
წელი“, მიწერილია: „ლ. ა. ფსევდ. — „მოამ-
ზე“. ხაზგასმულია მოთხრობა: „წუთისოფელი“.
არსიაზე: „ს. ო.-ას ფსევდ. დაიბეჭდა „მოამ-
ზეში“, 1900 წ., XI, XII, 1901, № 1. ო. გრ.“.

2368. ლომოური ნ. მოთხრობები. ს. ხუცი-
შვილის წინასიტყვე, შენიშვნ. და რედ. თბ.,
1951.

ფორზაცზე: „ი. გრ. ვიყიდე 1951 წ.
29/IX“.

წიგნში დევს: 1. მოსაწვევი ბარათი ნ. ლო-
მოურის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღ-
ვნილ საიუბილეო საღამოზე 1952 წ. 28
მარტს. 2. 1930 წ. 27/VIII კალენდრის
ფურცელი მინაწერით: „ნიკო ლომოურზე მო-
ჯონება მისი მოწაფის ილ. რუხაძისა. ავტორი
ამბობს, რომ მოთხრობა „წუთისოფელი“, რო-
მელიც 1900 წლის „მოამბეში“ იბეჭდებოდა
ს. ო.-ას ფსევდ. ნიკოს ეკუთვნისო (იხ. „შად-
რეანი“, 1915 წ., № 18). ეს მოთხრ. დაიბ.
სახელგამის გამოც. გვ. 199“. 3 ქალაქის ნა-
ჭერი ბაზლიოგრაფიული ცნობებით ნ. ლომო-
ურის შესახებ.

ვახუთის ამონაჭრები: 1. „Заря Востока“-ს
1952 წ. 28 მარტის ნომრიდან ამოჭრილი ს. ჭი-
ლაიას წერილი „Нико Ломоури“. 2. ერ. ქა-
რელიშვილის წერილი „ნიკო ლომოური“ მი-
ნაწერით: „კომუნისტი“, 1952 წ., № 75, 28
მარტს. 3. ს. ხუციშვილის წერილი „ნიკო
ლომოური“ მინაწერით: „ახალგ. კომ.“, 1952,
№ 39. 29 მარტი“. 4. გორის ვახუთის „სტა-
ლინელის“ 1952 წ. 2 მარტისა და 1 აპრილის
ნომრებზე წერილებით ნ. ლომოურის შესახებ.

2369. ლომოური ნ. ოთხი მოთხრობა: ბე-
რუა ქრისტესიაშვილი. ქრისტიანი ლეკები. ყო-
ველის მხრიდან. სამეფა ამირანა — ამონაჭრე-
ბი: „მოამბე“, 1904, № 9; 1896, № 5; 1900,
№ 4; 1896, № 2“.

ხელნაკეთ თავფურცელზე მინაწერები: „არ-
ბოელი (ნ. ლომოური). ოთხი მოთხრობა: I ბე-
რუა ქრისტესიაშვილი. 2. ქრისტიანი ლეკე-
ბი, 3. სამეფა ამირანა, 4. ყოველი მხრი-
დან. P. S. ცალკე წიგნად გამოცემულია აგ-
რეთუ შედგევი მოთხრობები: 5. ბედი უბე-
რეთუ (1889 წ.). 6. ქაჯანა (1885 წ. გამოც.
ბოლოში ლექსებია) 7. ალი. 8. წინაპართა აჩრ-
დილნი. 9. პაწია მეგობრები. 10. აღარა ეშვე-
ლება — რა (იხ. „გაზ.“, თეატრი“, 1890, № 14,
15)“. „ფსევდონიმები: 1. არბოელი. 2. ლივ-
ცაველი, 3. ს. ო.-ა. 4. ლ. ა. ლომოურის ფსევ-
დონიმი იყო აგრეთვე: ლევ. ცაველი (იხ. ი.
კ.-ს „ივერია“, 1879 წ., № 4)“.

ხელნაკეთი კანის მე-2 გვერდზე ქალაქის
ნაჭერი მინაწერებით: „ნიკო ლომოურის მო-
თხრობა „წუთისოფელი“ (ფსევდ. ს. ო.-) იხ.

მოამბე, 1900 წ., № XI, XII და 1901 წ.,
№ 1“. ქვევით: „გიგო ღრუბელაშვილი (მოამ-
ბე. ლ. ა. ფსევდ.)“. გასწვრივ თავფურცელზე:
„მოამბეში დაიბეჭდა კიდევ „წუთისოფელი“
ს. ო.-ას ფსევდ.“

გვ. 1. მოთხრობა „ქრისტიანი ლეკების“
სათაურის წინ მიწერილია: „ამ მოთხრობას
სხვა სათაურიც ჰქვია: „ქრისტიანები არა
ხართ?“ (იხ. „ალიონის კრებულები“, 1911 წ.,
გვ. 277)“.

გვ. 1. მოთხრობასთან: „სამეფა ამირანა“
ფანქრით: „1896 წ. II“.

2370. ლომოური ნ. ყოველის მხრიდან. ტფ.,
1901.

2371-2372. ლომოური ნ. ყოველის მხრი-
დან. გამოც. 2. ტფ., 1913.

კანზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „Н.
Гарсеванашвили“.

2273-2376. ლომოური ნ. ყოველი მხრი-
დან. [მოთხრობა]. მე-4 გამოც. ტფ., 1926.

კანზე ზესათური მოხაზულია და მიწერი-
ლია: „წ. კ. საზ. სახელი გამოეცალა. ო. გრ.“.

2377-2379. ლომოური ნ. წინაპართა აჩრ-
დილნი. [— ხერხი სჯობია ღონესა...] ორი
ისტ. ამბავი. გორი, 1914.

2380. ლომოური ნ. წინაპართა აჩრდილნი
[—ხერხი სჯობია ღონესა...]. ორი ისტ. ამბავი.
გორი, 1915.

2381. ლომოური შ. დაკარგული რაფსოდია-
ბი. [ლექსები]. თბ., 1959.

თავფურცელზე წარწერა: „ქართული პოე-
ზიის ქურუმს ქართული კულტურის დიდ მო-
მაგეს იოსებ გიგინეიშვილს პატივისცემით.
წ. ლომოური. 20. II. 60 წ.“

2382 ლომოური შ. მესხეთის ბუხრები.
[ლექსები]. თბ., 1957.

2383. ლორთქიფანიძე გ. ნათელი გზა. ნარ-
კვევები. [ბათუმი], 1951.

2384. ლორთქიფანიძე გ. სოფლის სიხარუ-
ლი. (ნარკვევი). ბათუმი, 1953.

2385. ლორთქიფანიძე გ. უკანასკნელი ცრემ-
ლი. რომანი. ბათუმი, 1959.

2386. ლორთქიფანიძე ზ. ლექსები. თბ.,
1951.

წიგნში ვახუთიდან ამონაჭერი ს. მაღლაფე-
რიძის რეცენზია „უიდეო ლირიკა“ მინაწე-
რით: „ზ. ლორთქიფანიძეზე. „ინდუსტრიული
ქუთაისი, 22/1, 1952 წ.“

2387. ლორთქიფანიძე ზ. ლექსები. თბ.,
1956.

2388. ლორთქიფანიძე ზ. ორი სილამაზე.
ახალი ლექსები. თბ., 1959.

2389. ლორთქიფანიძე კ. რჩეული თბ.,
1933.

2390. ლორთქიფანიძე კ. ახალი გლეხები. ნარკვევი. თბ., 1930.

კანზე: „ი. გრ. 1930. 8/III“.

2391. ლორთქიფანიძე კ. ახალი ლექსები. ტფ., 1929.

2392. ლორთქიფანიძე კ. გაზეთი. [მოთხრობები]. ტფ., 1933.

2393. ლორთქიფანიძე კ. ლექსები. ტფ., 1926.

2394. ლორთქიფანიძე კ. ლექსების კრებული. ორ წიგნად. 1925—32. ვადაშუშ. გამოც. წიგნი 1. [თბ.], 1932.

2395. ლორთქიფანიძე კ. მესამე გზა. პიესა 6 სანახაობათ. [ტფ., 1928].

2396. ლორთქიფანიძე კ. მოგზაური. მიიხსი: ლილა. მწვანე ლილი. უკვდავება. თერგის ყორღანებთან. როგორ მოკვდა მებაღური. [მოთხრობები]. თბ., 1951.

ფორზაცზე: „1952 წ., 2/I. ი. გრ.“ იქვე გაზეთიდან ამოჭრილი ი. ვარდოსანიძის რეცენზია „ქონსტანტინე ლორთქიფანიძის მოახსრობები“ მინაწერთ: „კომ.“, 1952, № 41, 17/II“.

2397. ლორთქიფანიძე კ. მწვანე ლილი. მოთხრობა. თბ., 1950.

2398. ლორთქიფანიძე კ. ნატერის ფვალი. [რომანი. თბ., 1958].

2399. ლორთქიფანიძე კ. პირველი ღელა. მოთხრობა. [თბ., 1929].

2400-2401. ლორთქიფანიძე კ. პირველის შეშდევ. ლექსები. ტფ., 1927.

სუბერზე: „ი. გრ., გვ. 28“.

2402-2403. ლორთქიფანიძე კ. უკვდავება. [მოთხრობები]. თბ., 1954.

2404. ლორთქიფანიძე კ. ფოტოგრაფი. მოთხრობა. ტფ., 1927.

2405. ლორთქიფანიძე კ. ლიმილი. ლექსები. [თბ.], 1927.

შეუცტიტულზე: „ი. გრ. 1927 (იენისს)“.

კანზე: „ჩემზე, გვ. 54“.

გვ. 54. ლექსში „უსათაურო“ მე-6 სტროფში ხაზგასმულია: „როგორც გრიშაშვილს ქალის ფეხები“.

წიგნის ბოლოს გაზ. „კომუნისტიდან“ ამოჭრილი „ლიტერატორის“ რეცენზია წინამდებარე წიგნზე მინაწერთ: „№ 139. 1927. 21/VI“.

2406-2407. ლორთქიფანიძე კ. ძირს სიმინდის რესპუბლიკა წიგნი 1. ტფ., 1934.

1. გაზეთიდან ამოჭრილი ცნობა მწერალთა სასახლეში ამ წიგნის გამო გამართული შემოქმედებითი დისკუსიის შესახებ მინაწერთ: „1934“. 2. გაზეთიდან ამოჭრილი გ. ტატუ-

ლოვის სტატია „Новая грузинская деревня“ მინაწერთ: „მ სექტ. „Лит. газета“, 1934 წ., № 120“.

2408. ლორთქიფანიძე კ. ხაესი. რომანი. ტფ., 1927.

შეუცტიტულზე: „ი. გრ. 1927. 6/IV“.

2409. ლორთქიფანიძე კ. ვაჟვავაძე მ. და კარგარეთელი ე. ჩვენც ვზეიმობთ. ლექსები, თბ., 1944.

გვ. 5. ხაზგასმულია: „იმის დღესასწაულს“, მიწერილია: „დღესასწაულს ყოველთვის ვიხდით სახელდობრ რომელ რიცხვში ვიზეიმებთ“.

2410-2413. ლორთქიფანიძე ნ. თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად. თბ., 1958. ტ. 1. 1958.

ფორზაცზე: „ი. გრ., 1959-25-III“.

გვ. 692. არშიაზე: „იყიდება საქართველო“. (იხ. „ცხ. და ხელ.“).

ტ. 2. 1959.

2414-2415. ლორთქიფანიძე ნ. თხზულებანი. ტ. 1. ქარიშხლამდე. ტფ., 1934.

ყდაზე: „ი. გრ. 1935. 10/XII“.

წიგნის ბოლოს „შინაარსში“ ხაზგასმულია: „სასობაო მინიატურები“ და ჩამატებულია: „საქართველო იყიდება“.

გვ. 82. მოხაზულია მთლიანად: „საქართველო იყიდება“.

ბოლოს ქ. რ.-ს რეცენზია ამ წიგნზე, ამოჭრილი გაზეთიდან მინაწერთ: „კომ.“, 1935, № 289“.

წიგნში დევს: 1) ქალადის ნაქერი წარწერთ: „1. ყოველი მინიატურები ცალკე გვერდზე უნდა იყოს. 2. სად რა დაიბეჭდა. 3. ზოგი მინიატურები თარგმანის სახეს ატარებს“. 2) კალენდარის ფურცელი მინაწერთ: „რეცენზია უნდა დაწეროს. 1. ნიყო ლოროტ-ძე (ან თორელები) ან 2. მაიკ ხეიტია“.

2416. ლორთქიფანიძე ნ. თხზულებანი. თბ., 1946.

2417. ლორთქიფანიძე ნ. ბილიკებიდან ლიანდაგზე. მოთხრობა. ტფ., 1929.

გვ. 3. ხაზგასმულია: „ბიკებმა ყურები ჩამოყარეს“ და მიწერილია: „ყურების ჩამოყრა ვიკებმა იციან. ი. გრ.“.

წიგნის ბოლოს ყდაზე: „P. S. ეს ნაწარმოები რუსულად გამოვიდა აქაც. (ტფილისი, ... გამოცემლობა) და იქაც (რუსეთის სახელგამამ)“.

2418. ლორთქიფანიძე ნ. ბილიკებიდან ლი-
ანდაგზე. [მოთხრობა. თბ.], 1934.

2419. ლორთქიფანიძე ნ. დანგრეული ბუ-
დეები. [მოთხრობები], ტფ., 1933 [კანზე:
1934].

წიგნის ბოლოს თავისუფალ ფურცელზე:
„სარჩევი(?) მრისხანე ბატონი, რაინდები, გვ.
89; დანგრეული ბუდეები, 153 (აქ რამდენი-
მე მოთხ.); შელიცა რადიოთი, 215“.

ფორზაცზე: „როდის დაიწერა მოთხრობე-
ბი რატომ თარიღი არა აქვს?“

2420. ლორთქიფანიძე ნ. იმერი. [მოთხრო-
ბები]. ტფ., 1934.

შემუცტიტულზე: „1. პაუ-პაუ ქორო ნუ
ფრენ (გვ. 237). 2. მხოლოდ შენ ერთს (235)“.
უკანასკნელ გვერდზე: „სარჩევი: 1. ჟამთა
სიკავე. 2. ქორწილი, 147. 3. ბოროტმოქმედნი,
163. 4. სანახავად, 173. 5. საბა, 186. 6. მა-
რად და მარად, 207. 7. ტლუ ბიკი, 235. 8.
თავსაფრიალი დედაკაცი, 261“.

2421-2423. ლორთქიფანიძე ნ. იუმორი.
სამი მოთხრობა. [თბ., 1927].

კანის მე-4 გვ.: „სარჩევი: 1. ეპისკოპოსი
ნად. 2. ბუმბერაზი. 3. დიდი საქმის ორლობე-
ში“.

2424. ლორთქიფანიძე ნ. [მოთხრობები].
წ. ქუთაისი, 1924.

კანზე: „ი. გრ. 1924. 16 სექტ.“

2425. ლორთქიფანიძე ნ. მოთხრობები.
[თბ.], 1929.

წიგნის ბოლოს თავისუფალ ფურცელზე:
„შინაარსი: 1. თავსაფრიალი დედაკაცი — გვ.
1; 2. კერასთვის — გვ. 11; 3. სანახავად — გვ.
103; 4. ქორწილი — გვ. 113. ი. გრ.“

2426. ლორთქიფანიძე ნ. მოთხრობები.
თბ., 1948.

2427. ლორთქიფანიძე ნ. მრისხანე ბატონი.
(არა ისტ. მოთხრობა). [ტფ., 1927].

თავფურცელზე: „ი. გრ. 1927. 9/VI“.

ბოლოს გაზეთიდან ამოჭრილი წერილი:
„X. P. „Нико Лорткипанидзе „Мрнскхане ба-
тони“ მინაწერით: „Заря Востока“, 1927,
№ 1478“.

2428. ლორთქიფანიძე ნ. ნანგრევთა სურ-
წელები. [მოთხრობები. თბ.], 1927.

2429. ლორთქიფანიძე ნ. ჟამთა სიკავე. (არა-
ისტორიული მოთხრობის ესკიზი). თბ., 1927.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებს პატივისცე-
მით ნიკო. 15/VI-27 წ.“

2430. ლორთქიფანიძე ნ. უიალქნოდ. [მო-
თხრობები. ტფ.], 1934.

სუპერზე: „ი. გრ. „ღმერთი რო ვიყო, გვ.
43“.

წიგნში ჩადებულია ქალაღის ნაჭერი მინა-
წერით: „ღმერთი რომ ვიყო (თარგმანი) იხ.
ნ. ლორთქ. მოთხ. უიალქნოდ 1934. გვ. 43“.

2431. ლორთქიფანიძე ნ. ქალაღის კაცი.
[მოთხრობა]. — ამონაჭერი ჟურნ. „მისარტყე-
ლა“-დან, 1920, № 12.

ხელნაკეთ კანზე: „ლორთქიფანიძე. ქალაღ-
ის კაცი. თბ., 1920“.

2432. ლორთქიფანიძე ნ. ქედუხრენი.
[მოთხრობები]. თბ., 1946.

2433-2434. [ლორთქიფანიძე პ.] სულგრძე-
ლობა ანუ მეფე ივანეს შვილი. პოემა სოფლის
კაცისა. ქუთაისი, 1902.

კანზე: „[იხ. „ქართული წიგნი“]“

2435. ლორთქიფანიძე შ. ლექსები. სოხუმი,
1940.

ფორზაცზე: „გაფორმება ჩემი წიგნიდანაა.
ი. გრ. 1940. 23/VI“.

2436. ლორია პ. ერთბოგეული: ჩი. მეუ-
ღლი. [რომანები]. ბათუმი, 1957.

2437. ლორია პ. ალისფერი დილა. რომანი.
ბათუმი, 1951.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1951-12-VIII“.

2438. ლორია პ. ბანჯაძის დედაბერი.
[ლუმბორისტული მოთხრობები]. ბათუმი,
1940.

2439. ლორია პ. ბანჯაძის დედაბერი. სტუმ-
რობადა. [ლუმბორისტი. მოთხრობები]. ბათუ-
მი, 1959.

2440. ლორია პ. განთიადი ხევში. რომანი.
ბათუმი, 1953.

ფორზაცზე წარწერა: „ჩვენ საყვარელ მგუ-
სანს, ჩვენს სოსოს პ. ლორია. 15/IX 1953 წ.,
ქ. ბათუმი“.

2441. ლორია პ. გვირობა და მეგობრობა.
[მოთხრობები]. ბათუმი, 1944.

კანზე: „რეცენზიებით“.

გაზეთის ორი ამონაჭერი: 1. გ. ე.-ს რეცენ-
ზია მინაწერით: „ლიტ და ხელ“, 1945, № 41,
5 დეკემბ. 2. ი. რურუას რეცენზია მინაწე-
რით: „საბჭოთა აჭარა“.

2442. ლორია პ. დაბადების დღე. მოთხრო-
ბა. ბათუმი, 1961.

თავფურცელზე წარწერა: „საქართველოს
ბულბულს ჩვენი ხალხის სულს-გულს სოსოს
დიდი საყვარულით პ. ლორია. 3/III 1961 წ.
ბათუმი“.

2443. ლორია პ. დაზვიდან დაზვამდე. [რო-
მანი]. ბათუმი, 1958.

ფორზაცზე წარწერა: „ჩვენს საყვარელ მო-
ტიკიკე და მგალობელ მგოსანს, ჩვენს სოსოს

და ჩვენს იოსებს — ჩვენს გრიშაშვილს. პ. ლორია. 23/II, 1959, ქ. ბათუმი.» იქვე: „კარგათ იკითხება, ჰოლას სტილით არის დაწერილი. ი. გრ. 135 პასპორტი?“

„ყდის მეორე გვერდზე: „აღექსიანი“. გვ. 40 —41.“

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „შეგეხილები“ — ვიშველი. დაგვხმარებე — 334. გვ. 228. ეს ჭეშო ლექსიდან ხომ არ არის? (იხ. „წითელი ღროშა“, 1917).“

ყდის მე-3 გვ.: „გრიშა, 180; ობოლი მუშა, 279».

გვ. 137 ხაზგასმულია: „კანკას“, მიწერილია: „დავდავს“.

გვ. 149 გადახზულია: „თაზე“, მიწერილია: „ხუფი. ი. გრ.“

გვ. 161. ხაზგასმულია: „ჩამოლი“, მიწერილია „ჩამოხვედი?“

გვ. 175. სიტყვა „ერთი“-ს შემდეგ მიწერილია: „გახვრტილი“.

გვ. 191. მოხაზულია ლექსი: „სახეიმო დღე დაგვიდგა“, მიწერილია: „ან. განჯ.“

გვ. 312. მოხაზულია მეორე აბზაცი და მიწერილია: „კარგია“.

2444. ლორია პ. დელი მურადი. რომანი. ბათუმი, 1939.

თავფურცელზე წარწერა: „ქართული ლექსის ოსტატს ამხანაგ ი. გრიშაშვილს. პ. ლორია 15/XI, 1939 წ.“

იქვე სათაურის ქვეშ: „გიგი მურადი“.

წიგნში გაზეთის ორი ამონაჭერი: 1. პარმენ ონისიმეს ძე ლორია. [ბიოგრაფიული ცნობები] მინაწერთ: „საბჭოთა აქარისტანი“, 1939 წ., 27/XI“. 2. რეცენზია „ახალი ცხოვრების დაბადება. პარმენ ლორიას ახალი რომანი „დელი მურადი“ მინაწერთ: „საბჭოთა აქარა“, 1940, № 24. 30/I“.

2445. ლორია პ. მალაროებში. რომანი. ბათუმი, 1954.

ფორზაცზე წარწერა: „ჩვენს საყვარელ მოჭიკეიკე-მომღერალს სოსოს. პ. ლორ. 1954 წ.“

2446. ლორია პ. მეველუდ. რომანი. ბათუმი, 1941.

ყდის მე-4 გვერდზე: „ი. გრ. 1940. 4/VIII“.

2147. ლორია პ. ნაირა. რომანი. თბ., 1951.

გაზეთის ამონაჭრები: 1. ა. ჭაფარიძის რეცენზია ამ წიგნზე „შემოქმედებითი წინსვლა“ მინაწერთ: „კომ.“, 1952 წ., № 23, 27 იანვ.“

2. ი. Кикваიძე. „Наира“, რეცენზია მინაწერთ: „Молодой сталинец“, 1952 წ., № 23, 21 თებერგ“.

2448-2449. ლორია პ. საუქუნის დაბადება. რომანი. წგ. 1. [ბათუმი], 1945.

ფორზაცზე წარწერა: „პოეტ ი. გრიშაშვილს. პ. ლორია“.

2450-2451, ლორია პ. ტალღები. რომანი. ბათუმი, 1953.

ფორზაცზე წარწერა: „ჩვენი ხალხის და ჩემს საყვარელ პოეტს — ჩვენს სოსოს. პ. ლორია. 22. VI. 1953 წ.“

მეორე ცალის ყდაზე: „ი. გრ. 1953. 22/IV“.

2452. ლორია პ. ფორტზე და ზურგში. [ნოთხობები]. ბათუმი. 1943.

2453. ლორია პ. შეხვედრა. [მოთხრობა]. ბათუმი, 1943.

წიგნში გაზეთი „საბჭ. აქარა“, 1945 წ. № 150, რომელშიც დაბეჭდილია ნაწყვეტი პ. ლორიას რომანიდან „აღისფერი დღა“.

2454-2456. ლორია პ. შეილება. რომანი. [წიგნი 1-2]. ბათუმი. 1956—1960.

წ. 1. 1956.

ფორზაცზე წარწერა: „ქართული პოეზიის დამამშვენებელს, ჩვენი ბავშვების საყვარელ პოეტს. ჩვენი ლიტერატურის მოამაგეს, ჩვენს სოსოს, ჩვენს გრიშაშვილს. პ. ლორია. 29.IX. 1956 წ., ქ. თბილისი“.

წგ. 2. 1960.

ფორზაცზე წარწერა: „ჩვენს საყვარელ მომღერალს და პოეტს, ჩვენი გულის გამხარებელ სოსოს, სილამაზის, სიკეკლუტის მოტრფიალეს — ჩვენს გრიშაშვილს. პ. ლორია. 25/VIII, 1960 წ. ქ. ბათუმი“.

მეორე ცალის ფორზაცზე: „ი. გრ. 1960. 2 აგვისტო, ბორჯომი“.

2457-2459. ლორია პ. ჩაი. რომანი. წ. 1—2. ბათუმი, 1936—1938.

წ. 1. 1936.

1. პ. ჩხიკავაძის რეცენზია ამოტორილი გახ. „საბჭოთა აქარის“ 1937 წ. 16 ივნისის ნომრიდან. 2. პ. ჩხიკავაძის რეცენზია „რომანი ახალ აქარაზე“ მინაწერთ: „ლიტ. საქართ.“, 1937, № 14, 20/VI“.

წიგნი 2. 1938.

2460. ლორია პ. ჩაი. რომანი 3 ნაწ. ბათუმი. 1948.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1948, 26/IV“.

2461. ლუარსაშიძე ვ. ლექსნი სალდათობაზე. თბ., 1887.

კანზე: „თბილისში არ არის. ი. გრ.“

2462. ლუარსაშიძე ვ. სასტუმროში. ვოდვეილი. [თბ.], 1894.

2463. ლუარსაშიძე ვ. „შევიშლები“. კომ. ორ მოქმ. თბ., 1890.

თავფურცელზე და გვ. 3 ბეჭედი: „Судьба Иосиф. П. Мамулов“.

2464 ლუარსაშიძე ვ. ზიზამარელი. მელოდრამიული ეპიზოდი ჩვენი ფალავნის ცხოვრებიდან. თბ., 1893.

2465-2466. ლუკაშვილი ი. უკვადებმა. დრამა 3 მოქმ. მეცნიერის ცხოვრებიდან. ტფ., 1926.

2467. მათე წითელი. კომუნისტების სიმღერა. პროლეტარული ლექსები. თელავი, 1922.

2468. მათიაშვილი ი. მმართველი და საქმეთა მმართველი. პიესა 1 მოქმ. თბ., 1957.

2469-2470. მათიაშვილი ბ. პროლეტარი. ბათუმი, 1924

თავფურცელზე წარწერა: „კეთილ სასოფრად სოსოს ავტორისაგან. 11/1, 25 წ.“

2471. მაისაშვილი ს. ლექსები. ტფ., 1898.

2472-2474. მაისაშვილი ს. ნატუსაღარი. მოთხრობა. თბ., 1904.

2475. მაისურაძე ე. სიყვარული იმარჯვებს. [მოთხრობები]. თბ., 1959.

2476. მაისურაძე ე. ქართლის საღამოები. მოთხრობები. თბ., 1957.

2477-2478. მაისურაძე ლ. ვარსკვლავები. თხზულებანი. წ. 3. თბ., 1901.

კანზე: „ეს წიგნი თბილისის ბ-ში არ არის. ი. გრ.“

2479. მაისურაძე ლ. ლექსები და მოთხრობები. მე-2 გამოც. თბ., 1903.

2480. მაისურაძე ლ. სიმართლე. ტფ., 1900.

2481. მაისურაძე მ. სპეკი. პიესა 5 სურ. კოპერატიული ცხოვრებიდან. თბ., 1929.

2482—2483. მაკალათია ე. რამოდენიმე ლექსები. განმეორება პირის-პირისა. ქუთაისი, 1911.

2484. მალაზონია ნ. რჩეული ლექსები. [ბათუმი], 1951.

ყდაზე: „ჩემზე, გვ. 120. ი. გრ.“

2485. მალაზონია ნ. გულიზარ. პოემა. ბათუმი, 1940.

თავფურცელზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილის. ნ. მალ. 4. II. 40“.

გვ. 183. სიტყვასთან „ფიშმანი“ მიწერილია: „გუმანი“. ხაზგასმულია სიტყვები: „ყიშლი“, „ჩენნეთი“, „ჩენნები“. უკანასკნელთან მიწერილია: „ჩანაბა“.

წიგნში ჩადებულია ბანდეროლი წარწერით: „ტფილისი მე-5 ფოსტა. ხარფუხი (თათრის მოედანთან). ალგეთის შესახვევი № 1. პოეტ იოსებ გრიშაშვილს. ბათუმი. ლექსებმბურგის 52. აპარის სახელგამი. ნ. მალაზონია“ და გავრცელებული ამოკრილი ცნობა ამ პოემის გარჩევს. შესახებ მინაწერით: „საბჭ. აპარა“.

2486-2487. მალაზონია ნ. დაბადებულან გმირები. ლექსები. ბათუმი, 1947.

ყდაზე: „ავტორისაგან“.

ფორზაცზე წარწერა: „საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს. ავტორი. 1/VII-47“.

ფორზაცზე: „გვ. 78, ი. გრ.“, იქვე: „ბოლოში რეცენზიებია. ი. გრ.“

ამონაპერი გაზეთიდან „საბჭოთა აპარა“, 1947 წ., № 124, 25 ივნისი. ალ. ჩაგლეიშვილის რეცენზია: „ნ. მალაზონია — დაბადებულან გმირები“.

მეორე ცალის კანზე: „გვ. 78. ი. გრ.“ ფორზაცზე: „1947 წ. 25 ივნისს მივიღე პ. რუსთავეან ბათოშიდან. — ი. გრ. S. P. ავად ვიყავი. გაზეთხარა“.

2488. მალაზონია ნ. ლექსები და პოემები. ბათუმი. 1953.

ფორზაცზე წარწერა: „ჩემს სოსოს, ჩვენს, სოსოს, საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან. ნ. 30/IV-53“. იქვე: „ი. გრ. 3/VI 1953, გვ. 71“

გვ. 27. ლექსში „ბარათი ილია სიხარულიძეს“ ხაზგასმულია სტრიქონი: „ნუ შეგვაშინებს ყურთან სითუთერ“. გასწვრივ: „გვ. 71“.

გვ. 71. ლექსის: „ი. გრიშაშვილს“ მე-3 სტროფში გადახაზულია: „რაი“ და მიწერილია: „რა გენათ“.

გვ. 242. შინაარსში ხაზგასმულია: „ჭაგუკაძე“ და მიწერილია: „ალ. ჭე“.

2489. მალაზონია ნ. ლექსები, პოემები. ბათუმი, 1955.

ფორზაცზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს სიყვარულით და პატივისცემით. ავტორი. 23. VIII. 55“.

იქვე: „ი. გრ., გვ. 174“.

2490. მალაზონია ნ. პატაკი ოქტომბერს. [ლექსები]. ბათუმი, 1937.

ფორზაცზე წარწერა: „ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მომღერალს — სოსო გრიშაშვილს. ნ. მალაზონია. ქ. ბათუმი. 7-X-39“.

2491. მალაზონია ნ. ჩემი საფიცარი. [ლექსები]. ბათუმი, 1961.

ფორზაცზე წარწერა: „ხალხის საყვარელ პოეტს ჩემთვის ყველა პოეტზე ძვირფას ოცნებ გრიშაშვილს. ავტორი. 18. III. 61“.

2492. მალაქიაშვილი ვ. კეკელის თავგადასავალი. ობლები. [მოთხრობები]. ტფ., 1929. კანზე: პატარა მოთხრობები.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებს. ავტორისაგან. ე. ხურ. 1929. 15. III“.

2493. მალაქიაშვილი ვ. ლუკმა პურიისთვის. (მოთხრობა იმერეთის ცხოვრებიდან). ამონაჭერი: „მოამბე“, 1904, № 12; 1905, № 1. 2.

2494-2495 მალაქიაშვილი ვ. სამნი. რომანი. ტფ., 1926.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან. 1926. 29.IX.“

წიგნის ბოლოს გაზეთიდან ამოკრილი

„ქველი“-ს წერილი „შენიშვნები ლიტერატურაზე“ მინაწერთ: „მუსა“, № 126, 1927 წ., 8/11“.

2496. მალაქიაშვილი ვ. სოფლის სურათები. ტფ., 1925.

თავფურცელზე წარწერა: „პოეტს და ათასჯერ პოეტს ი. გრიშაშვილს ავტორისაგან, ნიშნად ღრმა პატივისცემისა. 1925, 15/XI. ტფ-ლისი“.

2497. მალაქიაშვილი ვ. შოთა ბროლიძე. რომანი. თფ., 1911.

2498. მალაქიაშვილი ვ. შოთა ბროლიძე. რომანი. გამოც. მე-2. ტფ., 1927.

2499. მამალაძე ა. მთვარიან ღამეს. [მოთხრობა]. ტფ., 1928.

2500. მამისთვალავი ა. გულის კარნახით. (ლექსები და პოემები). [ცხინვალი], 1957.

კანზე: „ავტორისაგან. მე- გვ. 32, 91. ი. გრ.“

გვ. 3. წარწერა: „პოეტს, უფროს მეგობარსა და რედაქტორს ი. გრიშაშვილს. ა. მამისთვალავი. 7. VI. 57 წ.“

2501-2502. მამისთვალავი ა. ლექსები. [ცხინვალი], 1952.

ყდაზე: „ავტორისაგან, გვ. 91“ ამ გვერდზე დაბეჭდილია ლექსი: „სოსო გრიშაშვილს“.

შეუტყობლზე წარწერა: „პოეტს და მოამაგებს სოსო გრიშაშვილს ახალგაზრდა ძალებზე მუდმივი ზრუნვისათვის მადლობის ნიშნად ა. მამისთვალავი. ნოემბერი. 1952, ქ. სტალინური“.

მეორე ცალის ყდაზე ავტორის გვარის ზემოთ: „ჩემდამი ლექსი 91, ი. გრ. 16/X. წყალტუბო“.

2503. მამისთვალავი ა. ლექსები. [ცხინვალი]. 1955.

კანზე: „ავტორისაგან“.

თავფურცელზე წარწერა: „სოსო გრიშაშვილს, პოეტს და მასწავლებელს — ავტორი. ა. მამისთვალავი“. იქვე: „1955 წ., 13/XI. ი. გრ.“

2504. მამისთვალავი ა. ლექსები და ბალადები. [ცხინვალი], 1953.

ფორზაცზე წარწერა: „პატივცემულ იოსებ გრიშაშვილს მისი მოწაფისაგან. ავტორი: ა. მამისთვალავი. 30/IV. 54 წ.“

2505. მამისთვალავი ა. ფიქრები ადამიანზე. (მოთხრობები და ნარკვევები). [ცხინვალი], 1960.

თავფურცელზე წარწერა: „პოეტს და გზის მასწავლებელს — სოსო გრიშაშვილს. ავტორი. 16. X. 60“.

2506-2507. მამულაშვილი ა. დახმარება. (პიესა ერთ მოქმ.) ტფ., 1928.

2508. მამულაშვილი ა. ზევი. პიესა 6 სახისაბად. ტფ., 1928.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს კარგ მეგობარს და იოლდაშს ავტორისაგან. 30/IV. 28“.

2509. მამფორია გ. ცისარტყელა ჩანჩქერებში. [ლექსები]. თბ., 1962.

2510. მამფორია ო. ლექსები. პოემა. თბ., 1956.

ფორზაცზე წარწერა: „ნიჟიერ ქართველ პოეტს ძვირფას სოსო გრიშაშვილს! პატივისცემით თარ მამფორია. 19. 20. VII. 56 წ., თბილისი“.

2511. მარგინი რ. აქა მშვიდობა. [ლექსები]. თბ., 1948.

2512. მარგინი რ. ახალი ლექსები. თბ., 1945.

წიგნში ვაზეთ „ლიტ. და ხელ.“ 1245, № 14-დან ამოჭრილი ქრონიკალური ცნობა რევაზ მარგინის ლექსების გამოსვლის შესახებ. იქვე ვაზეთიდან ამოჭრილი ცნობა რ. მარგინის შემოქმედებითი საღამოს შესახებ მინაწერთ: „1945“.

2513. მარგინი რ. კომისარი გიორგაძე. [ლექსი]. [ქ. ა.], 1942.

კანზე წარწერა: „სოსოს ბიბლიოთეკას ბრძოლის ველიდან. ქ. კალაძე. 12. V. 42“.

2514. მარგინი რ. ლექსები, ბალადები. თბ., 1954.

2515. მარგინი რ. მისალმებთა ნაკადი. [ლექსები]. თბ., 1952.

2516. მარგინი რ. მუმლი მუხსა. ლექსები და ბალადები. ტფ., 1946.

ვ. წულუკიძის რეცენზია ამ წიგნზე. ამოჭრილი ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებას“, 1947 წ., № 3-დან.

2517-2518. მარგინი რ. მხოლოდ ახალი. [ლექსები]. თბ., 1958.

ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას იოსებ გრიშაშვილს. ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. რევაზ მარგინი. 17 იანვარი. 1959. თბილისი“.

2519. მართალაძე. აბლაკატის მუხუპაზი. თბ., 1884.

კანზე ავტორის ფსევდონიმის ქვემოთ: „*) ფსევდონიმია გრაგოლ წინამძღვრიშვილისა, „ეი კეუისაგან“ რომ სთარგმნა (იხ. „თ. და ც.“). იქვე: „აბლაკატი“ — არ არის გაქართულებული, რუსულადაც აბლაკატი — დაიწვიეთ თქმული. ი. გრ.“

წიგნი ამონაჭერი ფერნალიდან „თეატრი და ცხოვრება“ — ცნობა ვ. წინამძღვრიშვილის მიერ „მასკარადისა“ და „ეი კეუისაგან“ თარგმნის შესახებ.

2520. მართავილი რ. მოთხრობები. წიგნი 1. [თბ.], 1918.

კანზე: „ი. გრ. 1921 წ.“

2521-2522. მარიაჯანი. დაკარგული კებილი. ვოლკოვი 1 მოქმ. თბ., 1940.

ორივეს კანზე ბეჭედი: „საქართველოს სათეატრო მუზეუმი №...“

2523. მარიაჯანი. ვოლკაზე. [პოემა]. — ამონაბეჭდი: „ქართული მწერლობა“, 1930, № 2.

2524-2529. მარიაჯანი. [ლექსები. თბ., 1921].

2530. მარიაჯანი. ლექსები. თბ., 1949.

კანზე: „ი. გრ. სამინელი კორექტ. შვედლმა. გვ. 40“.

ფორზაცზე წარწერა: „სოსოს მარიაჯანისაგან. 1949. მ/VI“.

გვ. 45. ხაზგასმულია პირველი და მეორე სტრიქონი ლექსისა „1917 წელი“ და მიწერილია:

„ამბობ: როცა ხალხი სუნთქავს ლაღათა და ხმა მოშვებთ.“

როცა ირგვლივ დაგვერიალებს გამარჯვების თავს დროშები“.

გვ. 49. ლექსს „წარსული“ მიწერილი აქვს: „საშა ალექსიძე“.

გვ. 50. ლექსს „განჯა“ მიწერილი აქვს: „სონეტი“.

გვ. 51. ლექსის „შენი ხმა“ ქვემოთ: „ახალგაზრდა გვარდია“.

გვ. 67. ლექსის „ნატეხები“ ბოლოს: „1926, ანაპა“.

კანის მე-4 გვ.: „კორექტურა გვ. 40“.

2531-2535. მარიაჯანი. ლექსები. თბ., 1956.

წიგნში ქალაქი წარწერით: „მარიაჯანის თეა: კრებულში“. იქვე ამონაბეჭდი გახეთქიდან: „Вечер, посвященный творчеству Мариаджан“

მინაწერით: „30 яря, 1957, № 23“.

გვ. 65. ლექსთან „განჯა“ მიწერილია: „სონეტი“.

გვ. გვ. 68, 71, 79, 83, 85, 110, 114, 123, 127 ლექსების სათაურებთან: „გრ.“

გვ. 87. ლექსის „სად არიან“ სათაურთან: „ბ. ტ.“

2536-2538. მაღალდაძე ნ. ვენბანი წარმოდგენილი მრუშებისა და სიმთვრალისაგან. ლქსად თქმულნი. ტფ., 1883.

კანზე: „1. სიმთვრალეზე. 2. მრუშებაზე“.

2539. მაღალდაძე ნ. საუნჯე სულისა. პოემა. სიღნაღი. 1892.

გვ. 45. ხაზგასმულია სიტყვა „განიერი“ და არწიანზე: „განიერი (?)“.

2540. მაღალდაძე ნ. ცხოვრება და ვენბა წინდისა დიდისა მოწამისა ეკატერინასი. თფ., 1885.

2541. მაღალდაძე ნ. ცხოვრება წმინდათა

მოციქულთა სწორთა მეფე კონსტანტინესი და დედისა მისისა დედოფლისა ელენასი. ლექსად თქმული. თელავი, 1890.

2542-2543. მაღალდაძე ნ. წამება წმიდისა დიდებულისა, დიდისა მოწამისა და ძლევა შემოსილისა გიორგისა, ლექსად თქმული. თბ., 1879.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ლექსად. ი. გრ.“

2544. მაღალდაძე მ. ტანჯვა სიყვარულისაგან. ლექსად თქმული. ტფ., 1899.

ყუაზე: „წიგნი იოსებ მამულაშვილისა“.

2545. მაღალდაძე ა. გრძნობის კარი. ლექსება. ქუთაისი, 1905.

2546. მაღალდაძე ა. გრძნობის კარი. ლექსები, გამოც. მე-2. ყვირილა, 1902.

კანზე: „ეს წიგნი მხოლოდ ლენინგრადის ბიბლიოთეკაშია. თბილისში არ არის. ი. გრ.“

2547. მაღალდაძე ა. ლექსები. ყვირილა, 1909.

კანზე: „თბილისში არ არის. — ი. გრ.“ ავტორის გვარს მიწერილი აქვს: „მკერავი, გვ. 113“.

თავფურცელზე ხაზგასმულია „გამოცემა მეორე“, მიწერილია: „პირველიცა მაქვს. ი. გრ.“

2548-2549. მაღალდაძე ა. უშვილო ხელწიფე. ზღაპარი ლექსად. ქუთაისი, 1907.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ეს წიგნი არ არის არსად! ი. გრ.“

2550. მაღალდაძე ა. ქალ-ვაჟის სიყვარული. მართალი ამბავი. პავლე პეტრეს ძის შარიქაძის და ალექსანდრა დიმიტრი ბერაძის ასულზე. ლექსები. გამოც მე-3 ყვირილა, 1909.

2251-2252. მაღალდაძე კ. ნეტავ სიზმარი იყოს. ვოდ. 1 მოქმ. თბ., 1911.

2253-2254. მაყაშვილი კ. რჩეული. თბ., 1961.

ფორზაცზე: „ქალბატონ ქეთოს და ბატონ სოსოს დიდი სიყვარულით. ნუგეშა [მაყაშვილი]. 24/IV- 62 წ.“

2555-2560. მაყაშვილი კ. ეშმაკი საქართველოში. სატირა. ტფ., 1926.

კანზე: „ეს ეგზემპლარი გასწორებულია ავტორის მიერ. ი. გრ.“

თავფურცელზე: „გასწორებულია თვით კ. მაყაშვილის ხელით.“

2561-2563. მაყაშვილი კ. კრება ანუ ბიბლიოთეკის დაარსება. [პოემა]. თფ., [1903]. ხელნაკეთ კანზე: „დაიბეჭდა „ივერია“, 1903 წ., № 76. ი. გრ.“

2564-2567. მაყაშვილი კ. ლირიკა. თბ., 1914. კანზე: „ავტორის ხელით ნასწორები ეგზემპლარი. ი. გრ.“

ფორზაცზე ქალაქის ნაქერი წარწერით: „კ. მაყაშვილის უბის წიგნში ასეთი შენიშვნა“

ნა: „შემდეგი ლექსთა კრებული უნდა იყოს სათაურით „შენ“. ყველა განცდანი მეორეს სახელით უნდა იწერებოდეს“ — ი. გრ.“

თავფურცელზე: „გასასწორებელი ეგზემპლარი. ხელი არაინ ახლოს ამ წიგნს“. ქვემოთ: „ეს ავტორის ხელია. ი. გრ.“

გვ. გვ. V, IX, X, 3—15. 19, 20, 23—33, 36, 38—41, 43, 44, 48, 49, 51, 54 შესწორებულია, ხაზგასმულია, გადახაზულია, მიწერილია სტრიქონები, ტაბეები, ადგილები ავტორის მიერ.

გვ. 3. დევს ქალაღის ნაქერი მინაწერით: „ვარდისფერი ფანქრით ჩემი ხელია. ი. გრ.“.

გვ. 3. მიწერილია: „წითელი ფანქრით მეც ვაებედე შესწორება. კოტე რომ ცოცხალი ყოფილიყო — არ იწყენდა მეგობრის რჩევას; მე ის მენდობოდა. ი. გრ. [მისი იბოლი მოწაფე]. 1930. 28/XII“.

გვ. 16. ლექსის „რითმები“ დასასრულს: „(„ივერია“, 1902 წ., № 27). სარჩევში შეცდომით 1904-წელს ეკუთვნება. ი. გრ.“

გვ. 17. ლექსის „ძველ ღმერთებს“ ტექსტი არ არის. მის მაგივრად წერტილებია დაბეჭდილი. არშიაზე: „პირველად დაიბეჭდა „ივერია“, 1905 წ., № 11. ი. გრ.“ იქვე ლექსის „პირანის“ ტექსტის მაგივრად წერტილებია. არშიაზე: „პირველად დაიბეჭდა „ივერია“ 1905 წ., № 1, 17 თებერვ. მეორად 1909 წელს გამოც. „ჩანგში“, გვ. 237. (ჩანგში ავტორმა ეს ლექსი ოდნავ შეასწორა — ხელთნაწერი მე გადმომცა). ი. გრ.“

გვ. 34. ლექსის „ნანგრევები“ სათაურის გვერდზე ავტორის მიერ მიწერილია: „გამორთოებულია“ — ზემოთ არშიაზე ი. გრ. წარწერა: „იქნება ხელთნაწერიდან არის გამორთოებული? აქაც ისეა დაბეჭდილი, როგორც პირველად დაიბეჭდა (იხ. „პატარა გაზეთი“, 1906 წ., № 9). პირველად რომ დაიბეჭდა „სააკაძის გლოვა“ — არ იყო. ეწერა: „ნანგრევებზე (დასაუბლო საქართველოში)“.

გვ. 35. მოხაზულია ლექსი „რომანსი“. არშიაზე წერია: „არას გზით არ შეიძლება ამ ლექსის შესწორებით დაბეჭდვა, დაიბეჭდოს როგორც წიგნშია. ყველა მღერის. ი. გრ.“

გვ. 72. ლექსის „პოეტის სტუმრები“ სტრიქონებს შორის გამორთოებულია ადგილები და წერტილებია დაბეჭდილი, გასწვრივ წერია: „გამორთოებულია ცენზურის მიერ. შეეცესთ ჟურნ. „ფასკუნჯი“-დან, სადაც პირველად დაიბეჭდა ეს პოემა (იხ. ს. ფირცს-„ფასკუნჯი“, 1909 წ., № 1, გვ. 1.)“

2565. მეორე ცალი.

† ფორზაცზე: „ი. გრიშაშვი ადღგენილი „ფასკუნჯიდან“, 72“.

შუუტრეტულზე წარწერა: „საყვარელს, სიყვარულის ნიჭიერს, აღფრთოვანებულ მგოსანს ი. გრიშაშვილს მეგობარ კოტესაგან.

1914 წ. 16 მკათათვე“. იქვე ქვევით: „კოტე მაყაშვილი. დაიბადა: 1875 წელს 13 ნოემბერს — იყალთოში. გარდაიც. 1927 წელს 29 აგვისტოს — წალღერში. ი. გრ.“

გვ. 10. ლექსის „აღღგომას“ ბოლოს: („ივერია“, 1903 წ., № 271).“

გვ. 15. ლექსის „უნაშესო“ ბოლოს: „(„ივერია“, 1904 წ., № 48)“.

გვ. 16. ლექსის „რითმები“ ბოლოს: „(„ივერია“, 1902 წ., № 27)“.

გვ. 17. დაკრულია ფურცელი, რომელზედაც გრიშაშვილის ხელით გადაწერილია კ. მაყაშვილის ლექსი „ძველ ღმერთებს“, ბოლოში ნიჭიერი: („ივერია“, 1905 წ., № 11).

გვ. გვ. 17—19. გრიშაშვილის ხელით გადაწერილია კ. მაყაშვილის ლექსი „პირანის“. ბოლოში მიწერილია: „(„ივერია“, 1905 წ., № 1, 17 თებერვლი). ეს გადმოეწერა 1909 წელში გამოცემულ „ჩანგშიდან“. გვ. 237. ეს ლექსი მაშინ კოტემ თავის ხელით გადმოცა. ივერიაში დაბეჭდილთან შედარებით, აქ გასწორებულია. ი. გრ.“

გვ. 35. ლექსის „ნანგრევებზე“ ბოლოს: „(„პატარა გაზეთი“, 1906 წ., № 9)“.

გვ. 72. ლექსში „პოეტის სტუმრები“ ჩამატებულია 14 სტრიქონი და მიწერილია: „(იხ. „ფასკუნჯი“, 1909 წ., № 1). ი. გრ.“

წიგნის ბოლოს, თავისუფალ ფურცელზე მიწერილია: „კოტეს გაბნეული ლექსები ჟურნალ-გაზეთებში. — დანახეი ჩემი მასალები პ. ინგ-ს მივეცი. ი. გრ. — „უპასუხო“ („საქართველო“, 1918 წ., № 234)“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „კ. მაყაშვილის სატირული პოემა „ბიბლიოთეკის დაარსება“ დაიბეჭდა „ივერია“, 1903 წ., № 76. შერე ცალკე წიგნად“.

წიგნში დევს კალენდრის ფურცელი, თავისუფალ გვერდზე: „კ. მაყაშვილზე წერილი აქვს ვ. კოტეტიშვილს. „განათლება“, 1914 წ., VIII და IX.“

2568. მაყაშვილი კ. სიკვილი-სიციოცხლის ცეკვა. [ლექსი. თბ., 1916].

გვ. 11. „აღღგანაზი „მერანის“, 1916 წ.“

2569-2570. მაჩანელი დ. გლეხის ნაამბობი. ტეგია და ტირაკუზა და სხვა ლექსები. თბ., 1897.

გვ. 3. ხაზგასმულია მიძღვნა: „პოეტს ვ. ლველიჩკოს“, წერია არშიაზე: „დაიბეჭდა პირველად „ივერია“, 1897 წ., № 44.“

გვ. 5. ფანქრით: „*აქამდე“.

გვ. 19. ხაზგასმულია „წყალია“, მიწერილია: „თუ ნათი“.

გვ. 20. ხაზგასმულია: „ლენაქის ყურში“, მიწერილია: „აკაი“.

მეორე ცალის კანზე: „იშვიათია ი. გრ.“

2571. მაჩხანელი დ. მარო. დრამის ნაწყვეტი. ქუთაისი, 1898.

ხელნაკეთ კანზე: „დ. მაჩხანელი. მარო. იხ. „საქ. კალენდარი“.

2572. [მაჩხანელი დ.] ნადიროვი დიმიტრი. სიყვარულის კონა. ლექსები. — ნასწავალი სონა, კომედია 1 მოქმ. და დღისტენელი ლეკის ის-მაილის ამბავი. ტფ., 1881.

ყუა გაკეთებულია ი. გრ. ხელით. მკრთალად ეტყობა: „Судѣиор Иосип Мамулов“.

კანზე: „გვ. 11. „ტურთავე მოდი, ნუ ხარ მტრულად. — სიმღერა. ი. გრ.“. ავტორის გვართან: „(დ. მაჩხანელი)“.

2573-2574 მაჩხანელი დ. (ნადირაძე) სოფლის სუენწულა. ტფ., 1892.

კანის მე-4 გვ.: „შხიშხიბა“, „პუკუპუკებიანი“.

გვ. 5. ხაზგასმულია: „დალაქი-ჩხუბა“, სქოლიოში: „ძან ტიპია დალაქი-ჩხუბა“.

2575. მაჩხანელი დ. ძმური სიტყვა. ტფ., 1887.

თავფურცელზე: „მეორედ დაიბეჭდა 1891 წელს, აღექს. როინაშვილისგან. ი. გრ.“

წიგნის ბოლოს თანდართულ „ზოგადობის სიტყვების განმარტება“-ში ხაზგასმულია: დასტამბო-ბურთივით დამარგვალეული ნესეი“, მიწერილია: „შამამი“; „ჯოლაგი“, მიწერილია: „სინსილა“.

2576-2578. მაჩხანელი დ. ძმური სიტყვა. გა-მოც. მე-2 ტფ., 1891.

თავფურცელზე ყოფილი მფლობელის ხელწერა: „იასამანი. 14/VI. 1918. თფლისი“.

გვ. 37. ქვევით არშიაზე: „ხაბახუბა“.

გვ. 65. ხაზგასმულია „დაწერილ-ჩახსაკრავებს“, მიწერილია: „ს მეცა მაქეს“.

გვ. 74. ხაზგასმულია „ჩოლფოტი“, არშიაზე: „ჩოლფოტინა“.

კანის მე-4 გვ. „ქანჩი, 130, 132“.

მესამე ცალის კანზე: „დუბო. ი. გრ. კახეთის პრეინცი. ივრე — გვ. 14“.

2579. მაჭავარიანი დ. მტკვარი ჯავშნოსანი. პოემა. ტფ., 1928.

2580-2583 მაჭავარიანი დ. სარკოფაგები. [ლექსები]. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. წადვერი. 1924 წ. 29 ივლ.“
კანის მე-4 გვერდზე: „კანცოვკა“ — ზოგან არის ზოგან არა. სარჩევი სხვა შრიფტით უნდა აწყობილიყო“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „შ. ძიძიგუ-რის წიგნებიდან. 1927. VII. ტფლისი“.

შეუტეტიტულზე ბეჭედი: „შოთა ვარლამის-ძე ძიძიგური. ლიტერატურული წიგნები. 1922 წ. დედა ქალაქი“.

2584. მაჭავარიანი მ. ლექსები. თბ., 1955.

2585. მაჭავარიანი მ. ლექსები. პოემა. თბ., 1962.

2586. მაჭავარიანი მ. წითელი მზე და მწვანე ბალახი. ლექსები. თბ., 1958.

2587. მახარაძე ვ. იოლდამ [მოთხრობა] ზათომი, 1927.

2588. მგალობელი ს. სცენა ერთი მხარის მობრიგებელ მოსამართლის სსამართლოს წინ. — ამონაქერი: „მნათობი“, 1871. № 7.

ტექსტის დასაწყისში: „ილიასს ჰკავს. ი. გრ.“

2589. [მგალობლიშვილი დ.] იმერელი ქალი. ლექსები. თბ., 1960.

ფორზაზე წარწერა: „დიდათ პატიეცემულ მგოსანს იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან! 17/IX 1960 წ.“

2590. მგალობლიშვილი ს. რჩეული მოთხრობები. თბ., 1951.

გვ. 288. არშიაზე: „ი. კ.“

გვ. 696. ზევით: „საფლავში ჩამომძახე“ („ივერია“, 1903 წ. № 113).“

გვ. 697 „რედაქტორის შენიშვნებში“ ორ ადგილს წრემემოვლებულია ინიციალი კერესელიძის და არშიაზე მიწერილია: „იასონ კერესელიძე“. იგივე: გვ. 698.

გვ. 698. სადაც დასახელებულია „ჯორჯა-ქარა“, არშიაზე მიწერილია: „იბეჭდ. ს. გუმბაძის ფსევდ.“

გვ. 702. ხაზგასმულია სიტყვა „სიმპრატები“ და არშიაზე: „შანკრაქი (ძალის ქონის კრაქი)“

ვაზეთიდან ამონაქერი ს. ხუციშვილის რეც. ს. მგალობლიშვილის მოთხრობებზე მინაწერილი: „ლიტ და ხელოვნება“, 1952 წ., № 13, 28 მარტი“.

ამონაქერი ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“-დან ს. მგალობლიშვილის მოგონება მარიამ დემურიაზე მინაწერილი: „1916“; ქალაღლის ნაქრები მინაწერებია: 1. „და შექფიყვის ს. მგალობლიშვილის (დაიბეჭდა ფ. „გრდემში“, 1923 წ., № 6, გვ. 1). 2. თეატრი. ს. მგალობლიშვილის მოგონებანი გ. ერისთავზედაც („ერი“, 1910, № 26). 3. სოფ. მგალობლიშვილის მოთხრ. „პირველი სისხლი“, იხ. „დროშა“, 1924, № 13, გვ. 18. 4. იხ. ს. მგალ. გ. თავზ. რედ. 1951. გვ. 288. 5. ს. მგალობლიშვილის ნაწერები: 1. მოგონება ლაღო მესხიშვილზე, „ჩვენი დროება“, 1913 წ., № 36. 2. აპა, დასტკბი! (მოთხრ.) (იქვე, 1913, № 15, 16, 17 და სხვ.) 3. მოგონება ა. ცაგარელზე (იქვე, 1913, № 26 და „თემი“, 1912 წ., № 102).

6. სოფ. მგალობლ. 1. „და განრისხეს“ (ამ-
ბავი მოძრაობის დროიდან). იხ. „სახალხო
ფურც“, 1916 წ., № 469, 1 იანვარი. 2. ლი-
ზა ჩერქეზიშვილის ბიოგრაფია, დაწერილი 30
წლ. საიუბილეოდ სოფ. მგალობლიშვილის მი-
ერ. „სახალხო საქმე“, 1916 წ., № 493, 2
თებ. ნ. ლომოურმა „ქაჩანაში“ „ლიზა ჩერქ-
ის ცეკობა გამოხატა“ (იქვე). ლიზას პირ-
ველი ქმარი იყო მაჩაბელი-ბორტიშვილი, მე-
ორე — ნიკო ხიზანიშვილი (ტერორისტებმა მო-
კლესო).

2591. მგალობლიშვილი ს. გვირისეულის
ქალი. მოთხრობა. ტფ., 1892.

2592. მგალობლიშვილი ს. „და შეჰფიცეს“.
(გლეხთა ცხოვრებიდან). [თბ., 1916]. ამო-
ნაჭერი. გვ. 19—29.

კანზე: „სოფ. მგალობლიშვილი „და შეჰფიც-
ეს“ 1916 წ. ი. გრ.“

2593-2595. მგალობლიშვილი ს. დედა მათა.
მოთხრობა. თბ., 1883.

ავტორის მიმართ მიწერილია: „1853—1925
წ.-74- გარდაიც. 30 ნოემბ.“

2596. მგალობლიშვილი ს. დედა მათა. მო-
თხრობა. თბ., 1883.

აქინძულია წიგნთან: ალფონს დოდე —
„ბერლინის გარემოცვა“, 1889.

2597—2598. მგალობლიშვილი ს. დედა
მათა. [მოთხრობა. თბ.], 1928.

2599. მგალობლიშვილი ს. დედა მათა. [მო-
თხრობა]. ტფ., 1935.

2600-2601. მგალობლიშვილი ს. დემეტრეს
სახლბა. მოთხრობა. გორი, 1889.

კანზე: „სხვა ყდა. ი. გრ.“

2602. მგალობლიშვილი ს. დიდ ზალაში.
(პროვინციული სურათები). [თბ., 1886].

2603-2604. მგალობლიშვილი ს. თავადი
ივრონიმე. მოთხრობა. თფ., 1892.

2605-2606 მგალობლიშვილი ს. მექველე. მო-
თხრობა. თფ., 1892.

2607. მგალობლიშვილი ს. მზეთუნახავი
გული. [ლევანდა]. — ამონაჭერი: „განთიი-
დი“, 1913.

გვ. 107. სქოლიოში მინაწერი: „არც აქ
დასრულდა“.

გვ. 139. ტექსტის ბოლოს ფანქრით: „(ალარ
ყოფილა გაგაძელება)“.

2608-2609. მგალობლიშვილი ს. მთიული
სოსე. მოთხრობა. თფ., 1892.

2610. მგალობლიშვილი ს. მოთხრობანი.
გორი, 1913.

თავფურცელზე ავტორის გვარის ქვეშ:
„აქ ს. შის ბიოგრაფიაცაა. ი. გრ.“

2611-2615. მგალობლიშვილი ს. მოთხრო-
ბანი. გორი, 1916.

2616-2621. მგალობლიშვილი ს. მოთხრო-
ბები. ტ. 1-2. ტფ., 1926. კანზე: რჩეული
მოთხრობები.

ტ. 1.
მეორე ცალის კანზე: „დუბლ. შევად. —
ი. გრ.“

მესამე ცალის კანზე: „ნელლი ეს დამიბ-
რუნე ი. გრ.“. იქვე: „ს. გუმეაძის ფსევდ.
პირველად „ჯორჯაქარა“ დაიბეჭდა „მიწაში“.
№ 8. ავტორმა ჩემს წიგნს დააწერა ჯორჯა-
ქარაში ბევრი შედგომები. ი. გრ. „წითე-
ლი სარხული“ დაიბ. „განათლებლში“, „ძვე-
ლი გურულის“ ფსევდ. (1908 წ. № 7—8).
კანის მე-4 გვ: „სოფ. მე. სთარგმნა როსე-
ლის დღიური. იხ. „მნათ.“, 1872, თებერ.“

ტ. 2.
გვ. 170. მოხაზული ადგილი და მიწერი-
ლია: „პროპაგანდისტის სახით გზის გაყოფვა“.

2622-2623. მგალობლიშვილი ს. ორი მოთხ-
რობა. 1. ცერევაზე. — 2. დიდ ზალაში. ტფ.,
1886.

2624-2627. მგალობლიშვილი ს. ღამის მეხ-
რე ცეკო. მოთხრობა. ტფ., 1887.

2628-2629. მგალობლიშვილი ს. ღამის მეხ-
რე ცეკო. [მოთხრობა]. ტფ., 1935.

2630. მგალობლიშვილი ს. ცერევაზე. (მო-
თხრობა). [თბ., 1885]. ამონაჭერი: „ივე-
რია“, 1885, № 9.

გვ. 1. მიწერილია: „სოფრომ მგალობლი-
შვილის მოთხრობა“.

2631-2632. მგალობლიშვილი ს. წარსული-
დან. სკოლაში წასვლამდის. [მოთხრობა]. —
ამონაჭრები: „მომბე“, 1898, № 12; 1899,
№№ 1, 2, 3, 8, 9, 10, 12; 1900, №№ 2, 3.

ყდის მეორე გვერდზე: „ს. მგალობლიშვი-
ლის უცნობი მოთხრობებიც: (შედგენილი
ი. გრიშაშვილის მიერ): 1. მზეთუნახავი გული
(მოთხრობა). იხ. ჟურნ. „განთიიდი“, ქუთ.
რედ. ე. მჭედლიძე. 2. ვოლფანგ მოცარტი
(მოთხ.), „ნობათი“, 1885, № 1, გვ. 30. 3.
აპა, დასტები „ჩვენი დროება“, 1913 წ., № 17
(მოთხრობა). 4. მექველე „კვალი“, 1893 წ.,
№ 1. 5. პირველი სისხლი იხ. „ცნობ. ფურც.“
დამატ., 1905 წ., 362, 363. 6. ორი მეზობლის
ისტორია ვახ. „მზე“, 1908 წ., № 2, 3; „ფას-
კუჩქი“, № 1, 2, 3, 4. 7. ერთი იმთავანი
(„თ. და ცხ.“, 1920 წ., № 29)“.

ფორზაცზე: „ს. მგალობლიშვილი დაიბ.
1850, გარდაიც. 1925 წ. 30 ნოემბერს“. „(იხ.
ვართავას წერილები ს. მგალობლიშვილზე.
„საქართველო“, 1916 წ., № 31—37) ი. გრ.“
„არსენაზე, გვ. 68 (1899, VIII, ნაწ. II. I).
სულ ბოლოში „ცანცარა“ მე ჩავაკრე-
ი. გრ.“

თავფურცელი შედგენილია ი. გრ. მიერ: „ს. მგალობლიშვილი. წარსულიდან (მოთხრობა სამ ნაწილად). „მოამბე“, 1898 წ., XII: 1699 წ. I, II, III, VIII, IX, X, XII; 1900 წ. II. III“.

წიგნის ბოლოს ფორზაცზე: „არსენაზე, გვ. 66; ქარვასლის ლომები, 52; ალმასის წყალი (გვ. 65, ნაწ. III)“.

ფორზაცებზე ბეჭედი: „Из книги Мгало-бцаири“.

ფორზაცზე მინაწერი: „სოფ. მგალობლიშვილის ნასწორებია? ი. გრ. 1956, 2/VIII.“

გ. თაუზიშვილს უნდა ეაჩვენოს ი. გრ.“

გვ. 1. მიწერილია: „ი. გრ. შენიშვნები“.

2633-2634. მგალობლიშვილი ს. ჯორ-ზაქარა. მოთხრობა. გორი, 1915.

კანზე: „ეს წიგნი ავტორმა მიძღვნა. იხ. ეპიგრაფი. ი. გრ.“

თავფურცელზე წარწერა: „სიყვარულისა და კოცნის“ მგოსანს სიყვარულით და კოცნით ვუძღვნი ამ ჩემს ნაშრომს. 30-IV, 15 წ. ს. მგალობლიშვილი P. S. კორექტურული შეცდომები ბლომად და ზოგან სიტყვებიც გამოტოვებული“.

მეორე ცალის კანზე: „ს. მგალობლიშვილის ავტორგრაფით. — ი. გრ.“

თავფურცელზე წარწერა: „ძვირფასს საზოგადო მოღვაწეს და ბელეტრისტს, ჩემს გულითად მეგობარს დაეით ნახუტრიშვილის ავტორისაგან“.

2635. მგალობლიშვილი ს. ჯორ-ზაქარა. მოთხრობა. გორი, 1915.

აქინძელია წიგნთან: გლაზაშვილი, ს. „წყურელი“.

თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელით: „ა. ავლაძე“.

2636-2638. მგალობლიშვილი ს. ჯორ-ზაქარა [მოთხრობა]. (ბატონყმობის წინ და შემდეგ). [თბ.], 1928.

2639-2641. მგალობლიშვილი ს. ჯორ-ზაქარა. [მოთხრობა]. (ბატონყმობის წინ და შემდეგ). ტფ., 1937.

კანზე: „ი. გრ. 1937, 22-X ა. ჭ-მე, 22. იხ. ბოლო კანის“.

კანის მე-2 გვერდზე: „კორექტ. 23, 38. ავტორს აქვს: 190-წლისა, გვ. 102“.

გვ. 18. ხაზგასმულია სიტყვა: „ქუჩი“ და ქვემოთ მითითებულია: „უუჩი — წვერი, ჭამამს — ა.“

გვ. 19. ხაზგასმულია: „ხიჩატელი“, იქვე არშიაზე: „ხიჩატელი — ტყის ხილი“.

გვ. 23. ხაზგასმულია: „მეკობრესავეთ“. ქვემოთ მიწერილია: „მეკობრე — ავაზაკი“.

გვ. 33. ხაზგასმულია: „ძალაუნებურად“, არშიაზე: „ხაზი ავტორისაა“.

გვ. 38. მოხაზულია სიტყვა: „უკვაზე“, იქვე არშიაზე: „უკვაში. (ავტორს ასე აქვს)“.

გვ. 41. სქოლიოში ხაზგასმულია: „კვერცხ-ავლა — თლდა“, მიწერილია: „კვერცხივით არგვალდება“.

გვ. 51. მოხაზულია: „დასევადებულს“, მიწერილია: „შვიდ ფერ.“ სქოლიოში ხაზგასმულია: „ენიანი კაბა“, მიწერილია: „სახელოანი“.

გვ. 85. სქოლიოში ხაზგასმულია: „ჩიხური — დიდი ძაჩი“, მიწერილია: „ხის (ფიცურული) პატარა სახლი“.

გვ. 88. სქოლიოში ხაზგასმულია: „ქაქვი-მცენარეა“, მიწერილია: „უკეთელი ფერის, საღებავს აკეთებენ“.

გვ. 102. ტექსტში თარიღი: „1906“ შესწორებულია: „1900“ და მიწერილია: „ეს ავტორს არა აქვს, „მიწაში“ დამბეჭდა აქამდე“.

გვ. 118. ხაზგასმულია ტექსტში ადგილი, მიწერილია: „აქ აღდგომა უნდა აეწერა, რომელიც აღარ არის“. იქვე სქოლიოში ხაზგასმულია: „ბატკანი-კრაევი“, მიწერილია: „ამას რა ახსნა უნდა, კრაევი უფრო ასახსნელი არ არის?“

გვ. 119. სქოლიოში განმარტება: „აქამო — ცუდი, მრისხანე, უბადრუკი ღრო“ მიწერილი აქვს: „უუცივი ღრო“.

ი. გრ. მიერ განმარტებული სიტყვები ამოწერილია კანის მე-4 გვერდზე.

2642. მგალობლიშვილი ს. ჯორ-ზაქარა. [მოთხრობა]. (ბატონყმობის წინ და შემდეგ). თბ., 1948.

2643-2644. მგალობლიშვილი ს. ჯორ-ზაქარა. [მოთხრობა]. თბ., 1959.

2645-2646. მგელაძე ა. (ბლიკვაძე) მგზავრები. იგავ-არაკები. ტფ., 1929.

2647-2649. მგელაძე ს. მოთხრობები. ტფ., 1926.

2650. მგელაძე ს. თხზულებანი. თბ., 1940.

გვ. 51. ხაზგასმულია სიტყვა: „ქაშმირი“ და მიწერილია: „ქიშმირი“.

2651. მგელაძე ს. ბაზმარო. ლეგენდა-პოემა. ტფ., 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 14/III“.

გვ. 5. ლექსში „მიძღვნა“ ხაზგასმულია: „უწერ“, მიწერილია: „უწერა. უწერა (სოფელია)“.

2652. მგელაძე ს. ლიანა ლორდია. [რომანი]. ტფ., 1928.

კანზე: „ავტორისაგან. ი. გრ.“

თავფურცელზე წარწერა: „ნიქიერ სოსოს. საფო. 1930 წ., 1 მარტი“.

2653-2654. **მგელაძე ხ.** ლიანა ლორდია. [რომანი]. მხატვარი ქალის დღიურიდან. გამოც. მე-2. ტფ., 1934.

2655. **მგელაძე ხ.** მოთხრობები. ლექსები. პოემები. თბ., 1962.

ფორზაცზე წარწერა: „ჩვენს სახელოვან პოეტს, დედამისს დიდ მეგობარს, ძვირფასსა და საყვარელ ო. გრიშაშვილს უღრმესი პატივისცემით და მადლობის გრძობით. შუშანა მგელაძე, 1962, 19-V“.

2656. **მგელაძე ხ.** პრელუდია. [ლექსები. პოემები]. ტფ., 1932.

გვ. 11-12. ლექსში „ახალი მუშა“ ხაზგასმულია: „უზენაესის“, მიწერილია: „მუშა“.

ხაზგასმულია: „მარმენოს“, მიწერილია: „ბედ-დ“. ხაზგასმულია: „ლორფინებს“, „ბეგ-თარს“, „ლიბანდაკებს“, „მარმენოს“, მიწერილია: „აბა რა მუშური სტილია?“

გვ. 20-21. ლექსში „პატარა პოეტესა“ ხაზგასმულია ადგილები და მიწერილია: „წელიწადის რომელი დროა?“ ხაზგასმულია: „შენ ხელობას ეწერდი“, მიწერილია: „ე. ო. შენი ტოლს რომ ვიყავიო?“. ლექსის ბოლოს ხაზგასმულია: „საივლისოთ“, მიწერილია: „იფოლისი?“

გვ. 40. მობზულია „პლედით“ და „ყაჩაღს“, მიწერილია: „პლედო-საბანია. პლედო და ყაჩაღი?“. იქვე ხაზგასმულია „პლედით“ და „ლედო“, მიწერილია: „ორივე უცხო რითმა?“.

2657. **მგელაძე ხ.** ქარიზლის ფრთებზე. რომანი. ტფ., 1933.

2658. **მდივანი გ.** პიესები. თბ., 1959.

2659—2661. **მეგრელი დ.** [თხზულებანი]. მე-2 გამოც. წგ. 1—2. ტფ., 1909—1910.

წ. 1. ლექსები. 1909.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს — ავტორისაგან. 1909 წ.“

ყდის მეორე გვერდზე მინაწერი: „ფსევდონიმები: დ. ხ., ოტია (გვ. 12). 1. „მე პატარა ქართველი ვარ“, (გვ. 158). 2. ორბელიანის სამხატვრო ნიჭი, 127“.

ფორზაცზე: „აქ ორი წიგნია: I. ლექსები. II. მოთხრობები დემნა შენგელაია დღუტუ მეგრელის ნათლულია“. აქვე დევს გაზუთიდან ამოკრილი გ. შ.-ს წერილი „50 წელი სამწერლო ასპარეზზე. დღუტუ მეგრელი“ მინაწერით: „მუშა“, 1936, № 269. 22 ნომებ“. ტექსტში ხაზგასმულია: „მისი პირველი ლექსი — „ნეტა ვიცოდო“ — დაიბეჭდა გაზეთ „თეატრში“, 1886 წელს...“, მიწერილია: „ლექსი უძღვნა კიტას დას“.

თავფურცელზე ავტორის გვარის ქვეშ: „(1867—1938)“.

გვ. 16. ლექსს „რისთვის?“ მიწერილი აქვს: „(отчего). გვ. 103“. ლექსს „ლოცვა“ მიწერილი აქვს: „(Молитва). Страница. გვ. 90“.

გვ. 33. ლექსის „ჩემი სიმღერა“ სათაურს მიწერილი აქვს: „ეს ლექსი დაწერისთანავე გაგზავნა „ივერიაში“. „ივერიაში“ არ დაბეჭდა და პატარა ფელეტონში ნაბოლარამ მასხარად აიგლო. ავტორმა მერე „კვალში“ დაბეჭდა. ავტორმა „ცრემლებში“ არ შეიტანა, „ივერიის“ ლანძღვის გამო. („კვალი“, 1893, № 41)“.

გვ. 123. ლექსს „ა-ს“ მიწერილი აქვს: „სანდრო დიასამიძის ცოლზე, ანეტაზე“.

გვ. 127. ლექსს „ორბელიანის სამხატვრო ნიჭი...“ მიწერილი აქვს: „კაი ლექსია. ილია? ილიას რა გავქვს?“

გვ. 131. ლექსში „შემოდგომის მგლოდია“ ხაზგასმულია: „მიბაძეა“ და მიწერილია: „უცხო პოეტია“.

გვ. 134. ლექსს „მდინარის ჩურჩული“ მიწერილი აქვს: „უცხო პოეტია“.

გვ. 137. ლექსში „სიკაბუეკ“ ხაზგასმულია: „მიბაძეა“ და მიწერილია: „რუისს მწერალს — П. Я.“.

გვ. 144. ლექსს „ტ“-ს მიწერილი აქვს: „ავტორის მეუღლე“.

გვ. 150. ლექსთან „პაწაწინა ეკას საფლავზე“ მიწერილია: „საყუთარი ქალი გარდაეცვალა ლუტუს“.

გვ. 158. ლექსის „პატარა ქართველი“-ს ბოლოს მიწერილია: „ამ ლექსს „ნაკადულში“ აკაკის აკუთუნებენ (იხ. „ნაკ.“, 1915, № 1, გვ. 45). „ღელა ენაში“ კი იბეჭდებოდა როგორც ხალხური“.

გვ. 171. ლექსს „მე და ის“ მიწერილი აქვს: „შ. დადიანის დაზე — მაშო ანჩაბაძეზე“.

წ. 2. მოთხრობები. 1910.

თავფურცელზე: „მეორე გამოც“.

ყუაზე ამოტიფურულია: „გრიშაშვილი“.

2662. **მეგრელი დ.** გაქსუებული. 4 მოქმ. დრამა. — ამონაკერი: „მოამბე“, 1899, № 1.

2663. **მეგრელი დ.** მოთხრობები. მე-3 უცეს. გამოც. ტფ., 1920.

2664-2665. **მეგრელი დ.** მოთხრობები. ტფ., 1930.

შუბტირულზე: „(მეოთხე გამოც.)“.

2666. **მეგრელი დ.** მუშები საქართველოში და შრომის გმირი ხოშტარია. [პოემა]. ტფ., 1933.

შუბტირულზე: „ი. გრ. 1936. 2/II“.

2667. მებრელი დ. მწარე ფიქრები. ახალი ლექსები. (1893—1896). ქუთაისი, 1897.

კანზე: „შეეჩვია“, 15“.

2668-2669. მებრელი დ. მწირი სარდალი. დრამა—პოემა. 5 მოქმ. ტფ., 1915.

კანზე: „ი. გრ. ქ. ტფილისი. 25/II“. იქვე დაკრულია ქალაქის ნაპერი წარწერით: „ლუ-ტუ მებრელის პიესა. „ნებადართულია. სცენაზე წარმოსადგენად ღუტუ მებრელის პიესა „ბერი სარდალი“ იხ. გაზ. „მომავალი“, 1909 წ., № 9, 15 დეკემბ.“

გვ. 29. მიწერილია: „აქ რომ გივი ბრძოლის ველზე ვაივდეს, უმჯობესია“.

გვ. 47. მოხაზულია მთელი გვ. და მიწერილია: „მეტია“.

გვ. 52. მოხაზულია აბჯატი და მიწერილია: „ქარგია“.

2670. მებრელი დ. პირველი ტალღები. მოთხრობა. თბ., 1894.

2671-2673. მებრელი დ. პრომეთე. დრამა—პოემა სამ სურათად. თბ., 1919.

თავფურცელზე წარწერა: „შ. არაგვისპირელს. ავტორისაგან“. იქვე: „შენიშვნები. ი. გრ.“

გვ. 3. ტექსტის წინ შ. არაგვისპირელის ხელით: „პირველი და მეორე სურათი გაუმგებარია“. იქვე: „[შოი არაგვისპირელის შენიშვნა]. ი. გრ.“

გვ. 4. არშიაზე შ. არაგვისპირელის ხელით: „ბ-ნ ღუტუ მებრელს ჰგონია, ვითომც პრომეთოს აღამიანებზე ისეთივე წარმოდგენა ჰქონდა, როგორც თითონ... პრომეთე იგივე ველური იყო, როგორც აღამიანი“.

გვ. 10. პირველ სურათის ბოლოს შ. არაგვისპირელის ხელით მიწერილია: „სრულებით არა დრამატიულია“.

გვ. 11. მეორე სურათის წინ იმავე ხელით: „ამ სურათში ოდნავი დრამატიზმია“.

მეორე ცალის კანზე: „ავტორის მიერ ნასწორები ეგზემპლარის. ი. გრ. 1943. 15/X“.

2674. მებრელი დ. სიკვდილი და სიცოცხლე. 5 მოქმ. კომედია. [თბ., 1898]. ამონაჭრები „მოამბე“-დან, 1898, №№ 5, 6, აკნძულია წიგნთან: „ურვი, პ. „ბუკეალები“ და სხვ.“

სათაურის წინ მინაწერი: „მოამბე“, 1898, № V, VI“.

2675. მებრელი დ. სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან. ქუთაისი, 1892.

ხელნაკეთ კანზე: „ღუტუ-მებრელი. სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან. 1892, ქუთაისი. ი. გრ.“ იქვე: „[1892 წ.] პირველი გამოცემა. (გარჩევა—იხ. „ეკალი“, 1893, № 49.

პ. გ... პეტრე ვალუგრა(ა?) (აფხაზი პეტრე კარაია)“.

კანის მე-4 გვერდზე: „სარჩევი: 1. საცოდანვი. 2. სიმონ მღვდელი. 3. ქინაქინა. 4. უბრალო მსხვერპლი. 5. გოგია და ქანა. ი. გრ.“

გვ. 4. „სიმონ მღვდელი (საადგომო ესეიხი)“. არშიაზე: „გადათარგმნა რუსულად გრ. ეოლსკიმ და ა. ხახანაშვილის წიგნში შევიდა.“

გვ. 60. „ქინაქინი“. არშიაზე: „თარგმანია. რუსულად ორჯერ თარგმნა. ივ. პოლუმორდ.“

გვ. 71. „უბრალო მსხვერპლი“. არშიაზე: „აღ. ვარსკვლავიშვილმა გადათარგმნა“.

2676-2677. მებრელი დ. ჩემი სიტყვა. ახალი ლექსები. [თბ.], 1932.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1933. 10. V“.

გვ. 9. ლექსში „სიკვდილის აჩრდილი“ ხაზგასმულია: „მასულდგმულდგენ სატრფო ძვირფასი და საყვარელი ჩემი მამული“... არშიაზე: „მეტ. — ი. გრ.“

გვ. 19. ლექსში „მე და კატა“ ხაზგასმულია სიტყვები: „მარტო“ „მარტობას“. არშიაზე: „სიონანსი“.

კანის მესამე გვერდზე ვახუთიდან ამოკრილი რეცენზია „სიმღერა კუთხიდან“ მინაწერით: „სალიტ. ვახუთი“, 1933 წ.?

წიგნში დეგს კონვერტი წარწერით: „ღუტუ მებრელი“. კონვერტში — ამონაჭრები: 1. „ღუტუ მებრელი“ მინაწერით: „კომბ.“, 1938, 15. IV“. 2. შ. დადიანის წერილი „რეალისტი მწერალი“ მინაწერით: „ლიტ. საქართ.“, 1938, № 7.“ 3. ს. ცაიშვილის წერილი „ღუტუ მებრელი“ მინაწერით: „კომ. განათლება“, 1938, № 24.“ 4. „ღუტუ მებრელის დაკრულია“ მინაწერით: „კომბ.“, 1938, № 64, 20 მარტი. 5. ვ. მ.-ს წერილი „ღუტუ მებრელი“ მინაწერით: „1938, „მუშა“, 16 მარტი“.

მეორე ცალის თავფურცელზე: „ალი არსენიშვილის წიგნიდან. ვიყიდე ბაზარზე“.

2678-2679. მებრელი დ. ცრემლები. ლექსები, ტფ., 1893.

კანზე: „ეს წიგნი — ავტორის შენიშვნებითაა. ხელნაწერებია. ი. გრ. აყო ჩემთან ღუტუ 1937. 2/X. — იხ. რეცენზია სტ. ჭრელაშვილისა „ივერია“, 1893, № 141. პასუხი რ. ხომელისა „ეკალი“, 1893, № 35“. ზევით მოხაზულია გამომცემელი: „პეტრე პავლეს-ძე“.

გვ. 7. ლექს „X-ს“ მიწერილი აქვს: „(ერთა აბაშიძის დავ კატოს) ი. გრ.“ ამ ლექსის ბოლოს მე-8 გვ. მიწერილია: „დაიბეჭდა ოტიას ფსევდ. იხ. „თეატრი“, 1886, № 45. ი. გრ.“

გვ. 14. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „26 ოქტომბერი, 1887 წ.“, მიწერილია: „დაიბეჭდა ღუტუ 1867 წ.“

გვ. 17. ლექსში „ქალს“ ხაზგასმულია: „(მიბაძვა)“, მიწერილია: „ფრანგ პოეტ ლაბუ-ლიესი, კიტა აბაშიძის დას — კატოს.“

გვ. 18. ლექსთან „ჩემს მეგობარს“ მიწე-რილია: „კ. აბაშიძეს“.

გვ. 20. ხაზგასმულია ლექსი „მუშა“, მიწე-რილია: „იგულისხმება გლეხი, მთხნელი მუ-შა“.

გვ. 24. ლექსთან „N-ის სიკვდილზე“ მი-წერილია: „დიმიტრი ყიფიანზე“.

გვ. 47. ლექსში „სამი მწუხარება“ ხაზგას-მულია: „(ა. საფოსი)“, მიწერილია: „თარგმა-ნი. ა. საბო (ვენეციელი პოეტი) თუ რუმინე-ლი“.

გვ. 51. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „მ. ფახლის სიკვდილზე“, ბოლოში მიწერი-ლია: „(ნივერია)“.

გვ. 60. ლექსთან „მ-ს“ მიწერილია: „[შალ-ვა დადიანის დას — შაშოს]“.

2680-2681. მეგრელიშვილი გ. (ტყის ასული). ყვავილის ჩრდილში. ლექსები. ტფ., 1927.

თავფურცელზე ბეჭედი: „მორის ფოცხი-შეილის წიგნებიდან“.

2682. მეგრელიშვილი ს. საჯაოხური ხუმრო-ბა. იუმორისტ. ნაწერები. წიგნი 1-ლი. ტფ., 1926.

კანზე: „ი. გრ. — 21 იელისი, 1926. ვოგზა-ლი“.

სათაურის გასწვრივ მიწერილია შენიშვნის ნიშანი და ქვევით ჩამოტანილია: „*) სადგური „საჯაოხო“, ამბობენ საჯაოხური ხუმრობა ნა-ხევრად მართალია. ი. გრ.“

გვ. 36. ხაზგასმულია: „თელ ღლონტის ავ-ტომობილი“. მიწერილია არშიაზე: „ჩემია“.

2683. მეგრელიშვილი მ. ძირს რევიმ ეკო-ნომია?!... იუმორისტ. ნაწერების მეორე წიგნი. ტფ., 1927.

კანზე: „ი. გრ. 1927. 27/IV“.

2684-2685. მეგრელიძე ლ. მშობლიური ცის ქვეშ. დღურები და ქრონიკები. 1901—1906, თბ., 1955.

ფორზაცზე მიკრულია ლ. მეგრელიძის წე-რილი ი. გრიშაშვილისადმი: „პატ. სოსო მენა-ნება თქვენს არქივში ჩემი წიგნი რომ არ არის. ეს წიგნი ჩემს ბავშვებს გამოვართვი და გიგ-ზავნი. ეს არის მართალი წიგნი. ნამდვილი ხალხის გულოდან. მე ხელმძღვანელობის გზით არ წარმომართავს ეს წიგნი. აქ სჩანს ხალხის შეგნებული ბრძოლა რევოლუციისათვის. სხვის რომ დაეწერა ეს წიგნი სხვა ბედი ეწვეოდა, მაგრამ მწერალთა კავშირში ამ წიგნის სხენებაც არ სურთ. ეს წიგნი შორეულ პატრიოსან მკვლე-ვარს მინც არ გამოადგება. აბლაბუდებით არ არის დაბლანდილი. ლ. მეგრელიძე. სიამოფ-

ნებით წაეციოთხე სოსო, შენი წიგნი. ცოცხალ :ადმიანს მუდამ სწყურია სიყვარული“.

გვ. 49. გადახაზულია სიტყვა „ამოკიდა“ და არშიაზე: „წამოიწყო“.

გვ. 95. სიტყვა „პერმერს“ გასწორებულია „პერმესს“.

5583-5584. აბაშიძე გრ. ავი ლლავი. [ლექსი. თბ.], 1943.

5585. აბაშიძე გრ. ვინ ღიღი და ვინ ბატარა. [ლექსები და პოემები]. თბ., 1956.

5586. აბაშიძე გრ. ზამთრის ამბავი. [პოემა]. თბ., 1940.

5587. აბაშიძე გრ. მეცამეტე გოჭი. [ლექსი. თბ.], 1943.

5588-5589. აბაშიძე გრ. ნაბოლარა წიწილა. [პოემა. თბ.], 1943.

კანის მეორე გვერდზე ა. თევზაძის წერილი „გრ. აბაშიძის საბავშვო წიგნები“, ამოკრილი გაზეთიდან მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“, 1944 წ., № 22.“

5590. აბაშიძე გრ. ნაბოლარა წიწილა. პოემა. თბ., 1945.

5591. აბაშიძე გრ. ნაბოლა წიწილა. მეცამეტე გოჭი. ფისოს გასეირნება და სხვ. [საბავშვო ლექსები და პოემები]. თბ., 1959.

5592. აბაშიძე გრ. რუსთავის მერცხლები. პოემა. [თბ.], 1949.

5593. აბაშიძე გრ. საბავშვო პოემები. [თბ.], 1945.

5594. აბაშიძე გრ. საბავშვო პოემები. თბ., 1955.

5595. აბაშიძე გრ. ფისოს გასეირნება თვითმფრინავით. [საბავშვო პოემა]. თბ., 1947.

5596. აბაშიძე გრ. ხუთი გმირი. საბავშვო ლექსები და პოემები. თბ., 1950.

5597. აბაშიძე ი. აი რა მოგოთხროთ. საბავშვო მოთხრობების კრებული. [თბ.], 1933.

5598. აბაშიძე ი. ბალადა საეპიკლეზე. მოზრდილთათვის. [თბ.], 1948.

5599. აბაშიძე ი. ბუნების წიაღში. [ლექსები]. თბ., 1941.

კანზე: „ი. გრ. 1941. 12/VIII“.

5600. აბაშიძე ი. ნახე, გახედე. ლექსები. თბ., 1960.

5601-5602. აბაშიძე ი. რას გადაურჩა თბილისი. [პოემა]. თბ., 1958.

შმუტტიტულზე წარწერა: „ძვირფას, საყვარელ სოსოს, ძველი, ახალი, მუდამ ცოცხალი, მჩქეფარე სიყვარულით. ირაკლი“. მიწერილია. „[1958, 17 ოქტ. თბილისის იუბილე, ოპერა]. ი. გრ.“

5603. აბაშიძე ი. საბავშვო ლექსები და პოემები. თბ., 1953.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1954. 12/III.“

5604. აბაშიძე ი. შევისწავლით ყოველი ფრინველი და ცხოველი. [ლექსები. თბ.], 1950.

ყდაზე: „ავტოგრაფით!“

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს საყვარელ მგოსანს, ძვირფას სოსოს უძღვნის მისი უმრცხვესი ძმა, მისი მარად პატივისმცემელი ირაკლი. 1950-24-IX.“

5605. აბრაშია პ. მელია. ზღაპარი. თბ., 1945.

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ პოეტს სოსო გრიშაშვილს სიყვარულით. პ. აბრაშია. 1.II.46 წ.“

გვ. 23. მოხაზულია ზემოდან სამი სტროფი, მიწერილია: „თუ გარეთ წევს მელია, კარებს ვინ აწევა?“

გვ. 24. მე-2 სტროფში ხაზგასმულია: „კი-სერი“, მიწერილია: „თუ ყელი?“

გვ. 35. ხაზგასმულია სტრიქონი: „და მახლობელ მეზობლებს“, მიწერილია: „მეგობრებს და მეზობლებს“.

36. ხაზგასმულია სტრიქონი: „მითხარ, საქმე რაშია? მიწერილია: „კუთხურია. რაშია საქმე?“

გვ. 38. ხაზგასმულია სტრიქონი: „სიტყვა, გაძლეე ამისთვის“, მიწერილია: „არაფერს არ დავზოგავ.“

გვ. 42. ხაზგასმულია სტრიქონი: „აქედანვე უწველე“, მიწერილია: „თავს უშველე... დღეიდან“.

გვ. 49. ხაზგასმულია ბოლო სტროფის სართომ სიტყვები: „პატავით — ანდამატეით“, მიწერილია: „ჩემოდან, მაგრამ აქ არ ვარგა“.

გვ. 51. არშიაზე წერია: „საფეხურები აიკიდეს და ისე ჩაივინენ?“

გვ. 55. სტრიქონთან: „არავინ არ მყავს“... მიწერილია: „არავინა მყავს“. ხაზგასმულია სტრიქონი. არშიაზე წერია: „პირიქით უნდა უთხრას რომ შეწყალებას შენგან მოველიო“.

გვ. 56. ხაზგასმულია: „თაფლს გვერდს ვერას აუვლის“. მიწერილია: „თაფლს გვერდით ვერ აუვლის“.

გვ. 57. ხაზგასმულია: „მსაჭულა“. არშიაზე წერია: „რა მხეცია ეს მსაჭული“?

გვ. 60. ხაზგასმულია ბოლოდან მე-4 სტრიქონი, მიწერილია: „ხომ გაიქცა, წინ როგორ გაიგდეს?“

გვ. 64. მოხაზულია სტრიქონი. მიწერილია: „ოხ. გვ. 77.“

გვ. 69. ხაზგასმულია: „ველარ“ მინაწერი: „ეა ვერ“.

გვ. 70. ზემოდან მე-4 სტროფის ეკუთვნის მინაწერები: „მე მლანძღეს და“, „ხელად“ და „ტახტის მოლაღატელ“.

გვ. 73. ხაზგასმულია: „ამათ ისე არიეს“, მიწერილია: „ისე არიე დარიეს“.

გვ. 77. ხაზგასმულია სტრიქონი. მიწერილია: „წმედან სქევა თოკი შემოხსენითო, ეხლა ბაწარი? გვ. 63.“

გვ. 82. პირველ სტროფთან წერია: „რა უღაშია ეს უცნაური შებრუნება?“

გვ. 90. ხაზგასმულია სტრიქონი, მინაწერი: „ააჰა“.

გვ. 97. მოხაზულია ბოლოდან მე-3—4 სტრიქონი. მიწერილია: „განა მისანდობია მე-ღიების ენანი?“

გვ. 99. სიტყვა „თუთუნს“ მიწერილი აქვს: „ჩიბუბს“.

გვ. 117. ბოლო სტრიქონთან: „ნულარ აცლი“ მინაწერი: „არ აცალი“.

გვ. 119. ხაზგასმულია მე-3 სტროფის რითმები. მინაწერი: „ეს რითმა კიდევ აქვს ზე-მოდ წახსენები“.

გვ. 120. ხაზგასმულია: „ქვეშითა“, მინაწერი: „ნაცარი იყო თუ ქვეშა?“

წიგნის ბოლოს ვაჭუთიდან ამონაჭერი ი. ლვინიშვილის წერილი „მელია“, პოლით აბრამას „საბავშვო პოემა“ მინაწერით: „ლიტ. და ხელ.“ 1946, № 15. 5 აბრილი“.

5606. აბრამიშვილი მ. ნაცნობი მგრცხალი. [ლექსები]. თბ., 1960.

5607. აღიხფერი ევლსახვევი. [ქრებულა. თბ.], 1953.

ფორზაცხე: „ი. გრ. 1954. 12. V“.

5608. არაგვისპირელი მ. მფონება (კმა-წელითბის ეხოვრებდჯა). ამონაჭერი. აჯე-ჩილი“-დან, 1990 წ.

5609-5610. ახათიანი მ. საყმაწვილო ამბები. წ. 1-2. თბ., 1899—1903.

წ. 1. 1889.

წ. 2. 1903.

5611. ასკუტავა ი. პატარა გამომგონებელი. საყმაწვილო მოთხრობა. (აზრი აღებულია რუსულიდან). ტფ., 1930.

5612-5629. აღნიაშვილი ლ. ახალი ანბანი. თბ., 1892-1893.

წ. 1. „ან.“ წერა-კითხვა. 1892.

კანზე: „ი. გრ. მე. ქართული სახელები“.

წ. 2. „ბან“ ხალხური ლექსები. 1892.

კანზე: „ი. გრ. იშვიათია ეს წიგნი. აზლუ-ღი“.

გვ. 5. ლექსში „ახალი კაბა“ ხაზგასმულია: „აეზლუტაშიო“ და მიწერილია: „აზლუდი? ი. გრ.“

წ. 3. „გან“. წერილი ამბები. 1892.

წ. 4. „ღონ“. წერილი ამბები. 1892.

წ. 5. „ენ“. გასართობი. 1892.

წ. 6. „ეინ“. პაწაწა მინერალოგია. (სამეფო მადნეულთა). 1893.

თავფურცელზე ბეჭედი: „თფილისის ვეჟთა მე-2 გიმნაზიის ქართული სამოსწავლო ბიბლიოთეკა“.

წ. 7. „ზენ“. პაწაწა ბოტანიკა. (სამეფო მცენარეულთა). 1893.

კანზე: „ელბ. საჯაროს არა აქვს“.

წ. 8. „თან“. პაწაწა ზოოლოგია. სამეფო სულდგმულთა. (ხეჩემლიანი ცხოველები). 1893.

5630-5631. აღნიაშვილი ნ. ბიგინა [საბავშვო მოთხრობები]. თბ., 1949.

კანზე: „გვ. 4, 42, 33, 34, 39.“

გვ. 33. ხაზგასმულია: „დაუბრებულნი“, მიწერილია: „უებარი“-დან.

გვ. 36. მე-2 აბზაცში ხაზგასმულია: „სარწყაო, მიწერილია: „საწყაო“.

გვ. 37. ხაზგასმულია: „თვეზის წაღებაც არ მოეხერხებინათ“, არშიაზე: „თვეზი არ წაღლოთ შინ“.

5632. აღნიაშვილი ნ. საჩუქარი. [მოთხრობები]. თბ., 1954.

5633. ბავშვებს. (საბავშვო ლექსების და მოთხრობების კრებული). თბ., 1946.

კანზე: „თარგმანი, 8.“

გვ. 3. ლექსის „ყმაწვილი და პეპელა“ არშიაზე მიწერილია: „ლექსი დაწყობილია ცუდათ“. ამავე ლექსის ბოლოს მიწერილია: აკაკი“.

გვ. 7. ლექსს „აკამიჩი“ ბოლოს მიწერილი აქვს: „ხალხური“.

გვ. 9. ლექსის „თხა“ ბოლოს წერია: „თარგმანი(?)“.

გვ. 14. ლექსს „მელია და მამალი“ ბოლოს მიწერილი აქვს: „(ხალხური)“.

გვ. 15. ლექსში „ბალი და ჩიტები“ ხაზგას-
მულია სიტყვა: „ბროლი“, მიწერილია: „მა-
შასადამე ლაპარაკია თეთრ ბალზე“.

5634-5635. **ბავშვთა მეგობარი.** შედგ. არკ.
ხუნდაძის მიერ. თბ., 1930.

5636. **ბართაშვილი მ.** საქმის კაცი. [საბავ-
შვო ლექსები]. თბ., 1960.

5637. **ბართაშვილი მ.** სოფელა. თინა და
ჰინაშვილები. [ლექსები]. თბ., 1949.

გვ. 3. ტექსტის ბოლოს წერია: „აქ უნდა
გადმოტანილი იყოს ორი სტრიქონი. ი. გრ.“

5638. **ბარნოვი გ.** საკვირველი ხე. საყმაწ-
ვილო მოთხრობა. ტფ., 1888.

5639. **ბერულავა ხ.** აზიტა და ბაჩიტა. [სა-
ბავშვო პოემა]. თბ., 1960.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს საყვარელ
სოსო გრიშაშვილს ღრმა პატივისცემით. ავ-
ტორი. 1960 წ. 1. XI“.

5640. **ბერულავა ხ.** მზეონას წიგნი. სა-
ბავშვო ლექსები და პოემები. თბ., 1954.

5641. **ბურჩანაძე კ. და ზაალიშვილი ტ.** ცუგ-
რუმელებს. [საბავშვო მოთხრობები]. თბ.,
1925.

5642. **გაბაშვილი ე.** თინას ლექური. საყმაწ-
ვილო მოთხრობა. ქუთაისი, 1913.

კანზე ყოფილი პატრონის ბეჭედი: „Иван
Тимофеевич Полумордвинюв“.

5643. **გაბაშვილი ე.** მაგდანას ლურჯა. ტფ.,
1894.

5644-5646. **გაბაშვილი ე.** მაგდანას ლურჯა.
საყმაწვილო მოთხრობა. ქუთაისი, 1913.

5647-5649. **გაბაშვილი ე.** მოთხრობები მო-
ზრდილთათვის. ნაწ. 3 ტფ., 1916.

5650-5652. **გაბაშვილი ე.** მოთხრობები
მცირე წლოვანთათვის. [ნაწ. 2]. ტფ., 1916.

5653. **გაბაშვილი ე.** ოჯახის ბურჯი. საყ-
მაწვილო მოთხრობა. ქუთაისი, 1915.

5654. **გაბაშვილი ე.** საბავშვო მოთხრობე-
ბი. თბ., 1948.

5655-5656. **გაბაშვილი ე.** საყმაწვილო მოთხ-
რობანი. ტფ., 1898.

მეორე ცალის კანზე: „ი. გრ. 1938-10-5“

5657. **გაბაშვილი ე.** საყმაწვილო მოთხრო-
ბანი. წ. 1. მე-2 შეეს. გამოც. თბ., 1913.

ხელნაწილზე კანზე: „ეკატერინე გაბაშვილი.
მოთხრობები. ლ. ბოცუაძის წინაშე. ი. გრ.“

გვ. 5. ე. გაბაშვილის დაბადების თარიღს
„1851“ ზემოდან აწერია: „69 წ.“

გვ. 15. მოთხრობაში „ნაკადული“ ხაზგას-
მულია გამოთქმები: „სიციოტლის მომასწავე-
ბელი“, „სულს ჩამდგმელი, ეღებად მქეცი“,
„შეკ დამარხული“. არშიაზე მიწერილია: „ეს
ხაზგასმული სიტყვები საბჭოთა სახელმძღვანე-
ლოებში ამოკლებულია“.

5658. **გაბაშვილი ე.** დინია ვადაიჩხა. საყ-
მაწვილო მოთხრობა. ქუთაისი, 1914.

5659. **გაბაშვილი ე.** ჩენი კაკლის ხე. სა-
ბავშვო მოთხრობები. ტფ., 1928.

5660. **გაბესკირია ვ.** საბავშვო პოემები. თბ.,
1954.

5661. **გაზაფხული.** I და II წგ. საკითხავი
წიგნი. მასწავლებელთა მიერ შედგენილი. ქუ-
თაისი, 1925.

5662. **გაზაფხული და ზაფხული.** დასურა-
თებული წიგნი ბავშვებისათვის. კრ. 3. ტფ.,
1924.

5663. **გაჩილიაძე დ.** შვერავი კომ ენ ენი.
ბალადები და პოემები. თბ., 1958.

5664. **გაჩილიაძე დ.** სისულთავე ჩანჩრთე-
ლობა. ლექსი. თბ., 1944.

5665. **გაჩილიაძე დ.** ტყუილს მოყვლე ფე-
ხი აქვს. ერთი კვერცხის ამბავი. პოემა. თბ.,
1951.

5666. **გიგეჰკორი ლ.** ავაშენოთ [საბავშვო
ლექსები]. თბ., 1931.

5667. **გიგეჰკორი ლ.** საბავშვო ლექსები.
ტფ., 1928.

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ პო-
ეტს და თანამოკალმეს ი. გრიშაშვილს. ლადო
გიგეჰკორი. 26/II 29 წ.“

გვ. 16. ლექსში „წნაი“ ხაზგასმულია სი-
ტყეები: „დასაბრბოთა“, „ხარბოთა“, მიწერილია:
„შარბათა აჯობებდა“.

გვ. 16. ლექსში „მუშის აღდგომა“ აღნიშ-
ნულია სათაური, მიწერილია: „აღბად წინად
იყო ქრისტე აღდგა“.

გვ. 22. ლექსში „ქორი და მონადირე“ ხაზ-
გასმულია: „ლუში“, მიწერილია: „ქორის ლე-
ში“

გვ. 28. ხაზგასმულია: „ტარას შევჩენოს
ხსოვნას“, მიწერილია: „პუტიტიო“.

კანის მე-3 გვერდზე: „ამ წიგნზე ჩემი რე-
ცენზია მოვთავსე „ქართულ მწერლობაში“,
1929, № 5, გვ. 96, ი. გრ.“

ბოლო ფურცელზე მიკრულია „ანდინის“
საგაზეთო ცნობა ამ წიგნის გამოსვლის შესახებ,
ამოკრილი ვაზთიდან.

5668-5669. **გიგეჰკორი ლ.** საბავშვო ლექსე-
ბი და მოთხრობები. თბ., 1958.

თავფურცელზე წარწერა: „ქართული ლექ-
სის ქურუმს, ბავშვების საყვარელ პოეტს იოსებ
გრიშაშვილს. ლადო გიგეჰკორი. 14/XI-1958.
თბილისი“.

5670. **გიგოვანი ა.** ჯადოსნური მოგზაუ-
რობა. თბ., 1959.

ფორზაცზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს,
ჩემს სახელოვან თანამედროვეს, რომლის რე-“

კომუნდაციითაჲ ლიტერატურის წმინდა ტაძარ-
ში ფეხის შედგმა გავებდე. პატრიისცემით აჲ.
გელოვანი. 1960“.

5671-5672. გვარიშვილი ნ. თითისტოლა.
ზღაპარი. ბათუმი, 1949.

შუშტიტულზე წარწერა: „პატ. ძვირფ.
სოსოსი მოკრძალებით ავტორი. 10/X. 49 წ
ბათუმი“. იქვე: „ი. გრ. ბათუმი. 1949. 10/X“.

მეორე ცალის კანზე: „...სარტუნზიოლ“.

5673. გვარიშვილი ნ. ორი კიჭი. [საბავ-
შეო ლექსები]. ბათუმი, 1957.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ-გრიშა-
შვილი. დიდი სიყვარულით ავტორისაგან.
20.I-58 წ ბათუმი ნ. გვარ.“

5674. გიგაური ნ. სალდგომო მოთხრობა
ყმაწვილთათვის. ქუთაისი, 1908.

კანზე და გვ. 16. აღრინდელი პატრონის
ხელწერა: „პ. გუგუშვილი“.

5675. გიგაური ნ. სიბრალული კარგია.
(საყმაწვილო მოთხრობა). ქუთაისი, 1909.

5676. გიგაური ნ. ქეთო და სონა. საყმაწ-
ვილო მოთხრობა. ქუთაისი, 1901.

5677. გიგაური ნ. ჩვენება. (ფანტაზია). ქუ-
თაისი, 1903.

5678. გლახაშვილი ს. ბავშვთა სამეფო. სა-
ბავშვო პიესა. თბ., 1916.

5679-5680. გოგებაშვილი ი. აკიდო ანუ
კრებული საყმაწვილო მოთხრობათა. თბ.,
1901.

5681. გოგებაშვილი ი. ღვენილი მეგობარი.
თბ., 1941.

კანზე: „ი. გრ. 1941. 29/XI“.

5682-5683. გოგებაშვილი ი. ღვენილი მე-
გობარი. [მოთხრობა]. თბ., 1949.

5684-5686. გოგებაშვილი ი. ერეკლე მეფე
და ინგილო ქალი. [მოთხრობა]. ტფ., 1897.

5687-5688. გოგებაშვილი ი. ერეკლე მეფე
და ინგილო ქალი. მოთხრობა. [თბ.], 1944.

გვ. 1. არშიაზე: „ი. გრ. 1944. 2/VII“.

5689. გოგებაშვილი ი. ვანო და ფრინველ-
ები. [მოთხრობა. თბ.], 1943.

კანზე ავტორის გვართან: „[და აკაი].
ი. გრ.“

კანის ბოლო გვერდზე: „არა მგონია ეს
ლექსები ი. გოგებაშვილისა იყოს. ლექსები
აკაის დაწერილი უნდა იყოს ან შ. მღვიმე-
ლისა. იხ. 2 ტ. აკაისა, აკადემიური, 1940,
გვ. 566.— ი. გრ.“

5690—5692. გოგებაშვილი ი. თავდადებულ-
ნი ქართველნი. მოთხრობანი. თბ., 1895.

აღნიშნულ წიგნთან ერთად აკინძულია დი-
მიტრი ბაგრატიონის: „წამება ქეთევან ღე-
ლოფლისა“ დასაწყისი, გვ. 8.

5693. გოგებაშვილი ი. თავდადებულნი
ქართველნი. ისტ. მოთხრობანი. მე-2 გამოც.
თბ., 1902.

5694. გოგებაშვილი ი. თავდადებულნი ქარ-
თველნი. ისტ. მოთხრობანი. ტფ., 1916.

თავფურცელზე: „ი. გრ. 5/III 18 წ.“

5695—5698. გოგებაშვილი ი. 1. თავდადებუ-
ლი ქართველი ეჯიბი. 2. ქართველთა მეფე გლე-
ხის ქოხში სტუმრად, ისტ. ამბავი საქართვე-
ლოს წარსულიდან. თბ., 1912.

მეორე ცალის კანზე ყოფილი მფლობე-
ლის ხელწერა: „გ. ლეონიძე“. იქვე: „ეკიცი-
ლდე ბუკინისტ ე. სამადლაშვილთან. 1916.
10/IV“.

5699. გოგებაშვილი ი. იავნანამ რა ჰქმნა.
მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის.
თფ., 1890.

თავფურცელზე: „I გამოცემა ი. გრ.“

5700. გოგებაშვილი ი. იავნანამ რა ჰქმნა.
მოთხრობა. მე-2 გამოც. თბ., 1895.

5701. გოგებაშვილი ი. იავნანამ რა ჰქმნა.
მოთხრობა. მე-3 გამოც. თბ., 1900.

კანზე: „ეს წიგნი თბილისში არ არის,
ი. გრ.“

5702-5704. გოგებაშვილი ი. იავნანამ რა
ჰქმნა. [მოთხრობა]. მე-4 გამოც. ტფ., 1904.

5705. გოგებაშვილი ი. იავნანამ რა ჰქმნა?
[მოთხრობა]. მე-5-გამოც. ტფ., 1916.

5706. გოგებაშვილი ი. იავნანამ რა ჰქმნა?
[მოთხრობა]. მე-6-გამოც. ტფ., 1920.

5707. გოგებაშვილი ი. იავნანამ რა ჰქმნა?
[მოთხრობა]. თბ., 1939.

ფორზაცზე: „VII. ი. გრ. 1939-7-VII.“

გვ. 5. ხაზგასმულია: „ის თანამშრომლობდა
„დროებაში“, „ივერიაში“, არშიაზე: „ნობათ-
ში? „ქეჩილში?“

გვ. 6. ხაზგასმულია: „ცალკე წიგნად გა-
მოსცა თავისი საყმაწვილო მოთხრობები“, მი-
წერილია: „როდის?“

წიგნში დევს გაზეთიდან ამონაჭერი ლ. ვარ-
დოშვილის წერილი „რა ეკითხოთ? ი. გო-
გებაშვილი — „იავნანამ რა ჰქმნა? მიწერი-
ლია: „ნორჩი ლენინელი“. 1939, № 52“.

5708—5713. გოგებაშვილი ი. იავნანამ რა
ჰქმნა. [მოთხრობა]. თბ., 1942.

კანზე: „ი. გრ. 1942. 20/X“.

5714. გოგებაშვილი ი. მოთხრობები. [თბ.],
1940.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1941. 10. IV.“

5715. გოგებაშვილი ი. მოთხრობები მოზრ-
დილთათვის. თბ., 1950.

5716-5719. გოგებაშვილი ი. მოსავლის მცვე-
ლნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინ-
ველები. ტფ., 1896.

5720-5721. გოგებაშვილი ი. სკოლამდელ-
თათვის. [მოთხრობები]. თბ., 1940.

5722. გოგებაშვილი ი. ტოროლა. [მოთხრო-
ბები]. თბ., 1962.

5723-5724. გოგებაშვილი ი. ცხრა ძმანი
ჩერხელდიქნი. სამასი თავდადებულ გლეხი.
[თბ.], 1949.

თავფურცელზე წარწერა: „ღრმად პატივ-
ცემულს ბან იოსებს მხატვარ ნინო ფოფხა-
ძისაგან. ქ. ბორჯომი. 1950 წ.“

5725. გოგებაშვილი ი. ხატის მიზეზი. მო-
თხრობა მოზრდლი ყმაწვილებისათვის. თბ.,
1992.

სათაურის ქვემოთ მიწერილია: „ანუ სედა
მამულისადმი“.

გვ. 3. ყოფილი პატრონის ხელწერა: „ივანე
ყულხჩიშვილი“.

5726-5727. გოგებაშვილი ი. ხომლი ანუ
ჩჩელთა ლექსთა კრება. მოზრდილთათვის.
თბ., 1883.

სარჩევში ლექსს „მოგონება“ მიწერილი
აქვს: „სილოვანისა“. ლექსს „გლოვა ირაკლი
მეფისა“ მიწერილი აქვს: „(ხალხ.)“

მეორე ცალის თავფურცელზე ბეჭედ:
«Иван Тимофеевич Полумордвиннов».

5728-5730. გოგებაშვილი ი. ხომლი ანუ
ჩჩელთა ლექსთა კრება. მოზრდილ ყრმათა-
თვის. გამოც. მე-2. თბ., 1891.

კანზე: „ი. გრ. მეორე გამოცემა. სრულია“.
მეორე ცალის გვ. 4. ლექსს „მოგონება“
მიწერილი აქვს: „სილოვან“.

გვ. 42. გრ. ორბელიანის ლექსს „საქართვე-
ლოს გმირნი“ მიწერილი აქვს: „სადღეგრძე-
ლო“.

მესამე ცალის კანზე: „ღუბლ. ი. გრ. 1941-
23-XI.“

5731. გოგია ი. კულა-კულა არაკები, [უმცრ.
სასკოლო ასაკის ბავშვთათვის]. თბ., 1960.

5732—5733. გოგიაშვილი კ. გაზაფხული.
[საბავშვო ლექსები, იგაეები, ზღაპრები]. თბ.,
1947.

დამატებით თავფურცელზე წარწერა:
„ხალხის საყვარელ პოეტს, მკვლევარს და ქმე-
მართ ადამიანს — სოსოს ავტორისაგან. 15/IV
47.“

5734. გოგიაშვილი კ. პირველი ზარი. [ლექ-
სები]. თბ., 1960.

5735-5736. გოგიაშვილი კ. საბავშვო მოთხ-
რობები. თბ., 1953.

ფორზაცზე წარწერა: „ბ-ნ იოსებს — ხალ-
ხის საყვარელ უნიჭიერეს მწერალს, საზოგადო

მოდლეწეს და კეთილშობილ ადამიანს. უღრმე-
სი პატივისცემით. ავტორისაგან. 11/XI. 53 წ.

5737. გოგიაშვილი კ. საბავშვო პიესები.
ცენტრ. ფარავნილი ქაბუჯი. თბ., 1950.

5738. გოგიაშვილი კ. ტყის სტუმარი. მერ-
ცხალი და კოდლა. ზღაპრები. თბ., 1951.

თავფურცელზე წარწერა: „ხალხის საყვარ-
ელ პოეტს და მკვლევარს ბატონ სოსოს პა-
ტივისცემით ავტორისაგან. 15.VII-51. ბაკურია-
ნი“.

გვ. გვ. 26—7 შორის დევს ფურცელი უც-
ნობის პორტრეტით, მიწერილია: „ნახატი ნიკო
ეცხოველისა“.

5739. გოგიაშვილი კ. ჩვენი ბალი. [ლექ-
სები]. თბ., 1949.

5740-5741. გოგიაშვილი კ. ჭიუტი ბეკეა.
[საბავშვო მოთხრობები]. თბ., 1954.

თავფურცლის მე-2 გვერდზე წარწერა ლექ-
სად:

„ბ-ნ სოსოს.

ძმა ხარ, ვიდრე ეს ბეკეა
ჩიხვის რქებით მოგისტება,
რძით შესულს და ხანში შესულს
თიქვის ხორცი მოგისტება!
თქვენგან ასე გვისწავლია:
ქორთვა რამე კაცს უხდება,
გამხდარია? ზამთარია,
გაზაფხულზე გასუქდება!

პატივისცემით ავტორისაგან. 14/XI 54 წ.“

5742. გოგოლაშვილი ვ. მახსენდება მშობ-
ლიური სკოლა. [ლექსები]. თბ., 1957.

5743. გოგოლაშვილი ვ. ქუეყნა წვიმა მო-
ვიდა. [ლექსები]. თბ., 1960.

5744. გოთუა ლ. მელია და ცუბტენა. [ზღა-
პარი]. თბ., 1944.

5745. გომარათელი ი. ხტუნია ციყუნია.
ყრმათათვის. ტფ., 1896.

5746. გორგანელი ვ. დედის იმედი. [ლექ-
სები]. თბ., 1957.

5747. გორგანელი ვ. მალხაზები. [ლექსე-
ბი]. თბ., 1948.

5748. გორგანელი ვ. ნოდარის ოცნება.
[ლექსები]. თბ., 1952.

5749. გორგაძე გ. ერთგული მეგობრები.
ხალხური ზღაპარი. წიგნი 1. ბათუმი, 1937.

5750. გორგაძე ვ. ერთგული მეგობრები.
[ხალხური ზღაპარი]. თბ., 1958.

5751. გორგაძე ვ. ჩვენი სასარგებლო ფრინ-
ველები. [თბ.], [1929].

5752-5753. გრიშაშვილი ი. ანბანთ კება.
[საბავშვო ლექსი]. თბ., 1942.

5754-5756. გრიშაშვილი ი. ბაბაჯანას ქო-
შები. [საბავშვო პოემები]. თბ., 1959.

კანზე წარწერა: „უსაყვარელსა და უძვირ-
ფასესს სოსოს. პირველი ეგზემპლარი მანქანი-
დან. გილოცავთ სამოცდაათი წლისთავს. ერას-
ტი“.

5757-5758. გრიშაშვილი ი. ბავშვებისათვის.
[ლექსები]. თბ., 1962.

5759-5760. გრიშაშვილი ი. გოგია და მურია.
ლექსი. თბ., 1928.

წიგნში დევს ვახ. „თბილისის“ 1958 წ. 19
ენისის ნომერი. მასში მოთავსებულია გ. ვახ-
ტანგაძის წერილი ნატალია უნაფქოშვილზე:
„რასაცა ვასცემ შენია“. წერილში ავტორი
ეხება ი. გრიშაშვილის ლექსის „გოგია და მუ-
რია“ დაწერის ისტორიას, არშობაზე მინაწერი:
„მე ნატალიას ტექსტი კი არ ვაუკლებს, არა-
მედ ა. ქუთათელაძის ნახატი. ი. გრ.“

5761. გრიშაშვილი ა. ეთერიკოს თაიგულა.
ლექსი. [თფ, წ. ა.].

5762-5763. გრიშაშვილი ი. თქვენთვის ჩე-
მი პატარებო. [თბ.], 1953.

5764. გრიშაშვილი ი. იყავით ფრთხილად!
[ლექსი. თბ., 1944].

კანზე: „1944 წ. ოქტომ. ი. გრ.“

5765-5767. გრიშაშვილი ი. კურდღელი და
ბაჰიები. [ლექსი]. თბ., 1943.

5768-5769. გრიშაშვილი ი. მელიას გოდე-
ბა. [ლექსი. თბ.]. 1943.

5770. გრიშაშვილი ი. მეუ ყურები დამაჰე-
რი. [ლექსი. თბ.], 1943.

5771. გრიშაშვილი ი. მეუ ყურები დამაჰე-
რი. [ლექსი. თბ.]. 1947.

5772-5774. გრიშაშვილი ა. მიყიდე. [ლექ-
სი.]. თბ., 1946.

5775-5776. გრიშაშვილი ი. საბავშვო ბაღი.
[ლექსები]. თბ., 1944.

5777-5779. გრიშაშვილი ი. საბავშვო ლექ-
სები. თბ., 1939.

ფორზაცზე: „ჩემი ბიბლიოთეკიდან. —
ი. გრ.“ იქვე ქაღალდის ნაპერი მინაწერით:
„აქედან აიწყო“. ეს მინაწერი ეხება წიგნის
მე-12-15 გვერდზე დაბეჭდულ ლექსებს: „ვა-
ნაფხული“, „ნაფხული“, „შემოდგომა“, „ნამ-
თარი“, ეს ლექსები გაერთიანებული, ერთი
სათურის ქვეშ: „ოთხი დრო“. ბოლოში მიწე-
რულია ლექსების დაწერის თარიღი: „1926“ და
გაყვანილია ტექნიკური რედაქცია.

მეორე ცალის შუამდებელზე მიწერილია
„პირველი ეგზემპლარი. ი. გრ. 1939.10.14.“

5780-5781. გრიშაშვილი ი. საბავშვო ლექ-
სები. [თბ.], 1948.

5782-5783. გრიშაშვილი ი. საბავშვო ლექ-
სები. [თბ.], 1957.

5784. გრიშაშვილი ა. საბავშვო ლექსები.
თბ., 1959.

კანზე: „ჩემი ლექსები უსინათლოთათვის.
ი. გრ.“

5785-5787. გრიშაშვილი ა. სამი ამბავი.
ლექსები. თბ., 1944.

5788-5794. გრიშაშვილი ი. სიზმარა. (ხალ-
ხური ზღაპარი). [თბ.], 1945.

საკორექტურო ფურცლები.

კანზე: „აქედან აიწყოს. გასწორებულია.
ი. გრ. 1943. 15. VII.“

5795-5797. გრიშაშვილი ი. სურათებიანი
წიგნე. [ლექსები. ტფ., 1929].

კანზე: „ეს ჩემს ბიბლიოთეკას ჩემი ლექსე-
ბით. ი. გრ.“

5798-5800. გრიშაშვილი ი. ცუგა, ფისო და
ბეკევა. [ლექსი. თბ.], 1943. ქართ. და რუს.
ენებზე. მთარგმნ. ბ. სერგებრაიკოვი.

5801. დედა ენა. [ლექსები]. თბ., 1957.

5802. დედაჩიანი გ. გულო. [საბავშვო მო-
თხრობა]. თბ., 1955.

5803. დედაჩიანი კ. მოთხრობები. თბ.,
1950.

5804. დედაჩიანი კ. ნიას ქოჩორა. [სა-
ბავშვო მოთხრობები. თბ.], 1940.

თავფურცელზე წარწერა: „ვუძღვნი ს. გრი-
შაშვილს — ლექსის ოსტატს, საუყვეთეს
ქართველს პატივისცემით. კ. დედაჩიანი.
11/III. 40“.

5805. დიდიამიშვილი გ. გვიხმობს კაშკაშა
ვაზაფხული. [ლექსები]. თბ., 1960.

კანზე: „ავტორისაგან“. იქვე: „მარიჯანს,
23“.

კანის მეორე გვერდზე წარწერა: „საქარ-
თველოს სახალხო პოეტს — აკადემიკოსს, ქარ-
თული პოეზიის ბრწყინვალესს — იოსებ გრი-
შაშვილს ვუძღვნი ამ წიგნს უღრმესი პატივის-
ცემით ელ. დიდიამიშვილი. 1960 წელი, დედა-
ქალაქი“.

5806. დოლიძე ნ. ამბავი გოგია ბივისა.
[მოთხრობა]. თბ., 1961.

5807. დონდუა დ. ბელია-ბეკევა. ძალი და
მიმალო. ყოყლიყო. [ზღაპრები]. ტფ., 1921.

5808. დონდუა დ. ბელურა და უკადრისა
ქორიანა. ცხვარი და აქლები. [ზღაპრები. გად-
მოყვებილი. ქუთაისი, 1920].

5809. დონდუა დ. ბობოლა. წერი და ყან-
ია. მელია და ქოთანი. [ზღაპრები. ქუთაისი,
1917].

5810. დონდუა დ. კატა-გოლიათი. [ზღა-
პარი]. გამოც. მე-2 ტფ., [1922].

გვ. 1. წარწერა: „ქვირფის მგოსანს ი. გრი-
შაშვილს ავტორისაგან. 27/X 23. დედაქალა-
ქი“.

კანზე მიწერილია: „2“. იქვე: „აკლია 1,4“.

5811. დონდუა დ. კოკორო. [ზღაპარი]. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. 1925. 20/1“.

5812. დონდუა დ. კოკოქინა. ინგლ. ზღაპარი. გადმოკეთ. ტფ., 1921.

5813-5814. დონდუა დ. მელაკუდა, წერო და მამლაყინა. მასხარა წრუწუნები. მელია და წერო. [ზღაპრები. გადმოკეთ. ქუთაისი, 1920].

5815. დონდუა დ. ყვავი, ბუ და მელაკუდა. [ზღაპრები. გადმოკეთ. ქუთაისი, 1919].

გვ. 4. ხაზგასმულია: „თვარა“, მიწერილია „თორემ“.

გვ. 9. ხაზგასმულია: „დაიჩემა“, მიწერილია: „დაიქადა, დაიტრაბახა“.

გვ. 13. ხაზგასმულია: „მიანარცხა“, მიწერილია: „დანანარცხა“.

გვ. 16. ხაზგასმულია: „გაუტყურაგებულმა მელიამ ძურწა“... მიწერილია: „ვაცრუებულმა“ ალბათ. ბარემ დაეწერა გადურაგებულმა“.

5816. დონხაძე ა. გამადიქე მამალო. [საბავშვო ლექსები]. თბ., 1959.

5817. ებრალიძე მ. გმირი ბავშვი. [პოემა]. ტფ., 1935.

თავფურცლის მეორე გვერდზე, სადაც წერია „მხატვარი მ. თარიშვილი“, მიწერილია: „როცა ნინო თარიშვილის დამ მარია. ი. გრ.“ კანზე სათაურთან მიწერილია: „მოროზოზე“.

5818. ევდოშვილი ი. გულითადი მეგობრობა. [საბავშვო მოთხრობები]. ტფ., 1927.

5819-5821. ევდოშვილი ი. მოთხრობები მცირე წლოვანათვის. ტფ., 1916.

კანზე: „ამ წელს კიდევ გამოვიდა — მოზრდილათვის. (ყდაში მაქვს სხვა წიგნთან). ი. გრ.“

მეორე ცალის კანზე: „ღუბლ. შევად. ი. გრ.“

5822-5823. ევდოშვილი ი. ორი ობოლი. [მოთხრობა]. ტფ., [1904].

კანსა და თავფურცელზე ყოფილი პატრონის ხელწერა: „ალ. ელიაშვილი“.

5824-5826. ევდოშვილი ი. ორი ობოლი მოთხრობა. თბ., [1920].

5827. ევდოშვილი ი. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1949.

5828. ევდოშვილი ი. საბავშვო მოთხრობები. [თბ.], 1952.

5829-5830. ევდოშვილი ი. საყმაწვილ მოთხრობები. თბ., 1914.

5831-5832. ევდოშვილი ი. საყმაწვილ მოთხრობები. თფ., 1916.

5833. ელანიძე რ. მისწავლებელი. [მოთხრობა]. თბ., 1954.

5834. ელანიძე რ. ტყის ზღაპრები. თბ., 1961.

5835-5836. ელიაშვილი ი. სამშობლო ბუნების სარკე. სურათებიანი საყმაწვილ მოთხრობები. თბ., 1911.

თავფურცელზე წარწერა: „ძვირფას სოსოს ავტორისაგან. 26/III. 15. თბილისი“.

მეორე ცალის კანზე ყოფილი მფლობელის ბეჭედი: «Иван Тимощевия Полумордвинов».

5837. ელიაშვილი ი. სამშობლო ბუნების სარკე. სურათებიანი საყმაწვილ მოთხრობები. მე-2 გამოც. თბ., 1920.

5838. ერთაწმინდელი ხ. იყავ მზად! (საბავშვო პიესები). თბ., 1932.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1932. 20 აპრ.“

5839. ერთაწმინდელი ხ. უშიშარი ენო. [მოთხრობები]. თბ., 1960.

თავფურცელზე წარწერა: „საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს. მერი [ბატონიშვილი]. 3/III.60 წ.“

5840. ერისთავი თ. და ბერძენიშვილი ე. ზღაპრები და მოთხრობები. თბ., 1941.

5841. ერისთავი რ. ჯერ სწავლა, მერე გაულა. [თბ.], 1943.

5842. ერისთავი რ. ჯერ შრომა, მერე ხტონა [ლექსები]. თბ., 1959.

5843-5845. ესებუა შ. მებრძოლი. (საბავშვო მოთხრობები). [თბ.], 1931.

5846. ვაჟა-ფშაველა. ლაშის მექლისი. (არაკი) სურათებით მოზრდილ ბავშვთათვის. ტფ., 1921.

თავფურცელზე, სადაც წერია: „სურათებით“, მიწერილია მხატვრის გვარი: „შალვა ქიქოძე“.

გვ. 4. ტექსტის ბოლოს ხაზგასმულია: „ი. გ-რი, მიწერილია: „(ი. გომელაური). ი. გრ.“

გვ. 19. სქოლიოში ხაზგასმულია სიტყვა „ჩაღი“. მიწერილია: „ჩაღუნა. ი. გრ.“

5847. ვაჟა-ფშაველა. როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე? [მოთხრობა]. თბ., 1949.

5848. ვაჟა-ფშაველა. საბავშვო მოთხრობები. [თბ.], 1935. [კანზე: 1936]. 48 გვერდის მე-2 გვერდზე გაზუთიდან ამონაჭერი

გ. -ს რეცენზია ამ წიგნზე, მიწერილია: „ჟომ. განათობა“, 1936, № 43“.

5849. ვაჟა-ფშაველა. საბავშვო მოთხრობები. [თბ.], 1935, [კანზე: 1936]. 216 გვ

ფორმაზე: „ი. გრ. 1937. 4/VI“.

გვ. 198. ხაზგასმულია: „ბაზალა“ — წინააღმდეგობის აღნიშვნელია“, მიწერილია: „ეს რა ახსნაო“

გვ. 202. ხაზგასმულია: „იმტა“, მიწერილია: „მალა“; ხაზგასმულია: „ყაჩხა“ — წითელის ჩამოსაყიდებელი“, მიწერილია: „(კარგი)“;

„კერანა“ — ნადირია“. მიწერილია: „ლამაზ ბეწვიანი“; ხაზგასმულია: „ლაწირაკი—მოუსვენარი, ცელი“, მიწერილია: „მაგ. ამის შემდგენელი რომ მოუსვენრად იქცეოდეს, ის ლაწირაკია?“

გვ. 204. ხაზგასმულია: „მოვსალთავდი“, მიწერილია: „სალი“, „ხალვათად“.

გვ. 205. ხაზგასმულია: „ნიადაგ“, მიწერილია: „მუღამ“; „უოლოს გასწვრივ მიწერილია: „მალინა“.

გვ. 206. ხაზგასმულია: „სარიყლაპია“, მიწერილია: „მალალი“.

გვ. 211. ხაზგასმულია: „პურიანტელი“, მიწერილია: „Окрошка (ილია)“.

გვ. 212. ხაზგასმულია: „ხმიადი“, მიწერილია: „უმარილო“; „ჩუფთი“ — მიწერილია: „წყვილი, ორკეცი“; ხაზგასმულია: „პქულავდა“, მიწერილია: „პლულულავდა, ლულა“.

კანის მე-4 გვ. წერია: „აინოინი, 52; ბოში, 157; სალი, 37; პეწენიცი, 192; შახი, 182; ჩარა, 63; ქიშმირი, 115; ქალაღია, 193; ქამანჩა, 67; ფსონი, 193; სეხნა, 62, თანამოსახელე; სალა, 189, 206; პროშტი, 204; აქული, 113; ალუბის დამე, დისაკლისა, 75“.

5850. ვაჟა-ფშაველა. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1951.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1952. 19/V“. იქვე: „სართი, 198; ბიდარა, 113“.

5851-5852. ვაჟა-ფშაველა. სამი საყმაწვილო ამბავი. რვა სურათით და ავტორის მოკლე ბიოგრაფიით. თბ., 1911.

5853. ვაჟა-ფშაველა. საყმაწვილო მოთხრობები. ტფ., 1920.

5854. ვაჟა-ფშაველა. შვლის ნუკრის ნაამბობი და სხვა მოთხრობები. [თბ.], 1926.

5855-5856. ვეფხის ტყაოსანი. ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის გ. იოსელიანისა. ტფ., 1892.

კანზე სათაური: „დასურათებული ვეფხისტყაოსანი“.

5857-5859. ვეფხის-ტყაოსანი. ყრმათათვის ნაამბობი. [ქუთაისი, 1914].

კანზე: „1914. ეს გამოცემა კ. ოცხელმა კვლავ გამეორა ქუთაისში. ი. გრ.“

თავფურცელზე: „(პირველად დაიბეჭდა „ჩვეჯილში“, 1892)“.

თავფურცელისა და გვ. 3 შორის დევს ქალაღის ნაპერი სახელგამის ბუკინისტური მაღაზიის ბეჭდით, მიწერილია: „ვიყიდე ბუკინისტან. ზ. ჰ-ძის ნაქონი ყოფილა. ი. გრ. 1939. 16/VI“.

გვ. 3. ტექსტის წინ წარწერა: „დიდით პატივცემულ ძვირფას მეგობარს ზაქარია ჰიუნაძეს გ. იოსელიანისაგან“.

გვ. 14. ქვემოდან მე-3 სტრიქონში ხაზგას-

მულია: „მონადირე მეფე“, მიწერილია: „სხვა ნეფეც იყო ამ მახრეს?“

5860. ზალიშვილი ს. მუსეოპოი. [საბავშვო ლექსები. თბ., წ. ა.].

5861. ზამთარი. დასურათებული წიგნი ბავშვებისათვის. კრ. 2. თბ., 1923.

5862. [ზედგინიძე] პოლუმორდინოვი ე. მერცხალა. საბავშვო მოთხრობა. თბ., 1946.

5863. [ზედგინიძე] პოლუმორდინოვი ე. საბავშვო ლექსები. [თბ.], 1927.

5864. ზედგინიძე ე. (პოლუმორდინოვი). სალამურას ხმა. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1947.

5865-5866. ზომღეთელი ნ. ამხანაგისათვის თავის განწირვა. საბავშვო მოთხრობები. ტფ., 1928.

თავფურცელზე: „კინტო. გვ. 9; კურიოზი, გვ. 9-11; ჭაგვი ტარკა, გვ. 9-11. ი. გრ.“

გვ. 9. მოხაზულია: „თავშიშველი“, მიწერილია: „სურათზე ქუდი ჰხურავს. ი. გრ.“

გვ. 10. ხაზგასმულია: „მარჯვენა ჩექმის უღლი“ და მითითებულია სურათზე: „აქ მარცხენა“. ამავე სურათზე მიწერილია: „გეოთავშიშველი“, (გვ. 9)“.

5867. ზომღეთელი ნ. ლენინი ქოხში. საბავშვო ლექსები. ტფ., 1929.

5867-6870. თავუნა. ხორთუმი მაქვს, მარამ სპილო არა ვარ. თბ., 1933.

კანის მე-4 გვ. მიწერილია: „ამ წიგნის გარჩევა „ან-ლანისა“ („პიონერი“, 1933, № 7—8, გვ. 21)“.

5871. თავდიდოშვილი რ. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1956.

თავფურცელზე წარწერა: „დიდად პატივცემულ ამირან გაბეცკირიას ავტორისაგან. 29/II [?]“.

5872. თავისუფალ ბავშვების სიმღერები. [ტფ., 1921].

გვ. [4]. ე. რუხაძის ლექსში „განთიადი“ სიტყვა „ტორნალი“ გადახაზულია და მიწერილია: „ხეები“.

გვ. [8]. ფსევდონიმს „მიმქრალი“ მიწერილი აქვს: „ლ. მეგრელიძე“.

5873. თავიგული. მხატვრ. კრებული ბავშვებისათვის. თბ., 1946.

ფორზაცზე: „1946. 4/VI. ი. გრ.“

5874. თევზაძე ა. სამშობლოს ყვავილები. საბავშვო ლექსები. თბ., 1951.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს უსაყვარლეს ი. გრიშაშვილს. მღღღერი ავტორისაგან. 16/XI 51 წ. თბილისი“.

5875-5876. თევზაძე ა. სიხარულის მისი: [ლექსები]. თბ., 1948.

თავფურცელზე წარწერა: „ჩემს უსაყვარ-

ლეს პოეტსა და მეგობარს ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან. 20.IX. 48 წ., თბილისი“.

5877-5878. **თაქთაქიშვილი გ. როკე** და პილი. [მოთხრობები.] თბ., 1953. [კანზე 1952].

5879. **თომაშვილი დ.** საყმაწვილო ლექსები. ქუთაისი, 1903.

5880. **თომაშვილი დ.** შავი ცხვარი. (საბავშვო პოემა). ქუთაისი, 1926.

კანზე: „(პირველად დაიბეჭდა: „ჩვეჯილი“, 1899 წ., № VII—VIII). ი. გრ. ოდნავ შეკუთვლილი აქვს ავტორს.“

5881. **თომაშვილი დ.** შავი ცხვარი. (საბავშვო პოემა). თბ., 1944.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1944. 2/IX“.

გვ. 6. ხაზგასმულია: „წაშს გაბერა“, მიწერილია: „რა გაბერა?“

გვ. 9. მონახულია: „ტყეში“, მიწერილია: „ტყეშიო და ლომი კი მუთაქემზორის ზის“.

გვ. 11. ილუსტრაციას მიწერილი აქვს: „ტყეშიო და ეს ტყეა?“

გვ. 14. ხაზგასმულია: „ჩაღა-მტყერი“, მიწერილია: „ნაღატატა“.

5882. **თომაშვილი დ.** შავი ცხვარი. [საბავშვო პოემა]. თბ., 1958.

5883. **თომაძე მ.** ბეჭითი ნაწული. პატარა მოთხრობები. თბ., 1950.

მეორე გვერდზე გაზეთიდან ამოკრილი არ. ხუნდაძის რეცენზია ამ წიგნზე, არშაზე: „ლიტ. და ხელ.“, 1950, № 33“.

5884. **თომაძე მ.** ვარსკვლავების მხატვარი. [მოთხრობები.] თბ., 1955.

5885-5886. **თომაძე მ.** ოქროს ბურბუშელა. [მოთხრობები.] თბ., 1960.

თავფურცელზე წარწერა: „საბავშვო ლიტერატურაზე დიდად ამგადარს, ჩემს საყვარელ პოეტს აყადემიკოს იოსებ გრიშაშვილს. მოკრძალებით ავტორისაგან. 5/IX. 60“.

5887. **თომაძე მ.** სანდრიკო. [მოთხრობები.] თბ., 1961.

5888-5889. **თორღუა ე.** ჩიტი-ციცინო. (ჭარისკაცის ჩანაწერები). თბ., 1948.

თავფურცელზე წარწერა: „იოსებ გრიშაშვილს, ქართული ლექსის დიდ ოსტატს. თაყვანისცემით ავტორი. თბილისი. 1948 წ., დეკემბერი.“

5890. **თუმანიშვილი-წერეთლისა ა.** თაიგული. საყმაწვილო ამბები. ტფ., 1921.

5891. **თუმანიშვილი-წერეთლისა ა.** კონა. საყმაწვილო ამბები. (მოზრდილთათვის). ტფ., 1923.

892. **თუმანიშვილი-წერეთლისა ა.** ცხოველების გამჭრიახობა. პატარა ბავშვების პირველი საკითხავი წიგნი, ტფ., 1910.

კანზე: „ეს წიგნი თბილისში (ბიბლიოთ.) არ არის. ი. გრ.“

თავფურცელზე: „ი. გრიშაშვილმა შეიძინა 1943. 2/IV. თბილისში არ არის“.

გვ. 34. მოთხრობასთან „ქვეყანი თხები“ მიწერილია: „ივლიაც უკრანელ მწერლისაა. ი. გრ.“

5893-5895. [თუმანიშვილი]-წერეთლისა ა. ცხოველების გამჭრიახობა. შეეს. გამოც. მე-2 ტფ., 1924.

თავფურცელზე: „ი. გრ. 24 წ. 10/IV“.

5896. **თუმანიშვილი-წერეთლისა ა.** ხუთი ამბავი. ყმაწვილების საკითხავი. ფრანგულიდან გადმოღებული. ტფ., [1888].

კანზე: „ი. გრ. 1931. ნელისი“. იქვე: „თამარ დედოფალი, გვ. 36; ბაბაქანის ქოშები, გვ. 39“.

გვ. 39. მოთხრობის სათაურს: „ბაბა-ჯანას ჩუსტები“ მიწერილი აქვს: „სკობია ბაბაქანის ქოშები“. ამავე გვერდზე მონახულია სიტყვები: „წყლის ზიდვით“, მიწერილია: „მეთუღუნებებით“

გვ. 46. მინაწერები: „აბუ ჰასანას ჩუსტები“ -- ამ სათაურით ნაკადულშიაც არის დაბეჭდილი მოთხ. „ნაკ.“, 1908 წ., № 3). მე გავლექსე ჩვენი მეზობლების ნამბობიდან და შევადარე დაბეჭდილებს. ი. გრ.“

5897. **თუმანიშვილი თ.** ჩვენი ბოსტანი. საბავშვო ლექსი. [თბ., 1945].

კანზე: „ლექსი ვისია?“

5898. **თუმანიშვილი თ.** წითელარმიელობას თამაში. [თბ., 1942].

კანზე: „ი. გრ. 1942. 3/IV“.

5899. **თურდოსპირელი დ.** ახალი სიმღერები. საბავშვო ლექსები. თელავი, 1928.

5900-5902. **თურდოსპირელი დ.** პირველი ბილიები. საყმაწვილო მოთხრობები და ლექსები. თელავი, 1929.

კანზე: „ი. გრ. 1929. 4/VI“.

გვ. 3. ლექსის „ახალი სკოლა“ ბოლო სტროფში ხაზგასმულია: „ლენინის ანდერძს“, მიწერილია: „კარგია“.

მესამე ცალსი თავფურცელზე ბეჭედი: „Из книги И. Т. Полумордвинова“.

5903-5904. **თურდოსპირელი დ.** პირველი მანისი. საყმაწვილო მოთხრობა. სურათებით. ტფ., 1926.

თავფურცელზე წარწერა: „ქვირფას მგოსანს იოსებ გრიშაშვილს ავტორისაგან. 9/XII-27 წ.“

მეორე ცალსი მე-3 გვერდზე გაზეთიდან აღონაჭერი რეცენზია დ. თურდოსპირელის წიგნზე მინაწერთ: „მუშა“, 29 აპრილი, 1926 წ.“

5905-5906. თურდოსპირელი დ. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1947.

5907. თურდოსპირელი დ. ტუგრია. მოთხრობა ყრმათათვის. [თბ.], 1927.

მოთხრობის დასასრულს მიწერილია: „ძალა პირები“ ანუ ახსიათებს ერთ მომქმედ პირს დ. თურდოსპირელი. იხ. „ოქროს თავთა-ეი“ [„ოქროს სიზმრები“]. გვ. 21“.

5908. თურდოსპირელი დ. ტყის მკვლელი კაცის მკვლელა. საყმაწვილო მოთხრობები. თბ., 1948.

5909. იანჭოვილი მ. ციციანთა. საყმაწვილო ამბები. თბ., 1887.

5910. იაშვილი პ. ოთარ შოფერი. საბავშვო ლექსი. [თბ.], 1957.

5911-5912. ივანიშვილი გ. უპეუო ყორანა. (ზღაპრები). თბ., 1949.

გვ. 1. ხაზგასმულია: „უკან“ მიწერილია: „გვერდით“.

გვ. 4. სიტყვა: „დიდნა“ მიწერილი აქვს: „დილია“.

5913. იზარდ მწვანე ჭეჭილი. [საბავშვო ლექსები და მოთხრობები]. თბ., 1962.

5914. იმედაძე გ. გაღაიხდე ბღჩაში. [ლექსები]. თბ., 1953.

5915. იმედაძე გ. ჩვენებური თევზები. [ლექსები]. თბ., 1951.

შეშტეტილზე წარწერა: „ამ წიგნის პირველ ნათლიას, ქართული ლექსის ოსტატს, ნიკიტერ პოეტს იოსებ გრიშაშვილს. ღრმა პატივისცემით ავტორისაგან. 12.1951 წ. ჩვენი თბილისი“.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1951. 22.XII.“

გზუთიდან ამონაჭკობები: 1. შ. ჭინჭველაშვილის რეცენზია ამ წიგნზე მინაწერით: „ახალი წყობილი“, 1952, № 4: 2. ე. გვერდის წერილი „სასარგებლო წიგნი“ მინაწერით: „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1951 წ., № 245, 12 დეკემბ.“ 3. ო. მიქაძის რეცენზია. მინაწერით: „საბჭოთა აფხაზეთი“, 1952 წ., № 6, 9. I.“

გვ. 13. ლექსში „ორაველი“ ხაზგასმულია სიტყვა: „ჩილიში“. არსიაზე: „ჩილე თუ ტარანი? ი. გრ.“

5916. ივანიშვილი რ. ბედნიერი მთა [მოთხრობები]. თბ., 1960.

5917. იორამაშვილი ს. კარავი მტკვრის პირას. [მოთხრობები]. თბ., 1959.

5918. კალანდაძე გ. მეგობრობის ზეიმი. [ლექსები]. თბ., 1956.

თავფურცელზე წარწერა: „პატარა ბავშვების დიდ მეგობარს — ი. გრიშაშვილს — სიყვარულით და პატივისცემით: გ. კალანდაძე 14. II. 57 წ.“

5919. კალაძე კ. გურამის ბალი. [პოემა]. თბ., 1944,

5920. კალაძე კ. ზურაბი და რეზო, გელა... [პოემები. თბ., 1961].

5921-5922. კალაძე კ. საბავშვო პოემები. (ანდუყაფარ ქარაფშუტა. ენამწარე გოგონა. გურამის ბალი. საიდუმლო ბარათი) [თბ.], 1949.

თავფურცელზე წარწერა: „უღრმესი პატივისცემით. მუდამ საყვარელ სოსოს. მისი კარლო კალაძე. 28/V. 49.“

5923. კალაძე კ. საბავშვო პოემები. თბ., 1956.

5924-5925. კარტოფილი. [საბავშვო მოთხრობა. თბ.], 1932.

კანზე: „ი. გრ. 1932. 15/III.“

5926. კასრაძე დ. მზიას გიშ-გიშა. თბ., 1955.

5927. კასრაძე დ. ქალბებულა. ზღაპარი. ტფ., 1935.

გვ. 24. ხაზგასმულია: „დღეს ობაა“, მიწერილია: „ჩემიდან“.

გვ. 8. ხაზგასმულია: „გვირის“, მიწერილია: „მოხუცი და გვირის წამწამი? ჭალარა“.

5928. კასრაძე დ. ორი ზღაპარი. (მზიანა, ქალბებულა). თბ., 1948.

გვ. 44. ხაზგასმულია: „წამოაზრდა“, მიწერილია: „აშარი“.

გვ. 58. ხაზგასმულია: „დღეს ობაა“, მიწერილია: „გრიშაშვილის „ხელთათმანი“; „მალაყები“, მიწერილია: „აკაკი „დათვის წვ.“

5929. კასრაძე დ. პატარა სოსო. [მოთხრობა]. თბ., 1944.

თავფურცელზე: „ი. გრ. 1944. 14/XI“.

5930. კასრაძე დ. ჩვენს საკურდღელში. მოთხრობა ბავშვთათვის. ტფ., 1933.

5931. კაშმაძე ა. თებერვლის ზეიმი. [საბავშვო ლექსები]. ტფ., 1933.

5932. კაშმაძე ა. ციტრუსებს მხიარუი. [ლექსები]. თბ., 1940.

5933. კაჭახიძე გ. მხიარული მეგობრები. ლექსები სამ. ასაკისათვის. ტფ., 1935.

გაზეთიდან ამონაჭკობები: 1. ლავრ. ჭიჭინაძის რეცენზია ამ წიგნზე, მიწერილია: „კომ. განათლება“, 1935, № 31“. 2. რეცენზია — გ. ს. ხელმოწერით, მიწერილია: „კომუნ.“ 1936“.

5934. კაჭახიძე გ. საბავშვო ლექსები. თბ., 1952.

5935. კაჭახიძე გ. სექტემბერმა გაგვიცინა. [ლექსები]. თბ., 1961.

5936. კაჭახიძე გ. სწავლასა და სიხარულში. [ლექსები]. თბ., 1955.

5937-5938. კაჭახიძე გ. ჩემი ქვეყნის მონარდები. თბ., 1947.

თაფურცელზე წარწერა: „ამ წიგნის მოამეგს, მის რედაქტორს, ჩვენი ხალხის საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს. ავტორისაგან. 1947 წ. 22/XII.

5939. კაპახიძე გ. ჩემი ძმა. [ლექსები]. ტფ., 1934.

5940. კაპახიძე გ. ჩვენი სკოლის ყმაწვილები. [პოემა]. თბ., 1949.

თაფურცელზე წარწერა: „ჩვენი ხალხის საბელოვან და საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს. უღრმესი პატივისცემით. ავტორი. 1950 წ. 24/III“. იქვე გაზეთიდან ამონაჭერი გ. ლალაშვილის რეცენზია ამ წიგნზე „უბუნების ვარდაქმნის ნორჩი მებრძოლები“, მიწერილია: „ახალგ. კომუნისტი“, № 42, 1950, 11 აპრ.“.

5941. კეკელიძე მ. მოთხრობები. თბ., 1954.

5942. კეკელიძე მ. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1949.

5943. კეცხოველი ნ. გელა და ცქვიტო. [მოთხრობა]. ტფ., 1926.

5944. კეცხოველი ნ. გელა და ცქვიტო. [მოთხრობა]. მე-2 გადამუშ. გამოც. თბ., 1938.

5945. კეცხოველი ნ. დედა ჩამოფრინდა. [სკოლამდელთათვის. თბ., 1961].

5946. კეცხოველი ნ. მზიანი ღღის ყვავილები. თბ., 1937.

კანზე: „ი. გრ. 1937. 12/IV“.

5947. კეცხოველი ნ. მთა და ბარში. [მოთხრობები მოგზაურობებზე]. თბ., 1948.

5948. კეცხოველი ნ. მთა და ბარში. [მოთხრობები]. თბ., 1956.

ფორზაცზე წარწერა: „ძვირფას სოსოს, ჩვენი გოგობიჭების დიდ მოამაგეს, მეგობარს, მრავლის საბადლოდ მიიღე ეს პატარა ნობათი. ავტორისაგან. 4. XII. 56“.

5949. კვირიკაძე თ. გისმენთ! გისმენთ! [ლექსები, თბ.], 1953.

5950. კვირიკაძე თ. ყურში, ლალი და ფრინველები. [ლექსები. პოემა]. თბ., 1962.

5951. კვირიკაძე თ. ჰიკიკიებენ მერცხლები. [ლექსები. თბ.] 1959.

გვ. 7. ხაზგასმულია ლექსის სათაური: „ერქანი“, მიწერილია: „ფრანი?“

კანის მე-4 გვ. მიწერილია: „ვაშა ავტორის. ი. გრ.“

5952. კიკვაძე თ. ჩვენი მეგობარი, საბავშვო მოთხრობები და ლექსები. წიგნი 3. თბ., 1925.

5953. კლდიაშვილი ს. ხუთი მოთხრობა. [თბ.], 1946.

5954. კორაშვილი ქ. ხომის მთებში. მოთხრობა. თბ., 1950.

5955. კუხიანიძე ზ. როგორ ენახეთ გაზაფხული. ლექსები. თბ., 1961.

5956. ლებანიძე მ. მოგზაურები. [ლექსები]. თბ., 1954.

5957. ლებანიძე მ. საბავშვო ლექსები. თბ., 1952.

ფორზაცზე: „ი. გრ. 1952. 7/VI.

5958. ლებანიძე მ. საბავშვო მოთხრობები. თბ., 1953.

5959. ლებანიძე მ. სალამი აპრილს. ლექსები და პოემები. თბ., 1956.

5960. ლებანიძე მ. ძმები. ლექსები და პოემები. თბ., 1948.

5961-5962. ლელაშვილი მ. კანდელი, საყვარელი ლექსები და აკროსტიხები. თბ., 1901. კანზე და თაფურცელზე ბეჭედი: Иван Тимофеевич Полумордвиннов.

5963. ლეჟავა გ. თეთრი ბატი. [პოემები]. თბ., 1949.

5964. ლეჟავა გ. ნოდარის მეგობრები. [ლექსები]. თბ., 1956.

კანზე: „ლექსი ჩემდამი, გვ. 50, ი. გრ. 1956. 2/VI“.

5965-5966. ლეჟავა გ. სამგორის ყვავილები. [ლექსები. თბ.], 1952.

5967. ლეჟავა გ. ჩემს პატარა მეგობრებს. [ლექსები]. ბათუმი, 1954.

კანზე: „ი. გრ. 1954 წ., 1 ივნისი. თბ.“ იქვე: „გვ. 33“.

გვ. 33. ამ გვერდზე დაბეჭდილია ლექსი: „იოსებ გრიშაშვილს“.

5968. ლეჟავა მ. და-ძმა. მოთხრობები. თბ., 1950.

გვ. 7. ხაზგასმულია: „რიკტაფელას თამაში განავრძო“, მიწერილია: „ჩილიკა ჯოხი(?)“.

გვ. 9. მოხაზულია სიტყვა „იძახდა“, არშაზე მიწერილია: „ამბობდა“.

5969. ლომიძე ა. მონადირის ნამბობი. [მოთხრობები]. თბ., 1948.

5970-5972. ლომოური ნ. ალი. მოთხრობა. თბ., 1883.

თაფურცელზე: „აკლია 1 გვ. ეს წიგნი ყველგანაა. ი. გრ.“

5973. ლომოური ნ. ალი. მოთხრობა. მე-2 გამოც. თბ., 1903.

5974. ლომოური ნ. ალი. მოთხრობა. მე-3 გამოც. ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. თბ., 1913.

კანზე წარწერა: „დიდათ პატივცემულ კონსტანტინე ელიოზიშვილს ავტორისაგან“.

5975-5978. ლომოური ნ. ალი. მოთხრობა. გამოც. მე-4. ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. თბ., 1918.

5979. ლომოური ნ. ალი. [მოთხრობა]. თბ., 1955.

5980-5984. ლომოური ნ. პაწია მეგობრები. [მოთხრობა]. ტფ., 1920. [კანზე: 1921].

5985. ლომოური ნ. პაწია მეგობრები. [თბ.], 1940.

5986-5987. ლომოური ნ. ქაჯანა. მოთხრობა. თბ., 1885.

კანზე: „ეს წიგნი მხოლოდ საქაროშია! ი. გრ.“

მეორე ცალის კანზე ბეჭედი: „ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბა“.

5988-5989. ლომოური ნ. ქაჯანა. მოთხრობა. გამოც. მე-3. ტფ., 1902.

თავფურცელზე წარწერა: „ნიკო კურდღელაშვილს სახსოვრად პირველ ქართულ საბავშვო სკოლისთვის. განკუთვნილია ქართულთაგან. 6 თებერ. 1904 წ.“

5990-5991. ლომოური ნ. ქაჯანა. მოთხრობა მე-4 გამოც. ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. თბ., 1913.

კანზე ავტორის გვირგვინი შემდეგ მიწერილია: „ლ. ბოკუაძის წინაშე“.

5992-5993. ლომოური ნ. ქაჯანა. მოთხრობა. მე-5 გამოც. მოკლე ბიოგრაფიით. ტფ., 1917.

5994-5997. ლომოური ნ. ქაჯანა. [მოთხრობა]. ტფ., 1935.

კანზე: „1. ლექსი „ღეღეღიანი“, 4. 2. ებტიხარი, 5. ი. გრ. სიჩი. 1938. 12 მაისი“.

გვ. 4. ხაზგასმულია „კურდღელი მოცანკა-ლელა, ფეხმოტეხილი საწყალი“, მიწერილია: „ი. გოგებაშვილი“.

5998-5999. ლორთქიფანიძე კ. პიონერი თანდო. პირველი ბეჭედი. [ლექსები. თბ.], 1929.

6000. ლორია ბ. საბავშვო მოთხრობები. ბათუმი, 1951.

6001. მათიაშვილი ვ. პიონერები. [მოთხრობები]. ტფ., 1929.

6002. მალაზონია ნ. ბავშვებს. ლექსები. პოემები. ზღაპრები. ბათუმი, 1954.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს სიყვარულით. პატივისცემით. ავტორი. ნ. მ. 20 X 54 წ.“

6003. მალაზონია ნ. ბზრილა. [ლექსები]. თბ., 1960.

6004. მალაზონია ნ. გმირი ჯემალციო. საბავშვო პოემა. [ბათუმი], 1943.

6005. მალაზონია ნ. დათო ავტო. საბავშვო ლექსები და პოემები. ბათუმი, 1957.

თავფურცელზე წარწერა: „ი. გრიშაშვილს — პოეტს, კაცს, მეგობარს. ავტორი. 23/II-58“.

6006. მალაზონია ნ. თავი. (აპარული ზღაპარი). ბათუმი, 1939.

თავფურცელზე წარწერა: „ჩვენს ლექსის ოსტატს სოსო გრიშაშვილს ნ. მალაზონია, 7/X 39. ქ. ბათუმი“.

6007. მალაზონია ნ. პაწაწინა ლექსი. [ლექსი. ბათუმი, 1944].

6008. მალაზონია ნ. საბავშვო ლექსები. პოემები. ზღაპრები. [ბათუმი, 1959].

6009. მალაზონია ნ. ქართული ანბანი. [ლექსები]. ბათუმი, [წ. ა.].

კანზე: „ი. გრ. 1941. 10/IX“.

6010. მალაზონია ნ. ჩენი. ჯგვილი. [ლექსები]. ბათუმი, 1945.

კანზე: „ი. გრ. იხ. შენიშვნები“.

6011-6013. მამალაძე ტ. სამშობლო სურათები. მოგონებანი გურიის ცხოვრებიდან. ნაწ. 1—3. ქუთაისი, 1917—1919.

ნაწ. 1. ფრინველებზე უთოფოდ ნადირობა. 1917.

ნაწ. 2. გარეულ ცხოველებზე ნადირობა. 1918.

ნაწ. 3. დათესა და არჩვენი ნადირობა ქვანახევარში. 1919.

6014. მარგიანი რ. ჩემს პატარა მეგობრებს. ლექსები. თბ., 1947.

6015. მარგიანი. ბედნიერი თაობა. [მოთხრობები]. თბ., 1938.

ყდაზე: „ი. გრ. 1938. 14/XII“.

ფორზაცზე: „ავტორისაგან“.

თავფურცელზე წარწერა: „მარგიანისაგან სოსოს“. სათაურს: „ბედნიერი თაობა“ მარგიანის ზელით მიწერილი აქვს: „შენს თვალში ალბარდა და იმედია ამ ბავშვების ნაცლს და ღირსებას სიამოვნებით გაიხსენებ. მარგიანი. 1938 წ. 12/12“.

იქვე გაზეთიდან ამოაჭერი კ. ჭანტურიშვილის „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც შეეხება მარგიანის წიგნის გამოცემის ტექნიკურ მხარეს. (კორექტურას), არწიანზე მიწერილია: „ლიტ. საქ.“, 1938, № 32“.

6016-6017. მარგიანი. გელა. [მოთხრობები]. თბ., 1954

კანზე: „ი. გრ. 1955 წ. 15/II“.

იქვე: „ჩემი ლექსიდან, გვ. 80“.

გვ. 80. მოთხრობაში „კომკავშირის განაჩენი“ ხაზგასმულია: „ჩვენი ოცნება ის არის, სწავლაში ვიყოთ პირველი“, მიწერილია: „ი. გრიშაშვილი“.

6018-6021. მარგიანი. ზურა ატმის ქალაქში. [მოთხრობა]. ტფ., 1933.

6022. მარგიანი. ზურა ატმის ქალაქში. [მოთხრობები]. თბ., 1960.

6023-6024. მარგიანი. კეთილი გულით. მოთხრობები. თბ., 1951.

ქალაქის ნაპერი წარწერით: „ამ წიგნზე რეცენზია კარგი, იხ. „ბოლშევეკური სიტყვა“, 1951, № 57, 19 ივლისი“.

6025. მარიჯან. მამილა თეოს მარანი. [მოთხრობა]. თბ., 1948.

კანზე: „შესანიშნავი მოთხრობაა. ი. გრ.“

6026-6027. მარიჯან. მზიური ქვეყნის ბავშვები. [მოთხრობები]. თბ., 1949.

გაზუთის ამონაბეჭდები: 1. მ. ვარდოსანიძის რეცენზია ამ წიგნზე „წიგნი მცირე ასაკის ბავშვებისათვის“ მინაწერით: „კომ.“, 1949 წ., 30 ოქტ.“ 2. არკ. ხუნდაძის რეცენზია მინაწერით: „ლიტერატ. და ხელოვ.“, 1949, № 35, 4 სექტ.“ 3. მ. ჯალაღანის რეცენზია მინაწერით: „ახალგაზრდა კომ.“, 13 აგვ., 1949 წ.“

4. ს. გველსიანის რეცენზია „Рассказы для детей“, მინაწერით: „Заря“, 1949, № 154, 7 აგვისტო“.

6028. მარიჯან. მზიური ქვეყნის ბავშვები. რსეული [მოთხრობები]. თბ., 1963.

6029-6030. მარიჯან. ნელი ცირკში. [ლექსი]. ტფ., 1929.

6031. მარიჯან. ნელი ცირკში. [ლექსი]. თბ., 1938.

კანზე: „მეორე გამოცემა“.

6032-6033. მარიჯან. ნელი ცირკში. თბ., 1949.

6034. მარიჯან. ნელი ცირკში. [თბ., 1961].

6035. მარიჯან. ნელი ცირკში. [თბ., 1964].

გვ. 1. წარწერა: „სიყვარულით სოსოს მარიჯანისაგან. 1964. 18/XI“.

6036. მარიჯან. პარამუტი. ლექსები. თბ., 1939.

6037-6039. მარიჯან. ჩვენი ეზოს ბავშვები. [მოთხრობები]. თბ., 1958.

6040. მარიჯან. ჩვენი ქვეყანა. ლექსები. თბ., 1938.

6041. მარიჯან. ცხელი ქვეყნის მცენარეები. [ლექსები. თბ., 1936].

კანზე: „გასწორებულია მარიჯანის წერილის მიხედვით. ი. გრ. 1936. 21. XI“.

გვ. 5. წერია: „დამიხედეთ სავეს თაბახს, ამ დაკრეფილ გრძელ(!) ბანანებს

თუ კი სადმე მათ იგემებთ, პატარებო, არ ინანებთ“.

კანის ბოლო გვერდზე მიწერილია: „წაჰკიდე წამყიდებელი. გაწყვიტე ნათლისმცემელი“. (ხალხური).

„კბილი კბილსა ჰკარი

და მუცელს კარი გაეღება“ (ხალხური).

„ჰარიანტები და გამოკლებული ასე მომწერა მარიჯანმა წალღერიდან და გაასწორაო. 18. XI. 1936“.

„ახ, ვინ მოსთვლის პალმის ჩრდილში რამდენ მგზავრბა დაისვენა, და გამარალი სიტხით პირი ინდისხურმით გასიელო“.

ი. გრ. 1936. 4. XI.“

6042-6043. მარიჯან. წლიდან წლამდე. [ლექსები]. თბ., 1955.

6044-6045. მარკოვი ე. აბ-აბ სიამავე მთე-ბისა. ტფ., 1927.

6046-6047. მარკოვი ე. კბილბასრა და ალ-ქაჯი. ერთი მგლის ოჯახის ამბავი. ტფ., 1936.

6048. მარკოვი ე. სტანჯიო. [მოთხრობა]. ტფ., 1930.

თავფურცელზე: „ი. გრ. ნელისთვის. 1930. 8/IV.“

6049. მგალობლიშვილი ს. ყაყიბას ქურდი. [მოთხრობა] თბ., 1935.

6050. მგალობლიშვილი ს. ყაყიბას ქურდი. [მოთხრობა]. თბ., 1952.

კანზე: „აბუეტი, 10. ი. გრ.“

6051. მგალობლიშვილი ს. ჩიტების ომი. საბავშვო მოთხრობა. ამონაქერა „ნაქადული“-დან, 1923, № 10.

6052. მგალობლიშვილი ს. ჩიტების კრებულები. თბ., 1961.

6053-6054. მგალობლიშვილი ს. საყმაწვილო მოთხრობები. ტფ., 1919.

6055-6057. მგალობლიშვილი ს. საყმაწვილო მოთხრობები. ტფ., 1937.

6058. მგალობლიშვილი ს. ქინაქინა. [მოთხრობა]. თბ., 1960.

6059-6060. მგალობლიშვილი ს. (მიმქრალი). ბუზა და ლუა. [საბავშვო მოთხრობა]. ტფ., 1937.

6061-6062. მგალობლიშვილი ს. ბუზა და ლუა. თბ., 1949.

6063. მგალობლიშვილი ს. ლექსები. მოთხრობები. თბ., 1949.

6064. მგალობლიშვილი ს. ნანა. [მოთხრობები]. თბ., 1951.

6065. მგალობლიშვილი ს. (მიმქრალი) საბავშვო ლექსები. ტფ., 1924.

კანზე: „ი. გრ. 1935. 19/1“.

გვ. 9. ლექსის გასწვრივ: „ილია ნაკაშიძის სურათზე“ მიწერილია: „ზედმეტია“.

გვ. 13. ლექსთან „ჩემს ლალს“ მიწერილია: „კარგია“.

გვ. 21. დანიშნულია ლექსი „სომღერა (სოფ)“, მიწერილია: „კარგია“.

6066. მგალობლიშვილი ს. სახსოვარი. [ლექსები, პოემები, მოთხრობები და ზღაპრები]. თბ., 1958.

თავფურცლის მე-2 გვერდზე წარწერა: „პატრიისკეების ნიშნად საუფარგო პოეტს და მან-

ლობელს იოსებ გრიშაშვილს. ავტორისაგან".
მიწერილია: „1958 წ. 4 ოქტ. ი. გრ.“

გვ. 232. ქინძისთავით მიმაგრებულია ავტორის პორტრეტი, რომლის ქვეშ წერია: „უთხოვე გამოცემლობას ეს სურათი აქვე გაეშვით და წინ სულ არ მიწოდოდა ეს სურათი, მაგრამ არ გამოგონეს ეს პატარა თხოვნაც. ლ. გ.“

6067. მეგრელიძე ლ. შოთას ლურჯა. [ლექსები]. თბ., 1943.

6068. მერაბიშვილი ლ. ნ. პიონერი დათია—კარგი მავალითია. [ლექსი]. თბ., 1942.

6069. მეტრეველი ლ. ამბავთა ქარავანი. [მოთხრობები]. (ცხოველთა სამეფოში). ტფ., 1934.

თავფურცელზე წარწერა:

„ეს ქარავანს ვაგამგზავრებ სოსოსკენ, თან ვაგატან ტვირთად გრძნობას მეგობრულს.“

დააჩოქე ტვირთის ჩამოსახდელად!

დაე, სხვამ სთქვას: „სათაყვანოდ მოსულა!“

ლევ. მეტრეველი. 20/IX 36“.

6070. მეტრეველი ლ. ორი გმირი. [მოთხრობა]. ტფ., 1935.

თავფურცელზე წარწერა: „სასიქაღლლო პოეტს და ერთადერთ მეგობარს მწერალთა შორის სოსო გრიშაშვილს. ლევან მეტრეველი. 20/IV-36“.

6071. მთვარაძე ს. ამბავი ივრის ხეობაში. [მოთხრობა]. ტფ., 1935.

6072. მთვარაძე ს. უცნაური ცხოველი. სათავგადასავლო მოთხრობა. თბ., 1954.

თავფურცელზე წარწერა: „სახელოვან პოეტს, მოღვაწეს და საყვარელ მეგობარს—სოსო გრიშაშვილს, პატივისცემით. ს. მთვარაძე. 12/IV-55 წ.“

6073-6074. მთვარაძე ს. ფალავანი. [მოთხრობა]. თბ., 1961.

თავფურცელზე წარწერა: „ქართული პოეზიის სიამავეს—სოსო გრიშაშვილს! უღრმესი პატივისცემით: ს. მთვარაძე. 19¹⁵/_{III} 62 წ.“

6075. მთვარაძე ს. ჩვენც, ჩვენც... [პიესები]. ტფ., 1934.

6076. მირიანაშვილი ა. ივავ-არაქნი. 125 პატარა მოთხრობა. ტფ., 1912.

6077. მირიანაშვილი ა. ივავ-არაქნი. 70 დაწერათებული პატარა მოთხრობა. ტფ., 1922.
6078. მირიანაშვილი ა. ივავ-არაქნი. თბ., 1958.

6079. მირიანაშვილი ა. პატარა მოამბე. ბავშვებისათვის. თბ., 1886.

თავფურცელზე: „P.S. აქედან ზოგიერთი

ამბავი რუსულიდან არის თარგმნილი (იხ. „ივერია“, 1886 წ., № 64). ი. გრ.“

6080. მიქავა ნ. თეთრი თავის ზღაპრები. თბ., 1948.

6081. მიქელაძე მ. ვარდამავალი დროსა. მოთხრობები და ზღაპრები. თბ., 1950.

6082. მიქელაძე მ. თეთრი სახლი. (საბავშვო პოემები). [თბ.], 1947.

კანზე: „ი. გრ. 1947. 12/IV“. იქვე: „ჩემი შენიშვნები, გვ. 35-დან; „ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი“, გვ. 35, იხ. ჩემი „ლურწამი ჯარ“.“

გვ. 37. ხაზგასმულია: „მოკლავ“, მიწერილია: „თევზს ჰკლავენ“

გვ. 38. მოხაზულია: „კუდი“, მიწერილია: „თევზი და კუდი?“ ხაზგასმულია ადგილები და მიწერილია არშიაზე: „იხ. საბა“

გვ. 39. ხაზგასმულია: „ან მიწას ვინ მიგვაბარებს?“, მიწერილია: „ცეზურა. მიწას ვილა მიგვაბარებს“.

გვ. 40. მოხაზულია: „თოფს“, მიწერილია: „თოფს ზღაპარში რა უნდა?“

გვ. 42. ხაზგასმულია: „არ მიყვარდა მრუდე სიტყვა“, მიწერილია: „და არც მიყვარს. ი. გრ.“ ხაზგასმულია: „აბრიალებს“, მიწერილია: „მის წინ გაჩნდა ირემი, მაშასადამე არ ეშინიან, თვალებს რაღად აბრიალებს?“

გვ. 44. ხაზგასმულია: „ხელი“, მიწერილია: „წეროს ხელი აქვს?“

გვ. 45. ხაზგასმულია: „მოფარფატებს“, მიწერილია: „მელა და ფარფატი?“ ხაზგასმულია: „აგი ძალი“, მიწერილია: „ძალი თუ მგელი?“

გვ. 46. ხაზგასმულია: „შეუყუფა, შეუღრონა“, მიწერილია: „ერთი წვეთი თაფლიდან“.

გვ. 47. მოხაზულია: „მას იცავდნენ თავდადებით გულზეადი თავადები“, მიწერილია: „კარგია!“ მოხაზულია მთლიანად აბზაკი და მიწერილია: „ერთი წვეთი თაფლის მსგავსად“.

გვ. 49. ხაზგასმულია: „ცხრა კარი“, მიწერილია: „კოშკს ცხრა კარი აქვს?“

გვ. 50. მოხაზულია: „მოსჩანს“ მიწერილია: „ნიგ სჩანს“. მოხაზულია: „თვალთ“, მიწერილია: „იკრემლი თვალის გარდა სად არის?“ ხაზგასმულია: „არ დაურჩა“, მიწერილია: „ჩაუვარდა?“

გვ. 51. მოხაზულია ადგილი და მიწერილია არშიაზე: „ერთი წვეთი თაფლიდან“.

